

K 130 782
3



გაბრიელ სეფირაძის
ქრონიკა



В этой книге предлагается критическое издание важнейшего древнеармянского первоисточника начала VII века «Книги посланий».

В первой части книги (в исследовании и комментариях) наряду с текстологическими вопросами автором изучаются некоторые аспекты таких важнейших проблем, какими являются происхождение грузинского письма, вопросы автокефалии грузинской церкви и др.

Во второй части исследования автор ставит себе целью выявить основные политические и идеологические тенденции в истории Грузии на рубеже VI—VII вв. и приходит к весьма важному выводу об единстве восточногрузинской и западногрузинской церквей в начале VII века. Основной темой данной части исследования является проблема идентификации Кирона Мцхетского с Киросом Александрийским (Фазисским) и Ал-Мукавкасом.

Книга предназначена для специалистов в области истории и филологии древней Грузии, Армении и Ближнего Востока, а также для широкого круга читателей, интересующихся историей и культурой упомянутых стран.

K 130 782
3

36036340
20270000330

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ
წიგნი XXI

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
КОМИССИЯ ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ
О ГРУЗИИ
FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES



КНИГА ПОСЛАНИЙ

АРМЯНСКИЙ ТЕКСТ С ГРУЗИНСКИМ ПЕРЕВОДОМ
С ИССЛЕДОВАНИЕМ И КОММЕНТАРИЯМИ ИЗДАЛ
АЛЕКСИДЗЕ З. Н.

LIBER EPISTOLARUM

TEXTUM ARMENICUM CUM VERSIONE GEORGICA EDIDIT*
ET DISPUTATIONE COMMENTARIISQUE INSTRUXIT
Z. ALEKSIDZE

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ 1968 ТИВ.И.С.С.С.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს უმცავეს არსებული უცხოური წყაროების კომისია



K 130782
3

ეპისტოლეთა წიგნი

სომეური ტექსტი ქართული თარგმანით,
გამოკვლევითა და კომენტაჟებით გამოცდა
ზაზა ალექსიძე

საქართველოს
კარლ მარქსის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

9(C41) + 90(C43)
9(47·922) (001) + 90 (47·925)
ე 726

„ეპისტოლეთა წიგნი“ უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ურთიერთობის შესასწავლად. მასში თავმოყრილია მიმოწერა VII ს. დაძდეგს ქართველ და სომეხ მოღვაწეთა შორის.

წინამდებარე ნაშრომის პირველ ნაწილში ქვეყნდება „ეპისტოლეთა წიგნის“ სომხური ტექსტი, კრიტიკულად დადგენილი X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ნაწარმოებში („ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“) დაცულ რედაქციასთან შედარების საშუალებით. გამოკვლევასა და კომენტარებში განხილულია „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის კრიტიკის უმთავრესი საკითხები. წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია VII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარების შესწავლის ცდა.

შთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, **ვლ. ფუთურიძე**, ს. ყაუხჩიშვილი
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ჭ. ჯიქია
სომხური წყაროების
სერიის რედაქტორი
ილ. აბულაძე

წინასიტყვაობა

1. ქართული ნარატიული წყაროები განსაკუთრებით ნაკლებია VII საუკუნის I ნახევრისათვის. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ჯუანშერი თუ გუარამ კურაპალატამდე კიდევ რამდენადმე ვრცლად მოგვითხრობენ, გუარამიდან მოყოლებული სიტყვაძუნწი ხდებიან. ამასთან ეს წყაროები გვიანდელია. არა გვაქვს არც ერთი ავთოგრაფიული თხზულება, რომლითაც ასე მდიდარია წინა და მომდევნო ეპოქა. მცირეა უცხოური წყაროების ცნობებიც. სომხურის გარდა ყველა წყაროში (მათ შორის ქართულში) სრულიად სუფთაა ის ფურცლები, სადაც ასახული უნდა იყოს სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია, ხოლო საეკლესიო განხეთქილება პირველ რიგში არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი, საგარეო ორიენტაციის გამოხატულება.

2. VI—VII სს. მიჯნა ალტერნატივის წინაშე აყენებს ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებს. ქალკედონიანობის აღიარება ბიზანტიის იმპერიაზე კურსის აღებას ნიშნავს, მონოფიზიტობა — სპარსეთის ქვეშევრდომობის აღიარებას. მალე მესამე ძალაც (ისლამი) ჩაერევა საქმეში. ასეთ ვითარებაში სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკა დიდ როლს ითამაშებს ქვეყნის შემდგომ ბედში. აღმოსავლეთის ქრისტიან ქვეყნებს შორის ერთადერთია ქართლი, რომელიც ბიზანტიის მხარეზე გადაჭრით დგება სწორედ მაშინ, როცა სპარსეთის უპირატესობა სავსებით ამკარაა.

VII საუკუნის დამდეგს აღებულ კურსი, ქალკედონური მრწამსის ქვეყნის ოფიციალური დედოფლიად გამოცხადება და ამ გეზის განუხრელი გატარება, საშუალებას აძლევს ქართლს ძლიერების ზენიტში თავი ბიზანტიის პოლიტიკური დედოფლიურ მემკვიდრედ გამოაცხადოს.

VI—VII საუკუნეების მიჯნაზე ქართული წყაროებით ქართლში დიდი შინაპოლიტიკური აღმავლობა იგრძნობა: აღდგება „ყოველი

ქართლი“ (შესაძლოა ფარნავაზის მიერ განწესებული 8 საერისთავოს ფარგლებშიც კი). დღემდე უცნობია ქართული წყაროების ნების მიზეზები და მათი რეალურობის ხარისხი.

VII საუკუნის დამდეგი ერთი ბრწყინვალე ფურცელია საქართველოს სამშენებლო საქმის ისტორიაში. თითქმის ერთდროულად (დაახლოებით 30 წლის მანძილზე) მცხეთაში, ატენში, შუამთასა და მარტვილში შენდება ერთი ტიპის (ჯვრის) ტაძრები.

3. ასეთ ვითარებაში, მიუხედავად მათი ტენდენციურობისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორიის ამსახველ წყაროებს. ისინი ყველაზე ვრცლად და დაწვრილებით ეხებიან VII ს-ის დამდეგის ქართლის ცხოვრებას. აღნიშნულ წყაროთაგან ყველაზე უფრო ნაკლებტენდენციური და ყველაზე უფრო სანდოა კრებული, რომელსაც „ეპისტოლეთა წიგნი“ (Liber epistolarum) ეწოდება. იგი წარმოადგენს რელიგიის საკითხებზე სომხეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს მოღვაწეთა მიმოწერის კრებულს სხვა ეკლესიების მეთაურებთან V—XIII საუკუნეების მანძილზე.

ქართველ სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ეპისტოლეთა წიგნის“ ის ნაწილი, რომელიც ქართლისა და სომხეთის ურთიერთობის საკითხებს ეხება (ჩვენს წიგნში, სადაც ლაპარაკია „ეპისტოლეთა წიგნის“ შესახებ, ჩვეულებრივ მხოლოდ ეს ნაწილი იგულისხმება).

„ეპისტოლეთა წიგნი“ დღემდე თარგმნილი არ არის არცერთ ენაზე. მკვლევრებს, რომლებიც ძველ სომხურ ენას არ ფლობდნენ, უხდებოდათ ესარგებლათ იმ ექსცერპტებით, რომლებიც მოცემულია ივ. ჯავახიშვილის შრომებში ან კიდევ უხტანესის ნაწარმოების („ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“) მ. ბროსეის ფრანგული თარგმანით. ცხადია, ამის გამო სრული წარმოდგენა არ ჰქონდათ თვით კრებულზე და მუშაობის დროს მათ ზღუდავდა გასაგები სიფრთხილე: „ეპისტოლეთა წიგნში“ შეიძლება ყოფილიყო ისეთი მასალა, რაც არ აისახა ივ. ჯავახიშვილის შრომებში, ხოლო მასთან უხტანესისეული რედაქციის მიმართება დადგენილი არ იყო.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „1901 წელს თბილისში გამოიცა *«ჩიქე ქიქიე»*—„ეპისტოლეთა წიგნი“, სწორედ ის წყარო, რომელსაც უხტანესი ემყარებოდა. ამიერიდან მკვლევარს სომეხთა და ქართველთა მმართველ წრეებს შორის ატეხილი უთანხმოებისა და მიწერ-მოწერის შესწავლა უშუალოდ შეეძლო, რადგან იქ ამ ამბავთან დაკავშირებული ეპისტოლეებია მოთავსებული. სამწუხაროდ, ეს ძველი კრიტიკულად გამოცემული არ არის. უხტანესის ნაშრომისა და „ეპისტოლეთა წიგნის“ შედარება კი ცხადპყოფს, რომ მიწერ-მოწერის ტექსტი ამ კრებულში სრულად არ ყოფილა დაცული და საერთოდ, მეტადრე კი ზოგიერთის



აღსადგენად ჯერ კიდევ წინასწარი მუშაობაა საჭირო, რომელიც არავის გაუწევია...“ „პირადად ასეთი შრომა დამზადებული მქონდა. მაგრამ 1918 წ. მთელ ჩემ პეტერბურგიდან მომავალ წიგნთსაყიდველ ერთად დამეკარგა. ამ მიწერ-მოწერის კრიტიკულად აღდგენა აუცილებელი, მორიგი საკითხია“ (ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 376).

ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ დასახული გეგმის შესრულება ამ წიგნის ავტორს მიენდო. სიძნელეები უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე პირველი შეხედვით ჩანდა: 1. ტექსტის კრიტიკულად დასადგენად ის საშუალებები, რაც დღეს ხელთა გვაქვს (ამის შესახებ გამოკვლევაშია საუბარი), მეტი რომ არ ვთქვათ, უკმარია. 2. ვიკისრეთ ტექსტის სრულიად თარგმნა და გამოცემა. რასაკვირველია, წმინდა დოგმატიკური საკითხებისაგან მისი განტვირთვის შემდეგ ამოცანა გაადვილდებოდა: როცა საქმე გვაქვს ისტორიულ მოვლენებთან, დაზიანებული ტექსტის აღდგენა და შინაარსის მიხვედრა უფრო ადვილია. მაგრამ ასეთი „ოპერაცია“ „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოცემასა და თარგმანს საგრძნობლად დაზიანებდა და ღირებულებას შეუმცირებდა. საქმე ის არის, რომ სომხური და ქართული სარწმუნოების აღსარების ისტორიულ ცვალებადობაში გასარკვევად „ეპისტოლეთა წიგნი“ პირველხარისხოვანი წყაროა. მარტო ის რად ღირს, რომ მანამდე გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ „ეპისტოლეთა წიგნზე“ დაყრდნობით ე. ტ ე რ - მ ი ნ ა ს ი ა ნ მ ა და-ამტკიცა, რომ სომხური ეკლესია VI—VII საუკუნეებში მაინც იულიანე პალიკარნასელის მიმდევარია. ასეთ საკითხებში გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ისტორიული მოვლენების ასახსნელად. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რას წარმოადგენდა ის „სომხური სარწმუნოება“, რომელიც ხოსრო II ე. წ. „სპარსულ კრებაზე“ ერთადერთ-სავალდებულო აღსარებად გამოაცხადა; უნდა ვიცოდეთ რა იდეოლოგიის მქონე წრეებში აღიზარდა კირონ მცხეთელი, რამდენად მოქნილი და ტევადი იყო მისი მრწამსი, რომ თითქმის შეუმჩნეველად (პირველ ხანებში) გადასულიყო დიოფიზიტობიდან მონოფიზიტობაზე და მალე კვლავ ქალკედონიანობას დაბრუნებოდა, ცდილიყო კავშირი არ გაეწყვიტა არც ნესტორიანებთან და არც მონოფიზიტებთან. ყოველივე ამან გადაგვაწყვეტინა, „ეპისტოლეთა წიგნში“ დაგვეტოვებინა წმინდა საღმრთისმეტყველო და ქრისტოლოგიური საკითხები, მიუხედავად იმისა, რომ მათი შენარჩუნება თარგმანს საგრძნობლად აძნელებდა და აფერხებდა.

4. „ეპისტოლეთა წიგნში“ ასახული მასალა მოიცავს ქართველ-სომეხთა საეკლესიო ცილობის პირველ (განხეთქილების) ეტაპს. კამათის მეორე და მესამე ეტაპზე იქმნება არანაკლები მნიშვნელობის (ორივე მხრივ) პოლემიკური თხზულებები. მათგან უმნიშვნელოვანესი — უხტანესის „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“

და არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ — უკვე მზადა გვაქვს სათანადო აპარატითა და გამოკვლევისათვის (ტანესი თარგმანით) გამოსაქვეყნებლად. დაწყებული გვაქვს მესამე ეტაპის ძეგლებზედაც. VII—XIII სს-ის ყველა ჩვენთვის საინტერესო წყარო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და კამათის ისტორიის რამდენადმე სრულად ამოწურვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ თითოეული მათგანის კრიტიკულად შესწავლისა და გამოქვეყნების შემდეგ. ამის გამო, ვიტოვებთ უფლებას, ხელახლა მრავალჯერ დავუბრუნდეთ ამ წიგნში წარმოდგენილ საკითხებს და სხვასაც (განხეთქილების შესახებ არსებული გვიანდელი წყაროების ურთიერთმიმართება, ქრონოლოგია და სხვა), რასაც დღეს აქ შეგნებულად გვერდი ავუარეთ.

2. „ეპისტოლეთა წიგნის“ პირველი ნაწილის ხელნაწერები

ვენელი მხითარისტების „მატენადარანში“ 610 ნომრით დაცულია ხელნაწერი, რომელიც შეიცავს აბრაამისა და კირონის მიმოწერას. სამწუხაროდ ჩვენ ამ ხელნაწერზე არ მიგვიწვდება ხელი. ნ. აკინიანის შენიშვნით, მას საკითხის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იგი ვადაწერილია ანტონიანთა ძმობის ხელნაწერიდან⁸.

ასეთივე ღირებულებისაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ფონდში დაცული № 63 სომხური ხელნაწერი, რომელიც შეიცავს მხოლოდ აბრაამ სომეხთა კათალიკოსისა და კირონ ქართლის კათალიკოსის მიმოწერას. ეს ხელნაწერი გვიანია (XIX ს.) და, ჩანს, ანტონიანთა ძმობის ნუსხაზეა დამოკიდებული. მას სწორედ ის ადგილები აქვია, რაც არ არის ანტონიანთა ნუსხაში.

აბრაამ კათალიკოსის მიერ კირონ მცხეთელისათვის მიწერილი მე-სამე ეპისტოლეს დიდი ნაწილი შესულია კრებულში, რომელსაც „სარწმუნოების ბეჭედი“ (*Կնիք հաւատոյ, Sigillum fidei*) ეწოდება⁹. ხელნაწერს XIV—XV სს-ით თარიღებენ¹⁰ და ესეც დამოკიდებული უნდა იყოს (შესაძლოა სხვა ნუსხის მეშვეობით) ანტონიანთა ძმობისეულზე. სამწუხაროდ მასში არ შედის სწორედ ის ადგილი, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო იქნებოდა, სადაც ჩამოთვლილია ქართლის საეპისკოპოსოები. „სარწმუნოების ბეჭედის“ პუბლიკაციაში ორივე ნუსხა შედარებულია.

არცერთი ჩამოთვლილი ხელნაწერი „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის დასადგენად ღირებული არ არის. იმ ხელნაწერებს, რომლებზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდება („სარწმუნოების ბეჭედი“, ხელნაწერთა ინს-

⁶ Գիրք բրբուց. ԶՅ 5; Մ. Օրմանեան, Ազգայնաբանական համահեղինակություն, 1912, § 509.

⁷ Կնիք հաւատոյ. ԶՅ. XXV — XXVI; Н. Адонц, Амелий, епископ Херсонский (К критике армянской Книги посланий), Христианский Восток, II, 1913, стр. 175 — 176; ლ. მელიქსეთ-ბეგის, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, ტფილისი, 1928, ԶՅ. 72.

⁸ Ն. Ակինեան, Կիրիլոս..., ԶՅ. 41, M. Tallon, Livre des lettres, ԶՅ. 18.

⁹ Կնիք հաւատոյ, ԶՅ. 139 — 142.

¹⁰ იქვე. ԶՅ. VIII.

ტიტუტი № 63), საჭოკმანო შემთხვევებში უყურადღებოდ არ ავტოვებ-
დით, მაგრამ საგულისხმო ჩვენებებს არ გვაძლევდნენ და პრეზიდიუმის
ლიოში შეგვიტანია*.



II

„ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქციები

„ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქციებად დაჯგუფება პირობითია. იმ კრებულს, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ვუწოდებთ A რედაქციას. მეორე რედაქცია, რომელსაც B ლიტერით აღვნიშნავთ, დამოუკიდებელი კრებულის სახით არ შემონახულა. იგი დაცულია X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ეპისკოპოს უხტანესის ნაშრომში „ისტორია სომხეთისა და განყოფა ქართველთა სომეხთაგან“.

უხტანესი ცნობილია როგორც ავტორი სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწარმოებისა, რომლებიც გაერთიანებულია ერთი წინასიტყვაობით. ესენია: 1. სომხეთის მამამთავართა და მეფეთა ისტორია (აღამიდან მოყოლებული გრიგოლ განმანათლებლამდე), 2. ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 3. წათების ნათლისღება. უხტანესის მესამე ნაშრომი დაკარგულია.

უხტანესის მეორე ნაწარმოები გაცილებით უფრო საყურადღებო და ანგარიშგასაწევია, ვინემ პირველი. სამწუხაროდ ესეც არასრულად არის მოღწეული: თხრობა წყდება აბრაამ სომეხთა კათალიკოსის საყოველთაო ეპისტოლეზე. უკეთ, ეს წერილი მოტანილია, მაგრამ ბოლოში აკლია ის ნაწილი, რომელიც „ეპისტოლეთა წიგნის“ საშუალებით ცნობილია და უხტანესის თხზულებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ისიც საფიქრებელია, რომ უხტანესი თხრობას აბრაამის ენციკლიკით არ დაამთავრებდა და თავის კომენტარებს დაურთავდა, სადაც მოსალოდნელია იქნებოდა მსჯელობა ქართველთა რეაქციის შესახებ სომეხთა კათალიკოსის წყევლაზე.

* ერევნის სახელმწიფო „მატენადარანის“ ორ კრებულში (ხელნაწერები №№ 2966, 3062) დაცულია აგრეთვე რამდენიმე ნაწყვეტი „ეპისტოლეთა წიგნიდან“, რომელთა არსებობა, სამწუხაროდ, გვიან შევიტყუეთ „მატენადარანის“ ხელნაწერთა აღწერილობის საშუალებით. იხ. ზიცვას ბხინაძეაჲ შაჰოიჲს ანქან შათხნაიჲრანს, II, 1965.



უხტანესის „ისტორიის“ მეორე ნაწარმოების ძირითადი წყაროა „ეპისტოლეთა წიგნი“. იგი მას ბევრგან ასახელებს ამ სახელწოდებით (II, გვ. 6, 23, 54 და სხვ.). ძირითადად უხტანესის ნაშრომი შედგება ქართველ და სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა შორის მიმოწერისგან, რომელთაც ცალ-ცალკე დართული აქვთ ვრცელი კომენტარი. ამ კომენტარში ხშირად ისეთი ცნობებიც არის მოცემული, რომლებსაც სხვა წყაროებით არ ვიცნობთ და საკითხის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

61-ე თავში ისტორიკოსი განმარტავს იმ მეთოდს, რომლითაც შემოაქვს მას ეპისტოლეები თავის „ისტორიაში“:

*გნადასათხნ ირჯაჲს ღარაგსაჲს
 ხ რაღამაჲ გნარსაჲს რანსიჲ¹ ღარ-
 ყხვარაჲს ქობულქსა კაკიასიჲს: ჩაჲც
 ღარ რაღამაჲ ხ აჲჲს ხნჯ ვლნჲს მხოჲ
 ქიჲქიჲსიჲს ხ ხ მხიჲიჲს ღარაგან-
 ჯიჲრიჲს იჲს აყაოამიჲს რანს.ჲ.
 ვიჲრ იჲს ღარსიჲს რამარსაჲს მსჲრ
 ხ იჲს რაღამაჲს, აჲჲს ვნადასათხნ
 ხ ვაქიოათხნ მსიჲს ვრხვარაჲს ვიჲლი-
 ძიჲს მსიჲს ხ ვლნსაჲს ღარსიჲს:*

რამდენადაც შესაძლებელი იყო, მრავალ შერჩეულ სიტყვათაგან ჭეშმარიტი შევიტანეთ ამ წერილში. იყო სხვაც ბევრი თითოეული სიტყვის ბოლოს და შუაში, რაც არ მივიჩინეთ საჭიროდ და აუცილებლად. ჩვენთვის სარწმუნო და საჭირო კი ბევრი ერთხელ და ნაწილი ორჯერ დავწერეთ¹¹.

უხტანესის შემოკლებები ძირითადად ქრისტიანული ეკლესიის ისტორიისა და დოგმატიკის საკითხებს შეეხო. ყველაზე უფრო ძლიერ ისტორიკოსს შემეცირებული აქვს კირონის წერილები. ალაგ-ალაგ იგი ცალკეულ წინადადებებსაც უმატებს სომხური საეკლესიო წრეების პოზიციების გასამაგრებლად. ამ საკითხებს კომენტარებში უფრო ვრცლად ვეხებით და ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით. B რედაქციას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ყოველთვის, როცა „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობებს ვიყენებთ. საქმე ის არის, რომ უხტანესმა „ისტორიის“ დაწერის წინ და მისი შექმნის პროცესში სერიოზული (რამდენადაც X საუკუნის ისტორიკოსს შეიძლება მოვთხოვოთ) ტექსტოლოგიური ძიება ჩაატარა. იგი, როგორც ჩანს, უკეთეს პირობებში იმყოფებოდა, ვიდრე ახლა ჩვენა ვართ და მას გონივრულადაც იყენებდა. ისტორიკოსის ხელთ იქნებოდა საპატრიარქო ბიბლიოთეკა, ხოლო „ეპისტოლეთა წიგნის“ ნუსხები მაშინ მეტი იყო, ვიდრე დღესა გვაქვს.

როგორც ჩანს, უხტანესის „ისტორიის“ ხელნაწერების რაოდენობა ძველადვე მცირე იყო, თუმცა მისი ავტორი საკმაოდ პოპულარულია

¹¹ ი. ს. ხ. თ. ა. ნ. კ. II, შათმარქის რამდენიმე წიგნი, ქადაგება-ჟურნალი, 1871, გვ. 103.

ძველ სომხურ მწერლობაში¹². დღეს ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთი
მა ნუსხამ, რომელიც დაცულია ერევნის „მატენადარანის“ ბიბლიოთეკაში.
გრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერების სა-
ხით.

III

A და B რელაქსიების გამოხვედრა და თარგმანები

„ეპისტოლეთა წიგნი“ გამოცემულია ერთხელ 1901 წელს თბილის-
ში ანტონიანთა ძმობის „მატენადარანის“ ნუსხის მიხედვით. გამოცემა
არ არის კრიტიკული¹³. ის ნაწილი, რომელიც სომეხ-ქართველთა საეკ-
ლესიო განხეთქილებას ეხება, არც ერთ ენაზე არ არის თარგმნილი. „ეპის-
ტოლეთა წიგნის“ ე. წ. პროტოტიპიდან (V—VII სს. ამსახველი დოკუმენ-
ტები) ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულია ბერძნებთან მიმოწერა
(თბილისის გამოცემის 1—40 გვერდები)¹⁴.

უხტანესის „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ გამო-
ქვეყნებულია ერთხელ 1871 წელს ვაღარშაპატში¹⁵. გამოცემა არ არის
კრიტიკული. იგი თარგმნილია ფრანგულად მ. ბროსეს მიერ¹⁶.

კირონ ქართლის კათალიკოსის მესამე ეპისტოლე აბრაამ სომეხთა
კათალიკოსისადმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია VII ს. დამდეგის

¹² ნ. მ. ს. ხ. ნ. ხ. ნ., ს. ს. ს. ს., გვ. 49.

¹³ *Գ ի ի Ր թ թ ի ց. Թ ի ի ի ս.*, 1901. ნაწყვეტები აბრაამ სომეხთა კათალიკოსის
პირველი, მესამე და ენციკლიკური ეპისტოლედან გამოქვეყნებული აქვს ლ. მ. გ. ლ. ი. ქ. ს. ე. თ-
ბ. ე. გ. ს. (იხ. ძველი სომხური ქრესტომათია, 1920, გვ. 57—61), ხოლო აბრაამის პირველი
ეპისტოლე — ილ. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე. ს. (იხ. ძველი სომხური ქრესტომათია, ტფილისი, 1935,
გვ. 51—52).

¹⁴ M. Tallon, *Livre des lettres, 1^{er} groupe: Documents concernant les relations avec les grecs, Mélanges de l'Université saint Joseph, Beyrouth, XXXII, 1955.*

¹⁵ *Ու լ խ ու ա ն է ս Ն Ե ՚.*, Պատմութիւն Հայոց և բաժանման Վրացի Հայոց, Ա.
և Բ. Վաղարշապատ, 1871.

¹⁶ M. Brosset, *Deux historiens arméniens Kiracos de Ganzac, XIII siècle, Histoire d'Arménie, Cukhtanes d'Cuha, X^e s., Histoire en trois parties, St. Pétersb, 1871.*



ქართველ მეცნიერთაგან არავის უცდია უხტანესის ნაშრომის კრიტიკულად შესწავლა ივ. ჯავახიშვილის გარდა. იგი უნდობლად მოეყურებოდა უხტანესის ეპისტოლეებს და ტენდენციურად შეითხზულად ჩათვლიდა²⁰. მკვლევარს წარმოდგენილი აქვს ორი არგუმენტი:

1. ძირითადი არგუმენტი: წერილების შინაარსი არ ემთხვევა იმას, რაც ვიცით მათ შესახებ „ეპისტოლეთა წიგნში“ შენახული მიმოწერიდან. ვრთანეს ქერდოლი წერს ბეტრე ეპისკოპოსს: „როგორც წინათ ჩვენმა ნეტარმა მამამთავარმა მოსემ მისწერა მაგ ქვეყანას, რომ განეშორეთ მაგ ხუციკი ეპისკოპოსის სიცრუესო, უფრო მეტად კი გვმართებს უსჯულო ქალკედონის კრების გინებათაგან გაქცევა“²¹.

ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ მოსეს წერილში ლაპარაკი იყო მხოლოდ ნესტორიან ეპისკოპოსთან მეგობრობის საფრთხეზე, ხოლო ქალკედონის კრების შესახებ სიტყვები ვრთანეს ქერდოლის დამატებულია.

ასეთასვე ვითარებას ხედავს ივ. ჯავახიშვილი ვრთანეს ქერდოლის წერილში კირონისადმი: „წინათ თქვენს პატიოსნებას მოსწერა ჩვენმა ნეტარმა მამამთავარმა მოსემ ეპისკოპოსად სახელდებული ხუციკის სიტყვის შესახებ, რომ არ იყოსო ჩვენ ორ ქვეყანას შორის ახალსახიობა სარწმუნოებისა... ხოლო ჩვენ მცნება გვაქვს მამათა და ჩვენ მართლმადიდებელ მოძღვართაგან, არათუ მხოლოდ ნესტორის ცომისაგან განვეშოროთ და დავეყველოთ, არამედ ევტიქე, ევნომოსი, სევეროსი, მარკიონი, საბელიოსი და სხვა მათი მსგავსნიც, უმეტესად კი ქვეყნის დამამხობელი და უხსენებელი ქალკედონის კრება... ახლა შევიტყუეთ, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებლურად და განდიდების ღირსად თვლით“²². ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბოლო ფრაზას, საიდანაც ირკვევა, რომ ვრთანესს კირონისაგან ქალკედონის კრების განდიდება ახლავდა შეუტყვია და ამის შესახებ მოსეს წერილიდან არ სცოდნია. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამასვე ამტკიცებს თვით კირონის სიტყვები: „სანამ კურთხეული მოსე ცოცხალი იყო, მომწერა, რომ არ შეიძლება ზიარება მაგ ხუციკებთანო და ვიცოდი, რომ მართალია. მისი ბრძანებისამებრ განვიშორეთ იგინი ჩვენგან“²³. მიუხედავად ასეთი ჩვენებისა, მოსე კათალი-


²⁰ იხ. И. Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, Известия Императорской Академии Наук, VI, № 5, 1908, стр. 440—444. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევაზე დაყრდნობით უხტანესის მიერ დამატებულ ეპისტოლეებს უნდობლად უყურებს მ. თარხნიშვილიც. იხ. მისი Histoire ancienne de l'église de Géorgie, Le Muséon, 1947, LX, 1—2, გვ. 43.

²¹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 38—39.

²² იქვე, გვ. 40—41.

²³ იქვე, გვ. 88.

2. ზ. ალექსიძე



კოსის წერილში, რომელიც უხტანესმა შეიტანა თავის ისტორიასში, ლაპარაკია სწორედ ქალკედონიანობის შესახებ. წერილის ავტორი ამბობს: „გაიქეცი უზომოდ შორს ქალკედონის ბილწი კრებებისგან და შეუწყნარებელი ტომარისაგან და შეაჩვენე ყველა მწვალებელი“.

2. მეორე არგუმენტი ივ. ჯავახიშვილს არ მიაჩნია ძირითადად. მას ეკვი შეაქვს იმაში, რომ მოსე და კირონ კათალიკოსის წერილები აღმოაჩნდა ვიღაც სომეხ მღვდელს თბილისში. ეს უკანასკნელი მოტივი ეკვის აღსაძვრელად შეიძლება გამოდგეს, მაგრამ, როგორც თვითონ ივ. ჯავახიშვილიც ხედავს, წერილების სრულიად უარსაყოფად დახმარებას ვერ გაგვიწევს²⁵. მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე, ვინ იცის, ამ კორესპონდენციებმა რა თავგადასავალი გაიარეს და ვის ხელში არ მოხვდნენ. არაბობის პერიოდში, ვინ იცის, რა დაემართა საკათალიკოსო საზღვიანოს. ისე, რომ აქ არავითარმა მოულოდნელობამ არ უნდა გაგვაკვირვოს. პირიქით, უხტანესის მიერ აღწერილი მღვდომარეობა მეტად რეალურ ელფერს ატარებს. ხომ აშკარაა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ-მ, „ქართლის ცხოვრებაჲ“, არსენი საფარელმა და მით უფრო სხვა ქართულმა წყაროებმა აღარაფერი იციან ნათლად არც კირონისა და არც მისი სომეხებთან მიმოწერის შესახებ. ცხადია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ქართული ვარიანტი ადრევე დაკარგულა ან შეგნებულად მოუსპიათ ქართული ეკლესიის მესვეურებს. უფრო ძლიერია პირველი მოსაზრება და ქვემოთ მის განხილვას შევეცდებით.

პირველყოვლისა საჭირო იქნება გავარკვიოთ, რა რეალურ შინაარსს დებენ და რას გულისხმობენ სომეხი მონოფიზიტები, როცა ნესტორის ან ქალკედონის კრების მრწამსის შესახებ ლაპარაკობენ. საქმე ის არის, რომ მონოფიზიტები მათ შორის განსხვავებას არ ხედავენ და ქალკედონის კრების მიმდევრებსაც ნესტორიანებად თვლიან. ასეთი გაიგივება ცხადად ატყვია როგორც თვითეპისტოლეებს, ისე უხტანესის „ისტორიას“. „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცული „IV კრების მიზეზნი“, რომელიც მოსე ცურტავის ეპისკოპოსს მიეწერება, ცხადად აჩვენებს ამ გარემოებას: „თეოდორიტე, რომელიც ქალაქ კიროსის ეპისკოპოსი იყო [და] ნესტორის თანამოაზრე. რომელიც განკვეთეს ეპისკოპოსობისაგან ეფესოს კრებაზე, [ხოლო] უსჯულო მარკიანეს ბრძანებით შეიწყნარეს ქალკედონის კრებაზე“...²⁶ „იუბენალი მოვიდა ღმრთის-ნაგებ ქალაქში მეფის ჯარით, თავდაყირა დაამხო საღმრთო და სამოციქულო სარწმუნოება და წესი წმინდა ეკლესიისა, და დაამ-

²⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 127.

²⁵ И. Джавахов, История церковного разрыва..., გვ. 441-444.

²⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 16.



ტკიცა ნესტორიანული გმობა ქალკედონის კრებისა²⁷.

ასევე უხსნის ვრთანეს ქერდოლი მოსე ეპისკოპოსს: „ხელმწიფეობა დაიმკვიდრა საძაგელმა და უსჯულო კაცმა, იუსტინედ წოდებულმა, რომელიც განსწავლული იყო ნესტორის მოძღვრებით და მისით იყო შემეწიკვლული და განმტკიცებული... უბრძანა საყოველთაო წერილით ამაყ და უწყალო მთავრებს, რომ მაშინვე დაემტკიცებინათ მათგან დარღვეული ლეონის ტომარი და ქალკედონის კრება“²⁸.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვრთანეს ქერდოლის ენციკლიკა, სადაც იგი წერს, რომ დვინის 506 წლის კრების კანონების მიუხედავად „ჩვენამდე მოაღწია უსიამოვნო ამბავმა, რომ ნესტორისა და ქალკედონის კრების წვალეებას... ეგ კათალიკოსად წოდებული (კირონი — ზ. ა.) ეპისკოპოსთა თანადგომით, მთავრებთან ერთად იწყნარებს და განადიდებს“²⁹.

საგულისხმოა, რომ დვინის საეკლესიო კრების დადგენილებაში ქალკედონის კრება და მისი წვალეება არსად იხსენიება. მაგრამ ვრთანესისათვის ამ ორ მრწამს შორის არ არის განსხვავება; იქ, სადაც ნესტორიანობაა დასახელებული, მისთვის ქალკედონიანობაც იგულისხმება.

სწორედ ასევე უყურებს ნესტორიანობასა და ქალკედონიანობას შორის დამოკიდებულებას ცურტავის ყოფილი ეპისკოპოსი მოსეც, როდესაც კირონისა და ქართლის ეკლესიის დანაშაულის ჩვენება და დასაბუთება უნდა. იგი ენციკლიკურ წერილს უგზავნის თავის სამწყსოს და ცდილობს მათ გარკვევას წვალეებათა ნიუანსებში: „იმ კრების (ქალკედონის — ზ. ა.) წინამძღვარნი ნესტორის წვალეების მოზიარენი იყვნენ, ეკლესიიდან დევნილნი, რომელთაც შემწედ აღმოუჩნდათ მეფე მარკიანე და მისი ცოლი პოლქერიანე. ისინი შურისმაძიებელნი იყვნენ ნესტორისთვის, გადააბრუნეს და დაამხეს ნეტარ მოძღვართა პირველი განსაზღვრებანი და აღარ დარჩა აღსარება მოციქულთა, რომელნიც დასაბამითგან თვითმხილველნი და მსახურნი იყვნენ სიტყვისა, და სხვა განსაზღვრება დაამტკიცეს—სხვა სახისა, ვიდრე ნესტორისა, და იმავე აზრისა, როგორც მისი, რათა ადვილად შეძლონ დადუბვა გულმართალთა“³⁰. ამრიგად, მოსე ხედავს, რომ ქალკედონიანებსა და ნესტორიანებს შორის არის გან-

27 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 18.
 28 იქვე, გვ. 46.
 29 იქვე, გვ. 32.
 30 იქვე, გვ. 10.



ნიანობის შესახებ საუბარი მოულოდნელს არაფერს შეიცავს. რამ ამავე დროს სრულიად მართალია ივ. ჯავახიშვილი, როცა ნახვს, რომ ვრთანეს ქერდოლი კირონს ქალკედონის კრების მრწამსის აღიარებას უკვირებს და მოსეს წერილზე კი არ უთითებს. ნიშნავს ეს გარემოება, რომ მოსეს წერილში ქალკედონის კრების შესახებ ლაპარაკი სრულიად არ იყო? ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ შეუძლებელია მონოფიზიტი ისე ლაპარაკობდეს ნესტორიანობის შესახებ, რომ იქვე ქალკედონის კრებასაც არ ავინებდეს. მაგრამ საქმი კიდევ შემდეგშია: მოსე სომეხთა კათალიკოსი კირონს უჩივის, რატომ ეზიარე ხუჭიკ-ნესტორიან ეპისკოპოსსო და იქვე აფრთხილებს, რომ ნესტორიანთან ამ თანამშრომლობამ ქალკედონის კრების აღიარებამდე არ მიიყვანოს. მოსე არ ფიქრობს, რომ კირონი თვითონაც უკვე ქალკედონიტია. სხვა ვითარებაა ვრთანის წერილში. იგი აღნიშნავს, რომ თუ კირონი ნესტორიან ეპისკოპოსთან წინათ მხოლოდ თანამშრომლობდა, ახლა იგი უკვე თვითონაც აღიარებს ქალკედონის კრებას და ლეონის ტომარს. ამიტომ უსვამს იგი ხაზს: „ეხლა შევიტყუეთ, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებლურად და განდიდების ღირსად თელით“³⁵. სწორედ ეს განსხვავება დაინახა კირონმაც მოსე კათალიკოსისა, ერთი მხრივ, და ვრთანეს-აბრაამის წერილებში, მეორე მხრივ, რასაც ცხადყოფს მისი პასუხი აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი: „ერთ დროს იგი (მოსე კათალიკოსი — ზ. ა.) ჩემზე გულწაღლული იყო ნესტორიანთა შეწყყნარებისთვის, მაგრამ სხვა არაფერი მოუწერია ჩემთვის სარწმუნოების შესახებ, რომ არა ხართ მართლმორწმუნეო, როგორც თქვენ მწერთ“³⁶.

დავასკვნით: უხტანესის მიერ თავის „ისტორიაში“ შეტანილ მოსე კათალიკოსის წერილის შინაარსსა და იმას შორის, რაც ამ წერილის შესახებ ვიცით სომხეთის ეკლესიის მიხედვით და კირონს შორის მიმოწერიდან, არ არის წინააღმდეგობა. პირიქით, ყველაფერი ისეა აღნიშნულ წერილში, როგორც მოსალოდნელი იყო.

წერილის ავტორის დასადგენად საჭირო იქნებოდა საეკვო ეპისტოლეს შედარება კირონის იმ წერილებთან, რომლებიც არავისში ეპქს არ იწვევენ.

კირონის წერილები ყველა ეპისტოლესგან გამოირჩევა დიპლომატიკის ხელოვნების ცოდნით, საპოლემიკო მასალის დალაგებით და იშვიათი ლაკონიურობით. წერილის შედგენისას კირონი ხელმძღვანელობს რამდენიმე ძირითადი პრინციპით: 1. მოწინააღმდეგის წერილში

³⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 41.

³⁶ იქვე, გვ. 101.



გამოყოფს უმნიშვნელოვანეს საკითხებს. 2. გამოყოფილ საკითხებს აჯგუფებს, გადმოსცემს ადრესანტის სიტყვებით და განლაგებს უმნიშვნელობის მიხედვით. 3. თითოეულ საკითხზე პასუხობს უაღრესად ლაკონიურად და ამომწურავად. 4. არსად არ აპყვება დოგმატიკის საკითხებში კამათს და არ იშველიებს წმინდა წერილებს (გარდა მესამე წერილისა აბრაამისადმი, სადაც ასევე ნათლად და ლაკონიურად აქვს გადმოცემული ოთხი მსოფლიო კრების სარწმუნოების აღსარება). 5. არ ამბობს არცერთ ზედმეტ სიტყვას, რაც მოწინააღმდეგისაგან წამოჭრილ საკითხებს არ ეხება. 6. ეპისტოლეს თავსა და ბოლოში ურთავს ეთიკეტისათვის აუცილებელ მეტად ზრდილობიან მოსაკითხს და ჯანმრთელობის სურვილს. ასეთი პრინციპების დაცვის თვალსაზრისით თვით კირონის წერილებს შორისაც კი სანიმუშოა მისი პასუხი მოსე ელივარდელისადმი. ამ გეგმის მიხედვით თუ განვიხილავთ კირონის წერილებს მოსე ელივარდელისადმი და აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი, დავინახავთ, რომ ისინი უცილობლად ერთი და იმავე ადამიანის ნაწერია:

მოსე ელივარდელი-
სადმი

აბრაამ კათალიკო-
სისადმი

მოკითხვა

ქეშმარიტების მოყვარე და პატიოსან ჩემს უფალს მოსე სომეხთა კათალიკოსს და ყველა შენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსს, კირონ ქართველთა კათალიკოსისგან ღრმა თაყვანისცემითა და სიყვარულით მოკითხვა და ყველა ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსისაგან კვლავ მდაბლად და თაყვანისცემით მოკითხვა და კურთხევა თქვენ ამ წმინდა ჯვრისაგან.

სიწმინდისმოყვარე და პატიოსან უფალს, აბრაამ სომეხთა კათალიკოსს და ყველა შენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსს, კირონ ქართლის კათალიკოსისა და ჩემი თანამოსაყდრე ყველა ეპისკოპოსისაგან ამ წმინდა ჯვრის კურთხევით მოკითხვა.

ეთიკეტი

წერილი, რომელიც მოგიწერიათ. მივიღეთ და შევიტყუეთ, რაც გვამცნეთ. მოვისმინეთ ამ ეპისკოპოსისგან წერილით და სიტყვით.

წერილი რომ მოგიწერიათ. ვნახე და რაც ეწერა, შევიტყუე. თქვენი, უფლის, ღირსად მყოფობის, ნეტარი გრიგოლის წმინდა საყდრის



რომ ზრუნავდით ჩვენთვის მწვრთნელი სამოძღვრო სიტყვით; აგრეთვე გვაძილებდით როგორც უფალი. მოძღვარი და სულიერი მამა, როგორცა ხართ კიდევ; თაყვანი-გეც და მაღლიერი ვარ თქვენი სულიერი სიყვარულისა.

დამტკიცების და თქვენი სიმართლის გამო ფრიად განვიხარებდებოდათ მაღლი შევწირე.

ძირითადი საკითხები

1. ქართლში მწვალელები შესახებ

მე ჩემ ეპისკოპოსებთან და ამ ქვეყნის წარჩინებულებთან მოვიტათობირე [და] კანონიერად მივიჩინე, რომ არ დამებრკოლებინა მოსვლისას ყველა ისინი, რომლებიც მოდიან სინანულითა და მონანიებით. ხოლო, როცა შევიტყუეთ მისი ბოროტება. კვლავ განვიშორეთ ჩვენგან და ავუკრძალეთ ხალხს მისი მოკითხვა. რომ მოვიწერიათ, წვალებანი არიან თქვენთან და ჩვენ [ჯერ] არ ვირწმუნეთ. მაგრამ შემდეგ ვიწამეთ სანდო მოწმეთა გამო. აჰა, ჩვენ თვითონ გითხარით ჩვენგან ჩადენილი [საქმენი].

1. ქართლში ნესტორიანების შესახებ

რომ ეწერა, წინათ ჩვენმა ნესტარმა მამამთავარმა მოსემ მოგწერათ ბრალდება თქვენი ზიარების გამო მათთან, რომლებთანაც არ იყო წესიო, უკეთუ ხუციყთა შესახებ ამბობთ, ჩვენ მაშინ ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსებით და წარჩინებულებით ქვეყანასთან ერთად ვიზრახეთ, რომ როგორც სჯული გვიბრძანებს, არა თუ გაგვეგლო. არამედ შეგვეწყნარებინა [ისინი], რომლებიც მოიქცევიან უკეთურებიდან ანდა წვალეებიდან სინანულად. იგი მართლაც შევიწყნარეთ. მაგრამ, როცა შევიტყუეთ, რომ აღსარება სიცრუით ჰქმნეს და იქვე მათი უკეთურების წუმბეს მიიქცნენ, დავაძხეთ, დავწყველეთ და განვაძვეეთ კათოლიკე ეკლესიიდან და ჩვენგან, ქრისტიანეთაგან. ეხლა ვერავინ იკადრებს მათ მოკითხვას.



2. კავად მეფეთა-მეფის დროის შესახებ

კავად მეფეთა-მეფის დროის შესახებ რომ მოგიწერიათ, ვიცით, რადგან ისე იყო, როგორც მრავალჯერ გვსმენია.

2. ცურტავის ეკლესიის შესახებ

რომ ეწერა, ცურტავის ეკლესია იქნა ჩვენ ორ ქვეყანას შორის დამტკიცებული სულიერი ზიარებისა და ხორციელი სიყვარულისთვის და ეხლა ცურტავის ეპისკოპოსი მართლმადიდებლობის გამო დევნილია და სომხური მსახურება შეცვლილი, ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლია.

3. სომხებთან ერთობის შესახებ

ჩვენი და თქვენი მამების ერთობის, ალექსის და სარწმუნოების დამტკიცების შესახებაც რომ მოგიწერიათ და გითქვამთ ერთობის გამო, რომელიც ჩვენ დროს არის, ჩვენ იგივე ერთობა გვაქვს და არ შეგვიცვლია.

3. სარწმუნოების საკითხები

ხოლო ის, რაც სარწმუნოების კრებისა და ტომარის შესახებ ეწერა, და ისიც ეწერა, რომ მეფეთა-მეფის მონათაგან უტხო მეფის მონებთან სამწყსოს ერთად ქონება და მკვიდრი თანამოაზრის უარყოფა ფრიად წარმოუდგენლად მიმაჩნიაო...

4. ხუჟიკი ეპისკოპოსის შესახებ

ხოლო ხუჟიკის შესახებ რომ დამტკიცებიათ ბრძანება წერილით და სიტყვით, როგორც ზემოთ მოგწერეთ. ადრევე განვიშორეთ იგი ჩვენგან და ვუბრძანეთ ჩვენებს, რომ არ შეიწყნარონ იგი.

4. ეპისკოპოსების ქართლში გაგზავნის შესახებ

რომ მწერდით, გვსურდა ეპისკოპოსები გამოგვეგზავნა. რათა მოსულიყვნენ და ესწავლებინათ, თუ გსურთ გამოგზავნეთ. დაემოვიდნენ, რომ გვასწავლონ და ისწავლონ...

ე თ ი კ ე ტ ი

ხოლო ჩვენ ყველაფერში თქვენი და თქვენი ბრძანების მორჩილი

მრთელად იყავით დაცულნი ჩვენი ქრისტე ღმრთით და ამ წერი-



ვართ. იყავით მრთელი უფლის ღვთის პასუხი ღმრთის სურვილის მიერ და ჩვენთვის ილოცე³⁷. ებრ გვესმას თქვენგან³⁸.

მართალია, უხტანესი აშკარად ტენდენციური ისტორიკოსია, მაგრამ წყაროების ასე სერიოზულად გაყალბებას მაინც ვერ დავწამებთ. იგი ყველგან კეთილსინდისიერად აღნიშნავს, თუ რა წყაროთი და როგორ სარგებლობს. ისიც ხაზგასასმელია, რომ უხტანესი ცდილობს ზეპირსიტყვიერი მასალა არ შეუთრიოს წერილობითს და მას მოიხმობს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც უკვე დაამთავრა სხვა სანდო ჩვენებების განხილვა. რასაკვირველია, ამ მასალას ანალიზს იგი უკვე სუბიექტურად და ტენდენციურად უკეთებს, მაგრამ ჩვენს მოტყუებას და ყალბი წყაროების შემოტანას იგი არ ცდილობს. ჩვენ არ გვეჭვება, რომ უხტანესმა შემოგვინახა ნამდვილად მოსე კათალიკოსისა და კირონის მიმოწერის ძვირფასი ნიმუშები. მიუხედავად ამისა, ჩვენ ისინი მაინც დამატების სახით დავურთეთ „ეპისტოლეთა წიგნს“ და შიგ არ შევიტანეთ. ასე იმიტომ მოვიქცეთ, რომ ვფიქრობთ, ამ წერილების სომხური ვარიანტები აღრევე იყო დაკარგული და უძველეს რედაქციაში არ შედიოდა.

V

„ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის კრიტიკოსათვის

1. შედგენილობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილმა უაღრესად ზუსტად შეაფასა „ეპისტოლეთა წიგნი“, როგორც ტენდენციურად შედგენილი კრებული³⁹. განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამას კარგად გრძნობდა უხტანეს ეპისკოპოსი და არც მალავდა:

³⁷ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 129—131.

³⁸ იქვე, გვ. 69—72.

³⁹ „Вполне понятно, что переписка, имеющаяся в „Книге писем“, не могла сохранить всех материалов, относящихся к данному вопросу. „Книга писем“ представляет из себя как бы оправдательный документ для армянской церкви; вследствие этого, письма в ней должны были быть подобраны с определенной тенденцией; все материалы, которые так или иначе могли служить не в пользу армянской церкви, очевидно, не были-ны помещены в сбор-



რატხანს, რაყე აკუნ ანაქთანს
 ხ ანაქთანს აყათათქანსიკუნ:

გებლო დაწერილი, რადგან
 ლიდნენ მათი ურცხვობის
 განდგომის შესახებ მოწერას, თუ
 არა უხამსი და უგუნური პასუხის
 [გაცემას]⁴⁰.

როგორც ჩანს, უხტანესს მშვენივრად ესმოდა „ეპისტოლეთა
 წიგნის“ შემდგენელთა მიზნები. იგი დარწმუნებულია, რომ ქართ-
 ველი მთავრები ნამდვილად ისეთ წერილს მისწერდნენ ვრთანეს
 ქერდოლს, რომლის შეტანა კრებულში შეუძლებელი იქნებოდა,
 მაგრამ პეტრე ეპისკოპოსის სიჩუმე უფრო აკვირვებს. მაინც უხტა-
 ნესი იმ აზრისა რჩება, რომ პეტრემაც გამოგზავნა წერილი, მაგრამ
 ჯირონმა აიძულა გაცეა „უხამსი და უგუნური“ პასუხი. ცხადია, არც
 ეს იქნებოდა სასარგებლო „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენელთა-
 თვის⁴¹.

თავისი „ისტორიის“ 49-ე თავში უხტანესი კვლავ უბრუნდება
 „ეპისტოლეთა წიგნის“ შემდგენილობის საკითხს:

სკე ქტყტას ხ სას მხე იჯ ყათს
 აყათათქანსინ აკუნ ქყქმიუნ² ირ
 სას ზქარინ³ ხ სას ქქქანსი აჯ-
 ქორნინ⁴ ხ სას ჳხარის. სასქაჯ
 ქ რანსიყ თხესქაყესაქ ხეს ქ შიქ-
 სიქტ ხ ქ ჳქქქანსიქტ⁵ ირ სას მქ-
 მსანსი ყითქ, ყირ ქახაქ ქ მან-
 სანსტნ შიქქსიქ, ხ სასქა. ხნჯ
 ყქრ, ყირ ყქსაქნ ჳქნ აყათათყნ,
 ყირ ჳქს არქანსნ რას მხრომ⁶
 ყქრინ აკნაქსი აყათათქანსინ, ყქ
 ყარქანსნ იჯ ხნქნ არარ თაქ
 აყათათქანსი, ხ იჯ აქქომ სო
 თანსქ:

ბოლო თუმცადა ჩვენთან არ აღ-
 მოჩნდა პასუხი იმ წერილისა კი-
 რონისადმი, იმ ქვეყნის მთავარ-
 თადმი და პეტრესადმი. მაინც
 შევიტყუეთ მოსეს და ვრთანესის
 იმ სიტყვებიდან, რაც ერთმანეთს
 [მისწერეს] წერილით მოსეს მსა-
 ხურისგან გაგებული: რამდენიმე
 სიტყვა. რომელიც მოეწერათ აზ-
 ნაურებს ჩვენი წერილის ღირსი
 არ იყო ისეთი პასუხი [დაუწე-
 რიათ]. ღირსეული პასუხი არც
 თვითონ გასცა და არც სხვას გა-
 აცემინათ⁴².

ამრიგად, სავსებით ნათელია: უხტანესის წარმოდგენით, „ეპის-
 ტოლეთა წიგნის“ შემდგენლებს კრებულში შეჰქონდათ მხოლოდ ის

⁴⁰ მ. ქ. თ. ა. ნ. კ. ა., II, გვ. 45—46.
⁴¹ მ. თ. მ. ა. ნ. ი. ა. ვ. ა. უ. ლ. ბ. ს., რომ პეტრე ეპისკოპოსმა გამოუგზავნა წერილი
 ვრთანესს და იგი შეტანილია „ეპისტოლეთა წიგნის“ 1901 წ. გამოცემაში გვ. 99—107.
 (სკყათათათიქ, § 406).
⁴² მ. ქ. თ. ა. ნ. კ. ა., II, გვ. 83.



წერილები, რომლებიც მათთვის იყო „სასარგებლო“, „ლიტერატურული საფერისი“, „შესაწყნარებელი“.

მაგრამ ხომ არა ცდება უხტანესი? უნდა ყოფილიყო კი ნამდვილად „ეპისტოლეთა წიგნში“ ის წერილები, რომლებსაც იგი ეძიებდა? მოსე ცურტაველისა და ვრთანესის მესამე მიმოწერა სრულიად უეჭველად გვიჩვენებს, რომ ქართველ აზნაურებს მართლაც მიუწერიათ წერილი ვრთანესისათვის და ამ ეპისტოლეს ადრესატამდე მიუღწევია⁴³. მოსე წერს ვრთანესს: „ზოგიერთმა ვინემ გვიასუხა და გამოვატანე უფალთან. ბრძანეთ [და] წაიკითხეთ. ჩვენც გვაცნობეთ, რა წერია“⁴⁴. ვრთანესს მართლაც წაუკითხავს ქართველ აზნაურთა ეპისტოლე და თავზარდაცემული ატყობინებს მოსეს: „აზნაურთაგან ზოგიერთებმა რომ მომწერეს, ისეთია, როგორც რაღაც სნეულებაში ბოდვით ჩავარდნილებისა, რომელთაც არ იციან, რას ლაპარაკობენ... მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაწყევლისა და გინებია გამო, როგორც სხვა [ასეთის გამო], დაღუპვისა და ღმრთისმოვლენილი რისხვის მასპინძელნი შეიქმნენ; თუმცაღა ეგ თავხედობა ჩაიდინეს და თავის თავს განუკურნებელი წყლული განუშადეს, თვითონ დაკოდეს თავისი თავი და ჩვენ შორს ვართ იმ წყევლისაგან“⁴⁵.

ცხადია, ასეთი წერილი „ეპისტოლეთა წიგნში“ ადგილს ვერ იპოვიდა; მით უფრო, თუ მისი პირველი რედაქტორი და შემდგენელი მართლაც მოსე ცურტაველი იყო.

უხტანესის „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ საშუალებას გვაძლევს რამდენადმე წარმოვიდგინოთ „ეპისტოლეთა წიგნის“ X საუკუნემდელი რედაქცია და მისი შედგენილობა. კრებულში წერილების რიგი ქრონოლოგიურ პრინციპს ემორჩილება. როგორც ჩანს, ასეთი რიგი დაცული იყო ყველა რედაქციაში და სავალდებულოდ ითვლებოდა. მე-9-ე თავში უხტანესი წერს:

ჴამტჳ ასსჳ ქაჳაჳ აჳამოქსხანას მინდოდა მეთქვა ამ ისტორიაში
ჴ ჴაჳჳჳ ჴაოჴს, ჳაჳჳ .ჳანიჳჳ იჳ თავების რიგზე, მაგრამ არ იქნე-

43 მ. თარხნიშვილი თვლის, რომ „ეპისტოლეთა წიგნს“ აკლია აგრეთვე კირონის წერილები ვრთანეს ჴერდოლისა და სმბატ მარზპანისადმი Sources armeno-georgiennes de l'histoire ancienne de l'eglise de Géorgie, გვ. 46. მაგრამ ასეთი ვარაუდი მართებული არ არის. მიმოწერიდან სრულიად უეჭველად მოჩანს, რომ კირონს ვრთანესისათვის ეპისტოლე არ გაუზავანია. რაც შეეხება სმბატთან მიმოწერას, ასეთი ეპისტოლე კრებულში დაცულია.

44 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 43—44.

45 იქვე, გვ. 45.



სიეს ასის, ყი ძი სიორნორეა რნე
ძიქსიეხ' ირ ჰი კარეჩი, ვირ ყაათ-
ძი ჰი ზირი ქექშიენ, ასაეხე
ქსიიქ კაქსამ ასიდი:

ბოდა [ისე] თქმა, რომ ჩემი ზრახ-
ვა არ შეჭრილიყო რიგში, **შემდეგ**
ლიც იუწყება ეპისტოლეთს **წიგნში**;
ში; შემდეგ ვიტყვი, სხვა ადგი-
ლას⁴⁶.

რიგის დაცვაზე ზრუნავს უხტანესი 40-ე თავშიც⁴⁷, ხოლო 54-ე
თავში ხომ „ეპისტოლეთა წიგნში“ წერილების თანმიმდევრობაზე
თავისი დაკვირვების შედეგებსაც გვამცნობს:

სეე ვქსიექსნ სძრათაე ჳკისან
ძორეყანის იჯ ყათე ჰი კარეჩი
ყრსალ ჰი ზირი ქექშიენ' კორამ
ნანეჩიყსეყაჲ. ნიქნეყსა ასაჲ ჲ
ასთ სიეს ანეყანსე ძიქანეყამანჲ.
ს ძიითაყსალ სიეს. ჲანეჩი კარძი
ათეჲ ძიქ სიორნორე რანსინ, სქქ
ყქნი ასთაქნიქს ქექქი სკრანა-
ძაჲ ჲჲ' ირ ას კიქრინ ქსიექსა
ათე: ჲანეჩი სინეჩისალ კაქ ირ-
ნისქ' ჲათჲ აქნეყსა' ირეყსა კარ-
ძისაჲ:

ხოლო სმბატ ვრკანის მარზპანის
ეპისტოლე ვერ ვნახე რიგზე და-
წერილი ეპისტოლეთა წიგნში,
რომელიც შემხვდა [ხელში]. აქაც
აგრეთვე გადაცდენილი და იმავე
დროს დავიწყებული იყო. რად-
გან მამეჭვებდა სიტყვების შინა-
არსი, რომ აბრაამის პირველი წე-
რილის (რომელიც მისწერა კი-
რონს) შემდეგ უნდა ყოფილიყო
ეს წერილი, მოვიძიეთ სხვა ცალ-
ში და ვიპოვეთ ისე, როგორც
ვფიქრობდით⁴⁸.

უხტანესის ეს სიტყვები ორმხრივ არის საინტერესო: 1. წერილების
შინაარსის და იმ საერთო წესის მიხედვით, რომლითაც „ეპისტოლეთა
წიგნში“ წერილები გარკვეული თანმიმდევრობით იყო დალაგებული,
შეიძლებოდა დადგენა ნაკლები ეპისტოლესი. 2. უხტანესს შესაძლებ-
ლობა ჰქონდა გაცნობოდა სხვადასხვა ნუსხას. შესაძლოა, ის „მეორე
ცალი“ „ეპისტოლეთა წიგნისა“, რომელშიც უხტანესმა იპოვა სმბატის
წერილი, ჩვეულებრივი ნუსხა კი არ იყო, არამედ რედაქციულად
(შედგენილობის მიხედვით) განსხვავდებოდა უხტანესის ეგზემპლარის-
გან. ამრიგად, უხტანესი, როგორც ტექსტოლოგი, გაცილებით უკე-
თეს ვითარებაში იმყოფებოდა, ვიდრე დღეს ჩვენ ვართ და მისეული
„ეპისტოლეთა წიგნის“ ჩვენებები ფრიად ანგარიშგასაწევია.

მიუხედავად იმისა, რომ უხტანესი ასე გულმოდგინედ იცავს
„ეპისტოლეთა წიგნის“ რიგს, A და B რედაქციებში წერილების თან-

⁴⁶ ი. ს. ბაქრაძე, II გვ. 24.
⁴⁷ იქვე, გვ. 68.
⁴⁸ იქვე, გვ. 92.



მიმდევრობა მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. „ეპისტოლეთა წიგნში“ ვრთანესის წერილი პეტრე ეპისკოპოსის მიმართ რებს ვრთანესისავე ეპისტოლეს კირონ ქართლის კათალიკოსისა იმ დროს, როცა უხტანესთან პირიქით არის წარმოდგენილი. ვფიქრობთ, უხტანესის ვარიანტი უფრო სწორი უნდა იყოს. ეპისტოლეები კრებულში თავისი მნიშვნელობის მიხედვითაც არის დალაგებული და, ცხადია, კირონ კათალიკოსთან გაგზავნილ წერილს ამ მხრივ უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება რიგის მიხედვით იქ, სადაც მოცემულია სმბატ მარზპანის ეპისტოლეები კირონ მცხეთელისა და მოსე ცურტაველისადმი და მათზე პასუხები. „ეპისტოლეთა წიგნში“ ეს ოთხი წერილი უშუალოდ მოსდევს აბრაამ სომეხთა კათალიკოსის პირველ ეპისტოლეს კირონის მიმართ. უხტანესმა 54-ე თავში მშვენივრად დაასაბუთა, რომ ასეთი დალაგება სავსებით კანონზომიერია, მაგრამ თვითონ მაინც ჯერ მოიტანა აბრაამის სამივე წერილი კირონის მიმართ და მათზე პასუხები, ხოლო შემდეგ უკვე სმბატის ეპისტოლეებს მიუბრუნდა. უხტანესმა ეს თავისი ტექსტოლოგიური ოპერაციაც სავსებით კეთილსინდისიერად აღნიშნა: აბრაამის პირველ წერილს შუა ჩართვოდა და გამოვაცალკევეო⁴⁹.

კომენტარებში უფრო ვრცლად ვეხებით, მაგრამ აქაც აღვნიშნავთ, რომ უხტანესთან ვერ ვხვდებით „მეოთხე მსოფლიო კრების მიზეზებსა“ და „ღვინის საეკლესიო კრების კანონებს“. ბუნებრივი იქნება, თუ ვაფიქრებთ, რომ ესენი არც შედიოდნენ „ეპისტოლეთა წიგნის“ უძველეს რედაქციაში, რადგან თავისი ხასიათით არ უდგებიან ასეთ კრებულს. მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ ისინი უხტანესმა უბრალოდ გამოტოვა, როგორც თავისი მიზნებისათვის გამოუსადეგარი.

2. ცნობა მაშტოცის მიერ ქართული და სომხური ანბანის გამოგონების შესახებ*

ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ ორი ლეგენდა არსებობს. ერთია ქართული, რომელიც ამ მნიშვნელოვან კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენას უკავშირებს პირველ (ტრაღიციით)

⁴⁹ Թէպէտ սակաւ ինչ բնութիւնցաւ յառաջին բարբառով, զիսն այնուրիկ յայտ աբարաբ մէք: Ու խ ու ա ն է ս, II, გვ. 93.

* იხ. ზ. ალექსიძე, „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის კრიტიკისათვის, ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის VII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1965, გვ. 11. 3. Алексидзе, К критике текста „Книги



ქართველ მეფეს ფარნავაზს, რომელიც მეფობდა III საუკუნის დას-
დგეს ძვ. წ. მეორე ვერსია ქართული ანბანის გამოგონებას მიაწერს
V საუკუნის დამდეგის ცნობილ სომეხ საეკლესიო მოღვაწეს მანგლი-
(მესრობს). ქართული ლეგენდა ერთ ხანს აღარ სარგებლობდა წარმატე-
ბით მეცნიერთა შორის. მან ჩვენამდე მოაღწია XI ს. ქართველი ის-
ტორიკოსის ლეონტი მროველის მეოხებით⁵⁰. ლეონტი მროველის მი-
ერ გადმოცემული ლეგენდა სხვა რომელიმე ლეგენდაზე ნაკლები
ყურადღების ღირსი არ არის. ლეონტი არ იცნობს სომხურ ვერსიას
და ამაში მისი ნაციონალური განწყობილება არაფერ შუაშია. პირ-
იქით, ძნელია ლეონტი მროველზე უფრო მეტად ინტერნაციონალური
გრძნობებით გამსჭვალული ისტორიკოსის მოძებნა. მისი ისტორიული
კონცეპციით საქართველოს ისტორიის ადრინდელ ეტაპზე უპირატე-
სობა ენიჭება სომეხ ხალხს და კულტურას. ამასთან, ხშირად სწორედ
რომ დაუჯერებელ, ლეგენდარულ ამბებში. ძნელია უარყო ის გარემო-
ებაც, რომ ქართული დამწერლობის შექმნისათვის ებოქა ისტორიკოს-
მა მეტად მოხერხებულად შეარჩია. ლეონტი მროველს ისტორიკოსის
შესანიშნავი ალლო და გამართული კონცეპცია აქვს: დამთავრდა ქარ-
თული ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენება და მმართველობის
სრულიად ჩამოყალიბებული აპარატი საჭიროებს დამწერლობას. სხვა
საქმეა ის, როგორია ეს დამწერლობა, ორიგინალური თუ ნასესხები.
ერთი რამ ნათელია: ლეონტი მროველმა (ან მისმა წყა-
რომ) სწორად გაიგო ფარნავაზის ეპოქის ამო-

посланий“, Тезисы докладов Седьмой всесоюзной конференции византини-
стов в Тбилиси, Тбилиси, 1965, გვ. 121.

⁵⁰ ლეონტი მროველის ცნობას სარწმუნოდ თვლიდნენ: ვახუშტი ბაგრა-
ტიონი (საქართველის ისტორია, ტფილისი, 1885, გვ. 38), მ. ბროსე (Histoire
de la Géorgie, I, SPB. 1849, გვ. 43; საქართველოს ისტორია, I, ტფილისი, 1895, გვ.
65—67), ილ. თქომჭედელი შვილი (Об изобретении грузинского алфа-
вита, Труды V Археологического съезда в Тифлисе, 1881, стр. 222—225; ვინ
მოიგონა ქართული ანბანი, „ივერია“, 1881, № 10), A H e n - ი (A History of the Ge-
orgian People, London, 1932, გვ. 309).

დ. ბაქრაძე (Грузинская палеография. Труды V археолог. с'езда, გვ.
208) თვლიდა, რომ ქართული ანბანი შეიქმნა „под влиянием греческой культуры,
вероятно еще во времена черноморских греческих колоний“, ე. ი. ფარნავაზზე
უფრო ადრე. ქართული დამწერლობა ფარნავაზამდე შექმნილად (VII ს. ძვ. წ.) მიიჩნ-
და ს. გორგაძეს (წერილები საქართველოს ისტორიიდან, ტფილისი, 1906, გვ. 67—
75). ამავე აზრს ადგამ. ჯანაშვილი (საქართველოს ისტორია, I, ტფილისი, 1906, გვ.
70—71) ოღონდ წარმოშობის თარიღის განსაზღვრას არ კისრულობდა. გადაჭრით უარ-
ყო ლეონტი მროველის ცნობა ივ. ჯავახიშვილმა (ქართული პალეოგრაფია, თბი-
ლისი, 1949, გვ. 194), რომელმაც პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად ქართული ანბა-
ნის ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეზე უფრო გვიან ჩამოყალიბება შეუძლებლად
სცნო.

ცანა და სრულიად სამართლიანად ქართული სა-
ხელმწიფოებრიობის წარმოშობა არ დააცვილა
მის ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ
— დამწერლობის შექმნას⁵¹.

გაცილებით უკეთესი ხვედრის აღმოჩნდა (ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანულ ეკლესიას) მეორე, სომხური ვერსია. იგი მეტმა ძეგლმა შემოინახა და ამით სინამდვილის ელფერი უფრო მიეცა. უნდა ითქვას, რომ სომხურ ვერსიასაც საკმაოდ დამაჯერებელი ხანა აქვს შერჩეული მასტოცის მოღვაწეობის გასამართლებლად: წარმართობისა და ქრისტიანობის მიჯნაზე, ცხადია, დიდი კულტურულ-პოლიტიკური ძვრები და ცვლილებები იყო მოსალოდნელი⁵². მასტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების საკითხი დღემდე რჩება პოლემიკის საგნად⁵³.

⁵¹ ჩვენთვის აქამდე არა აქვს მნიშვნელობა იყო თუ არა ფარნავაზი მართლაც პირველი ქართველი მეფე. არც იმას, თუ ნამდვილად როდის ჩამოყალიბდა საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი სახელმწიფო ორგანიზმი. ჩვენთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ როგორ წარმოედგინა ლეონტი მროველს ეს მოსაბრუნე ეტაბი საქართველოს ისტორიაში და რა შინა კულტურულ-პოლიტიკურ ცვლილებებთან აკავშირებდა.

⁵² სწორედ ამ მომენტების გათვალისწინება იწვევდა ქართული და სომხური ვერსიების მორიგების ცდებს: მ. შ. რ. ო. ს. ე თვლიდა, რომ ფარნავაზის დროს შეიქმნა მხედრული დამწერლობა, ხოლო მესრობმა ზუსტური ანბანი გამოიგონა საეკლესიო საჭიროებისათვის (Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 43; Eléments de la langue géorgienne, Paris, 1837, გვ. 6—9). ნ. მარი არ მიუთითებდა ანბანის შემოქმედზე, მაგრამ თვლიდა, რომ „ზუსტური“ დამწერლობა ქრისტიანული კულტურის პროდუქტია, ხოლო „მხედრული“ წარმართულისა (Грамматика древне-литературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 2). რაც შეეხება მასტოცს, ნ. მარი მას სომხური ანბანის შემქმნელადც არ თვლიდა. მისი აზრით, მასტოცმა სრულქმნა სირიული წარმოშობის ძველი სომხური დამწერლობა და ბერძნული ნორმების მიხედვით გააწყო (Крещение армян, грузин, аланов и абхазов, ЗВО, 1905, XVI, გვ. 157). ს. კაკაბაძე მესრობს თვლის არაბულ და ფლავიურ ანბანთა საფუძველზე შემუშავებული უკვე არსებული ქართული დამწერლობის რეფორმატორად, რომელმაც „ნაკლუდევენი ქართული ანბანი შეავსო ხმოვნებითა და ზოგი თანხმოვანით“ (საისტორიო ძიებანი, 1924, გვ. 28—29). Allen-ი სარწმუნოდ თვლის ზუსტური ანბანის შექმნაში მესრობის (მასტოცის) მონაწილეობას (მხედრული ფარნავაზის დროს წარმოშობილად მიაჩნია), მაგრამ ხაზს უსვამს სწორედ მონაწილეობას და წარმოდგენილად მიაჩნია უცხო კაცის მიერ მისი შექმნა (A History... გვ. 310). სამართლიანი ჩანს გ. წერეთლის ვარაუდი: „Возможно, что в армянских сообщениях о деятельности Месропа (Маштоца) сохранились отголоски того события, которое произошло при реформе письма в связи с христианизацией Грузии“ (Армянское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, II, Энциклопедика Востока, III, 1949, გვ. 71).

⁵³ ივ. ჯავახიშვილის (ქართული პალეოგრაფია, 1949) და გ. წერეთლის (Армянское письмо и проблема происхождения грузинского алфавита, Энциклопедика Востока, II, 1948 and III, 1949) ნაშრომებმა ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხის პალეოგრაფიული მხარის შესწავლა ისეთ მეცნიერულ დონეზე დააყენეს,



ჩვენ არ ვისახავთ მიზნად გავარკვიოთ ამ ორი ლეგენდიდან რომელი უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან. მხოლოდ ცვდილობთ ნოთ ღირებულება „ეპისტოლეთა წიგნის“ A რედაქციის ჩვენებისა, რომელიც მხარს უჭერს სომხურ ვერსიას.

„ეპისტოლეთა წიგნის“ წყაროთმცოდნეობითი ფასი მხოლოდ იმ ცნობებით არ განისაზღვრება, რასაც იგი იძლევა სომეხი და მისი მეზობელი ხალხების ისტორიის შესასწავლად. VII ს. დამდეგს ქართ-

რომ დღეს მაშტოცის საკითხი საერთოდ მოსწყდა ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემას და მხოლოდ ისტორიოგრაფიის საგნად დარჩა. მიუხედავად ამისა, მაშტოცის პრობლემა მაინც მიგვაჩინა მეცნიერული ღირებულების პრობლემად. თუ ვაირკვა, როდის, რა წრეებში და რა წილიაგზე შემუშავდა ეს ლეგენდა, ვაირკვევა სხვა ბევრი საკითხი ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან.

ლენონტი მროველის ცნობას ნდობის ღირსად არ თვლიდა კ. კეკელიძე. მისთვის ამოსავალი იყო საერთოდ იმ ხანების ჰიპოტეტიკული დამოკიდებულება ლენონტისადმი (ძველი ქართული ლიტერატურა, I, 1923, გვ. 23—25). მან წარმოადგინა თავისებური ვარიანტი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ: იქმნება ანბანის შემქმნელი კომისია, რომელშიც შედიან მაშტოცი და სომხური ენის მცოდნე ქართველი ჯალი, რომელთაც სახელმძღვანელოდ წინ უდევთ სომხური ანბანი (სე. ქართ. ლიტ. 1923, გვ. 29—30). შემდეგში კ. კეკელიძემ (ივ. ჯავახიშვილის სპეციალური შრომების გამოქვეყნების შედეგად), ჩანს, ხელი აღო ამ შეხედულებაზე. რადგან „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ბოლო გამოცემაში აღარ შეუტანია.

ლ. მელიქსეთ-ბეგს მაშტოცი სომხური ანბანის რეფორმატორად მიაჩნდა (იხ. ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 77—78; O genezise armjanskogo, gruzinskogo i albanского алфавитов, Труды Музея истории Азербайджана, т. II, 1957, გვ. 52—60; ლენონტი მროველის ცნობის შესახებ იხ. მისი *ჟრაც აყყაიყინერ ჯაქათათისი ს ნოხესი მასიხი*, I, 1934, გვ. 180—181).

გ. ბეი-მამიკონიანი ქართული ანბანის წარმოშობისათვის მიძღვნილ სპეციალურ წერილში წერს: „ადრეული შუა საუკუნეების სომეხი ავტორები, როგორც ცნობილია, ქართული ანბანის გამოგონებას მესრობ-მაშტოცს მიაწერდნენ. მეკლევარები, რომელნიც ქართული ასო-ნიშნების წარმოშობის პრობლემებს სწავლობენ, ამ გარემოებას, როგორც წესია, ყურადღებას აქცევენ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი ქრონისტების ამ მტკიცებას (რომელიც ყველა მეკლევარის მიერ არ არის გაზიარებული, როგორც მეცნიერულად დაუსაბუთებელი) არ შეუძლია შეცვალოს, ან გააბათილოს ამ წერილში მოყვანილი ფაქტები და საბუთები. პირიქით, ჩვენი დაცვენები არსებითად უპირისპირდებიან მათ“ (ქართული ანბანის წარმოშობის საკითხისათვის, მნათობი, 1956, № 9).

ს. ჯანაშია სახეებით იზიარებდა ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევების შედეგებს ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. იგი ლეგენდარულად თვლიდა როგორც ლენონტი მროველის, ისე კორიუნის ცნობებს, ხოლო მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შემქმნის შესახებ გადმოცემა VI საუკ. პირველ ნახევარში შეთხზულად მიაჩნდა (საქართველოს ისტორია, I, 1950, გვ. 92—93; შრომები, I, 1949, გვ. 116; „История СССР“ и история нар. Кавказа, Известия, 1940, № 158). ეჭვით უყურებს კორიუნის ცნობებს აკ. შანიძე (სომეხთა ეროვნულ დღესასწაულზე, საბჭოთა ხელოვნება, 1962, № 7).



ასურთ-მომხრეთა თეორიით ასური დანიელი ყოფილა დასახული გორც იქ შემდეგში ქრისტიანობის დამფუძნებლად იერუსალიმის სარწმუნოების მომტანი გრიგოლ განმანათლებელი აქციეს, ისევე აქაც დამწერლობის გამოგონებლად იერუსალიმის მოღვაწევე მამტოცი გამოუცხადებიათ, მისი სამოქმედო ასპარეზიც იმნაირადვე გაუფართოვებიათ და, სომხურის გარდა, ქართულისა და ალბანური დამწერლობის გამოგონებლად უქცევიათ. დასასრულ, როგორც იქ გრიგოლი მერმე კესარიელ მოღვაწედ და საბერძნეთთან განუყრელი კავშირის დამამყარებლად გაუხდიათ, ისევე აქაც უკვე მესრობად სახელდებული მამტოცი სომხური ანბანის საბოლოო დამუშავება-შეესებისათვის საბერძნეთში გაუსტუმრებიათ. მესრობის ცხოვრების უკანასკნელს ეროვნულ რედაქციაში-კი ასურული და ბერძნული თეორიების ანარეკლი საგრძნობლად დაჩრდილულია და სომხური დამწერლობის მთავარი დამახასიათებელი თავისებურება ღვთიურ ნაბოძებად არის აღიარებული⁵⁷.

სქიმატურად რომ ვაჩვენოთ, ივ. ჯავახიშვილი ასე მსჯელობდა: კორიუნის ცნობები იმდენად ბუნდოვანი, დაუჯერებელი და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოა, რომ უკრიტიკოდ და პარალელურ მასალასთან შეუდარებლად მათი ნდობა შეუძლებელია⁵⁸. V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარბელის ნაშრომში ვრცლად არის საუბარი მამტოცის ცხოვრების შესახებ და ერთადერთ წყაროდ კორიუნის თხზულებაა დასახელებული. მიუხედავად იმისა, რომ ლაზარე ფარბელი უხვად სარგებლობს კორიუნით, მან არაფერი იცის მამტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების გამოგონების შესახებ. ცხადა, ასეთი რამ არ ეწერა მის წყაროშიც⁵⁹. ტრადიციულად V საუკუნის ავტორად მიჩნეული სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი ლაპარაკობს მამტოცის მიერ როგორც სომხური, ისე ქართული და ალბანური ანბანების გამოგონების შესახებ, მაგრამ მას ნახშირი აქვს ანბანთა შემოქმედის სახელის ის ფორმა (მესრობი), რომელიც გვიანი ხანის წყაროზე მიუთითებს და VII საუკუნეშიც კი არ იხმარებოდა⁶⁰. „მარტია ეპისტოლეთა წიგნში“ მოთავსებული აბრაამ სომეხთა კათალიკოზის კირიონ ქართლის კათალიკოზისადმი მიმართულ მესამე წერილში მოგვეპოვება ჩვენთვის საგულისხმო საკითხისათვის მნიშვნელოვანი ცნობა. აბრაამს აღნიშნული აქვს, რომ ქრისტიანობა ორსავე ქვეყანაში, სომხეთსა და საქართველოშიც, ერთი და იმავე წყაროთგან მომდინარე-

57 ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 230.
 58 იქვე, გვ. 162—167.
 59 იქვე, გვ. 181—182.
 60 იქვე, გვ. 159.

ობდა იმ პირთაგან, რომელთაც ღვთისმსახურება ჩვენცა და რუსეთსავე საერთო ჩაგვითვისეს: „ჯერ ნეტარმა წა გრიგოლმა და შემდეგ თოცმაც სარწმუნოების განაამტკიცებლად მწიგნობრობის ცოდნაცაო“. მასასადაჲმე, აბრაამ კათალიკოზი ამტკიცებდა, რომ სომხეთსა და საქართველოს ღვთისმსახურებისა და ქრისტიანობის დამწერგავი საერთო მოძღვრები ჰყავდათ: ჯერ ნეტარი წა გრიგოლი, ხოლო შემდეგ მამთოცი, რომელმაც სარწმუნოების სიმტკიცისათვის წერის ხელოვნებაც შეასწავლა. რაკი ეს წერილი 607 წელს არის დაწერილი* და არ ჩანს, რომ მამთოცის შესახები ცნობა პირველად სწორად აქ იყოს გამოქვეყნებული, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ უკვე VI ს. დამლევს მამთოცი საქართველოსა და, საფიქრებელია, ალბანეთის მოღვაწედაც და ქართულისა და ალბანური ანბანის გამოგონადაც ყოფილა დასახული“⁶¹.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის მიერ შესრულებულ კრიტიკულ ნაშრომში „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობა გადაულახავი დარჩა. რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ლეგენდა მხოლოდ VI საუკუნის დამლევს წარმოშობილიყო და VII საუკუნის დამდეგს ქართლის კათალიკოსს მისი უარყოფა არ შესძლებოდა, ან არ მოესურვებინა მინიცი⁶². გარდა ამისა, წინააღმდეგობაში მოექცა ლაზარე ფარპელისა და „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები ქართული ანბანის გამოგონების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ლაზარე ფარპელის „ისტორიის“ პირველი წიგნი, სადაც მამთოცის შესახებ არის საუბარი, გვიანი ხანის დანართია. მასასადაჲმე, მისი ავტორის ხელთ არის კორიუნის ნაშრომის ისეთი რედაქცია, რომელშიც არაფერია ნათქვამი ქართული ანბანის

* ნ. აკინიანის ვარაუდით, რაც სიმართლესთან უფრო ახლოს უნდა იყოს. აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე დაწერილია 608 წლის მისში (სიყიხინ..., გვ. 46).

⁶¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური..., გვ. 182.

⁶² ამ სუსტი ადგილის გამოსწორება სცადა ს. ჯანაშიამ. მისი აზრით, „VI საუკუნის მანძილზე სომეხი მონოფიზიტების პრიმატობის წყალობით იქმნება ლეგენდა გრიგოლის მიერ ა/კვეკასიის განათლების შესახებ. ამასთან ერთად, საჭიროდ იყო მიჩნეული, ავრთვევ. დამტკიცებულყო ერთიანობა არა მარტო ქრისტიანობის წყაროსი, არამედ ქრისტიანობის უმოთარეს იარაღთაგანის — მწერლობის წარმომავლობაც. ამ ნიადაგზე შეთხზულ იქნა (როგორც ჩანს, VI საუკუნის პირველ ნახევარში) აშკარად ტენდენციური თხზულება იმის შესახებ, რომ სომხური, ქართული და ალბანური ანბანები ერთი პირის, ეინმე მესრობის თუ მამთოცის მიერაა გამოგონებული V ს. დამდეგს. პრიმატობა აქაც სომხურ ანბანსა აქვს მიჩემებული“ (შრომები, I, გვ. 116). ლეგენდის შექმნის დროდ VI საუკუნის I ნახევარის ჩათვლამ ის სიძნელე კი მოხსნა, რაც ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს ჰქონდა. მაგრამ ანბანის შექმნა და ლეგენდის წარმოშობა ისე დააახლოვა ერთმანეთს, რომ კორიუნის ცნობების კრიტიკა გაძნელდა.



ათარს ღრუბორ, ჸ ათა შაღ-
ათი:

თესეს ჯერ ნეტარმა წმინდა გრიგოლმა და შემდეგ

წინადადების მომდევნო ნაწილი („წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“) გრიგოლისა და მამუტოცის წინ რომ გადავიტანოთ, ტექსტი უკეთ გაიმართება, მაგრამ აზრი დაირღვევა. გამოვა, რომ სომხური და ქართული დამწერლობა ჯერ გრიგოლს შეუქმნია და შემდეგ უკვე მამუტოცს:

...ირაქსი მათიხნ შარყარტენ
ღ ათარქსაქენ ჸ ათა მსე ჸ ღსე
ღათარქსი სხრამანსეხნ ღათათო-
ათაყაღათოქსენ ჸ ყყიოე ბა-
ღაქსოქსენ ქ ანყოქსენ ღათა-
ათი. ნაქს სრანსქსენ ათარს ღრუ-
ბორ, ჸ ათა შაღათი:

...როგორც გვასწავლეს წინასწარ-
მეტყველებმა და მოციქულებმა.
და შემდეგ ჩვენცა და თქვენც
დაგვითესეს საერთო ღმრთისმსა-
ხურება და წიგნის ცოდნა სარწ-
მუნოების განსამტკიცებლად ჯერ
ნეტარმა წმინდა გრიგოლმა და
შემდეგ მამუტოცმა.

ამკარაა, რომ წინადადება ახლა გაცილებით უკეთ არის გამართუ-
ლი, მაგრამ მისი შინაარსი აღარ ასახავს იმას, რის თქმაც დამწერს
სურს, რადგან აბრაამის აზრით, რასაკვირველია, მხოლოდ მამუტოცა
უნდა ყოფილიყო ანბანთა შემქმნელი.

„ეპისტოლეთა წიგნმა“ შემოგვინახა კირონ ქართლის კათალიკო-
სის პასუხი აბრაამის მესამე ეპისტოლეზე. მასში არც ერთი სიტყვა არ
არის ნათქვამი ქართველი ხალხის წინაშე მამუტოცის ამ დიდი დამსახუ-
რების შესახებ. კირონი სომხეთის ეკლესიის ლიდერის ამ უძლიერეს
არგუმენტს არც უარყოფს და არც სცნობს. ყველას, ვინც იცნობს კი-
რონ მცხეთელის დიპლომატურ ოსტატობას, გააცოცხებს ქართლის კა-
თალიკოსის სიჩუმე ანბანის შექმნის საკითხზე. ჩვენ ზემოთ უკვე ვაჩვენ-
ეთ, რომ კირონი, როგორც წესი, გულმოდგინედ იკვლევს ადრესა-
ტის ეპისტოლეს, გამოყოფს და აჯგუფებს მის არგუმენტებს და მხო-
ლოდ ამის შემდეგ პასუხობს თითოეულ საკითხზე თანმიმდევრობით.
მნიშვნელობის მიხედვით. კირონი არ უარყოფს სომხებთან რელიგიურ
ერთობას. ამის უარყოფა, როგორც ჩანს, არ შედის მის რელიგიურ-
პოლიტიკურ პროგრამაში და ამის შესახებ ჩვენ საუბარი ცალკე გვექ-
ნება. შეიძლება თამამად ითქვას: კირონ მცხეთელს არ ჰქონ-
და საფუძველი ყური მოეყრუებინა ქართული ან-
ბანის შექმნის საქმეში მამუტოცის დამსახურება-
თა გამო.

ამის შემდეგ ვერჩება ერთადერთი გამოსავალი: კირონ მცხეთელის სიჩუმის ასახსნელად მოვძებნოთ სხვა რაიმე სერიოზული ძეგლი. ვნახოთ, რას იძლევა ამისათვის არსებული ნუსხების შემოწმების

შემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აბრაამის მესამე ეპისტოლე შესულია იმ კრებულში, რომელსაც „სარწმუნოების ბეჭედი“ ეწოდება. ამათი ტექსტები ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ „სარწმუნოების ბეჭედს“ უფრო უარესი გადამწერი ჰყავს და „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტს ზოგჯერ ამკარად ამახინჯებს: თან ისე, რომ ჩანს, პირველი მეორიდან არის გადაწერილი. „სარწმუნოების ბეჭედის“ ხელნაწერიც შედარებით გვიანია და, ცხადია, იგი საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანს არაფერს ამბობს.

ვნახოთ, რას გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის უხტანეს ეპისკოპოსის ხელიდან გამოსული „ეპისტოლეთა წიგნის“ რედაქცია. უხტანესის რედაქციული მუშაობა ძირითადად ტექსტის შემოკლებაში მდგომარეობს. იგი იმ ადგილებს ტოვებს, სადაც ვრცლად არის ლაპარაკი მსოფლიო ეკლესიის ისტორიის შესახებ, ან კიდევ წმინდა დოგმატურ საკითხებზე. გამოცდილი ისტორიკოსი ტექსტს ბრმად არ ამოკლებს. იგი ცდილობს შეინარჩუნოს მოპაექრეთა (უფრო ზუსტად სომეხთა) არგუმენტები. ალაგ-ალაგ უხტანესი ჩანართებსაც აკეთებს და მაშინვე ცხადი ხდება მისი განზრახვა: დამატებებიც ემსახურება სომხეთის ეკლესიის მეთაურთა პრეტენზიების გამართლებას. ამრიგად, X საუკუნეში კვლავ წამოიჭრა კამათი დოგმატიკის საკითხებზე. ქართველებისთვისაც და სომხებისთვისაც დღის წესრიგშია ერთი მიზანი: საეკლესიო განხეთქილების ისტორია აჩვენონ თავისთვის მომგები მხრიდან. ქართლში არსენი საფარელი წერს ტრაქტატს „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“⁶⁴, ხოლო სომხეთში უხტანეს ეპისკოპოსი — „სომეხთაგან ქართველთა განყოფის ისტორიას“. ორივე ტენდენციურია, ორივე ეძებს ერთმანეთის ყველაზე უფრო სუსტ ადგილს. უხტანესს შეაქვს თავის „ისტორიაში“ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიერ კირონ მცხეთელისადმი მიწერილი მესამე ეპისტოლე, სადაც ლაპარაკია გრიგოლ განმანათლებლისა და მაშტოცის დამსახურებაზე ქართლში ქრისტიანობის დანერგვაში, სადაც ლაპარაკი უნდა იყოს მაშტოცის მიერ სომეხი და ქართველი ხალხებისათვის ანბანის შექმნაზე და იმის შესახებ, რომ ქართველებმა დაივიწყეს სომეხ მოღვაწეთა დამსახურება და განუდგნენ მართლმადიდებლურ სომეხურ ეკლესიას. უნდა ითქვას, რომ არგუმენტაცია სერიოზულია. რომელი თავისი თავის პატივისმცემელი პოლემიკოსი აიღებს ხელს ნებით ასეთ იარაღზე? ვნახოთ, როგორ გამოიყენა იგი ეპისკოპოსმა უხტანესმა,

64 თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 313—322.

ისტორიკოსმა და პოლემისტმა, რა სახე აქვს მისი რედაქციის ორ-
ბულ ნუსხაში ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტს აბრაამ სომეხთა
კოსის მესამე ეპისტოლედან:

*სა არე' ძქ' ნიფყაყოფ ვაქე
ნიფხორ, [ორ] ჯაკე ქ ძქე ხრქოფ
აღყაყ' ნირიფელ ხ ვაქენ, ირ ქ
ძქიფქ აფქიქქე აახსალ ქ ვქარ-
ვაყსათოქქენ, ირ ნახი ქნქ-
ანქ ათქნ ვქსნყანოქქსან ქიქენ,
იქაქსი ათაყქენ ძქე ძარყარქენ
ხ ათაქსალქენ, ხ აყა ძქე ხ
ძქე აქრძანსქენ ათაყარაქ
აფყაყაჟა ათათაბაყაჯათო-
ქქენ, ნახი სრანსქენ ათქრ ჳრქ-
იქ, ხ აყა შ'აჯათი:*

ხოლო ნუ დავიზარებთ სულიერ
სიყვარულს, რომელიც ორივე
ხალხს შორის გვექონდა, რომ გან-
ვაახლოთ ის, რაც ერთი წყარო-
დან მივიღეთ: მოძღვრება, რომე-
ლიც ჯერ თვითონ მიიღეს —
ცხოვრების ნათელი — როგორც
გვასწავლეს წინასწარმეტყველებ-
მა და მოციქულებმა და შემდეგ
თქვენ და ჩვენ დაგვითვისეს
საერთო მართლმადიდებლური
ღმრთისმსახურება, ჯერ ნეტარმა
წმინდა გრიგოლმა და შემდეგ
მაშტოცმა⁶⁵.

როგორც ვხედავთ, ამ ადგილას B რედაქციის ტექსტი თითქმის
სიტყვასიტყვით მისდევს A რედაქციას, ოღონდ აქ უკვე აღარა გვაქვს
ის სიტყვები, სადაც ლაპარაკი იყო სომეხური და ქართული დამწერ-
ლობის შექმნის შესახებ. ამის შემდეგ B რედაქცია კვლავ იმეორებს
A-ს. ამრიგად, უხტანესისეულ ტექსტს სწორედ ის გაუშართავი და მიტ-
მასნებელი ადგილი აკლია, რომელიც ზემოთ ჩვენ „ეპისტოლეთა წიგ-
ნის“ ანტონიანთა ძმობის ხელნაწერისათვისაც არაორგანულად მი-
ვიჩინეთ⁶⁶.

თავის ადგილას ჩვენ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ უხტანესმა
„ისტორიის“ დაწერამდე ჩაატარა წინასწარი ბეჯითი ტექსტოლოგიუ-
რი კვლევა. მის ხელთ იყო „ეპისტოლეთა წიგნის“ სხვადასხვა ნუსხა
და სხვადასხვა რედაქციაც კი. ცხადია, არც ერთ მათგანში არაფერი
ეწერა მაშტოცის მიერ სომეხური და ქართული დამწერლობის შექმნის
შესახებ. უფრო მეტის თქმასაც გავბედავდით: უხტანესს მაშტოცის

⁶⁵ მ. ხ. ა. ა. ნ. კ., II, გვ. 84.

⁶⁶ უხტანესისეული რედაქცია უფრო სარწმუნოდ იმიტომაც მიგვაჩინია, რომ იგი
დიპლომატიური ურთიერთობისათვის აუცილებელ ეთიკეტს უკეთ იცავს. თუ A
რედაქციაში, როგორც წესი, სომეხ მოღვაწეთა წერილებში ჯერ ეპისტოლეს ავტო-
რია დასახელებული (ჩვენ ან მე), ხოლო შემდეგ ადრესატი (თქვენ ან შენ), B რედ-
აქციაში ხშირად პირიქით არის. ასეა მოტანილ ნაწყვეტშიც. A რედაქცია: „ჩვენ და
თქვენ საერთო დაგვითვისეს...“, B რედაქცია: „თქვენ და ჩვენ საერთო დაგვითვისეს...“.



ასეთი საქმიანობის შესახებ არც სხვა წყაროებიდან სცოდნია რაიმე თორემ ეპისტოლეებისადმი დართულ თავის კომენტარებში, ხშირად საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი წყაროებით უცნობი მასალაა მოცემული, ამის შესახებ აღნიშნავდა. მით უფრო, რომ „ეპისტოლეთა წიგნში“ მაშტოცის სახელი ნახსენებია იყო და არ გამოჩნებოდა.

დასკვნა: „ეპისტოლეთა წიგნის“ ძველ რედაქციებში (X საუკუნემდე) არ ყოფილა ცნობა მაშტოცის მიერ ქართული და სომხური დამწერლობის გამოგონების შესახებ და იგი გვიანდელი ინტერპოლაციაა.

ამის შემდეგ კვლავ უნდა დავუბრუნდეთ იმ დასკვნებს, რომლებიც მიიღო ივ. ჯავახიშვილმა კორიუნის თხზულების კრიტიკის შემდეგ: 1. ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ შეტანილია კორიუნის თხზულებაში VI საუკუნის მეორე ნახევარსა და დამლევს. 2. ლაზარე ფარბელის „ისტორიაში“ პირველი წიგნი გვიან ჩამატებულია და „მე-VI საუკუნის დამდეგის შემდგომ კარგა ხანსაც კორიუნის ნაშრომის ისეთი რედაქციის არსებობის დამამტკიცებელია, რომელშიც მაშტოცი ჯერ კიდევ ქართული და ალბანური ანბანის გამოგონებლად არ ყოფილა დასახული“⁶⁷. 3. მაშტოცისა და გრიგოლის მნიშვნელობის მთელი კავკასიისათვის განზოგადება ერთი და იმავე წრისა და თითქმის ერთი და იმავე მწერალ-გადამკეთებლის საქმე უნდა იყოს.

„ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტზე ჩვენი დაკვირვების შედეგად ამდებულებებს ასეთი კორექტივი შეიძლება გაუკეთდეს: 1. არ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ კორიუნის თხზულებაში ქართული ანბანის შექმნის შესახებ ცნობა შეტანილია VI საუკუნის დამდეგს. ასეთი რედაქციული ცვლილება შეტანილი უნდა იყოს გაცილებით უფრო გვიან. 2. ლაზარე ფარბელის „ისტორიის“ პირველ წიგნში გადმოცემული მაშტოცის მოღვაწეობა და მის მიერ მხოლოდ სომხური ანბანის შექმნა არ უპირისპირდება „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობას, არ არის საჭირო ვივარაუდოთ პარალელურად კორიუნის ორი რედაქციის არსებობა: ერთი, რომელიც ხელთა აქვს ლაზარეს და მეორე, რომელსაც იცნობს აბრაამ სომეხთა კათალიკოსი. 3. მაშტოცისა და გრიგოლის

⁶⁷ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური... გვ. 182, კორიუნის თხზულების იმ რედაქციას, რომელიც ლაზარე ფარბელს ჰქონდა ხელთ, უძველესად თვლიან ივ. ჯავახიშვილთან ერთად M. Tarchnišvili, Sources arméno-géorgiennes de l'histoire ancienne de l'église de Géorgie, Le Muséon, 1947, № 60, 1—2, გვ. 44—45; K. Salia, Note sur l'origine et l'âge de l'alphabet géorgien, Bedi Kartlisa, XV—XVI (№ 43—44), 1943, გვ. 13—14.

გავიხსენებთ, რომ არის კიდევ ერთი წყარო VII საუკუნის დამლევისა. რომელიც მას მხარს უჭერს. მხედველობაში გვაქვს „ანონიმურე ქრონოგრაფია“. იგი სომეხი მეცნიერების საერთო აზრით დაწერილია. წლის ახლოს.

яния даже в культурном отношении, как же он мог предложить соседним братским народам, борющимся вместе с армянским народом за обретение свободы и независимости родного народа против иноземных захватчиков армянские письмена, mutatis mutandis, те же чужеземные письмена... (Корюн, Жизнь Маншота, Ереван, 1962, стр. 12—13).

საკმაოდ ვრცელი ამონაწერის მოტანა მოგიხდა იმის საჩვენებლად, თუ როგორ ამოეფარებინა ხოლმე ზოგჯერ მყვირალა ფრანგებს არგუმენტაციის უკმარობის შემთხვევაში. ჯერ ერთი, ქართული ანბანის გამოგონების საქმეში მაშტოცის მონაწილეობის მოწინააღმდეგეთა საბუთები სრულიადაც არ ამოიწურება იმით. რასაც პროფ. კ. მელიქ-ოჰანჯანიანი აწვდის მკითხველს; და მეორეც *mutatis mutandis*, ცხადია, საქმეს ვერ უშველის და მხოლოდ დიმილი შეიძლება მოჰგვაროს მკითხველს მკვლევარის ვარაუდმა: მაშტოცი სპეციალურად განსხვავებულ ანბანს უქმნიდა ქართველთ. რომ ამ უკანასკნელებს თავი ეროვნულად დაჩაგრულად არ წარმოედგინათო. V საუკუნეში სომხეთს არ შეეძლო ქართლის დამპყრობლის პრეტენზიები ჰქონოდა და, ცხადია, ასეთ კეთილშობილურ ექსტს (სომხური ანბანის გადაცემა ქართველთათვის მოსახმარებლად) ძალადობის აქტად არავინ ჩაუთვლიდა. მაგრამ, ასეთი მაღალფარდოვანი მსჯელობა ვერაფერს შესძენს მეცნიერებას. საქმეს სხვა მხარე აქვს. კ. მელიქ-ოჰანჯანიანი ირონიით იხსენიებს და უწოდებს სპეციალისტებს ბრჭყალებში ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას. ამასთანავე, თურმე ამ მეცნიერებს, როცა ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ მსჯელობდნენ, რაღაც არამეცნიერული ზრახვები ამოძრავებდათ. მრავალტირაჟიან გამოცემაში რომ არ იყოს ნათქვამი ეს სიტყვები, ძველი დასაჯერებელი იქნებოდა, რომ ქართველოლოგიასა და არმენოლოგიაში მცირედ მაინც ჩახედულ მეცნიერს გულწრფელად შეეძლო დასახვლებულ მეცნიერთა ამნაირად მოხსენიება. არ იქნებოდა ურიგო სცოდნოდა კ. მელიქ-ოჰანჯანიანს, რომ ივ. ჯავახიშვილი ავტორია ფუნდამენტალური და ღრმად მეცნიერული წიგნის „ქართული პალეოგრაფია“, სადაც განილულია ქართული დამწერლობის წარმოშობის მთელი პრობლემა და შესატყვისი წყაროები. რასაკვირველია, შეიძლება შეკამათება ივ. ჯავახიშვილთან. მაგრამ წინასწარ ხომ საჭიროა გავეცოდეთ მის ნაშრომს. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ შემოთ მოტანილი სიტყვების ავტორს წაეკითხა ივ. ჯავახიშვილის მეორე წიგნიც, სახელდობრ, „ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ისტორია“, სადაც მისაბაძი გამოწვევლივით და ობიექტურობითაა განხილული ქველი სომხური წყაროები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ. ეს ნაშრომები ქართულ ენაზე დაწერილი და, რასაკვირველია, ყველასათვის მისაწვდომი არ არის. მაგრამ ამაში დამნაშავეები არ არიან ისინი, რომლებსაც კ. მელიქ-ოჰანჯანიანი თავის საქმეში ჩაუხედაობის მთელ ბრალს ახვევს თავს. იგი წერს: „Некоторые „специалисты“ исходя из ненаучных позиций отвергают аутентичные свидетельства армянских источников, единственнох по данному вопросу“. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ზემოთ აღგვენიშნა, რომ ქართული ანბანის წარმოშობის საკითხში ერთმანეთს ეცალება ორი ვერსია—სომხური და ქართული. ქართული ვერსია შემოგვიანა ლეონტი მროველმა: მისი თარგმანი ძველ სომხურ ენაზე ორჯერ არის გამოცემული (Համառոտ պատմութիւն Վրաց բնուայսխ Զ ու լ ա ն Զ Ե ր Ի ւ ա ռ մ Գ Ի, Վննևոսկ, 1884; ქართლის ცხოვრების ძველა სომხური თარგმანი, გამოსცა ილ.

ამრიგად:

1. ივ. ჯავახიშვილის დებულება იმის შესახებ, რომ ქართველთა ბანის წარმოშობის სომხური ვერსია ლეგენდაა, კიდევ უფრო უძველესი დება.

2. „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის კრიტიკის შედეგად ირკვევა, რომ მართალი იყო ნ. ადონცი, როცა წერდა: „Настроения и тенденции последующих веков часто отражались на положение вещей давно минувших времен, и иной ревнитель родного благочестия умышленно или бессознательно вносил коррективы в старину по новому понимая, и соответственно искажая старое. „Книга посланий“ не избегла этой участи, не только она разрослась по объему, но и отдельные статьи ея не миновали вмешательства посторонних рук“⁷⁷. ცნობა მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ „ეპისტოლეთა წიგნში“ შეტანილია X საუკუნის შემდეგ⁷⁸.

3. არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ლეგენდა შექმნილია VI საუკუნის დამლევს (ივ. ჯავახიშვილი) ან VI საუკუნის დამდეგს (ს. ჯანაშია).

4. სომხური ლეგენდა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ ცნობილი არ ყოფილა ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასაწყისში. უხტანესის „ისტორია განყოფისა სომეხთა ქართველთაგან“ გვაფიქრებინებს, რომ იგი პოპულარული არ ყოფილა X საუკუნეშიც.

5. ჩვენთვის საინტერესო ლეგენდის გაჩენის დროისა და პირობების გაარკვევად საჭირო იქნება მოცდა, სანამ არ გამოქვეყნდება კრიტიკულად დადგენილი ყველა ის ძველი სომხური ტექსტი, სადაც საუბარია მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ.

6. „ეპისტოლეთა წიგნში“, სადაც შეკრებილია სომხეთის ეკლესიის მესვეურთა მიმოწერა სხვა ქვეყნის ეკლესიის მეთაურებთან

კითხში გვაქვს მხოლოდ ორი მეცნიერული თეორია — ივ. ჯავახიშვილისა და გ. წერეთლისა. სხვა ყველა გამოთქმული თვალსაზრისი ან მეცნიერულ საბუთთანობას არის მოკლებული, ან კიდევ რომელიმე წყაროსადმი სუბიექტური განწყობილებით (უარყოფითი ან დადებითი) არის ნაკარნახევი.

⁷⁷ Н. Адонц, Ампельи, епископ херсонский, გვ. 175 — 176.

⁷⁸ რომ ხელნაწერებში სწორედ ანბანის შექმნის საკითხებთან დაკავშირებით ცვლილებები ხდებოდა, ცხადად აჩვენებს როგორც მოსე ხორენელის ხელნაწერების ვარიანტები, ისე, განსაკუთრებით, ლაზარე ფარბელის „ისტორიის“ ხელნაწერების ერთმანეთთან შედარება. იხ. **Ղ ա գ ա ր Փ ա რ ւ Յ ց ի, Պ ա տ մ ա ի լ ի ն Հ ա յ յ ց, 1904, გვ. 15.**



V—XIII საუკუნეების მანძილზე, არაერთგან ვხვდებით მამუტოცის სახელს. ყველგან საუბარია მის შესახებ, როგორც ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებლისა და საპაპ კათალიკოსისა თანამებრძოლზე და არსად არ არის რაიმე ნათქვამი მის მიერ თუნდაც სომხური ანბანის გამოგონების შესახებ. მხოლოდ ერთგან XIII საუკუნის მოღვაწე სომეხი ვარდაპეტი ამბობს: „...მესროპმა მისცა მათ (ქართველებს — ზ. ა.) ანბანი და მესროპმავე უკურთხა ვარძიის ჯვარი“⁷⁹. გასაოცარი ანაქრონიზმი (მესროპმა აკურთხა ვარძიის ჯვარი!) სრულიად არ აწუხებს სომეხ ვარდაპეტს. ცხადია, ასეთი რედაქტორები ან გადამწერლები ვერ გაუძლებდნენ ცთუნებას და ძველ ტექსტებს თავისი შეხედულებისა და სურვილისამებრ შეაკეთებდნენ.

VI

ქართული და სომხური ეკლესიების იერარქიული და მოკიდებულების საკითხისათვის

დღემდე საცილობელია, თუ რომელ პატრიარქს ემორჩილებოდა ქართული ეკლესია იერარქიულად VII საუკუნის დამდეგამდე — კონსტანტინეპოლის, ანტიოქიისა თუ სომხეთისას. სომეხ მკვლევართა უმრავლესობა მეტ-ნაკლებე კატეგორიულობით იმ სომხური წყაროების ცნობებს იზიარებს, რომელთა მიხედვითაც ქართული ეკლესია იერარქიულად დვინის კათალიკოსს ექვემდებარებოდა. ქართველ სპეციალისტთაგან ამ შეხედულებას ერთხანს იზიარებდნენ კ. კეკელიძე და ს. კაკაბაძე⁸⁰. ქართული ეკლესიის სომხურზე დამოკიდებულების თეორია

⁷⁹ «ქიქრ აყი ნაქათონს გმხე ს ირანსან: მხერიო სო ნიგა ვიქ ს ვქაყ-ბიქი ქაყან მხერიო ჭ ირინს» (ქიქრ რიგი, გვ. 534).

⁸⁰ კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1929, X; ს. კაკაბაძე, წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, თბილისი, 1912, გვ. 10. მართალია, კ. კეკელიძემ შემდეგში მნიშვნელოვნად გადააკეთა თავისი ნაშრომი (ეტიუდები, IV, გვ. 326—357) და ლაპარაკობს მხოლოდ ქართული და სომხური ეკლესიების კავშირის შესახებ VII საუკუნემდე, ჩვენ მაინც მხედველობაში ვიჭონებთ მისი გამოკვლევის აღრინდელ ვარიანტსაც. ვიმედოვნებთ, ამნაირად რამდენადმე ცხადი გახდება, რატომ

საფუძვლიანად აქვს განხილული და გაკრიტიკებული ივ. ჯავახიშვილის⁸¹, რაც ჩვენ გვათავისუფლებს ბევრ საკითხზე მსჯელობისაგან. დაც მხარეთა არგუმენტაციის სიმძიმე ჩვეულებრივ „ეპისტოლეტიკის“ და მასზე დამოკიდებული წყაროების ცნობებზე მოდის ხოლმე, ჩვენც აქ მხოლოდ მათ შევხებით.

ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შესახებ არსებული წყაროების საფუძველზე სომხური თეორიის მომხრენი 5 ძირითად არგუმენტს ეყრდნობიან: 1. X საუკუნემდე ქართველები და სომხები აღიარებდნენ, რომ ადრე მათ შორის სარწმუნოების ერთობა არსებობდა და რჯული ორივეს გრიგოლ განმანათლებელმა მისცა. „ეს იყო ურყევი რწმენა ორისავე ეკლესიისა“. 2. „კირიონ კათალიკოზი პირდაპირ სწერს აბრაამ სომეხთა კათალიკოზს: ზოგი ქართველი ეპისკოპოზთაგანნი სომხეთში იყვნენ განსწავლულნი... თქვენი და ჩვენი მოძღვარნი ერთმანეთთან მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ერთმანეთისგან სწავლობდნენ და ერთმანეთს ასწავლიდნენო“. 3. კირონ ქართლის კათალიკოსი, იოანე დრასხანაკერტელის ცნობით, აკურთხა და იბერიაში გამოაგზავნა მოსე სომეხთა კათალიკოსმა. 4. სომეხთა იერარქების წერილები კითხვა-დატუქსვის კილოთი არის დაწერილი, ხოლო კირონი ერთგვარად თავს იმართლებს. 5. იბერიის სომხეთზე ეკლესიურ დამოკიდებულებას არ უარყოფს არსენი საფარელიც, რომელიც წერს: „ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისაჲ განეყენეს ჭელდასხმასა მღვდლობისასა სომეხთაგან“⁸².

შევეცდებით, ყველა ეს საკითხი ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით განვიხილოთ:

1. პირველ არგუმენტს ვრცლად არ შევხებით. ვფიქრობთ, იგი არც არის არგუმენტი: სარწმუნოების ერთობა და ერთი განმანათლებლის კულტი არ შეიძლება ეკლესიების იერარქიული დამოკიდებულების მოწმობა იყოს, მით უფრო, მოქცევიდან სამი საუკუნის შემდეგ. ამას გარდა, ჩვენ არსაიდან არ ვიცით, იყო თუ არა ქართველთა ურყევი

უნდა შეეცვალა ავტორს თავისი შეხედულებები ზოგ საკითხზე. ამასთან ცალკეული მკვლევარები საყრდენად ზოგჯერ სწორედ კ. კეკელიძის იმ მოსაზრებებსა და მის ნაშრომთა იმ გამოცემებს იყენებენ ხოლმე, რომელიც მათ აწყობთ, ხოლო ღვით ავტორმა კი შეცვალა.

⁸¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 313—329. იხ. აგრეთვე M. Tamarati, L'église géorgienne, Rome, 1910; M. Tarchnišvili, Die Entstehung und Entwicklung der kirchlichen Autokephalie Géorgiens, Le Muséon, 1960, LXXIII, 1—2; მიხევე, Die Legende der heiligen Nino und die Geschichte der georgischen Nationalbewusstseins, Byzantinische Zeitschrift, 40, 1940.

⁸² არგუმენტები დაჯგუფებულია კ. კეკელიძის ნაშრომის — „კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში“ — მიხედვით (უნივერსიტეტის მოამბე, 1929. X).



რწმენა, რომ ორივე მეზობელი ხალხი გრიგოლ განმანათლებლის მოქცეულია. სომხური ეკლესია რომ სრულიად არ ექცობდა ამ საკითხში, საესეებით აშკარაა თუნდაც მხოლოდ „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით. მაგრამ იმავე „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით ჩვენთვის არ არის ნათელი, რას ფიქრობდა ქართული ეკლესიის მეთაურისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ერთი რამ ჩვენთვის უეჭველია: კირონ მცხეთელი სომხებთან სარწმუნოებით ერთობას არ უარყოფს და ეს სარწმუნოება იერუსალემიდან შემოსულად მიაჩნია. რაც შეეხება აბრაამ სომეხთა კათალიკოსის, სმბატ მარზპანისა და კირონის მიმოწერაში დაცულ ცნობას გრიგოლ პართელის მიერ ქართლის მოქცევის შესახებ, იგი ეჭვის ქვეშ დააყენა ჯერ კიდევ 1947 წელს ჟურნალ Muséon-ის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაშრომში მიქელ თარხნიშვილმა⁸³. იგი, მოკლედ რომ გადმოვცეთ, ასე მსჯელობდა: აბრაამ სომეხთა კათალიკოსი თავის მეორე ეპისტოლეში დასმბატ მარზპანი მოსე ცურტაველისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავენ, რომ კირონის სიტყვით სომხებსა და ქართველებს იერუსალემის სარწმუნოება გრიგოლ განმანათლებლის მიერ აქვთ მიღებული. ამის თქმისათვის საფუძველი, რასაკვირველია, კირონს უნდა მიეცა აბრაამის პირველი ეპისტოლეს პასუხში. აღნიშნულ წერილში კი ლაპარაკია მხოლოდ იერუსალემის სარწმუნოებაზე და ნახსენები არ არის გრიგოლი. ქართული ეკლესიის მჭიდრო კავშირი იერუსალემთან უეჭველია, ხოლო სომხურმა ისტორიულმა ტრადიციამ ამგვარი არაფერი იცის. არც კირონისთვის უნდა ყოფილიყო მომგებიანი სომხებთან კამათში გრიგოლის ავტორიტეტის მოშველიება. ყოველივე ამის გამო, მ. თარხნიშვილის ვარაუდით, აბრაამ სომეხთა კათალიკოსის და სმბატ მარზპანის ეპისტოლეებში ცნობა გრიგოლ განმანათლებლის მიერ ქართლის მოქცევის შესახებ გვიანდელი დანამატია. ახლა ძნელია გადაჭრით თქმა, რამდენად სწორია მ. თარხნიშვილის დაკვირვება, მაგრამ კირონის პირველ პასუხსა და აბრაამის მეორე ეპისტოლეს შორის შეუსაბამობა ასეთი ეჭვის გამოსათქმელად საფუძველს მაინც იძლევა. ამასთანავე, სწორედ ამ ნაწილში, როგორც ჩანს, „ეპისტოლეთა წიგნის“ მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია. მაგალითად, „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ რედაქციაში, რომელიც ხელთ ჰქონდა არსენი საფარელს. ლაპარაკი ყოფილა გრიგოლის მიერ სარწმუნოების შემოტანაზე არა იერუსალემიდან, არამედ საბერძნეთიდან („ქართველნი ეტყოდეს, რამეთუ წმიდამან გრიგოლი საბერძნეთით მოგუცა ჩუენ სარწმუნობაჲ“⁸⁴). ყურადღებას იპყრობს ის გარე-

⁸³ M. Tarchnišvili, Sources armeno-géorgiennes de l'histoire ancienne de l'église de Géorgie, გვ. 47-48.

⁸⁴ ქრონიკები, I, გვ. 319.



მოებაც, რომ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მეორე ეპისტოლეშია გილას, რომელიც მ. თარხნიშვილის ეჭვს იწვევს, გრიგოლ ლებლის სახელი მოცემულია ბერძნული ფორმით — „გრიგორიოს“. მთელ მიმოწერაში ეს სახელი ამ ფორმით არსად არ გვხვდება და წერილის ავტორისთვის არ არის ბუნებრივი. შეიძლება ეს გარემოებაც მხარს უჭერდეს ვარაუდს აღნიშნულ კონტექსტში იერუსალემის გვერდით გრიგოლ პართელის სახელის გვიან შეტანის შესახებ. რაც შეეხება არსენი საფარელს, მისი სიტყვები — „ქართველნი ეტყოდეს, ვითარმედ წმინდამან გრიგოლი საბერძნეთით მოგუცა ჩუენ სარწმუნოებაო“ — სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ მას გრიგოლ პართელი მი-აჩნია ქართლის განმანათლებლად. უბრალოდ იგი იცნობს „ეპისტოლეთა წიგნს“ (უკეთ, „ეპისტოლეთა წიგნის“ ისეთ რედაქციას, სადაც იერუსალემის მაგიერ საბერძნეთი ეწერა) და ამბობს იმას, რაც მასში ამოიკითხა. სხვაგან ყველგან, სადაც კი თხრობას თავისი სიტყვით ვაღმოსკეპს, არსენი საფარელი გრიგოლს მხოლოდ სომხეთის განმანათლებლად სახავს. ამრიგად, დღეს არა გვაქვს საკმაო საბუთი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, თითქოს გრიგოლ განმანათლებლის მიერ ქართლისა და სომხეთის მოქცევა „ორივე ეკლესიის ურყევი რწმენა იყო“. შესაძლოა, გრიგოლის კულტი სამხრეთ საქართველოს საეკლესიო წრეებში შეიტანა გაქართველებულმა სომეხმა ქალკედონიტმა მოსახლეობამ.

2. კ. კეკელიძეს მოაქვს ციტატი კირონი ქართლის კათალიკოსის ეპისტოლედან, რომელსაც იგი სწერს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს: „ზოგი ქართველი ეპისკოპოზთაგანნი სომხეთში იყვნენ განსწავლულნი... თქვენი და ჩვენი მოძღვარნი ერთმანეთთან მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ერთმანეთისაგან სწავლობდნენ და ერთმანეთს ასწავლიდნენ“. მოტანილი ციტატიით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს სიტყვები საერთოდ ქართველ ეპისკოპოსებს შეეხებოდეს, ან მხოლოდ მათთვის იყო სავალდებულო სომხური განათლების მიღება. საქმე ის არის, რომ კირონი ცურტავის ეპისკოპოსების შესახებ ლაპარაკობს, ხოლო ცურტავის საეპისკოპოსო ორ თემად იყოფოდა — სომხურენოვან და ქართულენოვან თემებად. ეპისკოპოსებად ცურტავში ხან ქართველები ისხდნენ, ხან სომეხნი და მათ თანაბრად მოეთხოვებოდათ როგორც ქართული, ისე სომხური ენისა და მწერლობის ცოდნა. კირონი წერს: „ეპისკოპოსები, რომლებიც ცურტავს იყვნენ, მუშანიკიდან აქეთ, აფოცი... იოანე და სხვა ეპისკოპოსები სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან სომხეთში იყვნენ განსწავლულნი მეცნიერნი და მოძღვარნი“⁸⁵. ცხადია, კირონი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სომხური ენისა და მწერლობის უცოდინარ ქართველს ეპისკოპოსად ვერ დასვამდნენ

85 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 89.



ისეთ სამწყსოში, სადაც მრევლი ორენოვანი იყო. ამიტომ ქართველებმა გან ისეთ პირებს არჩევდნენ, რომელთაც სომხური ენა და მწერტობა ან ქართლშივე შეისწავლეს, ან კიდევ სომხეთში გაიარეს სკოლა. ასევე სავალდებულო ყოფილა სომეხი ეპისკოპოსებისთვისაც ქართული ენისა და მწიგნობრობის ცოდნა. სწორედ ამას გულისხმობს მოსე ცურტაველი, როცა სწერს ვრთანეს ქერდოლს: „მომიხდა მე სიყრმის დღეებში მივსულიყავ ცურტავის საეპისკოპოსოს, რომლის მოწაფეც ვიყავ ეკლესიის წესისამებრ, სადაც აღვიზარდე და ვისწავლე სომხური და ქართული მწიგნობრობა“⁸⁶. ამრიგად, ცურტავის ეპისკოპოსს უნდა გაველო გარკვეული სკოლა ეკლესიის წესის მიხედვით და ეს წესი გულისხმობდა როგორც ქართულის, ისე სომხურის ცოდნას. როდესაც კრონმა მოსე ცურტავის საეპისკოპოსო საყდრიდან გადააყენა და მის მაგიერ „ხუტეკი ნესტორიანი“ დანიშნა, ამ უკანასკნელს პრალდებად სწორედ ის წამოუყენეს, რომ ქართული მწიგნობრობაც კი არ იცის ხეირიანად, არამცთუ სომხური⁸⁷. მოსე ცურტაველის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ცურტავის სამწყსოში უპირატესობა მაინც ქართულს ეძლეოდა სომხურთან შედარებით. ამრიგად, კირონ ქართლის კათალიკოსი იმეტომ უსვამს ხაზს, ცურტავის ქართველ ეპისკოპოსთაგან ზოგი სომხეთში იყო გაწვრთნილი, რომ მათგან სომხურის ცოდნა თავისთავად ცხადი არ არის და საჭირო ხდება საგანგებოდ აღნიშვნა. სომეხი ეპისკოპოსის მიერ ქართულის ცოდნის აუცილებლობა კი სავსებით გასაგებია (მათ ქართლის სამეფოში უხდებათ მოღვაწეობა) და სომეხთა კათალიკოსს ეს არც აინტერესებს. მისთვის მთავარია ქართველმა იცოდეს სომხური, რომ სომხურენოვანმა მრევლმა რაიმე შეეიწროება არ განიცადოს.

3. იოანე დრასხანაკერტელისა და უხტანესის ცნობით, კირონ ქართლის კათალიკოსი ხელდასმულია მოსე ელივარდელის მიერ. თვით „ეპისტოლეთა წიგნიდან“ არაფერი ამის მსგავსი არ ჩანს და პოლემიკის დროს, ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, სომხები კირონს არსად არ უკიყინებენ: „ჩვენი დასამული ხარ და რატომ გვღალატობო“⁸⁸. იმის გამო, რომ უხტანესისა და იოანე დრასხანაკერტელის ცნობები „ეპისტოლეთა წიგნი“ დასაყრდენს ვერ ნახულობენ, ივ. ჯავახიშვილი მათ სრულ უნდობლობას უცხადებდა. ამავე დროს, ივ. ჯავახიშვილი ნაყალბევად თვლიდა უხტანესის მიერ შემონახულ მიმოწერას მოსე ელივარდელსა და კირონ მცხეთელს შორის⁸⁹, სადაც მოსე პარდაპირ

⁸⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 1.

⁸⁷ იქვე, გვ. 82.

⁸⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 327.

⁸⁹ И. А. Джавахов, История церковного разрыва, гв. 441—444.



ტასი მღვდელ-მოწამისა ანტიოქელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათჳს გზისა, რამეთუ აგარიანთავან ვერვინ იკადრებს სლვად⁹².

მოტანილი ცნობიდან ირკვევა, რომ ქართველებს კათალიკოსი ხელდასახმელად ანტიოქიაში ანასტასი პატრიარქის სიკვდილის შემდეგ უკვე აღარ გაუგზავნიათ. ანასტასი კი ანტიოქიის პატრიარქის საყდარზე 561—599 წლებში იჯდა. ამრიგად, იგი გარდაიცვალა სწორედ მაშინ, როცა ქართლის კათალიკოსის ტახტი თავისუფალი იყო და კირონი მის დასაკავებლად ემზადებოდა. კირონი ხელდასახმას ანტიოქიაში ვეღარ მიიღებდა და საჩქაროდ უნდა გამოძებნილიყო მისი კანონიერი გზით დამტკიცების სხვა საშუალება. არც თუ დიდი ხნის ავტოკეფალიის მქონე ეკლესიის მესვეურთ, ცხადია, უნდა გაეხსენებინათ „პირვანდელი წესი“, როცა მეზობელი ეპისკოპოსი (ან ეპისკოპოსები) ხელს ასხამდა მეზობელი კათედრის მეთაურს⁹³. იოანე კათალიკოსი გვამცნობს: „ამ მოსესმა კათოლიკე საკრებულოს უხუცესს კირონს ხელი დაასხა ქართლის სამწყსოს, გუგარეთისა და ვერისის არქიეპისკოპოსად წინანდელ წესთა მაგალითისაებრ“⁹⁴. ვფიქრობთ, „პირვანდელ წესში“ სწორედ ხელდასხმის ეს საერთო წესი იგულისხმება, რაც ავტოკეფალობის მიღებამდე ჰქონდათ ამიერკავკასიის ეკლესიებსაც და არა სომხურ-ქართული ეკლესიების იერარქიული მიმართება⁹⁵.

92 უწყებაჲ მიზეხსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენებს, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძე მ. თბილისი, 1959, გვ. 9. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 316—318.

93 დაუსტოს ბუზანდის ერთი ცნობის ანალიზის შემდეგ ნ. აღონცი წერს: „Армяне не имели возможности ставить себе епископов или католикоза, не обращаясь к соседним церквам“ (Армения в эпоху Юстиниана, С. Петербург, 1908, გვ. 366).

94 იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლოთურთ ილია აბულაძისა, თბილისი, 1937, გვ. 9.

95 ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ მირიან მეფის შვილიშვილის მირდატის მეფობაში ქართლის ეპისკოპოსად „დაჯდა იობ სომეხი, ნურსე კათალიკოსისა დიაკონი“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 132). უეჭველია, ნურსე კათალიკოსი უნდა იყოს ნურსე I დიდი სომეხთა კათალიკოსი, რომელიც 353—373 წლებში მოღვაწეობდა (Հ. Անսույան, Անճառնուհնէքի բառարան, IV, გვ. 35). ლეონტის ცნობიდან არ ჩანს, იობი ნურსეს ხელდასხმული იყო, თუ რაიმე გარემოების წყალობით მოხვდა ქართლის ეპისკოპოსის საყდარზე. ამის მიუხედავად, ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანში პირდაპირ არის ნათქვამი: „სომეხთა კათალიკოსმა ნურსესმა ხელდასხმა უყო თავის დიაკონს — იობს ქართლის ეპისკოპოსად და გამოგზავნა“ (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 132). ცხადია, იობის გამოგზავნის ისტორია სომეხი მთარგმნელის შეთხზულია და დედნის თავისებურ კომენტარს წარმოადგენს.

ამრიგად, უხტანესისა და იოანე დრასხანაკერტელის ცნობებში მოსეს მიერ კირონის ხელდასხმის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვხედავთ. განსაკუთრებულს და ეს ფაქტი იერარქიული დამოკიდებულების მომხატველად არ მიგვაჩნია⁹⁶.

4. ეს არგუმენტი სრულიად არაფრის მთქმელია და მისი საშუალებით რაიმე იერარქიული მიმართების გარკვევა შეუძლებელია. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქალკედონის კრების მომდევნო პერიოდში კარგა ხანს დიოფიზიტებს საერთოდ ყველგან თავდამცველის როლში უხდებოდათ გამოსვლა მონოფიზიტების წინააღმდეგ. ისეთი საეკლესიო მოღვაწეც კი, როგორც იყო ეფრემ ანტიოქელი, თავის საკუთარ სამწყსოში, თავის ქვეშევრდომ მონოფიზიტთა წინაშე იმართლებდა თავს და ამტკიცებდა, რომ ქალკედონიანებსა და მონოფიზიტებს შორის არც ისე დიდი განსხვავებაა და ქალკედონის კრებას ისეთი საშინელი არაფე-

იოანე დრასხანაკერტელს „სომხეთის ისტორიაში“ შემონახული აქვს კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ მისთვის 915 წელს გამოგზავნილი ეპისტოლე. სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „უფალო ჩემო, შენი ღმრთისმოყვარეობისათვის, ვგონებ, არ არის გაუგებარი ჩვენი გულის დიდი წუხილი და დაუნელებელი ტკივილი სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა შენდამირწმუნებულისა ერთობლივი სამწყსოსათვის“ (გვ. 189). „უპირველესად ყოვლისა, საჭიროა ღმრთის მოხილვისა და შემწეობის ყოველ ჟამს მოხმობა, ხელთა ზე აპყრობა და მოწყალებისა და შებრალებისათვის მთელი გულით ყოვლისმპყრობელი ღმრთის მიმართ ვედრება სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა შენი სამწყსოსათვის“ (იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1965, გვ. 190). საქართველოს და სომხეთის ეკლესიების ისტორიაში სულ მცირედ ჩახედული მკითხველისათვისაც კი იმდენად აშკარაა ამ ცნობის სრული შეუსაბამობა რეალურობასთან, რომ მის კრიტიკას აზრი არა აქვს. ვერც კონსტანტინეპოლის პატრიარქს და ვწამებთ ასეთ უეცრობას ისეთ საკითხებში, როგორცაა ამიერკავკასიის ეკლესიების ურთიერთობა, რომელშიც ბიზანტიის ეკლესია აქტიურად და უშუალოდ იყო ჩაბმული. ცხადია, მოტანილი წინადადებები იოანეს შეთხზულია (დამატებულია მხოლოდ „ქართველთა“) ან კიდევ გვიანდელი ინტერპოლაციის ნამოქმედართან გვაქვს საქმე, ასეთი ისე, დღეს ამ ცნობაზე დაყრდნობით არაფერს ვთქვით დაამტკიცოს X საუკუნის დამდეგს ქართლის ეკლესიის იერარქიული დამოკიდებულება სომხეთისაზე. მაგრამ რა უნდა გვექნა მაშინ. თუ ასეთივე ინტერპოლაცია გავეთებული იქნებოდა უფრო ადრინდელი ხანის ამსახველ მოვლენებთან დაკავშირებით? მაშინ ხომ ძალიან გაჭირდებოდა კრიტიკა? ამიტომ, ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი ორი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ სიფრთხილით უნდა მიდგომა წყაროებს ისეთ შემთხვევებში მაინც, როცა ტენდენციურობა განსაკუთრებით მოსალოდნელია.

⁹⁶ ჩვენ აქ აღარ ვეხებით სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ორ შესაძლო მიზეზს, რომელიც მოთხრობილი აქვს უხტანეს ეპისკოპოსს და სადაც ქართლის ეკლესიის მეთაური სომხეთის პატრიარქზე დამოკიდებული ჩანს. უხტანესის ამ ცნობების ამომწურავი კრიტიკა მოცემული აქვს ივ. ჯავახიშვილს (ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 326—329).

რი განუსაზღვრავს, როგორც ამას მონოფიზიტები ხატავენო⁹⁷. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში არავითარი იერარქიული დამოკიდებულების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ სოსთენისა და ექვთიმე გრძელქს პაექრობა და 1046 წ. ღრტილას კრება. შინაშე ხომ გამოძიებისა და ბრალდების ინიციატივას სომხების (მონოფიზიტების) მხარესაა: „დიდი მოძღუარი სომხეთისა სოსთენა მოვიდა დისწულისა მისისა თანა და გამოძიებასა ჰყოფს წინაშე მეფისა სჯულისათჳს ჩუენისა და მათისა და ვერვინ წინააღუდგა მას“⁹⁸. ამ დროს ხომ აღარ შეიძლება ლაპარაკი ქართული ეკლესიის სომხურზე იერარქიული დამოკიდებულების შესახებ, ხოლო პოლიტიკურად თვით სომხეთია დამოკიდებული. პოლიტიკური უპირატესობის შეგრძნება შესაძლებლობას აძლევს ექვთიმეს სოსთენის მოთხოვნაზე წინ წარუდგეს და შემდეგი მიუგოს: „არა ვიდრემდე ეგრეთ განაგო ჭეშმარიტებამან ღმრთისამან, რაჲთა მართლმადიდებელნი წინაშე მწვალებელთა წარმოვიდგინოთ, არამედ შენ წარმოდეგ უფროჲსდა, ვითარცა განსაკითხავი და დასასჯელი, რამეთუ ესრეთ არს წესი, რომელ მეფენი თქუენნი წინაშე მეფეთა ჩუენთა და მღუდელთ-მოძღუარნი მღუდელთ-მოძღუართა და მთავარნი მთავართა შიშით და ძრწოლით წარმოდგებიან და შევრდომით თაყუანის-ცემენ და უკეთუ არა გნებავს, ვსხდეთ აქა და შენ მკითხავდი და მე მოგიგებდე“⁹⁹.

მონოფიზიტების შემტევ განწყობილებაში საოცარი არაფერია. პირველ ოთხ მსოფლიო კრებათაგან ქალკედონის კრება უკანასკნელი იყო და მონოფიზიტები მისი სარწმუნოების სიმბოლოს ებრძოდნენ. მათ საშუალება ჰქონდათ ემტკიცებინათ: ჩვენ პირველი კრებების განსაზღვრებას ვიცავთ, ხოლო თქვენ მას ამახინჯებთო. ამასთან ქალკედონის კრების დადგენილებები პირველ ხანებში ნესტორიანობის გამარჯვებად მოჩანდა (ასე ესმოდათ ნესტორიანებსაც და თვით კრების მესვეურებსაც). ეს მეტად ძლიერი არგუმენტი იყო მონოფიზიტების ხელში და სწორედ მათმა შეტევამ აიძულა ქალკედონის კრების მომხრენი გამიჯნოდნენ ნესტორიანებს. მონოფიზიტთა თავდასხმისაგან დაცვის პროცესში მოუხდათ დიოფიზიტებს გადაეხედათ თეოდორე მოფსუესტელის, იბა ედესელის და თეოდორიტე კვრკლის შეფასების საკითხისათვის და V მსოფლიო კრებაზე კიდევ გაეწირათ ისინი. მთელი V—VII საუკუნეები აღმოსავლეთის ეკლესიაში მონოფიზიტთა შეტევის ნიშნით (თეორიულ სფეროში მაინც) მიმდინარეობს და ცნობილი უნიები, ეკ-

⁹⁷ В. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, IV, 1918, 83-382.

⁹⁸ საქართველოს სამოთხე, გვ. 616.

⁹⁹ იქვე, გვ. 617.

თეზისები და მსოფლიო კრებაზე დათმობები სწორედ ამ შეტევაზე პასუხისა და თავდაცვის გამოვლინების სხვადასხვა სახეა. სექციური და ქართული ეკლესიები ამ მხრივ საერთო ვითარებიდან არ განსხვავდებიან. ნაკლის არ წარმოადგენენ. ქართული ეკლესია გადაუდგა მონოფიზიტურს, აღიარა ქალკედონის კრება და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მეზობელმა ეკლესიამ სცადა მისი შენარჩუნება მონოფიზიტური სამყაროსათვის, რაც არ იყო სომეხთა კაპრიზი. ეს იყო სპარსეთის ხელისუფალთა ნება და ეს ნება ე.წ. სპარსულ კრებაზე ოფიციალურად იქნა განცხადებული. არსად, კმათის არც ერთ ეტაპზე, სომხურ ეკლესიას თავისი იერარქიული პრეტენზია არ წამოუყენებია. მუქარასა და პრეტენზიას იგი მხოლოდ სპარსეთის სამეფოს სახელით აცხადებდა და ამის სრული უფლებაც ჰქონდა. ეს იცოდა კირონ ქართლის კათალიკოსმაც და ერესების მიმართ ტოლერანტულ განწყობილებას ინარჩუნებდა. ანგარიშგასაწევია კირონის სიტყვები, მიმართული აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი: „რომის მამამთავარი წმინდა პეტრეს საყდარზე ზის, ალექსანდრიელი — წმინდა მარკოზ მახარებლისა, ანტიოქიისა — წმინდა ლუკა მახარებლის, კონსტანტინეპოლელი — წმინდა იოანე ნათლისმცემლისა და იერუსალემელი — უფლის ძმის წმინდა იაკობისაზე. რა სარწმუნოებაც მათ ეპყრათ, ჩვენც ის მოგვეცეს და ჩვენ და ჩვენი მამები აქამდე ვიცავდით, ეხლა რისთვის დაეტოვოთ იგი და თქვენ გერწმუნოთ? სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსებიც, რომელნიც ურიცხვენი არიან, მეფენი და მთავარნი და მთელი მართლმადიდებელი ქვეყნები, ყველა ესენი როგორ უნდა მივატოვოთ და მხოლოდ თქვენ შეგვიერთდეთ?“¹⁰⁰ ნათქვამიდან სავსებით აშკარაა, რომ კირონისთვის უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე მდგომი მხოლოდ ხუთი პატრიარქია და სომხეთის ეკლესიის მწყემსმთავარი თავის თანასწორად მიაჩნია. იგი მხოლოდ ამათ ავტორიტეტს შეიძლება სცნობდეს, მხოლოდ მათი მიხედვით შეიძლება მოქმედებდეს. ხოლო თუ ხუთი საპატრიარქოსა და ქართლის ეკლესიის მრწამსი ერთმანეთს ემთხვევა, მაშ რატომღა უნდა გაუწიოს ანგარიში სომხეთის ეკლესიას? ქართლის კათალიკოსი გაკვირვებულა და სომეხთაგან ელის მათი პრეტენზიის დასაბუთებას. მოსალოდნელია, რომ აბრაამ სომეხთა კათალიკოსი უპასუხებს: ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი დამოკიდებულია სომხეთის ეკლესიის პატრიარქზე და მის სარწმუნოების აღსარებას უნდა იზიარებდეს. გხვდებით „ეპისტოლეთა წიგნში“¹⁰¹ ამის მსგავს რაიმეს? — ვერა¹⁰¹. სომხეთის

¹⁰⁰ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 90.

¹⁰¹ ამას კარგად ხედავს ნ. აკინიანი და ცდილობს შეუსაბამოა ისე გადალახოს, რომ სომხეთის პატრიარქის უზენაესობაზე (გარკვეულ პერიოდში მაინც) ხელი არ აი-



ეკლესიის მესვეურებს მხოლოდ ორი დასაყრდენი აქვთ: 1. დღინის 506 წლის კრებაზე ქართველებმა და სომხებმა ერთად დაგმეს ქალკედონის კრება და არსებობს ამის წერილობითი აქტი. 2. ქართველები და სომხები სპარსელთა მეფის ქვეშევრდომები არიან და მათ არა აქვთ უფლება იმ რელიგიას დაუჭირონ მხარი, რომელიც ბიზანტიის სამეფოს მფარველობით სარგებლობს.

მოსე ელივარდელის გარდაცვალების შემდეგ სომხეთის საკათალიკოსო საყდარი თავისუფალი დარჩა. ახალი კათალიკოსის არჩევამდე ადგილის მცველის მოვალეობას ასრულებდა ვრთანეს ქერდოლი. სწორედ მას მოუხდა პირველი ჩაბმულიყო კირონ ქართლის კათალიკოსთან პაექრობაში. პაექრობას მხოლოდ პირობითად ვამბობთ, თორემ ქართლის კათალიკოსმა არც იკადრა რანგით უფრო დაბალი საეკლესიო პირისთვის პასუხი გაეცა. ვრთანეს ქერდოლთან კირონის ურთიერთობამ შეიძლება ერთგვარად წარმოგვადგენინოს ქართლისა და სომხეთის ეკლესიების იერარქიული დამოკიდებულება.

ვრთანეს ქერდოლი მზად არის მხარში ამოუდგეს მოსე ცურტაველს და „დიდი სიფრთხილით სწერს“ (უხტანესი) ეპისტოლეს კირონ

ლოს. იგი სომხეთის ეკლესიას მხოლოდ სარწმუნოებრივ საკითხში ანიჭებს უპირატესობას, ხოლო თვით ქართლის ეკლესიის სამართლის საქმეებში ვერ ჩაერეოდაო (ს. მსკსნაგ, *ჰაქიჩინ ჰაჰიიქსიჲ ოკაგ*, გვ. 15) ამიტომ თვლის ნ. აკინიანი ბუნებრივად კირონის ბოლოქრობას სომხეთის ეკლესიის მესვეურთა მოსე ცურტაველის საკითხში ჩარევის გამო. ნამდვილად კი კირონი სწორედ რელიგიის საქმეში სომეხთა ჩარევის გამო ცხარობს და იმუქრება: ამ წერილს იერუსალემის პატრიარქთან გვაგზავნი, რომ პასუხი მან გასცესო. ამას იმიტომ ამბობს კირონი, რომ სომეხთა ბრალდება ფაქტიურად ქალკედონური მიმართულების იერუსალემის პატრიარქსაც ედება. კირონის ეს ნაბიჯი იმასაც ნათლად გვიჩვენებს, რომ მას თავის უმაღლეს ხელისუფლად იერუსალემის მამამთავარი მიანდა და სომეხთა პატრიარქს ასეთად არ სცნობდა.

კ. კეკელიძეს ქართლის ეკლესიის სომხურზე დამოკიდებულების მიმანიშნებლად მოაქვს ნაწყვეტი აბრაამის წერილიდან კირონისადმი: „ხოლო აწ აუცილებელ საჭიროებად ვცანით მოვთხოვით თქვენ წერილობითი პასუხი“ თქვენი საქციელის გამო. ხოლო ასეთი მოთხოვნის კანონიერებას არ უარყოფს თვითონ კირონიცო (კანონიკური წყობილება. უნივერსიტეტის შრომები, X, გვ. 335). კ. კეკელიძის მიერ მოტანილი ციტატი არც სრულია და არც თარგმანია ზუსტი. ნამდვილად აბრაამის წერილში გვითხვლება: „სიუსფერისად ვცანით ჯერ პატრიოსან აზნაურთა ხელით მიგვედო პასუხი თქვენგან, რადგან არის რაღაც, რაც დაუჭერებლად გვეჩვენა, რომ უცხო სამეფოსთან შექმნა მეფეთა-მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს განშორდე“ (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 68). როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ მოტანილ თარგმანში არ არის ის მბრძანებლური ტონი, რაც კ. კეკელიძისაში აშკარად გაისმის. ამასთან აბრაამს სადავო საკითხი განზრახ გადააქვს საერო სფეროში, სპარსეთის მეფის სახელით მოქმედებს და პასუხსაც ქართლის აზნაურთაგან მისი, კ. კეკელიძე, როგორც ჩანს, შეცდომაში შეჰყავს უხტანესის „ისტორიის“ მ. ბრო-

ქართლის კათალიკოსს. დამახასიათებელია, რომ ვრთანესი ვერ ბედავს პირდაპირ კირონთან გააგზავნოს წერილი თავისი მოციქულისა და ჰოვანავანქში დაბანაკებულ მოსეს გადაუგზავნის. დიდხანს უჩივრებს კისრულობს კირონისთვის წერილის მიტანას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იციან მისი მკაცრი ხასიათი (ასეთი დაბრკოლება აბრაამ კათალიკოსის ან მოსე ელივარდელის წერილებს არ გადალობებია წინ). საქმე ის არის, რომ ყველასათვის ცხადია: ვრთანეს ქერდოლი არ არის კირონის სწორი და მისგან დაწერილი მამხილებელი ეპისტოლე არ შეიძლება ქართლის კათალიკოსმა შეურაცხყოფად არ მიიჩნიოს¹⁰². ასეც მოხდა. იქამდე განრისხდა კირონი, რომ თვითონ ვრთანესის გინებას არ დასჯერდა და მთელი სომხეთიც ათრიაო, იტყობინება მოციქული. შეიძლებოდა თუ არა ასეთი სიტუაცია შექმნილიყო, თუ ქართლის საკათალიკოსო სომხეთისაზე იერარქიულად დამოკიდებული იქნებოდა, ხოლო კირონი მხოლოდ მიტროპოლიტის წოდების მატარებელი? რასაკვირველია, არა. თუ შემდეგში თავისი სწორი კათალიკოსისგან მოწერილ ეპისტოლეებზე კირონი სამაგალითო თავშეკავებით პასუხობს და თავისი პოზიციების დაცვას მშვიდობიანად ცდილობს, ახლა სომხეთის კათალიკოსის მოადგილეს არამცთუ თავისი პასუხის ღირსად არ ხდის, არამედ პეტრე ეპისკოპოსსა და მთავრებსაც უშლის პასუხის გაცემას. საბოლოოდ ვრთანესს პასუხს აძლევს (დიდად შეურაცხყოფელს თვით ვრთანესის შეფასებით) მხოლოდ ზოგიერთი აზნაური და ეკვი არაა, რომ მათ შორის არ არიან მთავრები: ადარნასე, ვაჰანი და ბუზმირი.

მოსე ეპისკოპოსისთვის და თვით ვრთანესისთვისაც სრულიად აშკარაა. რომ, თუ კირონთან პირისპირ შეხვედრა გახდა საჭირო, ვრთანესი თვითონ უნდა ეახლოს და რაიმე ადგილის დათქმაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს. მოსე სწერს ვრთანესს: „როცა პასუხს მიიღებთ,

სეს თარგმანს (ამავე შეცდომას იმეორებს მ. საბინინი. იხ. М. Сабинин, История грузинской церкви до конца VI века, СПб, 1877, გვ. 128) სხვა შემთხვევაშიც და წერს: „ვრთანესი წერს მოსე ცურტაველს: „მე მივსწერ ქართლის მთავრებს და თუ ღვთის ნება იქნება, ისინი მალე ახალ კათალიკოსს აირჩევენო“ (გვ. 336). ისე გამოდის, თითქოს ქართლის მთავრები კათალიკოსს ვრთანეს ქერდოლის ბრძანებითა და მითითებით ირჩევდნენ. სინამდვილეში კი „ეპისტოლეთა წიგნში“ სულ სხვა რამ წერია (მოტანილი წინადადება მცდარი თარგმანია უხტანესის მიერ ინტერპოლაციებული ტექსტისა). ვრთანესი წერს მოსე ცურტაველს, რომ უახლოეს ხანებში სომხეთში კათალიკოსის აირჩევენები უნდა ჩატარდეს და როცა აირჩევენ, შენ საქმესაც ის იტვირთავსო. ქართლის მთავრები „ეპისტოლეთა წიგნში“ ნახსენებიც არ არიან, ხოლო „კათალიკოსის დასამაში“ მხოლოდ სომხეთის კათალიკოსი იგულისხმება.

¹⁰² კირონი რომ თავი სომხეთის კათალიკოსის მოადგილის ტოლად არ მიაჩნდა, კარგად ამჩნევს მ. თ რ მ ა ნ ი ა ნ ი ც (სკყაყაილიძე, § 403).

თუ თქვენ მოგიხდებათ წასვლა (ქართლს — ზ. ა.), ვინაობა
ჯეთ და მოიგონეთ უფლის დარიგება წინასწარმეტყველის პირით...¹⁰³

როგორც ჩანს, ვრთანეს სომხეთის მთავრების ნებართვით
შე არ შეუძლია ქართლში წასვლა რელიგიურ საკითხებზე მსჯელობი-
სათვის და სთხოვს მოსე ეპისკოპოსს: „უბრძანე თქვენს ნაცნობ და სა-
ყვარელ მთავრებს, მოსწერონ ჩვენი ქვეყნის დიდებულ მთავრებს, რომ
ჩვენვე წამოვიდეთ ამათი ბრძანებით და ქრისტე
ღმერთის შეწევნით ვამხილოთ“¹⁰⁴.

ვრთანესი ასევე სთხოვს პეტრე ეპისკოპოსს: „მოსწერეთ ჩვენი
ქვეყნის დიდებულ მთავრებს, რომ მანდეთ გამოგვიშვან და
იყოს ისე, როგორც ღმერთს ჰნებავს“¹⁰⁵. თუ მოსე ცურტაველისაღმა
მიწერილ წერილში ვრთანესი ქართველთა მხილებით იმუქრება, კი-
რონის წინაშე თავდაცვაზე ზრუნავს: „მოსწერეთ ჩვენი ქვეყნის დიდ-
ებულ მთავრებს ერთად, რათა მოვიდეთ მანდ და როგორც შო-
რიდან წერილის მცნებებით, ეგრევე წმინდა წერილის პირისპირ მოწ-
მობით, ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტება ცხად-
დგეთ“¹⁰⁶.

მოტანილი ნაწყვეტიდან სრულიად აშკარაა, რომ ქართული ეკ-
ლესია VII ს. I ნახევარში მაინც არაფრით არ არის სომხურზე დამოკი-
დებული და სომხეთის კათალიკოსის მოადგილეს არ ძალუძს ქართლის
კათალიკოსის ბრალმდებლის როლი იკისროს. კირონის ჩასვლაზე
ღვინში ლაპარაკიც კი არ შეიძლება და სომხეთის კათალიკო-
სის მოადგილე ქართლის კათალიკოსს თვით უნ-
დაეახლოს.

მას შემდეგ, რაც დავინახეთ, რომ სომხეთის კათალიკოსის მოად-
გილე თავის სწორად არ უცვნია კირონს და მისთვის თავი არ გაუყად-
რებია, ბუნებრივია, ველოდით, რომ თვითონ კათალიკოსები თანაბარი
ხარისხის მქონენი იქნებოდნენ. ამ თვალსაზრისით საჭიროა მათი ოფი-
ციალური მიმოწერის პრეამბულა იქნეს გულდასმით განხილული.

აბრაამისგან კირონის მოკითხვის ფორმა ასეთია: „სიწმინდისმო-
ყვარე უფალს კირონ ქართლის კათალიკოსს და სხვა თანამოსაყდრეთ
შენთა, აბრაამ სომეხთა კათალიკოსისგან და სხვა ჩემი თანამოსაყდრე
ეპისკოპოსებისგან უფლით მოკითხვა“¹⁰⁷.

კირონი პასუხობს: „სიწმინდისმოყვარე და პატიოსან უფალს, აბ-
რაამ სომეხთა კათალიკოსს და ყველა შენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსს,

103 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 35.

104 იქვე, გვ. 37—38.

105 იქვე, გვ. 40.

106 იქვე, გვ. 43.

107 იქვე, გვ. 66.

კირონ ქართლის კათალიკოსისა და ჩემი თანამოსაყდრე ყველა ეპისკოპოსისგან ამ წმინდა ჯვრის კურთხევით მოკითხვა¹⁰⁸.

„ეპისტოლეთა წიგნში“ შემონახული კირონის პირველი მოციქულია: ეს მოსაკითხი ნაწილი უფრო სრულად უხტანესსა აქვს მოცემული: „სიწმინდისმოყვარე ჩემს უფალს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს და ყველა შენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსს, კირონ ქართველთა კათალიკოსისგან ღრმა თაყვანისცემით და სიყვარულით მოკითხვა და ყველა ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსისაგან ასევე სიმდაბლით მოკითხვა და წმინდა ჯვრისაგან კურთხევა“¹⁰⁹.

კირონისგან აბრაამის მოკითხვის უხტანესისეული ფორმულა ამ ადგილას დამატებული ჩანს (იხ. კომენტარები, I, შენ. 1), მაგრამ საერთოდ „ეპისტოლეთა წიგნისთვის“ სანდოდ მიგვაჩნია იმიტომ, რომ კირონი ამ ფორმას სხვაგან არსად არ ღალატობს და არ ივიწყებს „ღრმა თაყვანისცემით მოკითხვას“. როგორც ვხედავთ, კირონისა და აბრაამის მოსაკითხებს შორის განსხვავებაა, მაგრამ ეს განსხვავება სრულიადაც არ არის ქართლის კათალიკოსის დამოკიდებულების მიჩვენებელი და მხოლოდ კირონის ზრდილობასა და დიპლომატიურ მოქნილობაზე ლაპარაკობს. ასე მდებლად მოკითხავს კირონი სომხეთის მთავრებს და აზნაურებსაც, თუმცა მათ შორის რაიმე იერარქიულ დამოკიდებულებაზე (საერო და საეკლესიო პირებს შორის) ლაპარაკი შეუძლებელია. ამასთან, სომხეთის მთავრებიც სწორად ისეთივე გამოთქმებით მოკითხავენ ქართლის კათალიკოსს: „სიწმინდისმოყვარე უფალ კირონ ქართლის კათალიკოსს, სხვა თქვენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსებს და მაგ ქვეყნის მთავრებს ატრნერსეს და ყველა წარჩინებულს სმბატ გურჯანის მარზპანისა და უფალთა მხედრისგან, გიგ დაშტკარანისგან, სომეხთა მოძღვრის შარსალარისგან და სხვა აზნაურთაგან სიმდაბლით და სიყვარულით მოკითხვა“¹¹⁰.

კირონი პასუხობს: „დიდებულ უფალს სმბატ გურჯანის მარზპანს და უფალთა მხედარს, გიგ დაშტკარანს, სომეხთა მოძღვარს შარსალარს და მაგ სომეხთა ქვეყნის სხვა აზნაურებს წმინდა ჯვრისაგან ლოცვა და კირონ ქართლის კათალიკოსის, ყველა თანამოსაყდრე ეპისკოპოსისა და მთავრების — ატრნერსეს... და ქართლის ქვეყნის ყველა წარჩინებულისგან ღრმა (მდაბალი — ზ. ა.) თაყვანისცემითა და სიყვარულით მოკითხვა“¹¹¹.

ამრიგად, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ „ღრმა თაყვანისცემითა და სიყვარულით მოკითხვა“ კირონის ინდივიდუალური სტილია ურთი-

108 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 69.

109 იქვე, გვ. 69, იხ. სქოლიო.

110 იქვე, გვ. 72—73.

111 იქვე, გვ. 76.



ერთობისა და რაიმე იერარქიულ დამოკიდებულებაზე არ მიუთითებს ამ გარემოებას განსაკუთრებით ნათელს ხდის კირონის პასუხი მესამე წერილზე. კირონს უკვე გადაწყვეტილი აქვს შეწყვიტოს რელიგიის შესახებ კამათი და საკმაოდ მკაცრად აცნობებს აბრაამს: „ამ მსჯავრის შესახებ ნუღარას მომწერ და ნუ დაშვრები, თორემ პასუხს არ მიიღებ... უნდა თუ არა ვისმეს, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“¹¹². ვის შეუძლია ეპკვი შეიტანოს იმაში, რომ ამ სიტყვებს თანაბარი რანგის მქონე საეკლესიო მოღვაწე ამბობს, მაგრამ მოკითხვის ფორმა ამ წერილსაც სწორედ იგივე აქვს. რაც ჰქონდა პირველს. კირონისა და აბრაამის სრულ თანასწორობაზე მიუთითებს აბრაამის მესამე წერილის დასაწყისიც: „რა ექნათ, ჰოი, პატიოსანო ძმაო!“¹¹³ მიმართავს იგი. გასაგებია, რომ ასეთი გამოთქმით კათალიკოსი მხოლოდ თავის სწორს მიმართავდა.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ ვრთანეს ქერტოლისათვის კირონთან შეხვედრის ერთადერთი საშუალება არსებობდა: იგი თვით უნდა ხლებოდა ქართლის კათალიკოსს. ამ გარემოებამ ის დასკვნა გავაკეთებინა, რომ სომხეთის კათალიკოსის მოადგილე ქართლის კათალიკოსის სწორი არ არის. ახლა ვნახოთ იმავე შემთხვევაში რა პოზიციას იკავებს სომხეთის კათალიკოსი აბრაამი.

აბრაამი საკათალიკოსო საყდარზე ავიდა. საერთაშორისო ეთიკეტი მოითხოვს მეზობელი ქვეყნის კათალიკოსი დაესწროს ცერემონიას. კირონი არ მონაწილეობს მის კურთხევაში. გასაგებია, რომ აბრაამი შეიძლება უკმაყოფილო იყოს ამ გარემოებით. ხოლო, თუ კირონი მისი ხელქვეითი არქიეპისკოპოსი იქნებოდა, აბრაამს შეუძლია მისი შერისხვაც კი. ვერაფერს ამის მსგავსს ვერ ვხედავთ აბრაამის პირველ ეპისტოლეში. იგი არც ერთი სიტყვით არ ახსენებს კირონის მასთან გამოუცხადებლობას და, პირიქით, სურვილს გამოთქვამს სადავო საკითხებზე მოსალაპარაკებლად თვითონ გაუგზავნოს ეპისკოპოსები: „გვსურდა თქვენ სიწმინდესთან გამოგვეგზავნა ეპისკოპოსები და წმინდა წერილთა მცოდნენი, რომ გაეცნოთ თქვენთვის ქალკედონის კრებისა და ლეონის ტომარის ვნება, საბილონის ბილწი სჯული და უწმინდური ქცევა, რაც ამიერიდან შემოვიდა მაგ ქვეყანაში, რისთვისაც სიწმინდისმოყვარე ეპისკოპოსი ღვენილია“¹¹⁴.

კირონი თავდაპირველად პასუხობს. მას არ აეიწყდება, რომ მოვალე იყო სომხეთის კათალიკოსის კურთხევაზე გამოცხადებულიყო (საერთაშორისო ეთიკეტი) და ბოდიშს იხდის. რაც შეეხება ეპისკოპოსების გაგზავნას, იგი თანახმაა მიიღოს ისინი. მაგრამ იმ პირობით კი, რომ

¹¹² ეპისტოლეა წიგნი, გვ. 102.
¹¹³ იქვე, გვ. 91.
¹¹⁴ იქვე, გვ. 68.



არა მარტო ასწავლიან ქართველებს, არამედ მათგანაც ისწავლიან, რომ მწერდით, გვსურდა ეპისკოპოსები გამოგვეგზავნა, რათა მოსულიყვნენ და ესწავლებინათ, თუ გსურთ, გამოგვზავნეთ. დაე, მოვიდნენ, რომ გვასწავლონ და ისწავლონ. მაგრამ მე უნდა მოვსულიყავი და მელოცა მაგ წმინდა ეკლესიაში და თქვენგან მიმელო კურთხევა, ან გამომეგზავნა ჩემი მოწაფეები, რომ თქვენი სიწმინდის მოკითხვა ჩემთან მოეტანათ. მაგრამ უკეთურმა დრომ და ქვეყნის საჭიროებამ შეგვაფერხა¹¹⁵.

საინტერესო კიდევ ის გარემოებაა, რომ კირონი არათუ სომხებისგან გამიჯვნის, არამედ რელიგიის საკითხებზე კამათის სურვილსაც კი არ აქვდავანებს.

აბრაამი შემდეგ თავის წერილში კირონზე გავლენის მოსახდენად უფრო რადიკალურ საშუალებას მიმართავს; იგი მასთან პირადად შეხვედრის სურვილს გამოთქვამს: „მაუწყე ადგილის შესახებ შენს საზღვარში, გინდა ჩვენსაში, სადაც წმინდა აღდგომის შემდეგ ვნახავთ ერთმანეთს, და თუ მასთან რაიმე სიმრუდე აღმოჩნდება, დაე, საქვეყნოდ იქნეს მხილებული“¹¹⁶.

აბრაამი არ უყენებს რაიმე ულტიმატურ წინადადებას კირონს. მას ფიქრადაც არ მოსდის, რომ შეუძლია მისი დვინში გამოძახება და, კირონის სურვილის მიხედვით, მზად არის ქართლშიც კი ჩამოვიდეს. აშკარაა, აბრაამმა არაფერი იცის ქართლის ეკლესიის სომხურზე იერარქიული დამოკიდებულების შესახებ. იმის შესახებ, რაც ასე „ქარგად იციან“ მოგვიანო ხანის სომეხმა ისტორიკოსებმა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილის მცველის პრაქტიკა სომხეთისთვისაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამას მხარს უჭერს „პატიმოვინიცი“: „ხოლო მისცა მათ ნაცუ-ლად მისსა სანატრელი მასტოცი დამცველად საყდრისა მისისა“ (თ. უო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I გვ. 337). როგორც ჩანს, ვრთანეს ქერდოლი სწორედ იმ შინაპოლი-ტიკური გართულებების გამო, რაზეც მიუთითებდა ნ. აკინიანი, უფრო დიდხანს გწე-ოდა ადგილის მცველის ტვირთს და ქართველ-სომხთა საეკლესიო განხეთქილებაში მონაწილეობის გამო უფრო მეტად გაითქვა სახელი, ვიდრე სხვა ადგილის მცვე-ლებმა.

4. 604—607 წლებში იყო სომხთა კათალიკოსის ადგილის მცველი. ნ. აკინი-ანის დახასიათებით, ვრთანესი დიდად განათლებული, ბერძნული ენის მცოდნე და ეროვნული ეკლესიის ფანტიკურად ერთგული ანტიქალკედონიტი მოღვაწე იყო (**Արքանէ քերթոյ և յար եկსպիրօკոնსեր, Հանդէս ամսորայ, 1910, გვ. 8—11, 37—46; Կիրիւն...**, გვ. 128—131). მის კალამს მიაწერენ ხატმებრძოლეთა წინა-აღმდეგ დაწერილ პირველ პოლემიკურ ნაწარმოებს. შესაძლებლად თვლიან მასვე ეკუთვნოდნენ კომიტას კათალიკოსის მიერ რიფსიმეანთა სამარტვილოს აშენების მოკლე ისტორია. ვრთანესის ვრცელი დახასიათება აქვს მოცემული უხტანესს (II, გვ. 59—60). საყურადღებოა, რომ უხტანესი ვრთანეს ქერდოლს და 607 წლის კრების მონაწილე შარსალარ სომხთა მოძღვარს ერთსადაიმავე პირად თვლის (იხ. შენ. XV, 5. **Հ. Ա. Ս. Ն. Ա. Յ. Ա. Ն. Հայոց անձնանուններ...**, V, გვ. 130).

5. **Քերթոյ (քերթոյ)**-ის ბერძნული შესატყვისია *γαμματιζός* (იხ. **Նոր բառիկք հայկագեան լեզուի, Վենետիկ, 1857**).

6. გამოთქმა **იღიჯნი** წარმოიქმნა არ ჩანს სომხურისთვის დამახასიათებელი და „ეპისტოლეთა წიგნში“ მხოლოდ ორჯერ არის ნახმარი. ორჯერვე მოსე ცურტავის თვისკობისა ასეთი წარმოებების ავტორი. საქმე ის არის, რომ სომხურში **იღიჯნი** თვისთონ ნიშნავს მოკითხვას და მოხესთვის სრულად საკმარისი იყო ეთქვა: **և արա-կ იღიჯნი**. ჩანს, ჭართულ-სომხურ სამყაროში გაზარდილი, ჭართული ენის კარგი მცოდ-ნე მოსე ცურტაველი ჭართული მოკითხვის ფორმებს იყენებს და თავის უნებურად ტავ-ტოლოგია გამოსდის: „ამასთან ერთად მოკითხვის მოკითხვა“ (დაკვირვება პროფ. ილ. აბულაძეს ეკუთვნის). ამის გამო **იღიჯნი** თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ვთარგმნეთ და მოსეს ვათქმევინეთ ისე, როგორც გულისხმობდა: „სიმრთელის მოკითხვა“.

7. ცურტავის შესახებ ლიტერატურისთვის იხ. ილ. აბულაძე, მარტვლობა „შუშანიკისი, ტფილისი, 1938, გვ. 051—052; დამატებით, ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპევის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962, გვ. 174. დ. ბერძენი შვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, 1964, გვ. 25—27.

8. გაძნელდა ქართულად გადმოღება სომხური სიტყვისა **იყიციხის**. ივ. ჯავახიშვილი მას „ენად“ (**Язык**) თარგმნის, რაც ზუსტი არ არის, თუმცა კი შესაძლებელია კონტექსტს უღებოდეს. „მწიგნობრობა“ კი **იყიციხის**-ის ზუსტი შესატყვისია და „მოძღვრების“ (**Источники**) სინონიმია. დაწერილებით ამ საკითხზე მსჯელობა გვექნება წიგნის II ნაწილში.

9. უხტანესის ქრონოლოგიით ეს უნდა მომხდარიყო 599/600 წლებში და მაშინ მოსე 30 წლის უნდა ყოფილიყო (უხტანესი, II, გვ. 7). რუის-ურბნისის ძეგლის-წერით საქართველოში ეპისკოპოსი მხოლოდ 35 წლის ასაკში შეიძლება დადგენილიყო (ქრონიკები, II, გვ. 62; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ტფილისი, 1929, გვ. 9). ცხადია, უხტანესის ცნობა საინტერესოა უფრო აღრინდელი წესის გასარკვევად. „პიტიახშის“ შესახებ ლიტერატურისთვის იხ. ლ. ჯანაშია. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962, გვ. 168—179; ა. ბოგვერაძე, ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963, გვ. 55—69; Toumanoff C. Iberia on the Eve of Bagratid Rule, Excursus A. The vitaxae of Gogarene, Le Muséon, LXV, 3—4, 1952.

10. მოსე ცურტაველი გულისხმობს ნესტორიანების მოძღვრებას მარიაშ ღმრთის-მშობლის შესახებ. ნესტორიანების მტკიცებით ღმერთმა-ლოგოსმა კერძო ადამიანის სორტი შეისხა და მასში ჩასახლდა როგორც ტაძარში. ამდენად, იესუ ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანია, ოღონდ საუკეთესო თვისებებით შემკული, რომელიც ჩასახლებლად აირჩია ღმერთმა-სიტყვამ. ნესტორიანები მარიაშ ღმრთისმშობელს კი აღარ უწოდებდნენ, არამედ *Ἀντριπαιστοჯ*-ს (ადამიანის მშობელი) და უკეთეს შემთხვევაში *Χριστοჯ*-ს (ქრისტეს მშობელი). მონოფიზიტები ერთმანეთისგან აღარ განარჩევდნენ დიოფიზიტების ორ შტოს — ნესტორიანებს და ქალკედონიტებს და ღმრთის ძის უარყოფას ორივეს მიაწერდნენ.

11. მოსე ეპისკოპოსს მხედველობაში აქვს „ახალი აღთქმა“, მათე, 21, 22.

12. შედგა 451 წელს ქალაქ ქალკედონში და ცნობილია IV მსოფლიო კრების სახელით. კრებამ დაგმო ეფესოს ე. წ. ყაჩაღური კრება და შეიმუშავა ახალი სარწმუნოების სიმბოლო, რითაც საბოლოოდ გაიმიჯნენ დიოფიზიტები და მონოფიზიტები.

13. იმდენად არის მოსე ეპისკოპოსი ნაწყენი კირონზე, რომ სახელით არსად არ იხსენიებს და ყველგან „კათალიკოსად წოდებულსა“ წერს. მოსე ამას სრულიად შეგნებულად აკეთებს და, როგორც ჩანს, უხტანესი ვერ მიმხედარა მის განზრახვას. კრიტიკის მისამართი რომ შეუმცდარი იყოს, უხტანესი ცდილობს თავის რედაქციაში შეიტანოს „კირონ“ სახელი. სადაც კი ამის საჭიროება გაახსენდება. ამიტომ „ეპისტოლეთა წიგნის“ უხტანესისეულ რედაქციაში ვკითხულობთ: „როცა შევიტყე კირონისგან დიდების მიცემა...“ უხტანესის ასეთი დაუკვირვებლობის გამო ჩვენთვის ზშირად არაერთარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს მის მიერ დამატებული წინადადებების გამოცნობა (იხ. შენ. I, 19).

14. იგულისხმება 604—607 წლები, როდესაც მოსე სომეხთა კათალიკოსი უკვე გარდაცვლილია, ხოლო აბრაამი ჯერ არ არის არჩეული. ს. კაკაბაძის აზრით, „მთელი ცნობა უხტანესისა, თითქოს მოსეს სიკვდილის შემდეგ აბრაამ კათალიკოსადმის სან წილოწადს გაეველოს, წარმომდგარი უნდა იყოს დაწერილობითი ხასიათის შეცდომისაგან, სახელდობრ, სიტყვების **ამ** (წელიწადი) და **ამაჲ** (თვე) ერთმანეთში აღრვეისაგან (დასახლებულ ადგილას უნდა იყოს **დხრქა ამჲსაჲ**)“ (სისტორიო კრებული, II, გვ. 44; შდრ. M. Brosset, Deux historiens... p. 289). ასეთი მსჯელობის შემდეგ ს. კაკაბაძე იძლევა მოსე კათალიკოსის ზეობის სომხურ ისტორიოგრაფიაში მი-



არაფერი მიუწერია. უხტანესი იძულებულია ასეთივე ჩანართი გააკეთოს ვრთანესის პასუხშიც: „აგრეთვე კირონს და იმ ქვეყნის მთავრებს მიეწერთ ღმრთისა და მისი ძღვრობით“ (გვ. 5). მოსე ეპისკოპოსი ვრთანესს მეორე წერილში სთხოვს კირონს და მის თხოვნას კათალიკოსის ადგილის მცველი იწყნარებს კიდევ.

20. წერილის ბოლოს მოკითხვის ფორმულა არსად არა აქვს შემონახული A რედაქციას. სამაგიეროდ მას თითქმის ყველგან იცავს უხტანესი.

ცხადია, უხტანესის რედაქცია უფრო ახლოს უნდა იყოს ორიგინალთან და ჩვენც ყველგან ძირობად ტექსტში შევიტანეთ.

II

3. 1 კორინთელთა 10. 33.
2. იქვე.
3. 1 კორინთელთა 10. 33.
4. უხტანესის დამატების შესახებ იხ. შენ. I. 19.

5. უნდა იგულისხმებოდეს 606 წლის დენის კრებისთვის მზადება, რადგან ვრთანესის წერილი 606 წლის დამდგეს არის დაწერილი. 607 წლის გაზაფხულზე შემდგარი კრება რომ იგულისხმებოდეს, რომელზეც კათალიკოსის არჩევნები წარმატებით დამთავრდა, ამ წერილის დაწერის თარიღად 607 წლის ზამთარი მაინც უნდა გვეგულისხმა. მაშინ მოსეს ეპისტოლესა და მასზე პასუხს შორის მთელი წელი გვექნებოდა ინტერვალა.

III

1. იერემია 2. 8.
2. იერემია 23. 1—3.

3. „ეპისტოლეთა წიგნის“ ანტონიანთა ძმობისეულ ხელნაწერში აქ ნიკიჩიოდან წერია. ასეთი სიტყვა სომხურ მწერლობაში საერთოდ არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, სტ. მალხასიანცმა მაინც შეიტანა თავის განმარტებით ლექსიკონში, შესაძლოა ვიციანის (გაფანტვა, გაბნევა) სინონიმი იყოსო. „ეპისტოლეთა წიგნის“ უხტანესისეული რედაქცია კი გიჩვენებს, რომ საქმე გადამწერლის შეცდომასთან გვაქვს და ნიკიჩიოდანის მაგიერ უნდა ეწეროს სიიქსიოდან.

4. ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე (39—81) რომის იმპერატორია 79—81 წლებში. ე. წ. იუდეველთა ომის დროს (66—73) სარღლობდა რომის ჯარებს. 70 წელს აიღო და შემუსრა იერუსალემი.

5. ბიზანტიის იმპერატორი 450—457 წლებში. საეკლესიო ისტორიაში სახელი გაითქვა მონოფიზიტების სასტიკი დევნით. თვითონ ესწრებოდა ქალკედონის კრების შექმნას სხდომას. მისმა ჯარებმა დიდი როლი ითამაშეს ქალკედონიანელთა წარმატებაში.

6. ქალიშვილი იმპერატორ არკადიუსისა, და თეოდოსი მეორისა, მეუღლე მარკიანესი. აქტიურად უჭერდა მხარს მარკიანეს ანტიმონოფიზიტური პოლიტიკის გატარებაში.

7. კონსტანტინეპოლის პატრიარქი 428—431 წლებში. ნესტორიანთა სექტის ერესიარზი. 431 წლის ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მოიკვეთა.



რიცხულია, რომ მოსესთვის ქართველთა ეპისკოპოსი ეწოდებინათ VII საუკუნის დამდეგს. მაშინ ჯერ არ ფარავდა ქართველობა და ქალკედონიანობა ერთმანეთს. ზოლო გვიან, როცა უკვე ფარავდა, გამოთქმა „ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“ მეტად უხერხული იქნებოდა მონოფიზიტისთვის. შეიძლება ისიც გვეფიქროს, რომ **ქრისტიანული** ქართლის ეპისკოპოსს ნიშნავს, მაგრამ მაშინაც უფრო გვიანდელ რედაქციასთან გვექნებოდა საქმე, ვიდრე VII საუკუნის დამდეგია. იმ ხანებში გამოთქმას „ქართლის ეპისკოპოსი“ უეჭველად „ქართლის კათალიკოსთან“ გააიგივებდნენ. ყველა ეს მომენტი ზემოთ თქმულთან ერთად (შენ. IV. 1) გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გვიანდელ დანამატთან და იგი მცდარად მიეწერება მოსე ცურტავის ეპისკოპოსს.

3. ბიზანტიის კეისარი (408—450) თეოდოსი II. საეკლესიო პოლიტიკაში მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა კირილე ალექსანდრიელზე და მხარი დაუჭირა ეფესოს III მსოფლიო კრებაზე (431 წ.). ნესტორიანთა მოკვეთას.

4. ალექსანდრიის პატრიარქი (412—444), განთქმული ქრისტოლოგი. 431 წელს III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დაამარცხა კონსტანტინეპოლის პატრიარქი ნესტორი და მიადწია მისი მოძღვრების დაგმობას. პარნაკის დასკვნით, კირილე ალექსანდრიელის მოძღვრება უკვე შეიცავდა ისეთ ელემენტებს, რაც შემდგომი განვითარებით მონოფიზიტობამდე უნდა მისულიყო (*История догматов*, გვ. 347). მის დროს არ იყო მკვეთრად გამოჩენილი ისეთი უმნიშვნელოვანესი ქრისტოლოგიური ტერმინები, როგორიცაა „ბუნება“ და „სახე“. ამან ის გამოიწვია, რომ კირილე ალექსანდრიელის მოძღვრება თანაბრად მისაღები გახდა როგორც მონოფიზიტებისათვის, ისე ქალკედონიანთათვის.

სომხური ეკლესიის ისტორიის სპეციალისტთა ერთი ნაწილი (კ. ტერ-მკრტიჩიანი) თვლის, რომ III მსოფლიო კრების შემდეგ სომხური ეკლესიის მრწამსს მნიშვნელოვანი ცვლილებები აღარ განუცდია. ამიტომ მას ვერც ზოგადად მონოფიზიტურს ეუწოდებთ და ვერც კონკრეტულად სევერიანულს ან ევლიანიტურს. მისი აზრით, სომხური ეკლესია კირილევანურად უნდა იწოდოს (**Կ. ՏԵՐ-ՄԿՐՏԻՉԻԱՆ, ԿՆԻՔ ԿԱՏԱՌՈՅ, ՆԵՄԻՃԱԾԻՆ, 1914, გვ. LVII—CVII.**)

5. ირონიული მითითება პულქერიანეს მიერ თავის დებთან ერთად დადებულ ქალწულობის აღთქმაზე.

6. რომის პაპი (440 წლიდან) ლეონ I. საეკლესიო მატრიანეები „ლეონ დიდს“ უწოდებენ. მისი ლეგატები ხელმძღვანელობდნენ 451 წლის ქალკედონის კრებას. ლეონ I განსაკუთრებით ცნობილია თავისი ეპისტოლეით (ტომარი), რომელიც მსოფლიო კრების წინ (449) გაუგზავნა კონსტანტინეპოლის პატრიარქს ფლავიანეს. აღნიშნული წერილი საფუძვლად დაედო ქალკედონის კრების მრწამსს და დღემდე ამ კრების მიმდევართათვის ქრისტოლოგიური ორთოდოქსიის ნიშნუს წარმოადგენს.

7. 449 წლის ეფესოს კრება. რომელიც საეკლესიო ისტორიაში ცნობილია „ყაჩაღური კრების“ სახელით. ამ კრებაზე დიოსკორე ალექსანდრიელმა თეოდოსი II-ის ხელშეწყობით ცნო ეკტიკიანობა (მონოფიზიტური მიმდინარეობა).

8. დიოსკორეს ცხოვრების კობტური რედაქციიდან ჩანს, რომ ექსორიაში მყოფ ნესტორის ქალკედონის კრების ორგანიზატორებმა გაუგზავნეს მოწვევა, მაგრამ იგი ცოცხალი აღარ ყოფილა. ზაქარია რიტორის მტკიცებით კი მოწვევა მიუღია და გზაში გარდაცვლილა. ორივე ვერსია იმას მოწმობს, რომ ქალკედონის კრება ნესტორიანობის წვალებად გამოცხადებას არ აპირებდა.

9. იხ. შენ. IV. 6.
10. სიმეონ მესვეტე (სტილიტი) ცხოვრობდა 390—459 წლებში. ასკეტობას ეწეოდა 417 წლიდან.



11. ძველ ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებში ბიზანტიულ ბერძნულ რომაელები ეწოდებათ. აქაც და სხვაგან ყველგან, სადაც რომაელებს ლაპარაკი, ბერძნები იგულისხმება.

12. „ყრმა“ აქ ეკლესიისადმი დამოკიდებულების აღმნიშვნელია. შეიძლება სხვა ქართული ტერმინიც გვეხმარა — „საყდრისშვილი“.

13. ბბლიის მიხედვით, იუდეველთა მეოხუთმეტე მეფე. სახელი გაითქვა წინასწარმეტყველების დევნით (აწამა ესაია).

- 14. რომაელთა 9. 5.
- 15. 1 იოანესი 5. 20.
- 16. 1 კორინთელთა 2. 2.
- 17. 1 პეტრესი 4. 1.
- 18. საქმე მოც. 2. 31.
- 19. 1 იოანესი 5. 20.
- 20. მათე 18. 20.

21. სომხური **ოზოროვია** (**ოიზო** + **ოროვია**) ზუსტი გადმოცემაა ბერძნული *oizorovia*-სი. არსენი იყალთოელი ქართულად მის შესატყვისად „განგებულება“ წერდა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1463, 78v). მაგრამ „განგებულება“ ძველ ქართულ მწერლობაში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ამიტომ ექვთიმე ათონელი *oizorovia*-ს უფრო ზუსტ ქართულ შესატყვისს იძლევა „განაკებებისა განგებულება“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—853, 43r. ცნობა მოგვაწოდა ფილ. მეცნიერებათა დოქტორმა თ. ჭყონიამ), ჩვენც ექვთიმე ათონელის გამოცდილება გამოვიყენეთ.

- 22. ეკლესიასტე 10. 8.
- 23. იგავნი 26. 27.
- 24. რომაელთა 16. 17.

25. ებრაელთა 13. 8. სომხურ ტექსტში წერია **მჩ იანოვაცკ**, რაც ქართულად ნიშნავს „ნუ იმერყეებთ“. ჩვენ ქართული „ახალი აღთქმიდან“ ციტატი უცვლელად დავტოვეთ.

- 26. ზოგჯერ ამ სახელით იწოდებოდნენ ნაბატეველნი.
- 27. 1 პეტრესი 3. 15.
- 28. ებრაელთა 10. 31.
- 29. რომაელთა 12. 19.

30. ბიზანტიის კეისარმა ზენონმა (474—491) 482 წელს გამოსცა ერთიანობის აქტი, რომელსაც ჰენოტიკონს (*ἕνωσιζόν*) უწოდებენ. ჰენოტიკონი ცდილობდა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების მორიგებას და გაურბოდა ისეთ გამოთქმებს, როგორცაა „ერთი ბუნება“ ან „ორი ბუნება“.

- 31. მათე 20. 16.

V

- 1. შდრ. მათე 13. 23.

VI

1. გულისხმობს დვინის 506 წლის კრების გადაწყვეტილებს. იხ. აბრამ სომესთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე კირონს, გვ. 97—99.

5. ხუციკი ეპისკოპოსის შესახებ შედარებით დაწვრილებით მოგვითხრობს უტბანესი. მისი ცნობით, კირონის მიერ ხელდასხმულ ხუციკ ეპისკოპოსს სხეული ეწოდა ლეობა. მისი მოსული იყო „რომაელთა ქვეყნიდან, კოლონიის გავარდნილი“ ხუტარიმადან, [რომელიც] ნიკოპოლისის მახლობლად [მდებარეობს]“ (II, გვ. 5). არსიდან არ ჩანს, რომ კისი (უტბანესის განმარტებით „ფიცს“ ნიშნავს) ხუტისტანიდან იყოს. შესაძლებელია, ხუციკი მას ნესტორიანობის გამო ეწოდა.

XI

1. ქართლის კათალიკოსი 599—616 (?) წლებში. ქართულ წყაროებში მის შესახებ ცნობები მეტად მწირად არის შემონახული. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში კირონი სრულიად არ არის მოხსენიებული, ხოლო კათალიკოსების სიის მიხედვით VII საუკუნის II ნახევარში აქვს ადგილი მიკუთვნებული (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რ ე დ ა ქ ი ე თ ი, თბილისი, 1963, გვ. 97). „ქართლის ცხოვრების“ სომხურად მთარგმნელს ამ სიის კირონი სომხებთან საეკლესიო განხეთქილების მოღვაწედ მიაჩნია და „ბილწს“ უწოდებს (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი, 1953, გვ. 261). იგი მართალი უნდა იყოს იმიტომაც, რომ საქართველოს ისტორიაში სხვა კირონ კათალიკოსი ჩვენ არც ერთი წყაროთი არ ვიცით. კირონის შესახებ სულ რაოდენ სიტყვაა ნათქვამი ისეთ ძეგლშიც კი, როგორც არის არსენი საფარელის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ (ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი, I, გვ. 320). სამაგიეროდ კირონ ქართლის კათალიკოსი არ გამორჩენია თითქმის არც ერთ სომეხ ისტორიკოსსა და პოლემისტს, რომელიც კი ქართველ-სომეხთა საეკლესიო კამათს ეხება.

ქართულ წყაროებში კირონს ქართლის კათალიკოსის სახელი სულ ორჯერ გვხვდება. ორგანვე იგი „კვირონ“ ფორმით არის დაწერილი. ვახუშტი ბაგრატიონი თავის ისტორიაში სრულიად არ იხსენიებს ამ კათალიკოსს, მაგრამ როგორც ჩანს, მის შესახებ რაღაც ცნობები აქვს და აკი ერთი ხელნაწერის არშიაზე შესატყვის ადგილას მინაწერსაც აკეთებს: „ამ უამებთა ცილება იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებისათჳს. ხოლო კვირონ ანუ სვიმონ კათალიკოსმან ქართლისამან განდევნა ცორტავს კათალიკოსი (sic) შუშანიკის საფლავისაგან მწველებლობისათჳს სომეხთა. და იქმნა უმეტესი განყრილებაჲ, ხოლო ჰერეთი იქმნა სომეხთა წვალებად მიდრეკილი. ესრეთ სწერენ ეკლესიის მემატრიანენი ქართველნი“ (ტომობა და შთამომავლობა ქართველთა, ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—756, გვ. 14). ჩანს, ვახუშტის მხედველობაში აქვს არსენი საფარელის ტრაქტატი, რადგან მისი ცნობის ფარგლებიდან არ გამოდის. თუ ასეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსენი საფარელის ტრაქტატის იმ ნუსხაში, რომელიც ხელთ ჰქონდა ვახუშტი ბაგრატიონს (ის გარემოება, რომ ვახუშტი „ცურტავის“ მაგიერ „ცორტავს“ წერს, შეიძლება ამ ნუსხის შემორჩენილებთან შედარებით სიძველეზე მიუთითებდეს) ქართლის კათალიკოსის სახელი წარმოდგენილი იყო „კვირონ“ ფორმით.

სომხურ წყაროებში ქართლის ამ კათალიკოსის სახელი ბეერჯერ გვხვდება და ფორმები სხვაობენ. „ეპისტოლეთა წიგნის“ სათაურები და ტექსტი ამ მხრივ დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სათაურებში ყველგან გვაქვს **სიპრიან** (კვირონ), ხოლო ტექსტში შვიდჯერ გვხვდება **სიპრიან** (კვირონ), ერთხელ **სიპრიან** (კვირონ) და ერთხელ **სიპრიან** (კვირონ). ვფიქრობთ, სურათი ნათელია: რედაქტორის ხელთ იყო უსათაურო წერილების კრებული. ტექსტში (სწორედ იმ ტექსტში, რომელიც VII საუკუნის დამდეგს იწერებოდა) ჩვენთვის საინტერესო სა-

წერებში და სომხურ წყაროებში („ეპისტოლეთა წიგნი“, მოსე კალანკატულის „გან-
ბანთა ისტორია“) მოხსენებული ატრნერსეს|ადარნასე ერთი და იგივე პირია. ერთა-
ნისის ამ წერილში პარველად გვხვდება ატრნერსეს სახელი. წერილი 1913 წელს
606 წლის ზაფხულს უნდა იყოს დაწერილი. ამიტომ ატრნერსეს მოღვაწეობის
მთავარი განსაზღვრისათვის მტკიცე თარიღი მხოლოდ ესა გვაქვს.

3. მთავრები ვაჰან და ბ[უ]ჰშიპირ (ტექსტის გვ. 35 ბუ[რ]შირში უფრო ძველი და
სწორი ფორმაა, ვიდრე გვიან გავრცელებული ბუზშირი. იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძ-
ველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960, გვ. 23) სხვა წყა-
როებით არ არიან ცნობილი. ნ. აკინიანი ვარაუდობს, რომ სპარსეთის მიერ ქართლში
მთავრად დაყენებული Barsamoases (Theophanis Chronographia, I, 319) შესაძლოა
ბ[უ]ჰშიპირი იყოს. იხ. **ჩიქლინი...**, გვ. 32. შენ. 1.

4. **სიძი** სიტყვა-სიტყვით „ცომს“ (საფუარს) ნიშნავს. ეს ორივე სიტყვა ძველ
სომხურსა და ქართულ მწერლობაში წვალების აღსანიშნავად იხმარება.

5. ევტიქიანელთა მონოფიზიტური სექტის ერესიარხი. მისი მოძღვრებით ქრისტე
ხორცის შესხმამდე იყო ორი ბუნების, ხოლო განხორციელების შემდეგ ერთი ბუნე-
ბის დარჩა, რადგან ღვთაებრივმა შთანთქა კაცებრივი. კონსტანტინეპოლის 448 წლის
საეკლესიო კრებამ ევტიქიანობა დაწვევლა და ევტიქე არქიმანდრიტობისაგან განათა-
ვისუფლა.

6. არიანული მიმდინარეობის უციღურესი მემარცხენე სექტის ევნომიანების ერე-
სიარხი. გარდაიცვალა 395 წ. მისი სიკვდილის შემდეგ ევნომიანების სექტა დაიშალა.

7. სევერიანთა ერესიარხი. ანტიოქიის პატრიარქი (512—538). იგი სათავეში ჩა-
უდგა მონოფიზიტთა უციღურესად მემარცხენე ფრთას, რომელიც ყველაზე ახლოს იყო
დიოფიზიტებთან და დაუპირისპირდა უციღურესად მემარცხენე მიმდინარეობას იე-
ლიანე პალიკარნასელის მეთაურობით. სევეროსს ივლიანეს საპირისპიროდ ქრისტეს
სხეული ხრწნადად მიჩნდა. იგი თვლიდა, რომ ღვთაებრივ ბუნებას არ შთაუნთქავს
კაცობრივი, მაგრამ ეს უკანასკნელი ქრისტეში მხოლოდ სუბსტრატსმოკლებული ადა-
მიანური განსაზღვრებების ჯამია. საყურადღებოა, რომ VI—VII საუკუნეების მიჯ-
ნაზე სომხური ეკლესიის მიერ დამოხილ ერესიარხებს შორის ყველგან ეხვდებით
სევეროსს, მაგრამ ივლიანე პალიკარნასელი არსადაა, რაც იმას მოწმობს, რომ სომ-
ხური ეკლესია, არსენი საფარელის მტკიცების საწინააღმდეგოდ, არ იყო იაკობიტური.

8. პონტოელი გემების მებატრონე. 140 წელს ჩავიდა რომში და სცადა ეკლესი-
ის რეფორმის გატარება. განარჩევს ძველი და ახალი აღთქმის ღმერთებს. მისი მიმ-
დევრები VI—VII საუკუნეებში დაუახლოდნენ მანიქეიზმს. მათმა შენაერთმა მო-
გვცა პავლიკიანობა (VIII—IX სს.).

9. საბელიანელთა სექტის ერესიარხი. დამოხილ იქნა 261 წლის ალექსანდრიის
და 262 წლის რომის საეკლესიო კრებებზე.

10. ვალატელთა 1. 8.

11. ეკლესიასტე 10. 8.

12. ივანი 26. 27.

XII

1. მოსე ეპისკოპოსი გულისხმობს ტიმოთე ელურის ტრაქტატს „ქალკედონის
კრების განსაზღვრების წინააღმდეგ“. **ს ჩ ი ძ ი ა ს ხ ყ ხ ს კ ი ა ი ა ს ა ყ ხ თ ზ**
მ. ი ზ ე რ ა ნ ი რ ხ ა კ ზასქანოი-ქანს აო სანმანხასანს ქ ძიდიქინ-ჩაიქს-
იინი, ნოათ. 4. **ს ლ რ - შ ლ რ თ ჯ ხ ა ნ ი ს ხ ს. ს ლ რ - შ ქ ნ ა ს ხ ა ნ ი,** ლქა-
144



ბქნ, 1908 (ლიტერატურისათვის იხ. **ლ. მსელიქსე-ჩხეიძე, დრავი ადგილები**
ლაქათაოსის ქსი ლაქსის მათხნ, I, მსხსიქან, 1934, გვ. 48).

2. ბიზანტიის იმპერატორი (491—518). ანასტასი მონოფიზიტების მხარეზე
 დგომით დიდი სიმპატიები მოიპოვა აღმოსავლეთის პროვინციებში (სომხეთი, სირია
 და ეგვიპტე).

3. იხ. შგნ. IV. 1.

XIII

1. ვრთანესის პასუხი მოსე ეპისკოპოსის მესამე ეპისტოლეზე უხტანესს ორ
 წერილად აქვს გაყოფილი (გვ. 49, 50—53). პირველი ამ ადგილას წყდება და მთავრ-
 დება გამოსათხოვარი ფორმულით **Иде же Св. Св. Іакобъ** (იყავი მრთელად, უფალო
 ჩემო). ამის მომდევნო ნაწილი გარკვეული შემოკლებებით ცალკე წერილის სახით
 არის მოცემული. რომელი რედაქცია უნდა იყოს უფრო ადრინდელი? ივ. ჯავახი-
 შვილი „ეპისტოლეთა წიგნს“ აძლევს უპირატესობას, რადგან მეორე ნაწილის დასა-
 წყისში ვრთანესი კვლავ იმეორებს ცნობას წერილის მიღების შესახებ. ასეთი გამე-
 ორება კი სრულიად ზედმეტია, რადგან ადრესატი და ავტორი იგივენი დარჩნენ.
 ივ. ჯავახიშვილს ვერ გადაუწყვეტია, ასეთი დანაწილება უხტანესის ხელიდანაა გა-
 მოსული, თუ უკვე იყო „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ ნუსხაში, რომელიც ხელთ ჰქონ-
 და უხტანესს (*История церковного разрыва...* გვ. 438—439).

ვეფქრობთ, ვრთანესის პასუხი უხტანესის გაყოფილი არ არის და უკვე მის
 ხელთ არსებულ ნუსხაში (თუ ნუსხებში) ამ სახით იყო მოცემული. ჯერ ერთი, წე-
 რილის ასეთი დაყოფა ისტორიკოსის რაიმე მიზანდასახულობით ვერ აიხსნება და
 მეორეც, უხტანესის მიერ მეორე ნაწილისათვის წამოღვარებული კომენტარიდან ყვე-
 ლაფერი ცხადი ხდება: „წერს მას მისი მესამე წერილის პასუხს, რაც იმ უხანურთა
 შეუწყნარებელი წერილის შესახებაა და რომ ახლო დღეებში კათალიკოსი დაჯდებაო.
 და შემდეგ, რომ პასუხის შემდეგ სარწმუნოების სიმტკიცის სხვა წერილსაც წერს, რაც
 [მოხდა] მართლმადიდებელ მეფეთა ზენონისა და ანასტასის დროს“ (გვ. 50). აშკარაა,
 უხტანესს იმის თქმა უნდა, რომ ვრთანესმა მოსეს ორი წერილი გაუგზავნა. ერთი
 მიმდინარე ამბების შესახებ და მეორეც დამატებით საეკლესიო ისტორიის გარკვეუ-
 ლი პერიოდის შესახებ. ეს ორივე წერილი, რასაკვირველია, ერთად იქნებოდა გაგ-
 ზავნილი. გვიან, ალბათ, ორი რედაქციაც არსებობდა: ისეთი, სადაც ერთად იყო
 წარმოდგენილი და ისეთიც, სადაც გაყოფილი იყო. ეს უკანასკნელი ჰქონდა, ჩანს,
 ხელთ უხტანესს, ან კიდევ ორი რედაქციიდან უპირატესობა ამას მიანიჭა.

2. ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე I (518—527). რომთან დაახლოების მიზნით
 518—521 წლებში სასტიკად დევნიდა მონოფიზიტებს.

3. ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I (527—565). ატარებდა მერყევ რელი-
 გიურ პოლიტიკას: რომის პაპთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით დევნიდა
 მონოფიზიტებს (536 წლის კონსტანტინეპოლის კრება). 553 წლის კონსტანტინეპო-
 ლის მსოფლიო კრების დადგენილება კი ფაქტურად მონოფიზიტებისთვის დაბო-
 მბას ნიშნავდა (თეოდორე მოპუსესტელის, თეოდორიტი კვირელის და იბა ელესელას
 ნაშრომების დავმობა).

- 4. მცირე ზომის ნაღი.
- 5. 2 თესლონიკელთა 2. 3.
- 6. 1 ტიმოთეს 4. 1.



მეორეგან **ჩიონსაგ** (ბუუნა). ცხადია, უხტანესისეული **ჩინონსაგ** უფრო მარტოა და ჩვენც ასევე დავტოვეთ როგორც სომხურ ტექსტში, ისე ქართულ თარგმანში.

10. „ეპისტოლეთა წიგნში“ ამ საეპისკოპოსოს სახელწოდების ორი ვარიანტია მოცემული **სიკი** და **სიკი** (ლ-ც და ღ-ც ძველ სომხურში ლ-ღ ისმოდა). სახელობით ბრუნვაში, ცხადია, **სიქ** ან **სიქ** უნდა გვქონდეს. ეს სახელი ბევრ მეცნიერს აგდებდა საგონებელში, სანამ ნორაირ ბუზანდაციმ ნ. აკინიანისადმი მიწერილ წერილში არ გაარკვია, რომ სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში არის ასეთი გეოგრაფიული პუნქტი და ძველ სომხურ წყაროებში ზოგჯერ **სიქი** ფორმითაც გვხვდება. (**Հանդէս ամսօրեայ**, 1909, № 7, გვ. 218). საინტერესოა, რომ იგივე პუნქტი უხტანესს ერთი შეხედვით სულ სხვა სახელით აქვს მოხსენებული. სახელდობრ, **ყაიკი** და **ყაიკი**. ცხადია, აქ გადამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე. მიჯრით ნაწერი **მინანსკახიკი** ან **მინანსკახიკი** მან მცდარად გაყო და მიიღო **მინანსკახიკი**. პრ. აჭარიანიც აქ გადამწერის შეცდომას ხედავს, მაგრამ უპირატესობას უხტანესის ვარიანტს ანიჭებს (**Անճնանուններ**..., III, გვ. 530).

11. სწორი ფორმა სახელობით ბრუნვაში არის **სკრსა** და **ღრსა**, ნათესაობითში **სკრსიკი**. ანონიმური გეოგრაფიის მიხედვით სომხეთის სპარსულ ნაწილში შედის (**Հանդէս ամսօրեայ**, 1909, № 7, გვ. 219; **Ս. Տ. Երեմյան, Հայաստանը և Արևելյան Ասիայի մասին**, 1963, გვ. 53). მ. ორმინიანი თვლის, რომ **სკრსა**-ს სამწესო **სკრსიკი**მ გეგართან უნდა იქნეს გაიგივებული (**Ազգայնագիտ.**, § 410).

XV

1. უხტანესის რედაქციაში ეს ხელწერილი ორ ნაწილად არის გაყოფილი (II, გვ. 57—58). პირველია ხელწერილი, რომელიც მისცეს ეპისკოპოსებმა სმბატ ბაგრატიუნის და მეორე—ხელწერილი, რომელიც უკვე ამან მისცა სომხეთის ეპისკოპოსებს. ძნელი სათქმელია, როგორ იქნებოდა დედანში. ვფიქრობთ, უხტანესის ვარიანტი არ უნდა იყოს სწორი. ამას მოწმობს მთელი ხელწერილის აგებულება, რომელსაც მხოლოდ ერთი დამტკიცება აქვს სმბატისა და მისი ძმების პირობის შემდეგ. უხტანესის სათაურიც ამ დაყოფის შესაბამისად არის შეცვლილი. ნაცვლად წინადადებისა „და ეს ხელწერილი მისცა მათ“, წერია: „და თავისი ხელწერილი მისცა მათ“ (**և զկար ձեռնարկն ևս ևուց**).

2. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დავაა: VI—VII საუკუნეების მიჯნაზე სომხეთში ორი სმბატ ბაგრატიუნი მოღვაწეობს, თუ ერთი. ქ. პატკანიანი (**История императора Иракла, соч. Себеоса, С. Петерб., 1862**) და სტ. მალხასიანცი (**История епископа Себеоса, Ереван, 1939, стр. 161**) თვლიან, რომ სეზოსის „ისტორიაში“ ორი სმბატ ბაგრატიუნის შესახებ არის საუბარი: ერთი მაგრივე კეისრის დროს, ბიზანტიის კარზეა, ხოლო მეორე ხოსრო მეორის დროს სპარსეთის დიდი მოხელეა.

საწინააღმდეგო აზრის არიან: სენ-მარტენი (**J. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie, I, გვ. 332—333**), ლ. ალიშანი (**Հայաստան**, გვ. 216—218), მ. ორმინიანი (**Ազգայնագիտ.**, გვ. 585), ი. მარკვარტი (**Վրական Բագրատունեան ծագում**, **Հանդէս ամսօրեայ**, 1912, გვ. 336, მისივე, **Բագրատունեայ ծագում**, **Վիեննա**, 1913, გვ. 3—4), პრ. აჭარიანი (**Անճնանուններ**..., IV, გვ. 539—540). მართალია, პრ. აჭარიანი იდენტიფიკაციის მომხრეა, მაგრამ სმბატ ბაგრატიუ-



деления Император. Русского Археолог. Общества. 1913, XXVII, გვ. 026). მისი აზრით, **კარან** არის მიმღებური ფორმა **კარს** ზმნისა (შდრ. **ქუსან** < **ქანს** და აღნიშნავს, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, „ველმწიფეს“. თვლიდა, რომ „კარანი“ ქართულში შემოსულია სომხურიდან. მაგრამ თვითონ სომხურში ამ სიტყვის ხმარება დადასტურებულია მხოლოდ კომპოზიტ „დაშტკარანში“. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართული „კარანი“ უშუალოდ და შეთვისებული ბერძნულიდან და მომდინარეობს სიტყვიდან **ὁ κάρωνος** (ც. ქურციკი ე. ტერმინ „კარანის“ განმარტებისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბილისი, 1963, გვ. 17—21).

მ. ბროსეს ხელნაწერში სახელი და წოდება მიჯრით ყოფილა ნაწერი (ისევე როგორც ეს უხტანესის ისტორიის 1871 წლის გამოცემაშია) და სხვადასხვანაირად იკითხებოდა: **ღხოთაყაუთსკარანსი, ღსფაუთსკარქი, ღსფაუთსკარ** ან მარტვედ **ყაუთსკარნი**. მ. ბროსე თავისებურად აღადგენს ამ სიტყვას (**ღხოთაყაუთსკარ**) და თარგმნის—„მდინარეთა და ველთა უფალი“ (*maître des fleuves et des plaines*). საგულისხმოა, რომ როგორც „დაშტკარანი“, ისე „შარსალარიც“ მ. ბროსეს ცალკე პირებად კი არ მიაჩნია, არამედ სმბატ მარზპანის ტიტულებად თვლის (**Deux historiens**, II, 310—311).

„დაშტკარანი“ სომეხ წარჩინებულთა გვარების სიგბშიც გვხვდება **ჭაუთსკარქნი** (**Մսիկեր ნაკիսკար**, VI, გვ. 36) და **ჭაუთსკარს** (**Н. Марр, Сборник притч Вардана**, III, 1894, გვ. 58) სახით. ნ. მარის აზრით, ასეთ შემთხვევაში სის შემდგენლების შეცდომასთან გვაქვს საქმე, რომელთაც წოდება და გვარი ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიან (**Н. Марр, Аркаун, монгольское название христиан, Византийский Временник**, 1905, XII, № 1—2, стр. 31).

5. უხტანესი თვლის, რომ ერთანეს ქერდოლი და შარსალარი ერთიდაიგივე პირია (მარი ბროსეს უხტანესის ჩვენება გაუგებრობად მიაჩნია, „შარსალარს“ სმბატის ტიტულად თვლის და ასე შლის: **გარ + საყარ || საყარ**, ხოლო მისი თარგმანი იქნება „მხედართმთავარი“ (*chef de file*). მ. ბროსეს სიტყვა სმბატ თავის ქვეყანაში განაგებდა როგორც საერო, ისე საეკლესიო საქმეებს (**Deux historiens arméniens**, გვ. 311). უხტანესი წერს: „მოვიდა ეს ერთანეს მოძღვარი სომეხთა შარსალარი სხვებთან ერთად და შეუერთდა წერილით ხელწერილს“ (**Յեկալ վարանկս այս վարդապետ Հայր Նարսայար այլոք ჩանկերք, և ძվարուքսა գրվին ձևնարկին...**). უხტანესის ამ ჩვენებას სომეხ სპეციალისტთა ერთი ნაწილი იზიარებს (პრ. აჰარიანი, ნ. აკინიანი, ლეო). ე. ტერ-მინასიანი თვლის, რომ აბრაამი კათალიკოსად არჩიეს ერთანესის გარდაცვალების შემდგომ. რადგან ეს უკანასკნელი არც კრებაზე და არც მის მომდევნო ხანებში აღარ ჩანს ასპარეზზე. ცხადია, აქედან გამომდინარე, ტერ-მინასიანიც არ თვლის ერთანესსა და შარსალარს ერთიდაიმავე მოღვაწედ. მაგრამ ტერ-მინასიანიც ერთში არ არის მართალი. აბრაამის საკათალიკოსო ტახტზე ასკლის შემდეგაც ერთანესი ცოცხალია, ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობს. მოსე ეპისკოპოსი სწერს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს: „ხოლო, თუ ჩვენი უღირსობის შესახებ იკითხავთ, ერთანეს ქერდოლისგან შეიტყობთ“ („ეპისტოლეთა წიგნი“, გვ. 64). სმბატ ბავრატუნი მოსე ცურბათელს სწერს: „ეხლაც ერთანეს ქერდოლისაგან კიდევ უფრო შევიტყუეთ, თუ როგორ იდევნეთ და აქ მოხვედით: მით უმეტეს სულერი საქმეთა შესახებ, რომელიც გაუგია უფალ კათალიკოსს, იცის და თქვენ შეგიწყნარათ“ (გვ. 83). „ეპისტოლეთა წიგნის“ იმ წერილებიდან, რომლებიც წინამდებარე გამოცემაში არ შედის (გვ. 90—91), ჩანს, რომ ერთანეს ქერდოლს „სომეხთა მოძღვარსა და უფალთა მოციქულს“ უწოდებენ, რაც ძალიან წააგავს შარსალარის წოდებას („სო-



• რამის ხელდასხმა მოხდა „წმინდა ზატიკის შემდეგ კვირადღეს, ნავასარდის ოვის გასულს“ (II, გვ. 61). თუ ამ ცნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, აბრაამი მსხვერპლს კათალიკოსობიდან პირველ ზატიკზე უხმობდა. მაგრამ აქ ან უხტანესის ცნობის უნებურ შეცდომასთან უნდა გვექონდეს საქმე (ს. მ. კ. ხ. ნ. ა. ნ., ყიპჩინი..., გვ. 150. შენ. 2). 608 წელს ზატიკი 22 აპრილს მოდიოდა. ე. ი. აბრაამ კათალიკოსის ეს ეპისტოლე დაწერილია 608 წლის თებერვალ-მარტში. შდრ. ს. მ. კ. ხ. ნ. ა. ნ., ყიპჩინი..., გვ. 46.

XIX

1. ითვლება, რომ ამ დროს უკვე აშენებულია მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი (585/6—604/5 წწ.). იხ. Г. Чубинашвили, Памятники тина Джвари, Тб., 1948.

2. თუ სხვაგან ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კირონმა „სომხური მწიგნობრობა“ (ნაყსქსნ იყიოქსნ) შეცვალა, აქ „სომხურ [მღვდელთ] მსახურებას“ (ყაჯოაძნ ნაყსქსნ) აქვს ხაზი გასმული. ცხადია, ამ გამონათქვამებში იყიოქსნ და ყაჯოაძნ ერთმანეთს ცვლიან. ეს გარემოება შესაძლოა იმის მაჩვენებელი იყოს, რომ საკითხი ეხება არა მხოლოდ სამღვდელთმსახურო ენას, არამედ თვით წესის და ლიტურგიის ხასიათსაც. სწორედ ასე აქვს გაგებული ეს ადგილი უხტანესსაც (თუ მის გადამწერს?), რომელიც ნაყსქსნ-ის მაგიერ ყველგან ნაყსქსნ-ს (მამული, მამათა) წერს.

3. კავად 1, სასანიანთა სახელმწიფოს მეფე დაახლოებით 488—531 წწ. 502—516 წლებში კავადი წარმატებას აღწევს ბიზანტიასთან ბრძოლაში. ამ წარმატების უშუალო შედეგია 506 წლის დვინის საეკლესიო კრება და მონოთეიზიტების გამარჯვება ამიერკავკასიაში.

4. „სპარსული azatan იგივეა, რაც aqatan (სომხ. p=ān) და მოლიანად შესატყვისება ქართულ აზნაურს (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს თავისუფალს) როგორც სემასიოლოგიურად, ისე ეითარცა სოციალური ტერმინი“ (გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიშკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 43).

XX

1. უხტანესის, როგორც რედაქტორის, ხელი ყველაზე უფრო კირონის ეპისტოლეებზეა განიჭად. ამ ადგილას იგი საველებით შეგნებულად უმატებს სიტყვებს და წინადადებას სხვაგვარად მართავს: **კრქსნ ჟინარნიოხსაძე იგიონ ს ორნიოქსნ ძნე ქსიოქე რაჟი** („კვლავ მდაბლად მოკითხვა და ამ წმინდა ჯვრისაგან კურთხევა“). სიტყვა „მდაბლად“ („ღრმად“) დედანში არ ყოფილა. ამას მოწმობს მისთვის წამოძღვარებული **კრქსნ** (კვლავ, მღერედ). კირონი პირველ წერისს სწერს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს და რატომ უნდა ამბობდეს „კვლავ მდაბლად მოკითხვაო“. ცხადია, უხტანესს სურს აჩვენოს, რამდენად მოწინებელია ქართლის კათალიკოსი იერარქიულად მასზე მაღლა მდგომ (უხტანესის წარმოდგენით) სომეხთა კათალიკოსის წინაშე. მაგრამ უხტანესს **კრქსნ**-მა უღალატა და ინტერპოლაცია გამოამყვანა. თავისთავად კი, რასაკვირველია, მოკითხვის ასეთი ფორმა სუბორდინაციის მაჩვენებელი არ არის. ასე მიმართავს სმბატ მარზპანიც კირონსა და ქართლის დიდებულებს.



2. შემონახულია კირონ ქართლის კათალიკოსისთვის რომის პაპის გრიგოლ პირველის მიერ გამოგზავნილი ეპისტოლე ლათინურ ენაზე. ამ წერილიდან ჩანს, რომ ქართლში მართლაც მრავლად ყოფილან ნესტორიანები და კირონს ისინი უნებნებად დაეგამდა, კირონმა რჩევა ჰკითხა თავისი დროის განთქმულ საეკლესიო მოღვაწეს გრიგოლ დიდს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კირონს გადაწყვეტილი ჰქონდა მათი შეწყნარება, მაგრამ არ იცოდა, მარტო აღსარების მიღება იქნებოდა მათთვის საკმარისი, თუ ნათლისღებაც გახდებოდა საჭირო. პაპი პასუხობს: „ვინც ნესტორის შეცოთმილებსგან მოიქცევიან, თქვენი წმინდა კრებულის წინაშე აღიარონ მათ ქვემარტივი შობა და შეაჩვენონ ნესტორი, მისი მიმდევარნი და დანარჩენი მწვალებლები. ეგრეთვე შეგპირდნენ, რომ პატივს სცემენ და შეიწყნარებენ იმ ყველა კრებათ, რომელსაც მსოფლიო ეკლესია აღიარებს. შემდგომ, თვინეარ სიმწელისა, მიიღეთ ასეთი პირები თქვენს საზოგადოებაში და დატოვეთ იმ წესსა და ან ხარისხში, რომელშიც არიან. განაბნით მათი შეცდომილებანი და ასწავლეთ ყველაფერი, რაც კი საჭიროა; სიტკბოებით მოეპყარით. ნურავითარ სიმწელეს ნუ აღმოუჩენთ მათი ხარისხის შესახებ, რათა იგიანი თავიანთი მტრის ხელიდან დაიხსნათ“ (მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკოსისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 24). როგორც კირონის წინამდებარე წერილიდან ჩანს, მან ზუსტად აღსარულა რომის პაპის რჩევა. რამდენადაც პაპის ეპისტოლე დაწერილია 601 წელს, აშკარაა, რომ კირონს ნესტორიანებთან ურთიერთობა მოსე სომეხთა კათალიკოსის დროს დაუწყებია.

3. იოანე 3. 20—21.

4. „ეპისტოლეთა წიგნი“ ამ ადგილას მცდარ წაითხვას გვაძლევს: **სქსყ**-ის (არჩელთა) მაგიერ წერია **სქსყ** (ეუფლა) და **აზრი** სრულად გაუვებარი რჩება. სწორი წაითხვა მოცემული აქვს უხტანესს და ჩვენც მის მიხედვით ვაგმართვთ წინამდებარე ტექსტი. (შდრ. И. Джавахов, История церковного разрыва, стр. 527; ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV—VII სს ისტორიის შესახებ. საისტორიო კრებული, II, 1928, გვ. 46. შენ. 1).

5. უხტანესს კირონის ეპისტოლეს საკმაოდ დიდი ნაწილი თავისებურად გადაუკეთებია: „და, კვლავ, მეფეთა-მეფის სხვა მონებს რომ შეუერთდი და თანაარსს განშორდი; ჩვენი და თქვენი მამები მეფეთა-მეფის მფლობელობის ქვეშ იყვნენ და სარწმუნოება იერუსალემისა ჰქონდათ, თქვენცა და ჩვენც — აგრეთვე. მეფეთა მეფე ფლობს რომაელთა და არჩელთა ქვეყანას და ისე არაა, როგორც თქვენც ვეწოდით, რომ სხვადასხვა სამეფონი არიანო. ღმერთმა აღიღოს მეფე; რადგან მან მე განმადიდა“. აქ ორი მომენტია საუფლისხმო: ერთი, უხტანესი ცდილობს, კირონთან ერთად, კორექტივი შეიტანოს აბრაამის სიტყვებში და ბიზანტია სპარსეთის ქვეშევრდომად გამოაცხადოს; მეორე, უხტანესი აკეთებს ინტერპოლაციას („ღმერთმა აღიღოს მეფე; რადგან მან მე განმადიდა“-ო) და იგი ამას წინასწარი განზრახვით ჩადის. საქმე ის არის, სმბატ მარზპანისათვის მიწერილ ეპისტოლეს უხტანესი ასეთსავე მინაწერს უკეთებს. ოღონდ ახლა უკვე ბიზანტიის კეისრის მისამართით: „ღმერთმა აცოცხლოს კეისარი, რადგან მან ჩვენი ქვეყანა აცოცხლა“. ასეთი ოპერაციების შემდეგ ისტორიკოსი (უხტანესი) სრულ უფლებას იღებს ვაკრიტიკოს კირონის ორგული პოლიტიკა: „სმბატმა, რომლის შესახებაც ვითხარით, რომ სომეხთა მარზპანი იყო. კაცი კეთილი და კეთილმსახური, სანდო და მტკიცე მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში. იცოდა ნება კირონისა, რომ იგი თანახმა რომაელთა, ვერ შეძლო გაეფიქსებებინა კეისარი კირონის ნამოქმედართა გამო. მან ვერც მეფეს აცნობა, რადგან იცოდა, რომ სარგებელი არაფერი [იქნებოდა]. იმავე დროს კეისრის ნებაც შეეცყო, რომ კირონის თანახმა და მისი ბრძანებით [არის] ეს ამბავი, რადგან გვაქვებებს კი-



2. არშუშა (აშუშან) ქვემო ქართლის პიტიახშების საგვარეულო სახელმწიფო არქივში
 ვფიქრობთ, ეს აშუშან - არშუშა სწორედ ის პიტიახში უნდა იყოს, რომელსაც
 დაე მოუხდა სიყრმის წლების გატარება მოსე ეპისკოპოსს (ეპისტოლეთა წიგ-
 ნი, გვ. 1).

3. ტერმინი **აღაქინ** სომხურ მწერლობაში სხვაგან არ ჩანს. ნ. აკინიანი სპარსულ **azadskari**-ს უკავშირებდა, რაც „თავისუფალს“ ნიშნავს. ნ. აკინიანის ასეთ ეტიმოლოგიას ხელს უწყობდა „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოცემაში ცოტა უფრო ქვემოთ ნახმარი **აღაქინი**. მაგრამ ტექსტი აქ გასასწორებელია და უნდა ეწეროს **ღი ააღაქინი ირ ხინძ...** (ჯანყა მან., 1909, გვ. 220). ნ. ზუზუნდაცი ცდილობს სირიული ეტიმოლოგია დაუძებნოს ამ სიტყვას, მაგრამ, ჩანს, ყველაზე უფრო სწორია სტ. მალხასიანცი, რომელიც განმარტავს: **აღაქინ** (ყჩ. **azatih**, **აღაჰიქინ**, **აღაჰასქინიქინ**), **აღინაქინიქინ**. ქართულად **აღაქინ**-ის შესატყვისად ვარჩიეთ „წარჩინებულება“.

4. გამოთქმა **კაქსარნარბაქ** ბუნდოვანი დარჩა ნ. აკინიანისთვის. იგი ცდილობდა მასში სოციალური მომენტი დაენახა და **აღაქინ**-ის სინონიმად ჩაეთვალა (**ყაქინ**..., გვ. 174, შენ. 4). ნ. ზუზუნდაციმ საესეებით სამართლიანად აჩვენა, რომ საქმე გვაქვს კომპოზიტთან **კაქსარნარბაქს** [იხ. **ჯანყა მან.**, 1909, გვ. 220].

5. მთელი აბზაცი წარმოადგენს სმბატ ბაგრატიუნის სიტყვების გამეორებას. ნ. აკინიანს კი შეცდომით კირონის სიტყვები ეგონა და მის ბიოგრაფიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად შეიტანა, თუ როგორ დაბრუნდა ქართლში და დაამშვიდა არბული ქვეყანა (**ყაქინ**..., გვ. 32, 173 — 174). ნ. ზუზუნდაცის წერილის მიღების შემდეგ, სადაც მითითებული იყო ამ შეცდომაზე (**ჯანყა მან.**, 1909, გვ. 202), ნ. აკინიანმა უკვე წიგნად გამოსულ „კირონ ქართველთა კათალიკოსის“ ბოლოს დართულ შეცდომების გასწორებაშიდა მოახერხა შენიშვნის შეტანა (გვ. 298).

6. ვაპრაშ სხვა წყაროთი არ ეიცნობთ. მ. ბროსე (**Deux historiens arméniens**. St. Pétersb., 1871, გვ. 336, შენ. 7), ნ. აკინიანი (**ყაქინ**..., გვ. 33—34, 208—209) და პრ. აპარიანი (**სანძინიქინიქინი**..., გვ. 20) თვლიან, რომ ვაპრაში სომხეთის ბიზანტიური ნაწილის მთავარი იყო და ხოსროს გამარჯვების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ანტი-სპარსულ მოძრაობას (მ. საბინინი ამ ვაპრაშ აიგივებდა ვაპრაშ ჩუბინთან. იხ. **История грузинской церкви**, 1877, გვ. 159). ამ სპეკულაციებისთვის ერთადერთი ამოსავალია „ეპისტოლეთა წიგნი“. ჩვენი აზრით, მხოლოდ „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით ვადაქრით არაფრის თქმა არ შეიძლება. თუ ვაპრაში ბიზანტიური ორიენტაციისა და ქალკედონიტობის მომხრეა, რატომ უხმობს თავისთან მოსე ეპისკოპოსს, ან რატომ მიაყენა ზიანი ქართლს. ან რატომ უჩივის კირონი ქალკედონიტ მოღვაწეს მონოფიზიტის წინაშე. ერთი სიტყვით, „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით არ არის ნათელი არც ვაპრაშის წიგნის, არც მისი პოლიტიკური ინტერესები და არც წარმოშობა.

7. „ეპისტოლეთა წიგნის“ ანტონიანთა ძმობის წესსაში გვაქვს **ყაყაყინ**, რაც ქართულად იქნება „ის ქალაქი“. ვფიქრობთ, უხტანესის ვარიანტი, რომელიც შეტანილია ჩვენს ტექსტში, უფრო სწორი უნდა იყოს და ქართულად უნდა ითარგმნოს „ეს ქალაქი“. ძნელი სათქმელია, რომელი ქალაქი აქვს მხედველობაში კირონს. რადგან მისი რეზიდენცია თბილისშია, შესაძლოა, იგი იგულისხმებოდეს.

8. შეიძლება სმბატის ქართლის კათალიკოსთან და მცხეთის ჯვართან ასეთი სიახლოვით აიხსნას მცხეთის ჯვრის პოსტამენტის სომხური წარწერა. ეს წარწერა დიდად დაზიანებულია და მხოლოდ ნაწილი იკითხება. სამწუხაროდ, არ იკითხება სწორედ ის ადგილი, სადაც პირები უნდა იყვნენ მოხსენებულნი.

9. ვარაზტიროცი, ჯავიტეან-ხოსროდ წოდებული. 628 წელს მამის სიყვდილის შემდეგ გახდა სომხეთის მარზპანი. გარდაიცვალა 645 წელს.

1. მოხსენებულა „შუშანიკის მარტილობაში“ სხვადასხვა ფორმით აფუცა (იაკობ ცურტაველი, მარტვლობა შუშანიკისი, გამოსცა ილია აბულაძემ, გვ. 8, 26, 43, 45. შდრ. M. Brosset, Deux historiens arméniens, p. 325; **Լ. Մեկիսէք-Բեկ, Վրաց աղբյուրներ...**, I, გვ. 12). პრ. აჭარიანის აზრით, აფოცი ეპისკოპოსი იყო 480 წლის ახლოს (**ԱճճՆԱՌՈՆՆԵՐԻ...**, I, გვ. 346). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარიანს ამ ეპისკოპოსებს შორის დროითი მანძილი დაახლოებით ათი წლით აქვს განსაზღვრული. ამასთან ყველა ეპისკოპოსი შეტანილი აქვს თავის „პირთა ლექსიკონში“, რითაც ან იმის თქმა უნდა, რომ ყველა მათგანი სომეხია (კირონის სიტყვების საწინააღმდეგოდ), ან კიდევ იმის, რომ მათ ვერ არჩევს ნაციონალობის მიხედვით. ს. კაკაბაძე აფოცის ეპისკოპოსობის თარიღად V ს-ის 60-იან წლებს მიიჩნევს (საისტ. კრებული, II, გვ. 48).

აღსანიშნავია ერთი გარემოება. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ვახტანგ გორგასლის მიერ კათალიკოსობის დაწესების დროს ჟუანშერის მიერ ჩამოთვლილი 12 საეპისკოპოსო არ არის ქართლის საეპისკოპოსოთა სრული სია. წინააღმდეგ შემთხვევაში მასში დასახელებული უნდა იყოს ცურტავეის ეპისკოპოსი, რომლის არსებობა „შუშანიკის მარტილობიდან“ უეჭველად ვიცით. ამ მოსაზრებას არ იზიარებდა კ. კეკელიძე და წერდა: „კირონ კათალიკოზი ერთერთს თავის წერილში, სადაც წარმოდგენილია სია ეპისკოპოსებისა, რომელნიც ცურტავეის ეპარქიას დანაგებდნენ. ამ სია იწყებს შუშანიკის შემდეგდროიდან („წმ. შუშანიკისითგან“) და ცურტავეის პირველ ეპისკოპოსად ასახელებს აფოცს ან აფუტს. ეს აფოც-აფუტი შუშანიკის მარტილობაში წარმოდგენილია, როგორც „ეპისკოპოზი სახლისა მის პიტიახსისაჲ“. ამნაირად, იაკობ ხუცესი აფოტსა თელის შუშანიკის თანამედროვე ეპისკოპოსად, კირონს კი შუშანიკის შემდეგდროინდელ მღვდელმთავრად მიაჩნია. აქ წინააღმდეგობა არ არის; შუშანიკის სიცოცხლეში აფოცი იყო სახლის ან კარის ეპისკოპოზი, ხოლო მისი ვარდაცვალების შემდეგ, როდესაც ცურტავეში ეპარქია დაუარსებიათ, გამაზღვრებულ ვარაქენისათვის კი ქრისტიანი სახლის ან კარის ეპისკოპოზი ზედმეტი შექმნილია. ის გამხდარა პირველი ეპისკოპოზი ახლად დაარსებული ცურტავეის ეპარქიისა“ (კანონ. წყობილება ძვ. საქართველოში, გვ. 318).

ფიქრობთ, კ. კეკელიძის დაკვირვება არ უნდა იყოს სწორი. საქმე ის არის, რომ კირონი საერთოდ პირველ ეპისკოპოსად კი არ ასახელებს აფოცს, არამედ — როგორც პირველ შუშანიკიდან მოყოლებული, ხოლო შუშანიკიდან იმიტომ, რომ საკმაოდ შუშანიკის მიერ დაწესებული სომხური მღვდელთმსახურებაა გამხდარი. ამასთან, კარის ეპისკოპოსი და ეპარქიის ეპისკოპოსი (ყოველ შემთხვევაში, ცურტავეში მაინც) „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობებით სრულიადაც არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ვის შეუძლია უარყოს, რომ მოსე ცურტაველი ცურტავეის ეპარქიის მღვდელმთავარი იყო. მაგრამ თვითონ მოსე ხომ წერს თავის პირველ წერილში ერთანესის მიმართ, რომ ვარდაპეტობის შემდეგ იმ პიტიახსის სასახლის კარის ეპისკოპოსობას ვეწიო (გვ. 1). ამრიგად, ცურტავეის ეპარქიის ეპისკოპოსი იმავე დროს პიტიახსის კარის ეპისკოპოსი იყო როგორც შუშანიკამდე, ისე VII საუკუნის დამდეგსაც (მოსე ცურტაველი აფოცის მემკვიდრეა). ივ. ჯავახიშვილი მართალი უნდა იყოს, როცა ჟუანშერის სიაში ცურტავეის საეპისკოპოსოს ვერ ნახულობს და აქედან შესაძლებლად დასკვნას აკეთებს.

2. **Ք** რედაქციამო წერია სულ სხვა სახელი — **Նիქայ** (ელია). ეს სახელები ერთმანეთს ისე გვანან, რომ აღრევა, ცხადია, პალეოგრაფიულ ნიადაგზეა მომხდარი („შ“-ს ამოვარდნით). გადაწყვეტა, თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა, ძნელია. ჩვენ

ტექსტში „ელიშას“ ვტოვებთ, რადგან ძირითადად A რედაქცია მივიჩნევთ. პრ. აქრონი რატომღაც ამ ფორმას სრულიად უგულვებელყოფს და პირთა სახელების ლექსიკონში (II, გვ. 104) მხოლოდ „ელია“ (Елиа) შეაქვს.

3. იაკობი ცურტავის ეპისკოპოსად 520 წლის ახლოს მიაჩნია პრ. აქრონი მხედველობაში არ იღებს დვინის 506 წლის კრების მონაწილეთა სიას, სადაც იაკობიც არის დასახელებული. პრ. აქრონიანის მოსაზრებასთან ახლოს არის ს. კაკაბაძის ვარაუდი. ს. კაკაბაძე ითვალისწინებს კრების მონაწილეთა სიას, მაგრამ თვითონ კრებას 522 წელს ჩატარებულად თვლის. ამდენად, მასაც იაკობი 520-იანი წლების მოღვაწედ მიაჩნია. ხოლო ეპისკოპოსებს შორის დროითი მანძილი 12 წლით აქვს განსაზღვრული (საისტორიო კრებული, II, გვ. 48).

„შუშანიკის მარტივობის“ ავტორ იაკობ ხუცესსა და „ეპისტოლეთა წიგნში“ მოხსენებულ იაკობ ეპისკოპოსს შორის იგივეობის ნიშანი პირველად დასვა ილ. აბულაძემ (მარტვლობა შუშანიკისი, გვ. 060). დღეს ეს ვარაუდი საყოველთაოდ გაზიარებულია და იაკობ ხუცესს ცურტაველსაც უწოდებენ.

4. კ. კეკელიძის აზრით, კირონის პენტარქიულ შეხედულებას სომეხებთან საეკლესიო განხეთქილებაში მთავარი როლი უნდა ეთამაშა. „მოსე კალანკატუელის მიხედვით უკვე VI საუკუნის დამლევს მაგრიკე კეისრის მიერ მოწვეულ კრებაზე კონსტანტინეპოლში ბერძნებმა პირდაპირ დაუყენეს საკითხი სომეხებს: ემორჩილებიან თუ არა ისინი 5 პატრიარქიდან (რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის) რომელიმეს. ცხადია, კირონს ეცოდინებოდა ამ კრების ამბავი და ისიც, თუ რა საკითხები განიხილებოდა. ამიტომ არის, რომ მან თვითონაც გამოიყენა ეს არგუმენტი. სომეხები არ ცნობდნენ ბიზანტიაში შემუშავებულ პენტარქიულ შეხედულებას და საკუთარი პატრიარქის დაყენებით ამას ხაზს უსვამდნენ, eo ipso იბერია უეპყველად უნდა ჩამოცილებოდა მათ“ (იხ. კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1930, გვ. 338—339).

5. 506 წლის დვინის საეკლესიო კრებას ესწრებოდა 24 ეპისკოპოსი (კათალიკოსისა და სეფე-სახლის ეპისკოპოსის გარეშე ოცდამათხუთსი). სიმეონ ბეთ-არშამელის ცნობით, სწორედ იმ ხანებში ქართლში იყო 33 ეპისკოპოსი (Assemani, Bibliotheka Orientalis, I, გვ. 555). კ. კეკელიძე არ იზიარებს ბეთ-არშამელის ცნობას და მონოფიზიტობის აპოლოგეტის მიერ გადაჭარბებულ და გაზვიადებულ მოწმობად მიაჩნია. (იხ. კანონიკური წყობ. ძვ. საქართველოში, გვ. 321). 608 წელს საეპისკოპოსოთა რიცხვი უკვე 35-ს შეადგენდა. რომელი 2 საეპისკოპოსო დემატა ქართლის სამწყსოს? ივ. ჯავახიშვილი, ფიქრობთ, სამართლიანად ცდილობს ამ საკითხის გადაწყვეტისას მოიშველიოს იოანე დრასხანაკერტელის ცნობა კირონის ქართლის. გუგარქის და ვერისის არქიეპისკოპოსად ხელდასმის შესახებ (ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 301).

6. უხტანესს არეული აქვს ტექსტი და შესაძლოა აქ უკვე თვითონ არის დამნაშავე და არა „ეპისტოლეთა წიგნის“ ის ნუსხები, რომელიც ხელთ ჰქონდა (იხ. И. Д. Жавახов, История церковного разрыва, გვ. 439—440) მთელი ეს ამბავი მას კირონის მეორე პასუხიდან გადატანილი აქვს მესამეში. ბოლო წინადადება უხტანესის რედაქციაში საერთოდ არ არის (II, გვ. 81, 88).

XXVII

1. ს.ქმე მოციქულთა 20. 28.
2. 1 თეცალონიკელთა 5. 21—22.

3. 1 თესალონიკელთა 5. 11.
4. 2 კორინთელთა 8. 14.
5. 2 კორინთელთა 13. 1.
6. 1 იოანე 5. 20.
7. ბარუქი 3, 38.

8. სპეციალისტთა დავას იწვევს „სამეფო სახლის ეპისკოპოსი“. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ „აღმოს. საქართველოს მეფის პირადი, მისი კარის ეპისკოპოსი კი არ იგულისხმება, არამედ იმ მიწა-წყლის მღვდელთმთავარი, რომელიც მის უშუალო სამფლობელოს შეადგენდა“ (ქართული სამართლის ისტორია I, გვ. 141). ს. კაკაბაძის აზრით, „სახლი“ ამ გამოთქმაში სამეფო საგვარეულოს აღმნიშვნელია (ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1924, გვ. 102). არც ერთ ამ მოსაზრებას არ იწყნარებს კ. კეკელიძე. რომლის თქმითაც „აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს სწორედ სახლის ან კარის ეპისკოპოსთან. წინააღმდეგ შემთხვევაში რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ქ. დვინის 506 წლის კრებას, როგორც ვიცით, დასწრებია „სამეფო სახლის ეპისკოპოსი“ (პაღდენი) თავისთავად, და მცხეთის ეპისკოპოზი-კათალიკოზი (გაბრიელი) თავისთავად? ნუთუ უფრო სადიქტებელი არ არის, რომ მეფის უშუალო სამფლობელო მიწა-წყალს სწორედ ტფილისის ან მცხეთის რაიონი შეადგენდა? უოველ შემთხვევაში, საყურადღებოა, რომ დვინის კრების აქტებში მაშინდელი იბერიის ყველა, გამოუკლებლივ, კუთხისათვის ნაჩვენებია საკუთარი ეპისკოპოზი. მაშ რომელი „მიწა-წყალი“ (ივ. ჯავახიშვილი) ან „ხევი“ (ს. კაკაბაძით) უნდა ვიგულისხმოდ, მეფის უშუალო სამფლობელოდ“, რომ აქ მისი „სახლის“ ეპისკოპოზი დავსათ?“ (კანონიკური წყობილება, გვ. 318).

ამ საკამათო საკითხის განხილვისას, უეჭველია, უპირატესობა ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს უნდა მივანიჭოთ. მან ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაშრომში (Государственный строй древней Грузии и Армении, С. Петербург, 1905, გვ. 87—89) ნათლად აჩვენა, რომ სომხური გამოთქმა *արքունի (paqalouni)* *თარს* ძველი წყაროების მიხედვით აღნიშნავდა იმ ტერიტორიას, რომელსაც ფლობდა საკუთრივ მეფის გვარი. არ არის მართალი კ. კეკელიძე, როცა თავისთავად გასაგებ ფაქტად მიიჩნია, თუ რა ტერიტორიას ფლობდა სამეფო გვარი და ასეთად მცხეთა-თბილისის მიდამოებს რგლის. დღეს ართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ სეფე-ქვეყანას (*zāra baolix*) შეადგენდა კახეთის ტერიტორია (Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 423—424). არც მაშინ უნდა იყოს მართალი კ. კეკელიძე, როცა თვლის, რომ 506 წლის დვინის კრების აქტებში მოცემული სა ქართლის ეპისკოპოსებისა ფარავს მთელი „მაშინდელი იბერიის ყველა, გამოუკლებლივ, კუთხეს“. საქმე ის არის, რომ ბეთ-არშამელის ცნობის მიხედვით, ამ სასა აკლია 9—10 ეპისკოპოსი, ხოლო 608 წლის ცნობასთან შედარებით 11—12 მაინც. ცხადია, ამ ეპისკოპოსებსაც ეკავათ რაღაც ტერიტორია იბერიის მიწა-წყალზე.

ამრიგად, ვფიქრობთ, პაღდენ იყო „სეფე-ქვეყნის“ ეპისკოპოსი, თუმცა მაშინ საჭირო გახდებოდა ახსნა იმ გარემოებისა, რომ „ეპისტოლეთა წიგნის“ ეპისკოპოსების სიაში ცალკე მოხსენებულია რუსთავის ეპისკოპოსი (რუსთავი ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია „სეფე-ქალაქად“. იხ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბილისი, 1958, გვ. 46—47; Меликишвили, К истории..., გვ. 422—423).

9. დავით ბოლნისის ეპისკოპოსი მოხსენებულია ბოლნისის სიონის სარკმლის თავზე ამოკვეთილ წარწერაში. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, წარწერაში მოხსენებული დავითი და დვინის 506 წლის კრების სიაში მოხსენებული დავითი ერთი და იგივე პირია (ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 164—165).

10. იხ. შენ. XXVI. 3.

11. როგორც სომეხურ ტექსტში, ისე ქართულ თარგმანში საეპისკოპოსოს სია უცვლელად დავტოვეთ მაშინაც კი, როცა უხტანესის რედაქცია უკეთეს წყობაში იქნებოდა: მაგ. **მარაქ—A = მარაქ—B, მროაქ—A = შროაქ—B.**

უხტანესის სიას სამი საეპისკოპოსო აკლია (კისდად, წილკნის და მიდამილ) და ეპისკოპოსთა საერთო ჯამია 21. თუ უხტანესიეულ რედაქციას უპირატესობას მივანიჭებთ, მაშინ საყურადღებო იქნება გ. ჩუბინაშვილის ცდა ქართლის ეპისკოპოსების საერთო რიცხვსა და აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიერ დასახელებულ ეპისკოპოსებს შორის რაოდენობრივ სხვაობაში ჯუანშერის მიერ ჩამოთვლილი 12 საეპისკოპოსო დიანახოს (რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბილისი, 1926, გვ. 67), თუმცა, ზოგი კორექტივი მაინც საჭირო იქნებოდა. ჯერ ერთი, 35 ეპისკოპოსი (როგორც სამართლიანად შენიშნა კ. კეკელიძემ. იხ. კანონიკური წყობილება, გვ. 321—322) ქართლში იყო 608 წელს და არა 506 წელს, ხოლო VI საუკუნის დამდეგს ბეთ-არშამელის ცნობით, ქართლში იყო 37 ეპისკოპოსი; მეორეც, საჭირო გახდება აბრაამის წერილში მოხსენებული ეპისკოპოსების ჩამოთვლაში უპირატესობა მიენიჭოს უხტანესის რედაქციას; მესამე, უხდა დამაკმაყოფილებლად აინსნას, თუ რატომ მაინცდამაინც თორმეტი ეპისკოპოსი აკლია დვინის კრების სიას.

როგორც ტექსტიდან ჩანს, საეპისკოპოსოთა სახელები მეტად დამახინჯებულია. ქვემოთ მოვიტანთ ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის და ს. კაკაბაძის ცდებს სიას ადღეგნისა (მ. ბროსეს ძლიერ დამახინჯებულთაგან რამდენიმეს ადღეგნის ცდა აქვს მოცემული: ტიმუელ—თმოგველი, აღსუნელი—ატენის (?), ასურიალ—აწყურის (?), ტარონელი—თორის, ტარონის (?), ფორთ—ფოთი (?). იხ. *Deux historiens...* გვ. 328).

ივ. ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 300): მცხეთის, სამეფო სახლს, ასურეთის, თმოგველი? (დმანელი?), ბოლნელი, ცურტაველი, რუსთავის, თბილისის, მანგლელი, მროველი, სამთაველი, აძეელი? წყაროსთაველი, კუმურდოელი, გიშისა? წინლენელი? ბოდბელი, ბორტის, კარსნის, ჭერმელი, ხუნანის, ტაშორის? და ქორზანისა (ქორანისა?).


ს. კაკაბაძე (საისტორიო მოამბე, I, გვ. 50—53): მცხეთის, მეფის კარის, სამთაველი, დმანელი, ბოლნელი, ცურტავეის, რუსთავის, თბილისის, მანგლისის, მროველი, სამთავისის, აწყურის, წყაროსთაველი, კუმურდოელი, ახიზის, წილკნელი, ნინოწმინდელი, ბოდბელი, ბერთას (ჩელეთი), კაწარელი, ჭერმელი, ხუნანის, ტარსის? ხორანთა (ხორნაბუჯი).

კ. კეკელიძე (კანონიკური წყობილება, გვ. 320): მცხეთის, მეფის კარის, სამთაველი, დმანელი, ცურტავე, რუსთავე, მროველი, აწყურელი, წყაროსთაველი, კუმურდო, ახიზა, ნინოწმინდა||ბერთა, კაწარეთი, ჭერემი, ხუნანი, ნიქოზი? ქორზანენე (resp. ხორანთა, ხორნაბუჯი).

ამ სიის ზოგი გეოგრაფიული სახელის (ურტავე, უსთავე, კუხორდო, ფოლდ-ბილ) განმარტებისათვის იხ: აგრეთვე J. Markwart, *Die Bekehrung Iberiens, Caucasia*, 1931, f. 7, გვ. 162—163.

12. „Город известный у греков под именем *Ἐδεσσα*, у арабов—*el Roha*, у сирийцев—*Orhay* (яков.—*Urhou*), у армян и грузин—*Urha*, считается одним из древних центров христианства на Востоке... Церковь Едесская до VII в. являлась крупнейшим центром восточно-христианской культуры“ (К. Кекелидзе, *Житие и подвиги св. Иоанна Урхайского, Христианский Восток*, т. II, вып. III, 1914, გვ. 301—302).

13. აბრაამ სომეხთა კათალიკოსის სიტყვებიდან ნათლად ჩანს და თვით ტექსტში მოხსენებულ საკუთარ სახელთა ფორმები ამტკიცებს, რომ დვინის 506 წლის კრე-



ბის დადგენილების ნაწყვეტი სომხურ ენაზე თარგმნილია ბერძნულიდან (შდრ. И. Джавахов, История церковного разрыва..., გვ. 445; Н. Адонидис, Христианский Восток, т. II, 1913, გვ. 180-182; კაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 50—53; Л. Меликсет-Бек, Graeco-Byzantina в древнеармянском Liber epistolarum, Византийский временник, т. XIII, 1957, გვ. 265). საინტერესოა, რომელი ენიდან არის თარგმნილი ბერძნულ ენაზე, სომხურიდან თუ ქართულიდან? აბრაამ კათალიკოსის სიტყვები—„მათაც (ბერძნებს) ჰქონდათ იგი ჩვენგან“—ბევრს არაფერს გვეუბნება: შესაძლოა იგი გულისხმობდეს ქართველებსაც და სომხებსაც. თუმცა კი შთაბეჭდილება მაინც ისეთია, თითქოს აბრაამ უნდა თქვას: „ჩვენგან ჰქონდათ თარგმნილი“-ო. ს. კაკაბაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ ეპისკოპოსების წოდებებს ზოგჯერ შენარჩუნებული აქვს ქართული დაბოლოება „-ელ“ და ასკენის: „ბერძნულად კიდევ ეს სია გადატანილი იქნებოდა ქართულიდან“ (გვ. 52). მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგან ეპისკოპოსთა წოდებები საესეებით სომხურად არის გამართული. მაგ. **Տիգրաց, Մանգկաց, Կասրացի**. ექვს იწვევს ცურტავის შეკუმშული ფორმაც **Մրգալ**, რაც ასევე სომხურ ნიადაგზე შეიძლება აიხსნას. რადგან აბრაამს თვითონ არ ჰქონდა მიზნად საეპისკოპოსოთა სახელების ჰეშმარტი ფორმების აღდგენა, ცხადია, არმენიზმებს მას ვერ დაეწამებთ და ბერძნული დედნისეულად უნდა ჩავთვალოთ.

ამრიგად, ვფიქრობთ, ვითარება ასეთი იყო: კრების შემდეგ დაიწერა „პირობის წიგნი“ როგორც ქართული, ისე სომხური. სომხებმა სომხურ ენაზე თარგმნეს ქართული ტექსტაც და შეინახეს საკათალიკოსო სამდიენოში (შესაძლოა ასევე მოიქცნენ ქართველებიც). შემდეგში ორივე ძეგლი სომხურიდან ითარგმნა ბერძნულად, ხოლო დედნები დაიკარგა. წინამდებარე ექსცერპტი კი თარგმნილია უკვე ბერძნულიდან. ცხადია, დამახინჯებათა თავიდან აცდენა შეუძლებელი იქნებოდა.

- 14. შდრ. ესაია 2. 3.
- 15. გალატელთა 1. 6—8.

XXVIII

1. ნ. აკინიანის ვარაუდით დაწერილია 608 წლის მაის-აგვისტოში (**Ա. Կ. Կ. 608**, **Կիսիონ...**, გვ. 47).

2. 1901 წლის თბილისის გამოცემას აქედან მოყოლებული ედესოს კრების შესახებ პირველ სტრიქონამდე აკლია. ნაკლები ადგილი 1902 წელს კურნალ „არარატში“ გამოქვეყნდა. (**Գիլքը րգրցոյ-ի պակասնքը և նրանից դուրս մնացած րգրքը, Արարատ, 1902**). ჩვენს გამოცემაში ნაკლები ადგილი გადმოგვიტოვა „არარატიდან“.

3. კირონის ეს სიტყვები ან დიპლომატიური მოსაზრებით არის გამოწერილი, ან კიდევ მას უბრალოდ ეშლება. აბრაამ სომეხთა კათალიკოსი არსად არ წერს, მოსე კათალიკოსმა არამართლმადიდებლობა გიკვინათო. პირიქით, აბრაამის სიტყვებით „ნეტარმა მოსემ, რომელსაც ჩემამდე მოციქულებრივი საყდარი ეკავა, არ მოგწერათ იმნაირად, რომ თქვენ არა ხართ მართლმადიდებელი, არამედ არამართლმადიდებლებს რად ეზიარეთო“ (გვ. 100).

4. მათე 16. 19.

5. ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესასწავლად კირონ ქართლის კათალიკოსის ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ მ. საბინი ვარაუდობდა, რომ „Кирион немедленно приказал своим ученым перевести

все деяния четырех вселенских соборов* (История грузинской церкви до конца VI века. С. Петербург, 1877, гв. 176—177). კ. კეკელიძემ თავისი სკეპტიკურად შეხედა საკითხის ასე დაყენებას. იგი წერდა: „გაუგებარია, პიტეხულს ეოვლისა, რის გადმოთარგმნა უბრძანა კირიონმა, რას წარმოადგენდა ეს წერილი: რაიმე წერილს ან ტრაქტატს ოთხ მსოფლიო კრებათა შესახებ, თუ წიგნს, კრებულს. რომელშიც მოთავსებული იყო დადგენილებანი და აქტები ამ ოთხ კრებათა? მერე რა ენაზე ჰქონდა ეს „წერილი“ თუ „წიგნი“ კირიონს, ქართულზე თუ ბერძნულზე, ესე იგი რა ენიდან ათარგმნია იგი კირიონმა სომხურად? ჩვენ გვგონია, რომ აქ იგულისხმება წიგნი, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ოთხთა კრებათა დადგენილებანი, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ დოღმატიკური ხასიათისა. ეგართულებული სარწმუნოებრივ-აღსარებითი ფორმულები, ან სინოლოდ და რომელიც აღნიშნულ მემენტში შეადგენდა საცილობელ სავანს ქართველთა და სომეხთა შორის. ასეთი ფორმულები კი, რასაკვირველია. იმ თავითვე იქნებოდა ქართულად ნათარგმნი, მაგრამ ეს უფრო დოღმატიკური მწერლობის ძეგლია, ვიდრე კანონიკურისა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, ტფილისი, 1923, გვ. 607—608). შემდეგ გამოცემბული კ. კეკელიძემ გაიმეორა ყველაფერი ის, რაც ადრე ჰქონდა ნათქვამი და მას ერითი არგუმენტი კიდევ მიუმატა: „აქ რომ სწორედ სარწმუნოებრივ-აღსარებითი ან დოგმატიკური ფორმულები იგულისხმება, ეს ნათლად ჩანს სიტყვებიდან: „რომელიც ანასტასია-წმიდასა და წმიდა სიონში იქადაგების“. ყველაფერი, რასაც ჩვენ გწერთ, ამბობს კირიონი თავის წერილში, „კრებათა წიგნთაგან ამოღებულთა“. იგულისხმება „ძეგლის წერათა წიგნები“, მაგრამ არა კანონიკური ხასიათისა, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, არამედ სწორედ სარწმუნოებრივ-აღსარებითი ხასიათისა, დოგმატიკური ფორმულები“ (ქართული ლიტ. ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 560—561).

თავის „სამართლის ისტორიაში“ სპეციალურად შეეხო კირონ ქართლის კათალიკოსის ამ სიტყვებს ივ. ჯავახიშვილიც და დაასკვნა: „ამ სიტყვებითგან სტული უშეველობითა ჩანს, რომ VI—VII სს. საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების ძეგლისწერათა წიგნი ჰქონია და ამგვარად ქართული კანონიკური მწერლობა; ამ შემთხვევაში მსოფლიო ეკლესიის კანონების თარგმანების სახით მიანც. უკვე არსებობდა“ (ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 26—28).

როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძეცა და ივ. ჯავახიშვილიც ვარაუდობდნენ, რომ კირონის წერილში გადმოცემული უნდა ყოფილიყო ოთხი კრების მიერ შემუშავებული მრწამსები, მაგრამ აქედან ერთმანეთის საწინააღმდეგო დასკვნები გააკეთეს: კ. კეკელიძემ ჩათვალა, რომ ქართველებს შეიძლებოდა ხელთ ჰქონოდათ მხოლოდ დოგმატიკური ხასიათის კრებული, ხოლო ივ. ჯავახიშვილმა გადაწყვიტა, რომ ქართულ ეკლესიას უკვე ჰქონდა მსოფლიო ეკლესიის კანონთა თარგმანები. როგორც ივ. ჯავახიშვილის, ისე კ. კეკელიძის მოსაზრებები დამყარებული იყო „ეპისტოლეთა წიგნის“ ნაკლები ნუსხის მონაცემებზე, რადგან ისინი არ იცნობდნენ 1902 წელს ჟურნალ „არარატში“ გამოქვეყნებულ დამატებას. დღეს „ეპისტოლეთა წიგნის“ წინამდებარე გამოცემის საშუალებით სავსებით თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა გაუგებარა კირონ ქართლის კათალიკოსმა აბრაამ სომეხთა კათალიკოსს. ქართველ მეციერთა ვარაუდი გამართლდა: კირონის ეპისტოლეში მართლაც მოტანილია ოთხივე საეკლესიო კრებაზე შემუშავებული მრწამსი. მაგრამ მრწამსის გარდა იქ მოცემულია თვით კრებათა მოკლე ისტორია და უაღრესად ლაკონურად არის დახასიათებული თითოეული წვალბა და მისი მეთაური. ყოველივე ეს წიგნურ შთაბეჭდილებას ტოვებს (განსხვავებით აბრაამის წერილებისგან). კირონს ზუსტად აქვს დასახელებული

კრების მონაწილეთა რიცხვი, თარიღი, იმ ხანებში რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, იერუსალემის და ანტიოქიის პატრიარქთა სახელები, მწველე მკვლევარების ციებები, კრების გადაწყვეტილება, სარწმუნოების აღსარება და მისი დასაბუთება. სავსებით აშკარაა, რომ კიროსს ხელთა აქვს მსოფლიო კრებების აქტები. მაგრამ კ. კეკელიძის არ იყოს, „რა ენაზე ჰქონდა ეს „წერილი“ თუ „წიგნი“ კიროსს, ქართულზე თუ ბერძნულზე, ესე იგი რა ენიდან ათარგმნინა იგი კიროსმა სომხურად?“ კიროსმა, უხტანესის მოწმობით, საუბროდ იცოდა ბერძნული ენა და შეეძლო მსოფლიო კრების აქტებს ბერძნულად გასცნობოდა. ქართლში სხვა მოღვაწეებიც იქნებოდნენ ისეთნი, რომელთაც შეძლებოდათ პირდაპირ ბერძნულიდან ეთარგმნათ სომხურად (ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო თუნდაც მოსე ცურტაველის ადგილზე დასმული ეპისკოპოსი, რომელმაც „სომხური და ქართული მწიგნობრობა თანაბრად იცოდა“, ხოლო უხტანესის ცნობით ბერძნული განათლება ჰქონდა მიღებული). ყურადღებას იქცევს სომხურ ენაზე გადმოცემული საკუთარი სახელები. ამათგან დღე ნაწილს შენარჩუნებული აქვს ბერძნული დაბოლოება -os, მაგრამ გვხვდება სავსებით ქართულად გაფორმებული სახელებიც (Տխარկ — „ტიმოთე“, Մსկսոկ — „მელიტე“). ეს გარემოება მაინც იმაზე უფრო უნდა მიგვითითებდეს, რომ მთარგმნელს ხელთ ქართული დედანი ჰქონია.

6. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე I (306—337), 313 წელს მილანის ედიქტით ქრისტიანობის თავისუფლად აღსარების უფლება სცნო. 325 წელს მისი მონაწილეობით შედგა ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. გარდაცვალების წინ კონსტანტინემ მიიღო ქრისტიანობა.

7. თეოდოსი I დიდი, ბიზანტიის იმპერატორი (379—395), გამოირჩეოდა რელიგიური შეუწყნარებლობით (სასტიკად დევნიდა როგორც ერეტიკოსებს, ისე წარმართებს). 380 წლის ედიქტით ნიკეის სარწმუნოების სიმბოლო კანონით დაამტკიცა. 381 წელს მისი ინიციატივით შედგა II მსოფლიო საეკლესიო კრება კონსტანტინეპოლში მკვედონიანთა წინააღმდეგ.

8. სიტყვა-სიტყვით სომხური ჯინიკის ნიშნავს „აღშენებას“.

XXIX

1. ბერძნული *ἐγκύκλιος ἐπιστολή* სომხურად ითარგმნება, როგორც *բոլոր յըջագայական* (*ჯეჯარხრასკან*). ამ ტერმინებს ძველ ქართულ ძეგლებში შეენაცვლება „საყოველთაო ეპისტოლე“ და „მრგველიგომგლეული ეპისტოლე“ (ი. ე. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 6). „მრგველიგომგლეული“ კალკია და ჩვენ მას „საყოველთაო“ ვარჩიეთ; მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი შინაარსს უკეთ გადმოსცემს: ის ხომ ყველასათვის წასაკითხად და სახელმძღვანელოდ იყო განკუთვნილი.

2. იე. ჯავახიშვილის ვარაუდით, სომხური ეკლესია თავის განმანათლებლად თავდაპირველად მას თვლიდა. გარდა ამ ადგილისა გრიგოლს თადეოსის მემკვიდრე ეწოდება იოანე სომეხთა კათალიკოსის (548—557) მიერ სივნიეთის ეპისკოპოსისთვის მიწერილ ეპისტოლეში (Գիրք քրիստ, გვ. 78). შემდეგში, როცა თადეოსის სახელი მხოლოდ ნესტორიანულ ეკლესიას დაუკავშირდა, სომეხმა მონოფიზიტებმა საკუთარი განმანათლებელი გაიჩინეს (ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 130—132).

3. წმინდა გრიგოლის საყდრის შესახებ ცნობას გვაძლევს სომეხი ისტორიკოსი სებეოსი: „და დასვენს მამამთავრის საყდარზე რშტუნის ეპისკოპოსი აბრაამი. შემდეგ



ეკლესიისათვის საფუძვლის ჩაყრისას მან (აბრაამმა თუ სმბატ მარზბანმა? — ზ. ა.) შეკრიბა ქეთხოტრონი, დაუყენა მათ სანდო მსახურნი და უბრძანა სწრაფად რულება შენობისა. ციხისთავმა და მარზბანმა (არა სმბატმა — ზ. ა.) მისწერეს შეფუთა-მეფეს შესმენა, რომ [ეკლესია] მეტად ახლოა ციხესთან და საფრთხეა მტერთაგან. მეფისგან მოაწია ბრძანებამ, რომ დაინგრეს ციხე და ეკლესია იმავე ადგილს აღეშენოს“ (ს ს რ კ ი ს ს ხ ყ ს ს ი ი ი ს ჟ ა თ ი ი რ ს ნ. ს ნ ს კ ა ნ, გვ. 65). როგორც სებეოსის ცნობით ჩანს, აბრაამმა ვერ მოასწრო წამოწყებული მშენებლობის დამთავრება. „იმავე წელს (ხოსროს 21-ე წელი — ზ. ა.) აღესრულა ნეტარი კათალიკოსი აბრაამ. მის შემდეგ საკათალიკოსო საყდარი დაიკავა კომიტასმა, ტარონის ეპისკოპოსმა, სოფელ ადჭიდან. მის დროს დასრულდა წმინდა გრიგოლის ეკლესიის შენება“ (იქვე. გვ. 78—79).

ამრიგად, სებეოსის ცნობით, აბრაამი გარდაიცვალა 610/611 წელს. ის გარემოება, რომ მან ვერ მოასწრო ტაძრის აშენება, შეიძლება მართლაც იმის მაუწყებელი იყოს (ზ. ს ს რ კ ნ ს ა ნ, ს ი ს რ ს ი ნ . . . , გვ. 156), რომ იგი სულ რაღაც სამი-ოთხი წელი იყო კათალიკოსად.

4. აბრაამი ურევს ქრონოლოგიას. იგი, როგორც ჩანს, ზეპირად წერს და წიგნებში არ იყურება. მარკიანესა (450—457) და კავადს (488—531) მთელი ოცდაათი წელი აშორებთ. ქალკედონის კრება 451 წელს შედგა. ე. ი. კავადის მეფობაზე მცირე ხნით წინ კი არა, არამედ ოცდაჩვიდმეტი წლით ადრე. მარკიანეს კენისრობის დროს.

- 5. 1 კორინთელთა 2. 8.
- 6. რომაელთა 5. 10 .
- 7. რომაელთა 9. 5.
- 8. იხ. Г. Чубиннашвили, Заметки о Манглицском храме, საქართველოს მეუფეთმის მოამბე, 1921, № 1, გვ. 33—62.
- 9. ფსალმუნი 24. 7.

რამეზებუ

I

- 1. შდრ. 1 კორინთელთა 11. 19: „რამეთუ წვალებანიცა ყოფად არიან თქუენ შორის“.
- 2. იოანე 10. 12.
- 3. იოანე 10. 10.
- 4. მათე 7. 15.
- 5. შდრ. იოანე 10. 11.
- 6. მათე 7. 23.
- 7. მათე 24, 51; 25. 41.
- 8. ფსალმუნი 24. 7.
- 9. შდრ. მალაქია 3. 7.
- 10. მათე 22. 37.
- 11. შდრ. 2 სჯულთა 13. 5: „რომელმან გამოგიყვანა შენ ქუეყანით ეგვიპტით და გიქსნა შენ სახლისაგან კირთებისა“.
- 12. ებრაელთა 12. 15.
- 13. ეკლესიასტე 10. 8.
- 14. 2 კორინთელთა 6. 17.

15. იგავნი 26. 27.
16. ესაია 24. 15.
17. ესაია 24. 6.
18. შდრ. ესაია 10. 16.
19. შდრ. ესაია 5. 21.

II

1. როგორც ჩანს, უხტანესის ინტერპოლაცია (იხ. შენ. XX. 1) კირონის ამ წერილის გავლენით არის გაკეთებული. უეჭველია, ეს წერილი არ იქნებოდა ერთადერთი კირონის მიერ მოსესთვის გაგზავნილი და მასში **სიქსინ** (კვლავ) უცნაურად არ გამოიყურება.

კირონ ქართლის კათალიკოსი

კლ-მუშაკაგასისა და კირონ ფაზისელის იდენტიფიკაციის
პრობლემასთან დაკავშირებით

I

ქართული და სომხური წყაროები VII ს. დაძვებს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ

„შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი“¹ — მიმართავს ქართლის პირველ მეფეს (ტრადიციით) ფარნავაზს ეგრისის ერისთავი ქუჩი. ფაქტიურად ამ სიტყვებით იწყებს ქართლის სამეფოს ისტორიას ლეონტი მროველი, ამით გამოხატავს თავის, როგორც ისტორიკოსის, პოლიტიკურ პროგრამას. ამ პროგრამას იზიარებს ჯუანშერიც: ფარნავაზიდან მოყოლებული არაბობამდე ქართული ქვეყნები მათთვის ერთ მთლიან პოლიტიკურ-ეთნიკურ ორგანიზმს წარმოადგენს და ცალკეული მათგანის გამოთიშვა დროებითი მოვლენაა, უცხო ძალის მიერ მიტაცების შედეგია. ადვილი არ არის ისტორიკოსების ასეთი თანმიმდევრულობის ასხნა: იგი არ უნდა იყოს თავისი ეპოქის სურათის აღრინდელ ხანაში გადატანის ცდა. ასეთ ერთიანობას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორიც ხედავს, რომლისთვისაც, ს. ჯანაშიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართლის“ პოლიტიკურ ცნებაში შედის არა მარტო კახეთი, არამედ ეგრისიც. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კი ხომ უეჭველად ბევრად აღრინდელია, ვიდრე საქართველოს გაერთიანების ხანა².

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 22.

² ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 124.

როგორც ჩანს, საჭიროა გაირკვეს ყველა კონკრეტულ ეპოქაში ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური თუ საეკლესიო მითითებების რეალურობა; გაირკვეს ის საფუძველი, რომელზედაც ამერიკული მემბტიანეების ნათელი კონცეფცია ერთიანობის შესახებ*.

1

სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი წერს: „ამ მოსემ (სომეხთა კათალიკოსმა—ზ. ა.) ხელი დაასხა წმინდა საკრებულოს უხუცესს კირიონს ქართლის სამწყსოს, გუგარქის და ეგრისის არქიეპისკოპოსად“³. თუ იოანე კათალიკოსს სწორი წარმოდგენა აქვს ქრონოლოგიაზე, იგი 599 წელს უნდა გულისხმობდეს. ე. ი. X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მიხედვით VI—VII საუკუნეების მიჯნაზე ქართლისა და ეგრისის ეკლესიები ერთი მწყემსმთავრის ხელქვეით გაერთიანებულია. ეს მწყემსმთავარია სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების აქტიური მონაწილე, ცნობილი ქართველი მოღვაწე კირონ ქართლის კათალიკოსი.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „ეს ცნობა იმის მომასწავებელია, რომ ქართლის, ანუ მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს უკვე დისავლეთ საქართველოშიც ჰქონდა ასპარეზი მოპოვებული და საკათალიკოსო საზღვარი ლიხთ-იმერეთშიც იყო გადაწეული. ცხადია, იოანე კათა-

* აღნიშნული თვალსაზრისით უნიკალურად შეიძლება ჩათვალოს ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრე პროტექტორის ცნობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ კომენტირებული. 562 წ. ბიზანტიასა და ირანს შორის საზავო ხელშეკრულების დადება სვანეთის საკითხმა გაართულა. პეტრე პატრიკიოსმა წინადადება მისცა ირანის ელჩებს ხელშეკრულებაში სვანეთი საერთოდ არ მოეხსენებინათ და საზავო მუხლი ასე გაეფორმებინათ: ირანი ბიზანტიას უბრუნებს ლაზიკას და ამ ხალხებს (ქვეყნებს), რომლებიც ლაზიკას ემორჩილებიან. ბიზანტიელთა ვარაუდით, ასეთი ფორმულირების შემდეგ სვანეთი კვლავ ლაზიკას დაუბრუნდებოდა და კეისრის გავლენის ქვეშ მოექცეოდა. სპარსელთა ელჩი არ მოტყუვდა და ისეთი პასუხი გასცა, რომელიც ჩვენ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობის გვეჩვენება: „მე რომ ეს ვქნა, შენ საშუალება მოგეცემა იბერიის შესახებაც იღავო. უფლების ძალით ილაპარაკებ, რომ ისიც ღაზთა ქვეშევრდომი იყო“ (გეორგიკა, III, 1936, გვ. 215—216). ამკარაა, სპარსელთა შეხედულებით ლაზიკა, სვანეთი და იბერია ერთმანეთს ჩამოცილებულია გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო და სათანადო პირობები თუ შეიქმნა, მათი ერთიანობის დასაბუთება შეიძლება. სპარსელებმა, ჩანს, იციან ის, რაც დღეს ჩვენ უკვე გვიჭირს წარმოვიდგინოთ: აღმოსავლური და დასავლური გაერთიანებების პოლიტიკური მთლიანობა რომელიღაც ხანაში. ხაზს ვუსვამთ პოლიტიკურს, რადგან ეთნიკური მხედველობაში მოპაქერე მხარეებს არცა აქვთ და, ალბათ, არც შეიძლება ჰქონდეთ.

3. იოანე დრასხანაკერტელი, სომეხთის ისტორია, ილ. აბუ-ლაძის თარგმანი, გვ. 10.



ლიკოსს ეს ცნობა რომელიმე წყაროდან ექნება ამოღებული, მაგრამ საიდან მომდინარეობს ეს ცნობა, ამჟამად ამის გამორკვევა შეუძლებელია⁴. ჩვეულმა კრიტიკულმა სიფხიზლემ მეცნიერს ქვემოთ მანიჭ უფრო ფრთხილად ათქმევინა: „თუ მომავალში მისი უთუბობა და-მტკიცდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ იმიერ-ამიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთობისა და მთლიანობის პროცესი უმზადებდა“⁵.

იოანე დრასხანავერტელის ცნობა მხედველობიდან არც ს. ჯანა-შისა გამორჩა. მისი დაკვირვებით, „ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ საკმაოდ გრძელი პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით VI ს. სამოცდაათიანი წლებიდან VII ს. სამოციანი წლებამდის) თითქმის მიმდემად (ან მცირე წყვეტილებით) ეგრისი და ქართლი ერთს საერთო საეკლესიო-რელიგიურ ფარვატერსა და ბიზანტიის ერთიანი პოლიტიკური ეგიდის ქვეშ ექცევიან. ისე როგორც უფრო ადრე ირანი, ესლა ბიზანტიის მთავრობაც ეცდებოდა გარკვეული ორგანიზაციული თანხმობა დაემყარებინა ადგილობრივ ეკლესიებს შორის. რა კონკრეტული სახით ხორციელდებოდა იგი, ამჟამად გადაჭრით ძნელი სათქმელია, მაგრამ რაღაც გავლენა საეკლესიო-კულტურული, უნდა გავრცელებულიყოს, სწორედ ამ დროს, ქართლიდან ეგრისში... ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა ერთი ძველი სომეხი ისტორიკოსის ცნობა, რომ კირიონი, რომელიც მეთაურობდა ქართლის ეკლესიის სრული დაშორების საქმეს სომხეთისაგან VII ს. დამდეგს, ქართველთა, გუგარელთა (გუგარეთი=ქართველთა საპატრიარქოსი) და მეგრელთ არქიეპისკოპოსად ყოფილა ხელდასახმული „პირვანდელ წესთა“ თანახმად. უეჭველია, პირვანდელ წესად ავტორი ხელდასხმის წესს გულისხმობს, ხოლო რაც შეეხება თვით იურისდიქციის ტერიტორიის განსაზღვრებას, აქ მერმინდელი ვითარების არქაიზაციასთან უნდა გვექონდეს საქმე (კირიონი ნაკურთხია თითქოს სომეხთა კათალიკოზის მოსეს მიერ, რომელიც მონოფიზიტად ითვლება, ეგრისი კი ამ დროს სავსებით მტკიცედ უჭირავს ხელთ ბიზანტიას და მონოფიზიტების აგენტს, რა თქმა უნდა, იქ არ გააჟაჟანებდნენ). თუ როდისმე შეიძლებოდა ასეთ კავშირს ადგილი ჰქონოდა, ეს მხოლოდ VII ა. პირველი ათეულიდან მოყოლებული იმავ საუკუნის შუა წლებამდის, როცა აქ ერთგვარი პოლიტიკურ-საეკლესიო პირობები დამყარდა“⁶ (ხაზი ჩვენია — ზ. ა.).

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 301.
 5 იქვე, გვ. 301—302.
 6 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 122-123.



სხვაგან ს. ჯანაშია კიდევ უფრო აზუსტებს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის თარიღს. იგი ანალიზს უკეთებს ქართლისა და ეგრისის ცნობას— „თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოა, ძმ არან ქართლისა მეფისა და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისაჲ“⁷—და ამბობს „ამრიგად, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ავტორისათვის „ქართლის“ პოლიტიკურ ცნებაში შედის არა მარტო კახეთი, არამედ ეგრისიც. რაც არ უნდა გვიან გადმოიტანონ მატეანის საბოლოო რედაქციის დრო, IX საუკუნეს იგი მაინც ვერ გადმოსცილდება; ე. ი. ეს ლიტერატურული ძეგლი ბევრად აღრინდელია საქართველოს გაერთიანების ხანაზე. მას როდის-ღა იყო შესაძლებელი „ქართლის“ ასეთი ფართო ცნების შემუშავება და ან რა ნიადაგზე უნდა აღმოცენებულყო იგი? ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა ასეთ ხანად მიგვეჩინა VII ს. პირველი ნახევარი (იქნება უფრო ოცდაათიანი ან ორმოცდაათიანი წლები), როცა ზემოაღწერილი კავშირი მყარდება ქართლსა და ეგრისს შორის, თვით კონსტრუქცია-კი ჩაგვეთვალა უფრო საეკლესიო-კულტურულისა და საეკლესიო-ორგანიზაციული ერთობის ანარეკლად, ვიდრე პოლიტიკური მთლიანობის გამოხატულებად“⁸. როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილის ფრთხილი ვარაუდი ქართლისა და ეგრისის ეკლესიების ერთიანობის შესახებ VII საუკუნის პირველ ნახევარში ს. ჯანაშიას შესანიშნავმა დაკვირვებამ კიდევ უფრო გააძლიერა. თუ იგი ჯერ აღნიშნული ერთიანობის თარიღად დაახლოებით 610—650 წლებს თვლიდა, შემდეგ 630—650 წლებზე შეჩერდა და ეტყობა, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შედეგად მიიჩნია.

ქართლისა და ეგრისის ეკლესიები VII საუკუნის დამდეგს ერაო ორგანიზმად თუ არა, მჭიდროდ ერთმანეთთან დაკავშირებულად მაინც წარმოუდგენია სომეხ ისტორიკოსს ჩამჩიანს. იგი წერს: „როცა კირიონმა ქართველ მღვდლებს, ეპისკოპოსებს, მთავრებს და აგრეთვე მეგრელებს ლეონის ტომარი გააცნო, მაშინვე ქალკედონის კრება შეიწყნარესო“⁹.

ს. ჯანაშია ყურადღების გარეშე არ ტოვებს აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკური კავშირების შესახებ ცნობებსაც. იგი ხედავს უმეფობას ეგრისში, ხედავს, როგორ ადვილად ჩაიგდო ხელში იგი აფხაზთა მთავარმა, ანგარიშს უწევს ქართული წყაროების ჩვენებებს და ცდილობს ამ რთულ ვითარებაში გარკვევას: „ჩვენ სხვა მოსაზრებე-

7 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 124.
 8 იქვე.
 9 ღამქსანი ლ. შ., შიომთხილს ჯაიყ, ნორ. ჩ, გვ. 301.



ბითაც იძულებული ვართ ვიფიქროთ, რომ რომელიღაც მომენტში VI—VII სს. სიგრაძეზე უნდა მოსპობილიყო, ცხადია, ბიზანტიელების წყალობით, მეფობა ეგრისში. ეს უნდა მომხდარიყო VI ს. დამლევს, VII ს. ოცდაათიან წლებში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ და შედეგად. სხვაგვარად ძნელი იქნებოდა აგვეხსნა, მაგ. ის ფაქტი, რომ VIII ს. დამლევს აფხაზეთის მთავრებმა ერთი დაკვრით გაანადგურეს ეგრისის სამეფო... ანალოგიურია ქართ. მატიანეებში წარმოუგენილი სურათიც. თუმცა მისი ქვეშარიტების ფარგლების გარკვევა ამყამად ძნელია. ჯ უ ა ნ შ ე რ ი თ V I I I ს. დ ა მ დ ე გ ს ე გ რ ი ს შ ი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი დ ი ნ ა ს ტ ი ა ს უ ლ ა რ ჩ ა ნ ს და მთელი ქვეყანა აფხაზეთის სამთავროს საზღვრამდის ქართლის ერისმთავრებს ეკუთვნის. უეჭველია, ამ შეხედულებასაც ისტორიული მარცვალი უდევს საფუძვლად, სახელდობრ მერმინდელი გამოძახილი იმ მდგომარეობისა, როდესაც ეგრისის მეფეების უპატრონოდ დარჩენილ (როგორც ადგილობრივ სამეფო დინასტიის გადაშენების, ისე ბიზანტიის დასუსტების წყალობით) მემკვიდრეობის ხელში ჩაგდებას ცდილობენ მეზობელი ფეოდალური მფლობელები: ჯ ე რ ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს მ თ ა ვ რ ე ბ ი, ხოლო შემდეგ, აფხაზთა მთავრები¹⁰.

2

ჯუანშერს სრულიად ჩამოყალიბებული წარმოდგენა აქვს VI—VII საუკუნეების მიჯნაზე ქართლის პოლიტიკური ორგანიზაციის ცვლილებების შესახებ. მისი სქემა ასე გამოიყურება: ბაკურ მეფის გარდაცვალების შემდეგ „დარჩეს შვილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდნენ მეფობასა“¹¹, ხოლო ქასრე ამბარევშმა (ხოსრო ფრ-ვიზმა) „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, დ დაუწერა საერისთავთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე. და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა, და განდგეს ერისთავნი და თჳს-თჳსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარევსს“¹². შესანიშნავად დანახული სურათია: ქართლის ერისთავები დამოუკიდებლად ამყარებენ პოლიტიკურ კავშირს უცხო სახელმწიფოსთან. სპარსეთს არ მორჩილებს მხოლოდ კლარჯეთი და ჯავახეთი, ერთი მხრივ და კახეთი, მეორე მხრივ. ეს არის სპარსთა წარმატების ხანა. როდესაც ბიზანტიამ სპარსეთზე უპირატესობა მოიპოვა და ქართლი დაიკავა, „შეითქუნეს

10 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, I, გვ. 88—90.
 11 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 217.
 12 იქვე.



თი მათი სამფლობელო იყო. „სხუა ყოველი ქართლი და-
იპყრა ადარნასე, ბაკურის ძემან მთავრობით, და მეფობისა საქმე
ვერცა მან იკადრა. და ერისთავნი იგი თუს-თუსსა საერისთოსა
მკვდრობდეს შეუცვალეებლად და მორჩილებდეს ადარნასე მთა-
ვარსა“²⁰.


ადარნასეს შემდეგ ქართლის ერისმთავარი ხდება მისი ძე სტეფან-
ნოზი. სტეფანოზიდან მოყოლებული თხრობაში ხშირად იჩენს თავს
ეგრისი. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ჯუანშერს ეგრისი ქართლის
ნაწილად მიაჩნია. სტეფანოს II-ის ძეებს მირს და არჩილს უკვე მეფე-
ები ეწოდებათ. ისინი ქართლიდან არაბთაგან დევნილნი ეგრისში
იმყოფებიან. სიკვდილის წინ მირი ანდერძს უტოვებს არჩილს, გაუყოს
„ქუეყანანი ქართლისანი“ მის ასულებს: „ნახევარი შენ და ნახევარი
მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და
გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და
გურია“²¹. ამკარაა, ჯუანშერს VII ს. მეორე ნახევარში ეგრისი ქართ-
ლის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. იმის თქმა, რომ ჯუანშერს მექა-
ნიკურად გადააქვს გვიანდელი ვითარება ადრე ხანაში, არ იქნებოდა
გამართლებული. იგი კარგად ხედავს, რომ აფხაზთა მთავარს ჯერ
კიდევ არ დაუბყრია ეგრისი; აქ არც ბიზანტიის ხელი მოჩანს. ჯუან-
შერი არც გვიანდელ ნომენკლატურას ხმარობს. ასე რომ, იმისგან
დამოუკიდებლად, რამდენად შეესაბამება რეალურ ვითარებას ჯუან-
შერის მიერ აღწერილი სურათი, ის მაინც ამკარაა, რომ ისტორიკოსს
იგი სწორედ ადრინდელი ვითარების ამსახველად მიაჩნია.

ამრიგად, ჯუანშერის მონათხრობიდან ასეთი ვითარება წარმო-
ვვიდგება: ბიზანტიის პოლიტიკური უფლებების ქვეშ
გუარამ კურაპალატის მთავრობით (თუ მეფობით)
ერთიანდება ქართლი და აღდგება ლეონტი მრო-
ველისაგან აღწერილი „ყოველი ქართლის“ ფარგ-
ლებში (დაახლოებით იმ რვა საერისთავოს ფარგ-
ლებში, რომელიც ფარნავაზმა „განაჩინა“). ქართლის
ერისთავთა მთავრობა თანდათან კვლავ მეფობაში გადაიზრდება (მი-
რი, არჩილი). ეს ხდება მაშინ, როცა სპარსეთიცა და ბიზანტიაც არაბ-
თაგან დაუძლურებულნი არიან²².

²⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 226.

²¹ იქვე, გვ. 241.

²² ს. ჯანაშიას შესანიშნავად აქვს ნაჩვენები, თუ როგორ „შეკრება“ VI საუ-
კუნის მეორე ნახევარში ქართლი (ფეოდალური რევოლუცია საქართველოში,
წიგნები, I). აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ძირითადად, მისი ნაშრომიდან
ამოვდივართ.



„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და სუმბატ დავითის ძე VI—ნახე მოღვაწე ქართლის ერისმთავრების შესახებ შედგენილ ცნობებს იძლევიან. ქართლის გაერთიანება მათთვისაც გუარამ კურაპალატის ზეობაზე მოდის. ჯუანშერის ერისმთავრებს „მოქცევაჲ“-ს ავტორი და სუმბატ დავითის ძე ყველგან ერისთავებს უწოდებენ, ოღონდ აშკარად განასხვავებენ რიგითი ერისთავებისაგან.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართებიდან მოჩანს, რომ ქართლისა და ეგრისის ეკლესიების ერთიანობის შესახებ ტრადიცია ცოცხალი ყოფილა გვიანაც. ბროსესეული, ბარათაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული ნუსხების ჩანართები მოგვითხრობენ: „იქმნა კრება მეექუსე... ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსთჳს, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი. და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მიწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა და სამწყსოსა თჳსსა ქართლსა, გამოდმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა“²³. თეიმურაზისეული ნუსხის ჩანართი კიდევ უფრო საინტერესო სურათს გვაძლევს და ქართლის ეკლესიის საზღვრებს „პონტოს ზღვიდამ დარუბანდის ზღვამდე“ დებს. აშკარაა, რომ ნომენკლატურა გვიანდელია. შესაძლოა საზღვრების აღდგენაშიც ბევრი შეცდომა იყოს დაშვებული, მაგრამ ჩანართი რომ სრულიად უსაფუძვლოდ და ტენდენციურად იყოს გაკეთებული, მისი ავტორი რაღა არაბობის მძიმე ხანას აირჩევდა ეკლესიის ერთიანობაზე სასაუბროდ. ამასთან ორი ჩანართი ერთი და იმავე მოვლენის შესახებ, ჩანს, სხვადასხვა ცნობით სარგებლობს ამ ჩანართების ავტორების თუ რედაქტორების ისტორიული მასალის ცოდნა განსხვავებულია. ბროსესეული და მისი მიმყოფი ნუსხები ქართლის ეკლესიის საზღვრების დამდგენად (უკეთ, არსებული ვითარების ფიქტორად) VI მსოფლიო კრებას ასახელებენ, თეიმურაზისეული — არა. მაგრამ რაღა VI მსოფლიო კრებას (680—81) მიაწერეს და VII საუკუნით განსაზღვრეს ერთიანობის პერიოდი? უეჭველია, სწავლულ კაცთა კომისია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს კათალიკოსების ნუსხის მიხედვით, ამ ფაქტს გარკვეული კათალიკოსის ზეობას უკავშირებდა. „მოქცევაჲ“-ს მიხედვით კი ამ ხანებში კირონი უნდა ყოფილიყო ქართლის კათალიკოსი. პ. კარბელაშვილს იგი კირონი II ჰგონია და ამბობს: „ამის დროს VI მსოფლიო კრებამ დაამტკიცა დამოუკიდებლობა

²³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231—232.



მცხეთის კათალიკოსისა „პონტოს ზღვიდამ დარუბანდის ზღვიდამდ“²⁴, დასკვნა ერთია: ქართულ საისტორიო წრეებში ყოფილა ზეპირმოცემული წერილობითი ტრადიცია, რომლითაც VII საუკუნეში ქართული ეკლესია მთლიანად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მომცველად იყო წარმოდგენილი და ეს ტრადიცია ერთიანობას უკავშირებდა კირონ კათალიკოსს, რომლის მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ ხეირიანად აღარავინ იცოდა რამე. შესაძლოა, სწორედ ასეთ წყაროზე მიუთითებდა ვახუშტი ბაგრატიონიც, როცა წერდა: „ამ ყამებთა ცილება იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებისათვის. ხოლო კვირონ ანუ სუმიონ კათალიკოსმან ქართლისამან განდევნა ცორტაის (sic) კათალიკოსი (sic) შუმანიკის საფლავისაგან მწვალებლობისათჳს; სომეხთა და იქმნა უმეტესი განყრილებაჲ, ხოლო ჰერეთი იქმნა სომეხთა წვალეზისად მიდრეკილი. ესრეთ სწერენ ეკლესიის მემკვიდრენი ქართველნი“²⁵.

ასეთი ვარაუდი მით უფრო სარწმუნო მოგვეჩვენება, თუ ვიგახსენებთ, რომ სომხური საისტორიო მწერლობა (იოანე დრასხანაკერტელი) ერთიანობის ტრადიციას იცნობს და სწორედ კირონ ქართლის კათალიკოსის სახელს უკავშირებს.

3

ქართულ-სასანური დრამები დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს²⁶. ბედი აქვთ VI—VII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართლის ერისმთავრებს: წყაროების ასეთი სიძუნწის პირობებში მატრიანებშიც ყველაზე უფრო მეტი ადგილი მათ აქვთ დათმობილი, ეპიგრაფიკაც მათ შესახებ ლაპარაკობს და ნუმისმატიკაც. მაგრამ ბედი, რასაკვირველია, არაფერ შუაშია და ჩანს, თვით ქართლმა

24 პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, თფილისი, 1900, გვ. 41—42.

25 ვახუშტი ბაგრატიონი, ტომობა და შთამომავლობა ქართველთა, ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—756, 14 რ.

²⁶ Баратаев М. П. Нумизматические факты грузинского царства, СПб. 1844; Пахомов Е. А. Монеты Грузии, ч. I, С.-Петербург, 1910. და კაპანაძე, რამდენიმე შენიშვნა ე. წ. ქართულ-სასანური დრამების შესახებ სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VI, № 1, 1945; მისივე, ქართული ნომისმატიკა, თბილისი, 1950; D. M. Lang, Notes on Caucasian Numismatics, Numismatic Chronicle, XVII, 1957; Toumanoff C., Iberia on the Eve of Bagratid Rule, Excursus C. Coins of the Princes of Iberia, Le Muséon, LXV, 1952.

მიადწია ისეთ პოლიტიკურ დონეს მათი ზეობის ხანაში, რომ წყაროებსაც მათ შესახებ მცხედრებს მოახინდათ სათქმელი.

ქართულ-სასანური დრამები დაახლოებით VI საუკუნის უკანასკნელ 30 წელზე და VII საუკუნის პირველ 30—40 წელზე მოდის, ე. ი. სწორედ იმ ხანაზე, რომელშიც თავსდება ქართულ-სომხური ტრადიციით აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ერთიანობის პერიოდი. უეჭველია, საკუთარი მონეტის მოჭრა ქვეყნის საერთო პოლიტიკურ აღმავლობაზე მიუთითებს. დრამების გარეგნული სახეც ფრიად საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს: აშკარად ორმიზდ IV მონეტების მიბაძვით და ორმიზდისავე გამოსახულებით მოჭრილი ქართული ფულის ერთ ჯგუფს ზედ ჯვარცა აქვს გამოკვეთილი. ცხადია, აქ საქმე გვაქვს ისეთ სახელმწიფო ორგანიზაციასთან, რომელიც მთლიანად აღარც სპარსეთს ემორჩილება და არც ბიზანტიას. თუ ასეთი ვითარება მართლაც შეიქმნა ქართლში (და რომ შეიქმნა, მონეტებიც ამას მოწმობენ), მაშინ უსაფუძვლო აღარ იქნება ქართველ მემკვიდრეთა მტკიცება „ნელად-რე შეკრბა ქართლიო“. რა ერთეული იყო ის ქართლი, „ნელად-რე“ რომ „შეკრბა“ და რა უნდა ყოფილიყო ის სახელი, რომლითაც ცნობილი იქნებოდა ეს ჯერ კიდევ, შესაძლოა, არამყარი პოლიტიკური ორგანიზმი? ჩვენს ყურადღებას იპყრობს მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა.

წარწერა დაზიანებულია და აშკარად იკითხება მხოლოდ შემდეგი:

. ად სტეფა . . . ს პატრიკი . . . სა, დემეტრ . . . ატოსისა, ა . . . ერსე ჯბა . . . სა, სოჯლ . . . და ჯორცთ . . . ათთა მეო . . . და ყლისა . . . ლისა მცე . . . დ

მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერამ გ. ჩუბინაშვილის, ა. შანიძისა და ალ. კალანდაძის აღდგენების შედეგად ასეთი სახე მიიღო:

„[ესე ჯუარი მცხეთისაჲ შევაძკვეით სალოცველ] — ([შეწვენითა ღმრთისაჲთა აღხემართა ჯუარი ესე სალოცველ])—ად სტეფა[ნო]ს პატრიკი[ოსი]სა, დემეტრ[ე] ჯპ[ატოსი]სა, ა[დრ]ნ[ერ]სე ჯპ[ატოსი]სა, სულ[თა] და ჯორცთ[ა] მ[ა]თთა მეო[ხნად] და ყოვლისა [სახ]ლისა მცველად“²⁷.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია წარწერის ბოლო სტრიქონის წაკითხვა. კერძოდ, რამდენად სწორად არის აღდგენილი გამოთქმა „ყოვლისა სახლისა მცველად“. როდესაც ამ წარწერის წამკითხველები ქვაზე დარჩენილ მარცვალს „—ლისა“-ს „სახ“-ს უმატებდნენ, ცხადია, მათ მხედველობაში ჰქონდათ „სახლი“ „გვარის“ მნიშვნელობით და წარწერა ასე ესმოდა: „შეწვენითა ღმრთისაჲთა აღხემართა ჯუა-

²⁷ Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, стр. 82—83.

რი ესე სალოცველად სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე ჯაბატოსისა, აღრნერსე ჯაბატოსისა, სულთა და ჯორცთა მათთა მეოხად და ყოვლი-
სა გვარისა მცველად“. ჯუანშერის მიხედვით სტეფანოზი და დემეტრე
ძმები არიან, ხოლო აღარნასე სრულიადაც არ არის მათი გვარის წარ-
მომადგენელი. ე. ი. ერთი მხრივ სტეფანოზი და დემეტრე, მეორე
მხრივ აღარნასე სხვადასხვა სახლის წარმომადგენლები არიან²⁸. მხო-
ლოდ სუმბატ დავითის ძეს მიაჩნია სამივე ეს ერისმთავარი ერთმანე-
თის მამა-შვილად, მაგრამ იგი ტენდენციურია, ყველა ერისმთავარი
ბაგრატიონთა ჩამომავლად უნდა გამოაცხადოს და ნდობა ძნელია.
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით გურამ კურაპალატის მომდევნო
ერისთავია მისი ძე სტეფანოზ I, რომელიც ჯვარს აშენებს. რა ნათე-
საურ დამოკიდებულებაშია სტეფანოზთან მისი მომდევნო ერისთავი
აღარნასე, არ ჩანს, ხოლო სტეფანოზ II უკვე აღარნასეს ძეა. უეჭვე-
ლია, „მოქცევაჲ“-ს ავტორს სტეფანოზსა და აღარნასეს შორის მემ-
კვიდრეობის ხაზი გაწყვეტილი აქვს, თორემ სხვაგან იგი ყველგან
ხაზს უსვამს ნათესაურ დამოკიდებულებას. ჩანს, სუმბატ დავითის ძე
არ არის მართალი, როცა აღარნასეს სტეფანოზის ძედ აცხადებს. ამ-
რიგად, გამოთქმა „ყოვლისა სახლისა“ არ შეიძლება გულისხმობდეს
მთლიანად ერთ საგვარეულოს და რეალური ვითარება რომ შევინარ-
ჩუნოთ, მასში ორი სახლი მაინც უნდა გავარჩიოთ. ამასაც რომ თავი
დავანებოთ, გამართული ტექსტის მისაღებად ნაცვალსახელი „მათისა“
აუცილებლად დაგვჭირდებოდა, ისევე, როგორც ზემო სტრიქონში
გვაქვს: „სულთა და ჯორცთა მათთა მეოხად“²⁹. ამრიგად, თუ „-ლისა“

²⁸ ჯვრის პოსტამენტის წარწერაში „ყოვლისა სახლისა“-ს ამოკითხვამ დაარ-
წმუნა გ. ჩუბინაშვილი, რომ სტეფანოზი, დემეტრე და აღარნასე ძმები არიან
(Памятники типа Джвари, გვ. 114). ე. ჯობაძის შეხედულებითაც ამ წარწერის
მთავარი ღირსება ის არის, რომ სტეფანოზს, დემეტრესა და აღარნასეს ერთი
გვარის წარმომადგენლად აცხადებს (Oriens Christianus, B 44, 1960, გვ. 123).

VI—VII სს-ის მიჯნაზე მოღვაწე ქართლის სამი ერისმთავრის—სტეფანოზ I,
აღარნასე I და სტეფანოზ II — ქრონოლოგია და საქმიანობა დღემდე არ არის
ნათელი. საცილობელია მათი რელიგიური მრწამსი, პოლიტიკური პროგრამა, წარ-
მომავლობა და მოღვაწეობის თარიღები. უკანასკნელ ხანებში კ. თუმანოვმა სა-
კითხი ისეც წარმოადგინა, თითქოს მცხეთის ჯვრის ბარელიეფებზე გამოსახული
ყოფილიყვენ სტეფანოზ II, დემეტრე — სტეფანოზ I-ის ძმა, აღარნასე II და მი-
სი ძმა სტეფანოზი (С. Toumanoff, Iberia on the Eve of the Bagratid Rule,
Muséon, 65, 1952, p. 205). ასეთი იდენტიფიცირებით მცხეთის ჯვარი ცხადდებოდა უფ-
რო გვიანი ეპოქის პროლუქტად (VII საუკ. შუა ხანები), ვიდრე ეს დღემდე იყო მიღებუ-
ლი. კ. თუმანოვის არგუმენტაცია სპეციალურად განიხილა და დაწვრილებით უბასუხა ე.
ჯობაძემ (Oriens Christianus, B 44, გვ. 160, 117—127). კრიტიკა იმდენად ამომწურა-
ვია, რომ დამატებით აღარაფრის თქმას არ მოითხოვს.

²⁹ რომ „მათისა“-ს გარეშე ტექსტი არ არის გამართული, გამოჩნდა ე. ჯობაძის
ინგლისური თარგმანიდან. მთარგმნელს მოუხდა წარწერის ტექსტის თარგმანში ამ ნაც-

მარცვლის წინ „სახ“-ს აღვადგენდით, უპირიანი იქნებოდა მთელი ტექსტი ასე გაგვემართა: „შეწვენითა ღმრთისაჲთა აღხემათა ჯუარი ესე სალოცველად სტეფანოს პატრიკიოსისა, დემეტრე ჰპატონისა, ადრნერსე ჰპატონისა, სულთა და ჯორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა სახლისა მათისა მცველად“.

ახლა ვნახოთ, რა შეიძლება იგულისხმებოდეს VII საუკუნის დამდეგს თუ VI საუკუნის დასასრულს ტერმინ „სახლში“. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „წა“ შუშანიკის მარტვილობა ამტკიცებს, რომ უკვე V საუკუნეში საქართველოში „სახლი“ მარტო საგვარეულოს და გვარსკი არ ნიშნავდა, არამედ ერთ-ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც (იხ. ქ-ლი ერის ისტ. I, 232). შემდეგში ხომ ამგვარი მნიშვნელობა უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო. ასეც მომხდარა. იოანე საბანიძეს მაგ. იქ, სადაც აღნიშნული აქვს, რომ ნერსე ერისმთავარმა თავისი ოჯახობა აფხაზეთში გახიზნა, ასე უწერია: წარგზავნეს... დედაჲ და ცოლი და შეილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი“..... მაგრამ „სახლის“ თავდაპირველი მნიშვნელობა აქა-იქ მაინც შერჩენილია და ზოგჯერ წინანდებურად გვარსა პნიშნავს³⁰. ამრიგად, VI—VII საუკუნეების მიჯნაზე „სახლი“ მხოლოდ გვარს აღარ ნიშნავს და უპირატესად „ოჯახის“ მნიშვნელობით იხმარება. ზოგჯერ „სახლი“ ფეოდალური სენიორიის აღმნიშვნელიცაა³¹. თუნდაც რომ „სახლში“ გვარი ვიგულისხმოთ, მცხეთის ჯვრის ტაძარი ისეთი მნიშვნელობის ძეგლი იყო და ისეთ ადგილზე იდგა, რომ ვეჭვობთ, მხოლოდ ერთი, ან თუნდაც ორი, რომელიმე გვარის „მცველი“ ყოფილიყო. ესეც არ იყოს, ჯვრის ტაძარი „ყოველი სახლის მცველად“ რომ იყოს აღმართული, მაშინ სამივე ბარელიეფზე ვედრება ჯვრის მიმართ იქნებოდა. ამ დროს ჯვარს ავედრებენ მხოლოდ ქართლის პატრიკიოზს, ხოლო დემეტრესა და ადარნასეს მეოხად მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები არიან მოხმობილნი.

სულ სხვა პოლიტიკურ შინაარსს შეიძენს მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა, თუ „ყოვლისა [სახ]ლისას“ მაგიერ „ყოვლისა [ქართლისა“-ს ამოვიკითხავთ. მაშინ წარწერა ასეთ სახეს მიიღებს: „[შეწვენითა ღმრთისაჲთა აღხემათა ჯუარი ესე სალოცველად სტეფანოს]

ვალსახელის შეტანა: «[This Mtzkheta Cross was erected] in prayer for Stephanos Patrikios, Demetre Hypatos, and Adrnerse Hypatos to save their souls and bodies and to protect their whole house». W. Djobadze, The Sculptures on the Eastern Façade of the Holy Cross of Mtzkheta, Oriens Christianus, B 44, 1960, 83-123.

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, 83. 24—25.

³¹ ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, 1935, გვ. 9.



პატრიკი [ოსი]სა, დემეტრ[ე] ჯ[ატოს]ისა, ა[დრნ]ერსე ჯა[ტოს]ისა, სო-
 ლ[თა] და ჯორცთ[ა] მ[ათთა] მეო[ხად] და ყოვლისა [ქართ]ლისა [ქვე]რ
 ლა³².

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული წაკითხვა მცხე-
 თის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერისა ლოგიკურია. მას არც სტრიქო-
 ნებში დატეულ ასოთა რაოდენობა უშლის ხელს, მაგრამ მაინც მივაქ-
 ცევთ ყურადღებას, რომ აღსადგენი სიტყვის თავზე გაირჩევა ქარაგმის
 ნიშნის ნაშთი. „სახ“- მარცვლის დაქარაგმება აქ არ არის მოსალოდნე-
 ლი, სამაგიეროდ „ქ~რთლისა“ სავსებით ბუნებრივად გამოიყურება და
 დადასტურებას პოულობს სხვა ქართულ ძეგლებში.

მაგრამ იყო კი რეალური ნიადაგი VI—VII საუკუნეების მიჯნაზე
 ფართო მნიშვნელობით „ყოველი ქართლის“ აღსადგენად? ჩვენ ზემოთ
 შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ქართული წყაროების მონაცემები სავ-
 სებით შესაძლებელს ხდის ამ ხანაში ასეთი შემკრებლობითი ტერმინის
 არსებობას (აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ორდინალური შინაარსით
 გამოთქმა „ყოველი ქართლი“ ყველა ეპოქისათვის ბუნებრივი უნდა
 ყოფილიყო). შეიძლება ამასვე ადასტურებდეს „ეპისტოლეთა წიგნში“
 შენახული წერილი სმბატ გურგანის მარზპანისა მოსე ცურტაველი-
 სადმი: „შენ ამბობ, მე ატრნერსეს და ვაჰანის ძმების რა ვარ, რომ
 მახვილი არ ავიღო და ყოველ ქართლს შევერკინო“³³.

იგივე ადგილი უხტანეს უკეთესი რედაქციით აქვს შემონახული:
 „შენ ამბობ, რომ ატრნერსეს, ვაჰანს და მათ ძმებს არ უქნიათ, გამოდი
 და წინააღმდეგ განეწყვე. მე არ ძალმიძს ავიღო მახვილი და ყო-
 ველ ქართლს შევერკინო“³⁴.

ჯვრის კვარცხლბეკის წარწერასა და სმბატ ბაგრატიუნის ამ წე-
 რილს სულ რაღაც ათიოდე წელი შეიძლება აშორებდეს. აქაც „ყო-
 ველი ქართლი“ პოლიტიკური ცნება და VI—VII საუკუნეში რეალუ-
 რად არსებული ტერმინი უნდა იყოს. შესაძლოა, ასეთივე მნიშვნელო-
 ბით იყოს ნახმარი ეს ტერმინი ასურელ მამათა ცხოვრებაში. სტეფა-
 ნოზ I (სწორედ ის სტეფანოზი, რომელიც ჯვრის ტაძრის ბარელიეფ-

32 შეუძლებელია არ გავგახსენდეს პეტრე იბერის ცხოვრების ქართული ვერ-
 სის სიტყვები: „ვბამედეთ... მოძღუარსა პეტრეს, სამკაულსა და სიქადულსა
 ქართუელთასა და მეოხსა ყოვლისა სოფლისასა“ (H. Марр,
 Жизнь Петра Ивера, Палестинский сборник, т. XVI, вып. II, С.-П., 1896, გვ. 52).
 მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ განუზომელ რელიგიურ-პოლიტი-
 კურ ეფექტზე, რომელსაც ქართველ კაცზე მოახდენდა მცხეთის ჯვრის მდებარეო-
 ბა და ასეთი დანიშნულება.

33 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 83.

34 *Գու ասնա՛ր քէ Աօրենքսնի՛ն և Վանանայ և Կարաբն ոչ արարեալ, ե՛լ
 ընդ դեմ կալ, ես ոչ կարեմ սուք անուլ, և ընդ ամենս այն վ. ի ր ս կրուել:
 Ու խ ս ու ն է ս, II, გვ. 101—102.*

ზეა გამოსახული და კვარცხლბეკის წარწერაშიც მოიხსენება) კათალიკოს ბართლომესთან ერთად მიდის „მღვმედ, თაყუანისცემად ნეტარისა შიოძსა“. მონასტრის მსახურნი უდიდესი პატივით კათალიკოსს და ერისთავთა მთავარს უყურადღებოდ დატოვებენ. „განრისხნა გულისწყრომითა სტეფანოზ მხილებათა მათთვის და მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა: არა მივსცე შეურაცხის-მყოფელთა მამული ჩემი“. დაიწყო მონასტერსა და მთავარს შორის ბრძოლა მიწებისათვის. საქმეში თვითონ შიოც ერევა სასწაულებით. მთავარი მარცხდება და არამტოუ უკან უბრუნებს მონასტერს წართმეულ ორ აგარაკს, არამედ „მოუწოდა უკუე სტეფანოზ მწიგნობარსა თვისსა და უბრძანა მას, რაჟთა დაწერნეს ორნი დაბანი დაბათავან სამეუფოთა ურჩეულენი“... „დაამტკიცა უკვე ჰელით წერილი იგი ჰელითა თვისითა და წარსცა ყოველსა შინა ქუეყანასა ქართლისასა, რაჟთა ყოველნი ეკლესიანი განთავისუფლნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიქდისა“³⁵.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ამისთანა შემთხვევებში, როდესაც სიტყვას „ქართლი“ ფართო და საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, უმატებდნენ ხოლმე „ყოველი“, ან „ერთობილი“ და ამბობდნენ ხოლმე „ყოველი ქართლი“, „ერთობილი ქართლი“³⁶.

4

მარტო ჯვრის ტიპის ნაგებობების გათვალისწინება კმარა, რომ თვალწინ დაგვიდგეს საეკლესიო-იდეოლოგიური ერთიანობა „ყოველი ქართლის“. თანაც იმავე ფარგლებში, როგორც ფარნავაზის დროს გვამცნობს ლეონტი მროველი. მცხეთის ჯვარი შენდება კახეთისა და ქართლის საზღვარზე; აშენებენ კახეთის, შიდა ქართლისა და კლარჯეთ-ჯავახეთის პატრონები. შიდა ქართლში — ატენი, კახეთში — შუამთა, ეგრისში — მარტვილი. ყველა ეს ძეგლი სულ ოცდაათი ოდე წლის პროდუქტია და დაახლოებით 600—630 წლებში ეტივა³⁷. აღნიშნული წლები კი სტეფანოზ I და ადარნასე ქართლის ერისმთავრების ზეობაზე მოდის. ჩვენ ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ აღნიშნული 30 წელიწადი ზუსტად კირონ კათალიკოსის მოღვაწეობის ხანაა, სწორედ იმ კირონის, რომელიც იოანე დრასხანაკერტელის ცნობით იყო ქართლის, გუგარქის და ეგრისის არქიეპისკოპოსი.

³⁵ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 205.

³⁶ ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 26.

³⁷ იხ. Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948.



VII საუკუნის დამდეგი ქართლის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული მოძრაობის ძლიერი აღმავლობით გამოიჩინევა. მისახურება ხდება ერთი უძლიერესი ფაქტორი „ყოველი ქართლის“ განაპირა პროვინციების გაქართველებისა და მათში ქართული სახელმწიფოებრიობის დამყარება-განმტკიცებისა³⁸. სწორედ კირონ ქართლის კათალიკოსი ხვდება პირველად (რასაკვირველია, მომწიფებული პოლიტიკური პირობების კარნახით), რომ აუცილებელია მღვდელთმსახურებაში ქართული ენის ყველგან დამკვიდრება „ყოველი ქართლის“ შემომტკიცებისათვის და მთლიან ორგანიზმად შესაკრავად. მან შეძლო, სომეხი ისტორიკოსის ლეოს სიტყვებით რომ ეთქვათ, „რკინისებური სიმტკიცით გაეტანა თავისი“³⁹ და ყველაზე უფრო ჭრელი მოსახლეობის მქონე ცურტავის ეპარქიაში ქართული სავალდებულო ენად დაემკვიდრებინა. მართალია იგივე ისტორიკოსი, როცა ამბობს: „კირონმა წარმატებით გაიტანა დაწყებული საქმე და სრული უფლება მიიღო, ეწოდოს თავისი ხალხის ერთ-ერთი დიდი შვილი“⁴⁰. ცურტავის ეპარქიაში ქართული მღვდელთმსახურების გაბატონება იყო სრულიად შეგნებული პოლიტიკა, წამოწყებული კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ; პოლიტიკა, რომელმაც შემდეგში გიორგი მერჩულეს საშუალება მისცა ეთქვა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“⁴¹. არაბობა რომ არა, როგორც ჩანს, ამ ბრწყინვალე ეროვნულ-პოლიტიკურ ფორმულას უფრო ადრე იტყოდა რომელიმე გონიერი ქართველი მოღვაწე.

ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. „ნათელ-იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თვნიერ ხოლო არა ნათელიღეს მთელთა კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა უამ რაოდენმე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 116). „არა ნათელილო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, არცა ერმან მისმან ნათელ-ილო, არამედ ჟორციელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფესა“ (იქვე, გვ. 117). განრისხდა მირიანი. განუცხადა წმინდა ნინოს და ეპისკოპოსს: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახვლითა მოვაქციენეთ მთელნი და სიძე ფეროზ, და დაეპოონეთ ძესა ღმრთისასა და ვათაყუანეთ პატროსანსა ჯუარსა“ (იქვე, გვ. 125). ამთ დაუშალეს მეფეს მახვილის ხმარება და მოუწოდეს ჯვრითა და სახარებით უჩვენოს „გზა ქეშმარიტი“ და „მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულითა მათთა“. მეფემ არ დაიშალა. სვეგებისოდ ერისთავი და მხედრობა გაატანა ნინოსა და ეპისკოპოსს. მეფე მირიანი მარტო არ არის. მას მხარში უდგას ერისთავი (ერისთავნი) და მხედრობა. ფეროზთან ერთად კი აღმდგარა რანის მოსახლეობაც. მთიელთაც „განუყარ-

38 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 574.
 39 ი. ს. ი., ჰაიე უსოშიკი, II, სტ. 237.
 40 ი. კ. კ.
 41 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 290.

ნეს თავნი და პირნი გარე მიიქცევენს და იღრპუნდეს კილითა“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 89). რატომ ასე უწყევნ წინააღმდეგობას მთიელნი (პერიფერული წილკენი, ფხოვლი) ქრისტიანობას? მხოლოდ იმიტომ, რომ მათზე უფრო გენითარების დონე არ შეესაბამება ახალ რელიგიას? მაშ, ფეროზი რანის მოსახლეობასთან ერთად რატომ არ „იღებს ნათელს“? აქ ხომ იქნებოდა ისეთი ფენები, სადაც ქრისტიანობა ფხვს მოკიდებდა? რატომ არის ასე დაინტერესებული მირიანი მთიელთა და რანის მოქცევით? რატომ მიყვება ნინოს და ეპისკოპოსს მხედრობა ერისთავთ სათავეში? იმიტომ, რომ ქართლის მესვეურნი ქრისტიანობის სახელით დიდ სახელმწიფოებრივ ნაბიჯს დგამენ. მთიელთა და რანის მცხოვრებთაგან გაქრისტიანებაზე უარის თქმას და „კბილთა ღრჭენას“ ამათი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისკენ მისწრაფება უღევს საფუძვლად. ეტუობა, მირიანი ხედავდა, რომ პერიფერიების შემოსამტყეებლად არც მხოლოდ ჯვარი იქნებოდა საკმარისი და არც ცალკე აღებული მახვილი იკმარებდა. იმიტომ, „ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 125). ამ ღონისძიებამაც რომ არ იკმარა, „დაუძმიმა მათ მეფემან ხარკი“ (იქვე, გვ. 126). გადაეჭრო ერთმანეთს საერო და საეკლესიო მიზნები. გამომკლავნდა ქრისტიანული რელიგიის კლასობრივი არსი მისი ოფიციალურად აღიარების პირველსავე წელს. ქრისტიანობა ქართლის ცხოვრებაში გამოჩნდა როგორც ფეოდალური საზოგადოების რელიგია და მაშინვე აღმავალი ფენის სამსახურში ჩაღვდა. ამ გარემოებამ განსაზღვრა ქართლი ეკლესიის, როგორც ფეოდალური ორგანიზაციის მომწიფების უაღრესად სწრაფი ტემპი. მაგრამ კლასობრივი მომენტი არ არის მოთხრობილის შესაფასებლად ერთდერთი ამოსავალი. ეს ერთი შეხედვით უწყალო პოლიტიკური აქტი („წარმართა მახვილი მათ ზედა“), ქართლის ცხოვრებაში უღიდესი მნიშვნელობის მოვლენად გვეჩვენება. როგორც ჩანს, ამასვე გულისხმობს ლეონტი მროველის სიტყვები: „ვითარ აღასრულა ესე ყოველი ღმრთიანებაჲ მირიან მეფემან, განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა, ერთარსებისა ღმრთისა დაუსაბამოსასა დამბადებელისა ყოვლისასა, და განმტკიცდეს სულსა სარწმუნოებასა ზედა“ (აქ. 128). მირიანი მშვენივრად გაერკვა, რომ ერთი ღმრთის აღიარება მჭიდროდ დააკავშირებდა პერიფერიებს ცენტრთან. მირიანის „პორტიელ ოდენ მსახურებიდან“ სულიერ მსახურადაც აქცევდა. ცალკეული, საკუთარი სარწმუნოების მქონე, ტომთა ფსიქიკური წყობის ნიველირებისათვის არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა. მეტსაც ვიტყვი: მირიანის ნაბიჯი უნდა მოჩანდეს ფეოდალური საქართველოს („ყოველი ქართლისა“ მიანც) ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის ერთი ეტაპი. იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს შინაგანად მთლიანი ერთეული („ყოველი ქართლი“), საკმარისი არ არის მცირე ჯგუფების (ქართლელი, კახელი, მთიელი და სხვა) ეთნიკური წარმოშობის ერთიანობა (ზოგჯერ ხომ ესეც არა გიჟებს, ან კიდევ ასეთი ერთიანობა ძალზე ბუნდოვანია). ამ ელემენტების „გაქართველებისათვის“, „ყოველი ქართლის“ ისეთ შეგნებულ მთლიანობად ჩამოსაყალიბებლად, რომლის წევრებსაც შეუძლიათ უმეცდომოდ უწოდონ თვითნათის თაის „ჩვენ“, საჭიროა სხვა მეზობელი ერთიანობებისგან განმასხვავებელი კიდევ მრავალი ნიშნის შექმნა. ქრისტიანული რელიგიის პერიფერიებში გატანით ქართლის სამეფოს მესვეურებმა მთიელნიც ამ „ჩვენ“-ს აზიარეს. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ქრისტიანობის ხელშეწყობით კიდევ უფრო „მკვეთრად შეიკრა ერთი ბანაკი (ქართლი, სომხეთი და ალბანეთი) და გაემიჯნა „მათ“ (ირანი).



შემდეგი პერიოდი არის მზადება მეორე დიდი დაყოფისათვის VII საუკუნეში, როცა ქართლი და სომხეთი ერთმანეთს განასხვავებენ რელიგიურადაც. მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში სარწმუნოებრივად ერთი საზოგადოებაა, ამ ნიშნითაც მკვეთრად იმეჩნება. ეს არის კანონზომიერი პროცესის ლოგიკური და სასრული: VI—VII საუკუნეების მიჯნაზე აღდება ყოველი ქართლი, რომელიც იძენს ისეთ არსებით ნიშნებს, რომელთა არევა სხვა ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელ ნიშნებში აღარ შეიძლება: ჩამოყალიბდა ისეთი „ჩვენ“, რომელსაც გადაკვეთის წერტილები არცერთ „მათ“-თან აღარ აქვს. ამ პროცესში მცირე როლი არ უთმავს სარწმუნოების ენას.

მთელთა და პერთა მოქცევის ნინო ფიქრობს „სახარებითა და ჯუართთა პატიოსანითა“. სახარება, ალბათ, ქართულ ენაზე იქნებოდა დაწერილი, ნინო და ეპისკოპოსი მიდიან მთაში და ლოცვა ქართულად უნდა აღასრულონ. შეუძლებელია არ გავახსენდეს განთქმული „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღიარცხების...“ როგორც „ყოველი ქართლის“, ისე „ყოველი საქართველოს“ შექმნა პირველად ქართულმა ეკლესიამ შენიშნა და ეს არ იყო შემთხვევითი. იგი სამწყსოს გაფართოებისათვის იბრძოდა და ეს ბრძოლა (სამეფო ხელისუფლებასთან კავშირში) ობიექტურად პროგრესული აღმოჩნდა.

„და დაჯდა მეფედ ძე მისი (ბაქარ მირიანის ძისა—**ზ. ა.) მირდატ, და მეფობდა დიდსა სარწმუნოებდასა შინა და ყოველნი დღენი მისისანი უმფოთველად აღასრულნა სარწმუნობასა შინა დიდსა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 131). „ხოლო მეფობდა ესე თრდატ მოხუცებული კეთილად, იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი... მეფობდა უმფოთველად და მოკუდა სარწმუნობასა შინა დიდსა“ (იქვე, გვ. 137). მირდატი და თრდატი არ ეწეოდნენ აქტიურ საგარეო პოლიტიკას და ლეონტი მროველიც მათ შესახებ ორიოდ უფერულ წინადადებას იმეტებს. ისტორიკოსს სხვა რიგის მეფეები უფრო აინტერესებს: „ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულოლისა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნობასა შინა იყენეს აზნაურნი დატყუებასა სჯულისასა“ (იქვე, გვ. 135—136). მის მეფობაში ქართლმა დიდი მარცხი განიცადა გარეშე მტრისაგან. ისტორიკოსი საკმაოდ ვრცლად ჩერდება ვარაზ-ბაქარის მეფობაზე და არ ძუნწობს ფერების ხარჯვაში მის უარყოფითად წარმოსადგენად. ამასთან ხაზს უსვამს, რომ მეფე დამარცხდა, ვინაიდან „იქცეოდა ყოვლითავე უსჯულად“, „რამეთუ იყო იგი ჩუქენი დ მოშიში“.**

„ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მკედარი შემმართებელი. მზრახა მეფესა ბერძენთასა და ითხოვა მისგან შეწყება: და აღასრულა თხოვნა მისი კეთსარმან. მაშინ განდგა და არღარა მისცა სპარსთა ხარკი“ (იქვე, გვ. 138). სარწმუნოებითა და მხნეობით შემკულ მეფეს საგარეო ფრონტზე გამარჯვება მოუპოვებია და „ურწმუნო“ ვარაზ-ბაქარის დროს სპარსთაგან დადებული ხარკის ძლევა შეუწყვეტია. ამ იდეალურ მეფეს, ლეონტი მროველის თვალსაზრისით, არ დასცალდა შემდგომი საქმიანობა. „მცირედ-ეამ მეფობდა და მოკუდა“. მაგრამ რაში მდგომარეობს ფარსმანის პოლიტიკის წარმატების გასაღები? განსხვავებით სხვა „უშეთოველი“, მაგრამ „მორწმუნე“, ან „ურწმუნო“, მაგრამ „მოშიში“ მეფეებისგან, ფარსმანი არის „მორწმუნეცა“ და „მკედარი შემმართებელიც“, ე. ი. აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწევა და ამ პოლიტიკის გასატარებლად თავის რელიგიურ მრწამსსაც იყენებს: „მზრახა მეფესა ბერძენთა“. რომ ლეონტი მროველის თვალში ბერძენებთან პოლიტიკური კავშირი და ამ კავშირის გამოსატყულება, მეფის მორწმუნეობა, აქტიურ საგარეო პოლიტიკასთან ერთად ქვეყნის წარმატე-

ბის საწინდარია, ცხადი ხდება ისტორიკოსის მიერ ფარსმანის მომდინარე მიდის მირდატის დახასიათებით.

„ესე მირდატ კაცი ქუელი, მწე დარი შემმართებელი და უშიშო ღმრთისა, ლალი და ამპარტავანი, და მინდობილი მკედრობასა თუსსა“ (იქვე, გვ. 138). ფარსმანის მსგავსად მირდატიც „მკედარი შემმართებელია“, მაგრამ მისგან განსხვავებით „ურწმუნოა“. „სიოალითა მისითა მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარს ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა“ (იქვე, გვ. 138). ისტორიკოსს ისე მიჰყავს თხრობა, რომ აჩვენოს: მირდატის ეს ნაბიჯი და ორ ფრონტზე ბრძოლა მისთვისვე გახდა საბედისწერო და ჩვენც არა გვაქვს საბუთი არ ვერწმუნოთ მროველს. ვაღამწვევტ ბრძოლაში „იოტეს და შეიპყრეს სპარსთა; მოვიდეს ქართლად, და იპყრეს ქართლი და განრყუნეს ეკლესიანი“ (გვ. 138). ასეთი იყო ბედი იმ სახელმწიფო მოღვაწის, რომელიც მამაცი მხედართმთავარი კი იყო, მაგრამ ბეცი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო „ურწმუნო“ და ბიზანტიელთა მტერი გამხდარა.

ამრიგად, ლეონტი მროველი, მირიანიდან მოყოლებული ვახტანგ გორგასლამდე, მეფეებს ოთხ ჯგუფად ყოფს: 1. „მორწმუნენი“ და „უშფოთველად მცხოვრებნი“. 2. „ურწმუნონი“ და „მოშიშნი“. 3. „ურწმუნონი“ და „მკედარნი შემმართებელნი“ 4. „მორწმუნენი“ და „მკედარნი შემმართებელნი“. ამ უკანასკნელი ტიპის მეფეთა იდეალური სახეა ვახტანგ გორგასალი (ამ მხრივ „გორგასალის ცხოვრება“ მეტად ბუნებრივად აგრძელებს „მეფეთა ცხოვრებას“). ლეონტი მროველის სიმპათიები აშკარად მათ მხარესაა. ისტორიკოსი კარგად აჩვენებს, რომ „ურწმუნობა“ მეფეს აზნაურებს უბირისპირებს და ქვეყნის ზურგს მნიშვნელოვნად ასუსტებს. ამიტომ იყო, რომ „ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განცხადებდა დატევებასა სჯულისასა“. მეორე მხრივ, მეფის „ურწმუნობა“ ბერძენებთან და მეზობელ სომხებთან პოლიტიკური კავშირის შესუსტების მოწოდება იყო. „მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოიროთონ ძალი ბერძენთაგან“. მან „არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თუსთა“ (გვ. 136). მეფემ ვერ გაიგო ძალთა დაჯგუფების კანონზომიერება და სასტიკად დამარცხდა. ქართლისათვის ყველაზე დიდ და საგანგებო საფრთხეს სპარსეთი წარმოადგენდა და მისი შეკავება ამიერკავკასიის ხალხთა მკიდრო კავშირითა და ბერძენთა ძალისა და ინტერესების გონივრული გამოყენებით შეიძლებოდა. ასეთ პირობებში ქვეყნის მკესვერთა მრწამსი სახელმწიფოს პოლიტიკის გამოხატულება იყო და პროგრესული აღმოჩნდებოდა ის მეფე, რომელიც იქნებოდა „კაცი მორწმუნე და მკედარი შემმართებელი“.

სპარსეთის მეფეს ინდოეთს სალაშქროდ მიჰყავს ბერძენთა და ქართველთა ჯარი. ქართველებს, ვახტანგ გორგასლის სარდლობით, სინდეთის მეფე ალყაში მოუქცევიათ. ჯუანშერი გადმოგვცემს ვახტანგსა და სინდეთის მეფეს შორის გამართულ პაექრობას (ჩვენთვის სულერთია, რამდენად „სტენოგრაფიულია“ იგი). სინდეთის მეფე უსაყვედურებს ვახტანგს, რომ მას თავისი ქვეყანა დაუტოვებია და სპარსელებს ეხმარება „რათამცა განძლიერდეს, და მოიწყუნეს და წარგწყმიდეს შენ და ქუეყანა შენი, და დაიპყრეს წარასწყმედელად ყოველთა ჯუარის-მსახურთა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 191). ძნელია შეედეგო სინდეთის მეფეს. მისი არგუმენტი საკმაოდ ძლიერი და დამაჯერებელია. მიუხედავად ამისა, ვახტანგ გორგასალი სრულიად მოულოდნელ და თანაც ისეთ პასუხს აძლევს, რომ გვიჭირს ჯუანშერის შეთხზულად ჩავთვალოთ: „დადაცათუ არა ჭეშმარიტსა სჯულსა ზედა არიან სპარსნი, არამედ მეცნიერნი არიან ღმრთისა დამბადებ-



ლისანი, და რწამს ცხოვრება სულიერი. ხოლო თქუენ სრულად უმეცარნი ხართ ღმრთისანი, და უგულისხმო, ვითარცა ცხენი და ჯორი“ (გვ. 193). ეს შევირისპირება ვახტანგის ეპოქის ანარეკლია. სწორედ განსაკუთრებით მწვავედ უპირისპირდებიან ქართლში ზორთასტრიზმი, ქრისტიანობა და კერპთაყვანისმცემლობა ერთმანეთს. ვახტანგმა კერპთაყვანისმცემლობასთან შედარებით უპირატესობა მახდენობას მიანიჭა, თუმცა ჰუმანიტარულად არც ის მიაჩნია. რაშია საქმე? საქმე ის არის, რომ მახდენობა სასანიანთა ხანაში სერიოზულ ცვლილებებს განიცდის, ერთღმერთიანობის ყადაღე ეწყობა და მნიშვნელოვნად ემსგავსება ქრისტიანობას. როგორც ჩანს, მახდენობა ცდილა ახალ ურთიერთობას შეგუებოდა. ის სხვა საქმეა, რომ მან ეს ვერ მოახერხა და იძულებული გახდა აშკარად ფეოდალური საზოგადოების შესაფერი სარწმუნოებისათვის, ისლამისთვის დაეთმო ასპარეზი. მაგრამ ფაქტია, რომ ფეოდალურ ურთიერთობაზე გადასული სპარსეთისათვის ერთი ღმერთის აღიარება ისევე აუცილებელი გამხდარა, როგორც ქართლში კერპთა დაღუწვა და „ქრისტეს ნათლისკება“. ისტორიკოსის აღღომ ჭუანშერს ეს გარემოება გაახაზვინა და ისიც დაგვანახა, რომ ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ქართლის მესვეურთ ესმოდათ, თუ რა უპირატესობა ჰქონდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით „ღმრთის მეცნიერებას“ „უგულისხმობასთან“ შედარებით. კერპთაყვანისმცემლობასთან შედარებით მახდენობისათვისაც კი უპირატესობის მინიჭებით ქართლმა დაადასტურა ძველ საზოგადოებასთან სოციალურად გამიჯვნა, ქრისტიანულ რელიგიას ამ გამიჯვნაშიც მცირე როლი არ უთამაშია. ახალ საზოგადოებრივ ძალას სჭირდებოდა ის აშკარა განმასხვავებელი ნიშანი, რომლის საშუალებითაც განეყოფოდა ძველს. ქრისტიანობა (ერთი ღმერთის აღიარება) ასეთი ნიშანი აღმოჩნდა.

„განასრულნა (დაჩიმ) ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ. და მოყუდა პეტრე კათალიკოსი და დაჯდა სამოელ. და შეფემან მას მიათულა მცხეთა, რამეთუ ეგრე ებრძანა მეფესა ვახტანგს“ (გვ. 205). როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლებას მცხეთაში საკათალიკოსო სავანეებოდ დაუტოვებია და ეს ნაბიჯი საერთო შინაპოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა: 1. თავიდან იქნებოდა აცილებული ძველი რელიგიის მიმდევართათვის წარმართული საკულტო ადგილების დატოვების საშიშროება. 2. ტრადიციების დამცველი ხალხი თავს სწორედ ჩვეულ ადგილას მოიყრდნობდა. ქრისტიანული იდეოლოგიის ცენტრად მცხეთის დატოვება აქვე მოსახლე ძველ საზოგადოებრივ ფენებთან ბრძოლის გონივრული ხერხი ჩანს. ქრისტიანული სარწმუნოების ხმლით გავრცელების პოლიტიკამ თავისი როლი შესრულა. შემოიმტკიცა დამოუკიდებლობის ტენდენციების მქონე პერიფერიები. ამის შემდეგ უკვე შეეძლო (ვიზნტიანულ ხელისუფლებას „ქრისტეს ნათლის“ მშვიდობიანი ქადაგებით თავისი პოზიციები კიდევ უფრო განემტკიცებინა. დაიწყო ფართო საგანმანათლებლო მოძრაობა, რომელიც მყისვე სამეფო სახლის სამსახურში ჩადგა. ასურელ მამათა ქადაგებას უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ამას ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიაც კარგად მიმხვდარა. კომისიას ზომ სავანეებო მიზანი ჰქონდა („ეკლესიის მატანეს შეამოკლებს და სამოქალაქის მოგვიოხრობს შესხებით და ვრცლად“). თუ „ქართლის ცხოვრებას“ თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ჩანართთაგან ყველაზე მეტი ასურელ მამათა მოღვაწეობაზე მოდის. მათ მოღვაწეობას, ჩანს, გარკვეული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და მეფე ღრმად იყო მათი ქადაგებით დაინტერესებული. იოანე „მოვიდა მცხეთას, და ბრძანებითა მეფისათა და კურთხევითა კათალიკოსისათა, აღვიდა მთასა ზედა ზადენსა, და მუნ დაემკვდრა დაყუდებით“ (ქართლის

ცხოვრება, I, გვ. 208). „ხოლო ესე იმისთვის ყო ღმერთმან, რამეთუ პირველად სამკაულ ექმნა ეკლესიათა და გარემო ქართველთა ერთა, და მეორედ ექმნა დაეყუდა ადგილსა მას, რამეთუ გოდოლი აღეშენა წაღმართისა და რათა აწცა ლოცვითა წმიდისა მის ბერისაათა განიწმინდოს ადგილი ესე“ (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 26—28). იმ რთული და ბუნდოვანი საკითხების გარეშე, რაც ასურელ მამათა მრწამსის, ქადაგების მიზნების და ვინაობის შესახებ წამოჭრილა, ცხადი გვეჩვენება, რომ მათი მოღვაწეობა ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და სამეფო ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებოდა.

ამრიგად, ქრისტიანულმა რელიგიამ და ეკლესიამ გარკვეული როლი ითამაშა ახალი ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ერთიანობის ჩამოყალიბებაში, მის ახალ სოციალურ საწესებზე გაფორმებაში. VI—VII საუკუნეების მიჯნაზე „ყოველი ქართლის“ „შეკრება“, VII საუკუნის დამდეგს მისი გამიჯვნა სპარსელთა პოლიტიკური ბატონობის იარაღისგან („სომხური სარწმუნოება“) და ქვეყნის ყველაზე უფრო ეროვნულად ჰრელ კუთხეში (ცურტავის საპიტიახშო) მღვდელთმსახურებაში „ქართული მწიგნობრობის“ დამკვიდრება, IV—VI საუკუნეების მანძილზე მიმდინარე პროცესის ლოგიკური განვითარება იყო. არაბობამ არ მისცა საშუალება „ყოველ ქართლს“ მტკიცედ დამდგარიყო ფეხზე და სულ ცოტა ორი საუკუნე მაინც დასჭირდა ქვეყანას, რომ კვლავ დაეწყო „ნელად-რე შეკრება“.


5

VII საუკუნის დამდეგს „ყოველი ქართლი“ მკვეთრად გამოირჩევა საერთაშორისო ასპარეზზე. საუკუნეთა მანძილზე იღვა არჩევანის წინაშე ბიზანტიისა და სპარსეთს შორის. პოლიტიკური ვითარების ცვლასთან ერთად კურსს ხან ერთისკენ იღებდა, ხან მეორისკენ. ძნელად როდისმე ისე მჭიდროდ შერწყმოდა რელიგია და პოლიტიკა ერთმანეთს, როგორც მაშინ. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის მოქცეული ქვეყნებისათვის ქრისტიანული რელიგია პოლიტიკური სიმპათიების საფარველად იქცა. საკითხს ახლა ქრისტიანობაში ორი ძირითადი მიმდინარეობა კი აღარ წყვეტდა მხოლოდ. დიდი ძალა შეიძინა მათ შიგნით არსებულმა უამრავმა სექტამ, რომლებიც პატარა ქვეყნების ნაციონალური პოლიტიკის საყრდენი შეიქნენ. ზედიზედ ცდილობენ სპარსეთის შემწეობით და ნაციონალური (ნესტორიანული, იაკობიტური, ივლიანიტური თუ სხვა) ეკლესიების საშუალებით ბიზანტიის პოლიტიკური უფლებიდან გამოსვლას სომხები, კობტები, სირიელები, ეგვიპტელები და სხვანი. სპარსეთი მფარველობს ანტიქალკედონიტ ქრისტიანებს, სარგებლობს მათი დაპირისპირებით კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან. დიდი ხანია ქართლი გადაჭრით ვერ დამდგარა



ერთ რელიგიურ-პოლიტიკურ პოზიციაზე. ხან გმობს ქალკედონის კრებას, სოლიდარობას უცხადებს სომეხებსა და სირიელებს, თავს მეთაურად ფეთა-მეფის მონად აცხადებს, ხან კი ფარულად თუ აშკარად ეწინააღმდეგება მათ. მათთვის ამ გავლენიდან და ბიზანტიის ეკლესიას დაუახლოვდეს. შიგ ქართლში საეპისკოპოსოები ზოგი ქალკედონიტურია, ზოგი ნესტორიანული, ზოგი მონოფიზიტური და ზოგი კი, ვინ იცის რა სექტის მიმდევარი. ასეთი გაყოფა იდეოლოგიისა და მას უკან ამოფარებული პოლიტიკური პროგრამისა ასუსტებს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს. საცაა თავის სათქმელს იტყვის ისლამიც. დროა ქვეყანა გაერთიანდეს ერთი მრწამსის ქვეშ. დროა ქვეყნის მესვეურებმა ერთი საგარეო პოლიტიკური გეზი დასახონ და ერთი პროგრამა შეიმუშაონ. ცხადია, ასეთი ამოცანის დღის წესრიგში დასმა მხოლოდ შინაგანად ერთიან ქვეყანას შეუძლია, მხოლოდ აღდგენილ „ყოველ ქართლს“ ძალუძს. ამიტომ, ის რაც VII საუკუნის დამდეგს კირონ ქართლის კათალიკოსის მეთაურობით შესაძლებელი გახდა, უეჭველია, ამ ხანში ქართლში შექმნილ შინაპოლიტიკურ ერთიანობაზე მიუთითებს. ალბათ, სწორედ ამას გულისხმობს უხტანესი, როცა გვაუწყებს: „რა უამს მიადწია კირონმა თავისი სამთავრო სამწყსოს და თავის ქალაქს, რომელსაც მცხეთა ეწოდება, შეკრიბა თავისთან ეპისკოპოსები, იმ ქვეყნის წარჩინებულნი, მთავრები, ერისთავები და დაიმორჩილა მათთან ერთად სრულიად მთელი ქვეყანა თავისი ხელმწიფობის ქვეშ“⁴². ერთიანი რელიგიური და საეკლესიო პოლიტიკა ქვეყნის ერთიანობას გულისხმობს. საკვირველი ის არის, რომ სწორედ ხოსრო II წარმატებების ხანაში, როცა მავრიკე კეისარი ტახტიდან ჩამოგდებულია, ფოკას წაგებული აქვს კავკასიის ასპარეზზე სპარსეთთან ცილობა დიპლომატიურად და პოლიტიკურად, როცა აღმოსავლეთის ქრისტიანი ქვეყნები, და მათ შორის სომხეთი, ირანის მხარეს იკავებს, ქართლი გაბედულ ნაბიჯს დგამს: კურსს იღებს ბიზანტიისკენ და დასტურად ქალკედონის კრებას აღიარებს. მაგრამ ქართლის რელიგიურ-პოლიტიკური დიპლომატია მოქნილია და მას მანევრირების საშუალებას საკმაოდ აძლევს. ძნელი სათქმელია, რამდენად შორსგათვლილი მიზნები ამოძრავებდათ ქართლის მესვეურებს, როცა თავისი არჩევანით სახტად დატოვეს სომეხთა კათალიკოსიც კი და შეძრწუნებულს ათქმევინეს: „დაუჭერებლად გვეჩვენა, რომ უცხო სამეფოსთან შექმნა მეფეთა-

⁴² «ის ქიძძარ ხნაჲ ყიყინს ქი ქინას ჯიჲი ქქსანიცხანს ხ ქიყაყანს ჯიყინანს, ირ ჯიჲი შექსეჲაჲ, ძიჲიჲქ ათ ქინს ცხეჲქსიჲიჲიჲიჲინს ჩანცხეჲ ქაჲიჲ აქქსარჩინს ხ ცქქსანს ხ ცქსარაჲრა, ხ ნიჲანს ნიჲიჲ ჩანცხეჲა აინაჲსარას ცამქსანს აქქსარჩინს რიჲი ჯიჲიჲ ქქსანიცხანს». მ. ქ. თ. ა. ნ. II, გვ. 4.



მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა⁴³. ეს კია, რომ VII საუკუნის დამდეგს არჩეული გეზიდან ქართლს აღარ გადაუხვევია. ამანაც მისცა საშუალება შემდგომში, ერთს აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებს შორის, ძლიერების ზენიტზე მყოფს, თავი ბიზანტიის ეკლესიურ-პოლიტიკურ მემკვიდრედ გამოეცხადებინა.

II

ქართული წყაროები პირონ ქართლის კათალიკოსის შესახებ

VII საუკუნის დამდეგს ქართლის სახელმწიფო და საეკლესიო ცხოვრების მეთაური ჩანს კირონ მცხეთელი, ქართლის კათალიკოსი. აი, ამ მოღვაწის შესახებ მრავლისმეტყველად დუმს ქართული წყაროები და საქმე სრულიადაც მათ ნაკლულებაში არ მდგომარეობს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი, ჯუანშერი და სუმბატ დავითის ძე ხომ ვალდებულნი იყვნენ, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ერთი სიტყვით მაინც მოეხსენებინათ იგი. იქ, სადაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო კირონის კათალიკოსობისა და აღარნასეს ერისმთავრობის შესახებ, ჩასმულია კათალიკოსი ბართლომე და ერისმთავარი (ერისთავთა მთავარი) სტეფანოზ I. ამათი ხელმწიფობა კი, სულ ცოტა, 30 წელი მაინც გრძელდება. „მოქცევაჲ“-ში ყურადღებას იპყრობს ცნობა იმის შესახებ, რომ პერაკლე კეისრის ლაშქრობის დროს ერთხანს კიდევ ესენი განაგებდნენ ქართლს: „ერისთავობდა ი გ ი ვ ე დიდი სტეფანოზი და კათალიკოზი იყო ბართლომე მ ე ო რ ე დ“⁴⁴. მემატანე აქ ან რაღაცას გვიმაღავს, ან თვითონაც დაბნეულია. რატომ გვარწმუნებს, იგივე სტეფანოზი ერისთავობდაო? ან კიდევ, ბართლომე მეო-

⁴³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 68. ვ. ვარდანიანს სპეციალური ნაშრომი აქვს მიძღვნილი ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების პოლიტიკური საფუძვლის შესწავლისათვის (ი. ჯ. აკაქიანის, ჯაქ-აკაფიანის ნაუაწყობი VII դარის ნაქოქოქის, ՀԱՅԻ ԳԻՄՈՒԿԱԿՆՆԻԻ ԱԿԱԳԻՄԻԱ, ՏԵԼԵԿԱԿԻ, 1964, № 11, გვ. 87—96). ჩვეს პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია მასში წამოყენებული დებულებები და მათ განხილვას ცალკე წერილში შევეცდებით.

⁴⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 96.



რედ დაჯდა კათალიკოსადო? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მასზე აღ-
 რე იყო ვიღაც სხვა კათალიკოსი (და მართლაც იყო კირონი) და ამ
 ტიანედან მისმა ამოშლამ გამოიწვია ეს გაუგებარი სიტყვების
 „ქართლის ცხოვრებისა“ და „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობების შე-
 ჯერებით ისიც ვიცით, და სრულიად ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ ჰე-
 რაკლე კეისარმა ქართლის ერისმთავარად სტეფანოზის შემდეგ ხე-
 ახლა დასვა ადარნასე. ყურადღებას იქცევს „მოქცევაჲ ქართლი-
 საჲ“-ს ბოლოში დართული კათალიკოსების სია, სადაც კირონი ცხრა
 ცოლოსან კათალიკოსს შორის არის დასახელებული. ამრიგად, კირონი
 არ არის მოხსენებული იქ, სადაც უნდა იყოს და როდესაც მისი არსე-
 ბობა დანამდვილებით ვიცით სომხური წყაროებით და შეტანილია
 ცოტა უფრო მოგვიანებით მოღვაწე კათალიკოსებს შორის. შეიძლება
 ორი ვარაუდი გავვიჩინდეს: 1. სიაში მოხსენებული კირონი და სომხუ-
 რი წყაროებით ცნობილი კირონი ერთი და იგივე პირია და ავტორს
 რიგი აქვს არეული. შესაძლოა, მან რაღაც მიზეზებით ქართული წყა-
 როებიდან ამოშლილი კირონის სახელის კვლავ შეტანა სცადა მატია-
 ნეში IX—X საუკუნეებში სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქი-
 ლების საკითხებისადმი ინტერესების ხელახლა გაღვივებასთან დაკავ-
 შირებით, მაგრამ სათანადო ადგილი ვეღარ მოუხაზა და სადღაც მეორე
 ადარნასეს გვერდით (კირონ-ადარნასეს წყვილის არსებობა, ეტყობა,
 იცოდა) მოათავსა. 2. „მოქცევაჲ“-ს და „ეპისტოლეთა წიგნის“ კირო-
 ნი სხვადასხვა პირია. VII საუკუნის მანძილზე ყოფილა ორი კირონ
 ქართლის კათალიკოსი (ასეც არის მიღებული თანამედროვე ქართულ
 საეკლესიო კალენდრებში პ. კარბელაშვილის მიხედვით). აქვე ვჩქა-
 რობთ მეორე ვარაუდის მოხსნას: სახელი კირონ იშვიათია ქართლის
 კათალიკოსებში და ადრე ხანაში საერთოდ არ გვხვდება. ქართული
 და სომხური წყაროები არ იცნობენ მეორე კირონს. „ქართლის ცხოვ-
 რების“ ძველ სომხურ თარგმანს ამ სიის კირონი სწორედ ქართლისა
 და სომხეთის საეკლესიო განხეთქილების დროის მოღვაწედ მიაჩნია
 და ბილწს უწოდებს (*სიყიჲსი შიყიბ*)⁴⁵.

აღნიშნული სიის გარდა, კირონის სახელი ძველ ქართულ წყა-
 როებში გვხვდება არსენი საფარელის ნაშრომში „განყოფისათჳს
 ქართლისა და სომხეთისა“⁴⁶. მოსალოდნელი იყო, რომ ამ თხზულებაში
 მაინც, რომელიც სპეციალურად ქართლისა და სომხეთის საეკლესიო
 განხეთქილების საკითხებისადმი მიძღვნილი, შედარებით ვრცლად იქ-
 ნებოდა ლაპარაკი კირონ ქართლის კათალიკოსის ღვაწლის შესახებ
 სწორედ იმ საქმეში, რამაც აღნიშნული ტრაქტატის დაწერა გამოიწ-

45 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ილია აბუ-
 ლაძემ, თბილისი, 1953, გვ. 261.

46 თ. უორდანი, ქრონიკები, I, გვ. 320.

ვია. მაგრამ აქაც მხოლოდ ორიოდ სიტყვით არის აღნიშნული, რომ მოსე ცურტავის ეპისკოპოსი გააძევა და ამ ნიადაგზე აბრაამი კოსთან უთანხმოება მოუხდა. ნაშრომის დანარჩენი ნაწილში ეკლესიის ისტორიას გადმოსცემს. კირონის შესახებ ქართული მასალა არსენის ან უკვე აღარა აქვს ან კიდევ განზრახ ჩქმალავს მას. მოსალოდნელი იყო, რომ კირონს არსენი რაიმე ეპითეტით შეამკობდა, ან მართლმადიდებელს მაინც უწოდებდა. იგი თითქოს იმსახურებდა ამას, მონოფიზიტების წინააღმდეგ ბრძოლის მედროშე იყო! მაგრამ არა. არც ერთი სიტყვით არ აღუნიშნავს მისი დამსახურება არსენის და არც ღვაწლის შემკობას ფიქრობს. საინტერესოა: თუ სომხური მასალით სრულიად უჭოჭმანოდ ვიცით, რომ საბოლოო განხეთქილება ქართველებსა და სომხებს შორის აბრაამ სომეხთა კათალიკოსისა და კირონ ქართლის კათალიკოსის ზეობაში მოხდა, არსენი სწორედ კირონსა და აბრაამს ტოვებს, მთავარ მოქმედ პირებად მოსე და კომიტას კათალიკოსებს აცხადებს. სომხურ საისტორიო და საეკლესიო მწერლობაში კი ძნელია კირონზე უფრო პოპულარული პიროვნება მოიძებნოს, თუმცა ეს პოპულარობა ნეგატიური ხასიათისაა. კირონი იმდენად ფართო მასშტაბის მოღვაწე ჩანს, რომ მისი კვალი ლათინურ მწერლობაშიაც შემორჩენილა⁴⁷. ქართული მწერლობა კი დუმს. ასეთ ვითარებაში, იძულებული ვართ ქართულ წყაროებში კირონის კვალის წარხოცვა თუ მიჩქმალვა თვით წყაროების ნაკლებებას კი არ მივაწეროთ, არამედ გარკვეული და შეგნებულ რელიგიური პოლიტიკის შედეგად მივიჩნიოთ.

ამრიგად, კირონ ქართლის კათალიკოსის შესახებ ჩვენ უკვე ვიცით:

1. ძველ ქართულ მწერლობაში მისი სახელი წარხოცილია. უეჭველია, კირონი ისეთი ქრისტიანული სექტის მიმდევარი იქნებოდა. რომელიც გვიან წვალებად გამოცხადდა. ამასთან დაბეჯითებით ვიცით სომხური წყაროებით, რომ იგი ქალკედონის კრებას აღიარებდა. მაშრა სახის უნდა ყოფილიყო ის წვალება, რომელიც ქალკედონის კრებას აღიარებდა, ანტიქალკედონიტებს (სომხებს) უპირისპირდებოდა და მაინც არ სცნო ქალკედონურმა ეკლესიამ? VII საუკუნის ოციანი წლებიდან VI მსოფლიო კრებამდე (680 წ.) ასეთი ერესი მხოლოდ ერთი ვიცით: ესაა მონოთელიტობა. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ კირონ ქართლის კათალიკოსი სხვა მონაცემებითაც შესაძლებელია მონოთელიტად მივიჩნიოთ.

47 მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკოსისა ქართველთა შორის, 1902.

2. ქართლის კათალიკოსს როგორც სომხური, ისე ქართული წყაროებით ერქვა „კჳრონ“⁴⁸.

3. სახელი „კირონ“ იდენტურია იმავე ძირიდან ნაწარმოებულ ძნული სახელისა „კიროს“. მოსალოდნელია, რომ ქართლის კათალიკოსი კირონ ბერძნულ მწერლობაში „კიროს“ სახელით იქნებოდა ცნობილი⁴⁹.

4. სომხურ საისტორიო მწერლობაში (იოანე დრასხანაკერტელი) დაცულია პირდაპირი ჩვენება იმისა, რომ კირონ ქართლის კათალიკოსი იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი, ანუ ლაზიკის მიტროპოლიტი. ქართლისა და ეგრისის ეკლესიების ერთიანობის შესახებ კირონის კათალიკოსობის ხანაში შედარებით უფრო ყრუდ მიუთითებს ქართული წერილობითი ტრადიცია.

III

სტა მსხეთისა და ფაგიის ეკლესიების ერთიანობის დათარიღებისა

როდის შეიძლებოდა ისეთი პირობები შექმნოდა ქართლის საკათალიკოსოს, რომ ეგრისის (ფაზისის) სამიტროპოლიტო შეერთებინა? ს. ჯანაშია ვარაუდობს, რომ ასეთი ვითარება მხოლოდ პერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ და შედეგად შეიძლებოდა შექმნილიყო. მაგრამ მაშინ აზრს დაკარგავდა ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ცნობები კირონის ეგრისის არქიეპისკოპოსობის შესახებ, რადგან 630-იანი წლებიდან ასეთი პირი აღარც ქართლში მოიძებნებოდა და აღარც ეგრისში. ზედმეტია ლაპარაკი რაიმე ერთიანობის შესახებ 616 (614?)—628 წლებს შორისაც, როცა ქართლი და ეგრისი სრულიად გარკვევით არის გაყოფილი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის როგორც პოლიტიკურად, ისე ეკლესიურად. რჩება ის წლები, როცა კირონის შესახებ ყველაზე უფრო მეტი ვიცით სომხეთის მესვეურებთან მისი მიმოწერის შედეგად.

600—602 წლებში ჯერ კიდევ მავრიკეა ბიზანტიის კეისარი და ამიერკავკასიაში ძალების წონასწორობა მთლიანად მის მხარეზეა. პა-

⁴⁸ იხ. კომენტარები, XI, 1. სიმარტივისათვის სხვაგან ყველგან ვწერთ „კირონ“-ს.

⁴⁹ ხ. ალექსიძე, „კჳრონ“ სახელის ეტიმოლოგიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XLI:1, 1966, გვ. 253—255.

პის გრიგოლ დიდის ეპისტოლედან მოჩანს, რომ უკვე ამ ხანებში კირონი ქალკედონურ განწყობილებას ამჟღავნებს. ამასვე მოსე ცურტავის ეპისკოპოსი და შემდეგში უხტანესიც. საკვებით შესაძლებელია, კირონის პრობიზანტიური პოზიცია უანგარო არ ყოფილიყო და მისთვის ლაზიკის მიტროპოლიტობის მინიჭებას მოჰყოლოდა. „ეპისტოლეთა წიგნი“ არსად არ იხსენიება ეგრისის არქიეპისკოპოსად კირონი და მას მხოლოდ ქართლის კათალიკოსს უწოდებენ სომხეთის მესვეურნი. მხოლოდ იოანე კათალიკოსი ასახელებს მის სამწყსოში ქართლთან ერთად გუგარქსა და ეგრისს. მაგრამ ის გარემოება, რომ კირონის ტიტულატურაში ეგრისი არ გვხვდება მიმოწერაში, ურყევი საბუთი ვერ იქნება. მასში ხომ არც გუგარქია ცალკე დასახელებული, მაგრამ ჩვენ უეჭველად ვიცით, რომ იგი კირონის სამწყსოა.

607—610 წლებში, როცა სომხეთისა და ქართლის მესვეურებს შორის პოლემიკა მიმდინარეობდა, ქართლს ერთხელ კიდევ შეექმნა ხელსაყრელი პირობები დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა. როგორც ჩანს, ქართლი ამ დროს საკმაოდ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალასაც წარმოადგენდა. სამწუხაროდ ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმარისი მასალა ასეთ საკითხებზე გაბედული მსჯელობისათვის, მაგრამ „ეპისტოლეთა წიგნი“ და უხტანესის ისტორია მაინც ერთგვარად გვიმსუბუქებს მდგომარეობას.

კირონის მიერ აბრაამ სომეხთა კათალიკოსისათვის მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ 607—610 წლებში სპარსეთის სამეფოს კავკასიაში გარკვეული უპირატესობისათვის მიუღწევია: „ჩვენიცა და თქვენიც მამებიც მეფის მონები იყვნენ და იერუსალემის სარწმუნოება ჰქონდათ. ჩვენც და თქვენც, აგრეთვე, თუმცა მეფეთა მეფის მონები ვართ, სარწმუნოება იერუსალემისა გვაქვს და გვექნება. თუმცა აქამდე... იყვნენ უფალნი, მაგრამ ესლა რაოდენ უფრო ნეტარნი ვართ, რომლებიც მეფეთა-მეფის სამსახურს ვეწიეთ. რადგან რაც ცა და დედამიწა არსებობს, არ ყოფილა არც ერთი უფალი, რომელსაც ყოველი ტომისათვის თავისი კანონები მიენდოს, როგორც ეს უფალმა მიანდო, მეტადრე ჩვენი, ქრისტიანეთა სარწმუნოება. ხოლო ჩვენ თავის უფალ ქვეყანას უფრო მეტად [მიანდო] ვიდრე ყველა [სხვა] ქვეყანას და ჩემ კეთილ თავს უმეტესად, ვიდრე ყველა ჩემს მოყვასს. მეფეთა-მეფე ისევე უფალია რომაელთა, როგორც არიელთა ქვეყნის“⁵⁰. კირონის წერილიდან მოტანილი ეს ნაწყვეტი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის შინაარსით არის დატვირთული. ირკვევა: 1. საერთოდ ქართლი სპარ-

50 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 71—72.



სეთის ბატონობის ქვეშ ყოფილა ისტორიის მანძილზე. 2. ამ წერილის დაწერამდე გარკვეული ხნით ადრე ქართლს ყოლია სხვა უცხო ბიცი. 3. წერლის დაწერის დომენტში ამიერკავკასიაში ბატონობა უკვე დამარცხებულია და სპარსელთა ბატონობა კვლავ აღდგენილია. 4. ბიზანტიას მარცხი უკვე განუცდია არა მარტო კავკასიაში, არამედ თავისი ტერიტორიის დიდ ნაწილზეც (შესაძლოა უკვე დაკარგა სომხეთის ნაწილიც. სმბატისათვის მორთმეული ეპისკოპოსთა ხელწერილიც ამის ნიშანია), იმდენად, რომ კირონს უფლება აქვს იქვას: „მეფეთა-მეფე ისეთივე უფალია რომელია, როგორც არიელთა ქვეყნის“. 5. სპარსეთის მეფეს ახლად დაპყრობილ ქვეყნებში რელიგიის თავისუფლება უცენია. 6. სპარსეთის ხელქვეით მყოფ ყველა ქვეყანასთან შედარებით კირონს ქართლი ყველაზე უფრო თავისუფლად მიაჩნია, სადაც რელიგიის საქმეები გადასაწყვეტად მის მესვეურებს აქვთ მინდობილი.

ამრიგად, კირონის სიტყვებიდან ჩანს, რომ სპარსეთში მართალია უკვე გაიმარჯვა ბიზანტიაზე კავკასიაში, მაგრამ თვით ადგილობრივი ქვეყნები (კერძოდ, ქართლს და სომხეთის ნაწილი) ჯერ კიდევ მთლიანად არ დაუმორჩილებია. ამ პოლიტიკურ სიტუაციას მშვენივრად იჭერს და შესანიშნავ ისტორიულ ალღოს თუ წყაროების ცოდნას ამჟღავნებს უხტანესი: „სმბატმა.. იცოდა კირონის ნება, რომ თანახმაა რომელია და ვერ შესძლო გაეფრთხილებინა კეისარი კირონის ნამოქმედართა გამო. მან ვერც მეფეს აცნობა, რადგან იცოდა, არაფერი სარგებელი [არ იქნებოდა]. იმავე დროს კეისრის ნებაც შეეტყო, რომ თანახმაა კირონის და მისი ბრძანებით არისო ეს ამბავი, რადგან გვაუქვებს კირონის ის სიტყვა, რომელსაც თავის წერილში წერს აბრაამს და სმბატს: აცხოვნოს ღმერთმა კეისარი, რადგან მან ჩვენი ქვეყანა აცხოვნაო. და შემდეგ: აღიდოს ღმერთმა მეფე, რადგან მან აღიდა ჩვენი ქვეყანაო. ნამდვილად ასეთი იყო კირონი, რადგან უყვარდა კაცთა დიდება უფრო მეტად, ვიდრე ღმრთისა და მიენდო თავისი მკლავის ძლიერებას“⁵¹.

კირონის ზემოთ მოტანილ სიტყვებს ამაგრებს უხტანესის ის ციტატი, რომელიც ახლა წარმოვადგინეთ. სპარსეთის მეფეს, მართ-

⁵¹ შერასან... ფხოქრ ფყამან ზყარინს' სქტ ბაყნასქცე სეს ლიიმიე, იუ ლაყყე ფყაფიფყანსე ლაყასერ ფეხსაყუ ქ ზყარინსქ, ნა ს იუ არყაყი ბანოყე. ყანფი ფხოქრ სქტ აქსნე იფოქ. მჟანფამაყან ს ჟანყსელ ჟსქ ლე ფყამან ლაყასერ, სქტ მჟარყან ლენე ზყარინს' ს ნორა ნრამანს' ასქ ფიფბნ აყნ. ყანფი ლაყარჟს თაყ მსე ყანსნ ზყარინს' ფიფ ქჟარ რიფყანს ფრქ თა შყარანამ ს თა შყარან. რქ ლხეფიფყანს მსათიამ ფყაყარს, ფი ნა ფაჯჟარყან მსე ლხეფიფყან: სე ფარბსაყ, რქ მსათიამ ფაჯარირსეყ ფარყაყ, ყანფი ნა ფაჯარირსეყ. იფ არყარს აყნაყს სეს ზყარინ. ფი სქრსეყ ფყაფთა მარყყანს თაჯასქ ყანს ფყაფთა მსათიბიყ. ს ლაყასეხაყ სეს ქ ფიფიფყანს რაფყი ჟარიყ: მ ქ ს თ ა ნ ს ქ ა, II, გვ. 17.

ლაც, ჯერ არ ჰქონია ქართლში საკმარისი უფლება მოპოვებული, რომ საკითხი გადაეწყვიტა სომხეთის მესვეურთა სურვილისამებრ. უხტანესი სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხსაც აყენებდა: რწმენით, კირონის რელიგიურ პოლიტიკაში ჩარეულია ბიზანტიის კეისარი და ყველაფერი მისი ბრძანებით ხდება. უხტანესი სხვაგანაც აღნიშნავს კირონის პრობიზანტიურ პოზიციას: „დაეტოვებინა ღმერთი და მინდობოდა კაცთ—რომაელთა მეფეს და იერუსალემის მამამთავარს“—⁵², ხაზს უსვამს იგი. უხტანესის ეს ბრალდება გვიან გაჩენილი არ არის და უკვე მაშინ აფიქრებდათ სომხეთის მესვეურებს. აბრაამი კირონის მიერ ქალკედონის კრების აღიარებაში პოლიტიკურ მომენტს, ბიზანტიისაკენ გეზის აღებას ხედავს და მიმართავს ქართლის კათალიკოსს: „დაუჭერებლად გვეჩვენა, რომ უცხო სამეფოსთან შექმნას მეფეთა-მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს გაშორდეს“⁵³.

კირონი არ უარყოფს ამ ბრალდებას და საოცრად ბუნდოვან დიპლომატიურ პასუხს აძლევს: სპარსეთის მეფე უფალია როგორც რომაელთა, ისე არიელთა ქვეყნის და ამიტომ, რომაელთა სამეფო უცხო არ არის ჩემთვისო. კირონი სხვა ადგილასაც არ ცდილობს თავისი კავშირი ბიზანტიასთან დამალოს და თუმცა პირდაპირ არა, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათლად აღიარებს: „მართლმადიდებელი ეპისკოპოსები, რომელნიც ურიცხვნი არიან, მეფენი, მთავარნი და მთელი მართლმადიდებელი ქვეყნები, ყველა ესენი როგორ უნდა მივატოვოთ და თქვენ შეგვიერთდეთ?“⁵⁴

გასაგებია, რომ „მართლმადიდებელ ქვეყნებში“ პირველ რიგში ბიზანტია და „მეფეებში“ კი ბიზანტიის კეისარი იგულისხმება.

საინტერესოა, რომ აბრაამი და სმბატი ნათლად ხედავენ კირონის ნაბიჯის პოლიტიკურ მხარეს და მთელს მის მოღვაწეობას საერო მმართველის შესაფერის მოქმედებად თვლიან. აბრაამი წერს კირონს: „მხედართაგანი ვინმე რომ ყოფილიყო ასეთი განხეთქილების და ბოროტი შფოთვის მიზეზი, თქვენი სიწმინდე მოვალე იყო ეზრუნა და მშვიდობის მიზეზი გამხდარიყო. ხოლო, უკეთუ თქვენ იქნებით მიზეზი ერთმანეთის უცხოდ მიჩნევისა, რომელმა სიტყვამ დაიტოოს ასეთი უბედურება?“⁵⁵

ქართლსა და სომხეთს შორის გაჩაღებული რელიგიური კამათი იმდენად აშკარა გამოხატულება იყო საგარეო პოლიტიკისა,

⁵² *Քույնալ գևսուսաճ' ի մարդիկ սպասինիւր ի քաղաւորն Հոռոմոց եւ ի հայրապետն Նրուսաղէքի: Ու խոտանէս, II, გვ. 47.*

⁵³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 68.

⁵⁴ იქვე, გვ. 90.

⁵⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 67—68.



რომ სომხეთის მესვეურებმა სცადეს სპარსეთის ძალაც გამოეყენებინათ. სწორედ ამ მიზნით იქნა ჩაბმული ცილობაში სმბატ მარტირი. სწორედ ამიტომ ცდილობდა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი შეგულიანებას ქართლზე სალაშქროდ. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი გაბედული ნაბიჯის გადასადგმელად ჯერ კიდევ არ იყო დრო მომწიფებული და სმბატი პასუხობს: „მე არ ძალმიძს მახვილი ავიღო და ყოველ ქართლს შევერკინო“. მაგრამ საბოლოოდ ქართლის დასჯაზე იგი ხელს არ იღებს და ამ საქმეში სპარსეთის მეფის იმედი აქვს: „თუ იმავე სიხელეს იქნებიან და ჩვენთან ერთობისაგან განეშორებიან, მათი სისხლი უფალმა დმერთმა მათი თავისგან მოიძიოს და ჩვენ უბრალონი ვიყოთ. მაგრამ მომწერეთ, თუ როგორ გათავდება ეგ საქმე. თუ დაუმორჩილებლობის შესახებ შევიტყობთ და უფალი დმერთი მარჯვე დროს მოგვცემს, ვინ იცის, იქნებ აქვე მიიღოს (კირონმა — ზ. ა.) საზღაური დმრთისაგან ხორციელ უფალთა ხელით“⁵⁶.

დავასკვნით: ქართლიდან ბიზანტიელები უკვე განდევნეს სპარსელებმა, მაგრამ აქ მათ თავისი ხელისუფლება ჯერ კიდევ მტკიცედ არ დაუმყარებიათ. კირონ ქართლის კათალიკოსი, რომელიც ფაქტიურად განაგებს მთლიანად ქართლის ცხოვრებას, იძულებულია რთული და მოქნილი პოლიტიკა გაატაროს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. იგი კურსს ბიზანტიისაკენ იღებს, მაგრამ ისე, რომ სპარსეთს მკვეთრად არ დაუპირისპირდეს. ქართლს შეეკმნა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების საშუალება. VII საუკუნის პირველ ათეულში ქართლი ძლიერი სახელმწიფოა და მასზე ხელი არ მიუწვდება არც ბიზანტიას და არც სპარსეთს. გასაგებია, რომ ეს პერიოდი შეიძლება ხელსაყრელ ხანად ჩაითვალოს ქართლის ეკლესიის მიერ ეგრისის ეკლესიის შესაერთებლად.

აქ ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ გარემოებას: „ეპისტოლეთა წიგნში“ კირონი გამოწაკლისის გარეშე ყველგან კათალიკოსად იწოდება. მოგვიანო ტრადიცია კი მას კათალიკოსთან ერთად ხან არქიეპისკოპოსს უწოდებს, ხან კი მიტროპოლიტს. კირონს არქიეპისკოპოსად იხსენიებს უხტანესის მიერ მოთხრობილი ერთი ლეგენდა ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ, ხოლო

⁵⁶ ეპიტოლეთა წიგნი, გვ. 81. არსენი საფარელის თხზულებიდან ჩანს, რომ სომხეთის მესვეურნი არა მარტო იმუქრებოდნენ, არამედ „მამინ სომეხთა შეასმინეს ქართლი მეფესა თანა სპარსთასა“ (ქრონიკები, I, გვ. 319. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 90).

მეორე გადმოცემა ამავე საკითხზე მას მიტროპოლიტს უწოდებს. ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ იოანე დრასხანაკერტელიც მსგავსი იყო კოპოსად თვლის. ამ გარემოებას ახსნა ჭირდება და, რომ მხოლოდ სომეხი ისტორიკოსების ცდით, დაამცირონ კირონი, ვერ მოვევლება. იგივე უხტანესი ხომ სხვა ადგილას ყველგან კათალიკოსს უწოდებს მას! ცხადია, სომხურ წყაროებში კირონის არქიეპისკოპოსად და მიტროპოლიტად მოხსენიება რეალური ვითარების ამსახველია. იოანე კათალიკოსის ცნობით, კირონი იყო ეგრისის არქიეპისკოპოსიც და ბერძნულ წყაროებში ეგრისის არქიეპისკოპოსს ლაზიკის ან ფაზისის მიტროპოლიტი ეწოდება.

ამრიგად, იოანე კათალიკოსი პირდაპირ მიუთითებს კირონის მიტროპოლიტობაზე, ხოლო უხტანესის მიერ შემონახული ლეგენდების მიხედვით სომხურ სამღვდელოებაში დამკვიდრებულია ტრადიცია, რომ კირონი მიტროპოლიტი ან არქიეპისკოპოსი იყო. „ყოველი ქართლის“ კათალიკოსი კირონი ლაზიკის მიტროპოლიტის ხელს ითავსებდა.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ კირონსა და აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიმოწერის პერიოდში ქართლი მნიშვნელოვანი რელიგიურ-პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობდა საერთაშორისო ასპარეზზე. „ეპისტოლეთა წიგნის“ და უხტანესის ამ ცნობას სავსებით ამართლებს სებეოსიც. ბიზანტიაზე გამარჯვების პირველ ეტაპზე, სებეოსის მიხედვით, ხოსროს დაპყრობილი ქვეყნებისათვის მართლაც მიუცია რელიგიის თავისუფლება და „ხორციელი სამსახურით“ დაკმაყოფილებულა. მაგრამ იერუსალემის „წარტყვევნის“ შემდეგ ხოსრომ რადიკალურად შეიცვალა პოზიცია და ე. წ. „სპარსული კრებაც“ სწორედ ამიტომ მოიწვია⁵⁷. „სპარსული კრების“ განხილვის საგანი იყო სპარ-

57 „კავად მეფემ და მისმა ძემ ხოსრომ გასცეს ბრძანება: თითოეულმა თავისი სარწმუნოება იპყრას და ნურავის ექნება სომეხთა შევიწროების უფლება. ყველანი ჩვენი მონები არიან ხორციით, ხოლო სულთა შესახებ მან უწყის, ვინც სულებს განსჯის. ხოლო ხოსრო ორმიზმის ძემ იერუსალემის წარტყვევნის შემდეგ უბრძანა აღმოსავლეთისა და სირიის ყველა ეპისკოპოსს, რომ სამეფო კარზე შეკრებილიყვნენ“. **Պատմաբիւն Սեբեոսի Եպիստոլայիս**, გვ. 195. სებეოსისა და ასოლიკის (**Պատմաբիւն տիხեքրական**, გვ. 93—94) ცნობებზე დაყრდნობით „სპარსული კრების“ თარიღს 616 წლით განსაზღვრავენ. ერ. ტერ-მინასიანი არ იზიარებს ამ თარიღს და სირიული წყაროების ჩვენებათა მიხედვით 613 წელს ვარაუდობს იხ. **Տրիւսանդ վարդապետ, Այսպէս Կոչուած Պարսից ժողով, Արարատ, 1907**; მისივე, **Կնիք հաւատոյ և Հայոց Եկեղեցու դասն**. դიქ **Զ. և Է. դարերում**, ამონაბეჭდი, გვ. 266—267. ასეა თუ ისე, ყველა მონაცემით „სპარსული კრების“ თარიღი 613—616 წლებით განისაზღვრება. რადგანაც ორივე ვარაუდს საკმაოდ მყარი დოკუმენტაციის მოშველიება შეუძლია, ჩვენ მიიწვით ტრადიციას მივდევთ და „სპარსული კრების“ თარიღად 616 წელს ვასახელებთ, მით უფ-



სეთის სახელმწიფოს ხელქვეით მყოფი ქრისტიანი ქვეყნის და ტომების აღსარების საკითხი. კრების ზედამხედველობა დავალდებული ჰქონდა სმბატ ბაგრატიუნის. კრებას სომხეთიდან ორი წარმომადგენელი ესწრებოდა: კომიტასი—მაპიკონიანთა ეპისკოპოსი, მათეოს—ამატუნთა ეპისკოპოსი. გასაგებია, რომ ამათი ზრუნვის ძირითადი საგანი ქართლი და ალბანეთი იქნებოდა. სებეოსს მოაქვს ნერსე სომეხთა კათალიკოსის წერილი კონსტანტინე კეისრისადმი, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი კრების მსვლელობა⁵⁸. ნერსეს წერილში კრებაზე დამსწრეთა ორი ბანაკია გარჩეული: 1. ისინი, რომლებიც თავიდანვე სპარსეთს მორჩილებდნენ — ირანის კათალიკოსი, სირიელი, არვასტანელი, ხუჟისტანელი და სხვა ეპისკოპოსები. ამთ მიმართ ხოსრო არავითარ დათმობაზე არ მიდის. 2. ისინი, რომლებიც ქალკედონიანობას აღიარებდნენ, ბიზანტიელთაგან იყვნენ დამორჩილებულნი და ეხლა თავისი ნებით მოვიდნენ სპარსეთის სამსახურში. ამათგან პირველ რიგში დასახელებულია ალბანელთა კათალიკოსი ვირო. გასაგებია, რომ მესამე ბანაკს შეადგენდნენ ისინი, ვინც კრებაზე საერთოდ არ გამოცხადდნენ და არ ფიქრობდნენ დამორჩილებას. ქართლის კათალიკოსი არ ჩანს არც იმ პირველ ორ ჯგუფში და არც იმ პერსონალურ სიაში, სადაც კრების დადგენილების უყოყმანოდ მიმღებები არიან ჩამოთვლილნი. უეჭველია, კირონ ქართლის კათალიკოსი კრებაზე არ გამოცხადებულა, სპარსული ორიენტაცია არ აუღია და ქალკედონის კრებისთვის აღარ უღალატია. რა უნდა მოყოლოდა ასეთ პოზიციას შედეგად? კრების დადგენილების საფუძველზე ხოსრომ გამოსცა ბრძანება: „ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს სომხური სარწმუნოება“⁵⁹. მაგრამ ეს ბრძანება სრულიადაც არ იყო ლმობიერი. ძალაში შედიოდა ქართლისთვისაც ის, რაც ფრიად ლაკონურად გვაუწყა „პატიმოთინმა“: „და დაიპყრა ხუასრო მეფემან სომხითი და აბრამცა კათალიკოზად დაიდგინა და აიძულა შეჩუენებად კრება ხალკიდონისა ანუ წარსვლა მუნით“⁶⁰. განა საეჭვოა, რომ კირონ ქართლის კათალიკოსს, სომხებთან საეკლესიო განხეთქილების მეთაურს, ქალკედონობის მედროშეს და პრობიზან-

რო, რომ აღრე თვით ტერ-მინასიანი 615 ან 616 წელს მიუთითებდა (ნ რ ი ა ნ ი ქ ა რ ი ა უ ს თ, შანსაყსქოქი 726-ქ ძიდიქი სუქსიკიყიანსხერ ს ხიარაქიქი ზარაყ-მანჯი ქიჯილად ხეკილ მათარაქან ქანსხერ, სერაპაო, 1907, ამონაბეჭდი, გვ. 5.

⁵⁸ შათარაქსან მ ს ე რ ქ ი ა ს ი ს ე ყ ქ ს ი კ ი ა უ ი ს ი ს, გვ. 194—200.

⁵⁹ შამსნაყს რქსათინსხაყქ ი რ ე ნ ე ქ ი ნ ი ქ ი ჯ ს ა ნ ი რ ქ ხ ა მ რ, ნ ს, ნოათან გჯაყ-იყს ჯაყყინ: შათარაქსან მ ს ე რ ქ ი ა ს ი ს, გვ. 200.

⁶⁰ La Narratio..., გვ. 412. ჰრონიკები, I, გვ. 340.



ტიური პოლიტიკის თავგამოდებულ გამტარებელს მართლაც შეეძლო დებოდა „წარსვლა მუნით“? კირონის გზას უნდა დასდგოთ კონსტანტინე I-ის ერთგული თანამოსაგრე ადარნასე ერისმთავარიც. თავშესაფარად გამოდგებოდა მხოლოდ ორი მხარე: ეგრისი — აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა ეს ოდინდელი ნავთსაყუდელი და კახეთის საერისთავო, რომელიც გადაურჩა სპარსელთა ბატონობას. და თუ ექვს არ შევიტანთ იოანე კათალიკოსის ცნობაში — კირონი ეგრისის ეპისკოპოსიც იყო — ცხადია, არც ის დაგვაეჭვებს, რომ ქართლის კათალიკოსი გეზს ფაზისისაკენ აიღებდა; იქით, საითაც რამდენიმე ათეული წლის წინ გაქცევა მოუხდა გურგენ ქართლის ერისმთავარსა თუ მეფეს⁶¹. ადარნასე ქართლის ერისმთავარი, რომელიც კახეთის ერისთავობასაც ითავსებდა, რასაკვირველია, თავშესაფარად თავის სახელოს აარჩევდა.

ამრიგად, პირდაპირი თუ არაპირდაპირი საშუალებებით უკვე ვიცით, რომ კირონი ყოფილა ლაზიკის მიტროპოლიტი და 616 წლის შემდეგ ქართლიდან გადახვეწილა. ხომ ბუნებრივია, რომ ასეთი პიროვნება ვეძიოთ VII საუკუნის პირველი ნახევრის ლაზიკის მიტროპოლიტებს (ფაზისელებს) შორის? ჩვენ იმის დასაბუთებაც ვცადეთ, რომ სახელები კირონი და კიროსი იდენტურია და შესაძლებელია ერთი პირის აღმნიშვნელი ყოფილიყო.

ფაზისის მიტროპოლიტების შესახებ საერთოდ ცოტა რამ ვიცით. საბედნიეროდ, სწორედ VII საუკუნის I ნახევარია, რომ უფრო მეტი გვაქვს ცნობები. ხოსრო II წარმატებების პერიოდში ბერძენ მემკვიდრეთა მხედველობის არეს გარეშე რჩება ლაზიკა, რომელიც არ გახდა ინტერესების ჭიდილისათვის ასპარეზი. VII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან ჰერაკლე კეისარი საოცრად გაბედულ და სარისკო გზას ადგება. სპარსელები კონსტანტინეპოლამდე მისულან და კეისარი საომარი ასპარეზის გადატანას მტრის ზურგში აპირებს. მისი საყრდენი და მნიშვნელოვანი მოკავშირეა ლაზიკა. აქამხანებში არ ჩანს არცერთი საერო მოღვაწე და, როგორც ჩანს, მთელს საეკლესიო და საერო საქმეებს კიროსი ფაზისელი განაგებს. სწორედ ეს კიროსი ფაზისელი, ლაზიკის მიტროპოლიტი, ანუ ეგრისის არქიეპისკოპოსი იპყრობს ეხლა ჩვენს ყურადღებას. კიროსი ფაზისელი და კირონი მცხეთელი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს⁶².

61 ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 105.

62 წინამდებარე ნაშრომი გადაცემული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში, როცა, სრულიად შემთხვევით, დ. ჯანაშიელის წიგნის „ისტორიული სურათები“ (გორი, 1914) გადათვალთვლებისას დაინახეთ, რომ აღნიშნული პირების იდენტიფიკაციაში პრიორიტეტი ამ ჩვენ-

როლიან ჩანს პიროსი ფაშისი მიტროპოლიტად

681 წლის 22 მარტს VI მსოფლიო კრების XIII სხდომაზე ქართველთა ეპისკოპოსი გიორგიმ წაიკითხა კიროს ფაშისელის მიერ ზუსტად

თვის უცნობ ავტორის ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ დ. ჯანაშვილი დიდ შეცდომებსაც უშვებს, მისი მსჯელობა მაინც ლოგიკურია და მკითხველს განსასჯელად მას მთლიანად მოვუტანთ: „სამცხე-კლარჯეთის ეპისკოპოსი იყო კირი, რომელიც ირაკლი იმპერატორის დროს ცხოვრობდა, მისდევდა მონოფიზიტების მწვალებლობას და ჰქონდა დიდი გავლენა საეკლესიო და დოღმატურ საგანთა გადაწყვეტილებაზე. ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვთქვათ, რომ ეს სახელოვანი ეპისკოპოსიც ქართველი იყო; მაგრამ უადგილო არ იქნება ვიკითხოთ: საქართველოს ქათალიკოზი კირიონი და ეს კირი ეპისკოპოსი ერთი და იგივე პირი ხომ არ იყო? ამ კითხვას მით უფრო უმეტესად აქვს ადგილი აქა, რომ ქათალიკოზს კირიონსა და სომხების ქათალიკოზს აბრაამს ამ დროს ჰქონდათ ერთმანეთში ზაისი სარწმუნოებაზე. საეკლესიო კრება, რომელიც მოახდინეს სომხებმა მათსა და ქართველებს შუა სარწმუნოებრივი განხეთქილების გამო, იყო 596 წელს; ხოლო ირაკლი იმპერატორი, ჩვენი ქათალიკოზი კირიონი და სამცხე-კლარჯეთის მღვდელთმთავარი კირი მოქმედებდნენ ერთსა და იმავე დროს. საქართველოს და სომხების ისტორიკოსები ამბობენ, რომ იმპერატორებმა მავრიკიმ და ირაკლიმ ამ ხალხთა შესარიგებლად მოახდინეს კრებაო, მაგრამ სომხები მაინც ვერ დაარწმუნეს, რომ ისინი სცდებიან სარწმუნოების დოღმატების განხილვაშიო. ამ სახით, ჩვენ ეჭვი შეგვაქვს, რომ თუ მავრიკი მოკვდა 602 წ., ირაკლი მეფობდა 610 წლის და 643 წლებს შუა, და 596 წლის შემდეგ საქართველოს ქათალიკოზის კირიონის თხოვნით ამათ მოახდინეს კრება. მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ქათალიკოზი კირიონი და ირაკლი იმპერატორის დროს მყოფი კოლხიდის ეპისკოპოსი კირი სხვადასხვა პირი არ უნდა იყვნენ. პლ. იოსელიანი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შენიშნავს, რომ ეპისტოლეტა შორის რომის პაპის გრიგორისა არის შენახული ერთი ეპისტოლე, რომელიც მოუწერიათ საქართველოს ქათალიკოზის კირიონისათვის 603 წელსაო. მივიღებთ რა ყველა ამას მხედველობაში, ჩვენა ვგონებთ, რომ ეპისკოპოსი კოლხიდისა ანუ სამცხე-კლარჯეთისა კირი არის ის კირიონი, რომელიც საქართველოს ქათალიკოზად იყო იმპერატორის ირაკლის დროს. მით უფრო მართლდება ეს ჩვენი აზრი, რომ ჩვენი მემატრიანეები ამბობენ, ქათალიკოზმა კირიონმა სთხოვა იმპერატორებს საეკლესიო კრება მოეხდინათ ქართველებსა და სომხებს შორის განხეთქილების მოსასპობლადო. ამავე დროს მსოფლიო საეკლესიო ისტორია მოგვითხრობს: იმპერატორი ირაკლი და კოლხიდის ეპისკოპოსი კირი მეცადინეობდნენ მონოფიზიტებისა და მართლმადიდებელთა შერიგებასაო. მართლაც 630 წლის წინად ირაკლიმ ჩააბარა ამ კირს, გამოლაპარაკებოდა ყველა საქრისტიანო მწვალებლების წარმომადგენლებს და მოეხდინათ შერიგება. ამ აზრით 633 წელს კირმა გამოაცხადა 9 სარწმუნოებითი მუხლი, რომ ამათვე ყველანი დათანხმებულიყვნენ. რადგანაც ეს მღვდელ-მთავარი ერთგულად შემწვობას უწევდა ირაკლის, იმპერიის ხალხთა სარწმუნოებრივი განხეთქილების მოსასპობლად, ამისათვის

56 წლის წინ სერგი კონსტანტინეპოლელისადმი მიწერილ წერილში⁶³ მასასადამე, ეპისტოლე დაწერილია 625 წლის დასაწყისში⁶⁴ კიროსი მოუთხრობს სერგის, რომ საუბარი ჰქონდა ჰერაკლე კეისართან ქრისტოლოგიის საკითხებზე. ყველა ცნობით ჰერაკლემ პირველი ლაშქრობა დაიწყო 623 წლის აპრილს და დაბრუნდა პონტოში მხოლოდ 625 წლის მიწურულს⁶⁵. ცხადია, ლაშქრობის პერიოდში იგი ფაზისში ვერ იქნებოდა და ვერც საუბარი ექნებოდა კიროსთან. ეს შეხვედრა 623 წლის აპრილამდე უნდა მომხდარიყო. 624 წლის გაზაფხულს ჰერაკლეს ლაშქარს ლაზები და აბაზგები შეუერთდნენ. უნდა ვიფიქროთ, ჰერაკლესა და კიროსს შორის საუბრის ძირითადი თემა მაინც მოკავშირე ჯარების გამოყვანის საკითხები იქნებოდა, რის შესახებაც მათ ლაპარაკი უნდა ჰქონოდათ ლაშქრობის დაწყებამდე. ჩვენს დაკვირვებას ამაგრებს სერგი კონსტანტინეპოლელის ეპისტოლე რომის პაპის ჰონორიუსისადმი მიწერილი⁶⁶. სერგის მონათხრობიდან ირკვევა, რომ ჰერაკლეს 622 წელს სომხეთში სევერიანელთა პარტიის წარმომადგენელ პავლესთან ჰქონია კამათი ქრისტოლოგიის საკითხებზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰერაკლემ გაიხსენა პავლესთან კამათი ლაზთა ქვეყანაში კიროს ფაზისის მიტროპოლიტთან საუბარში, რაც 623 წლის დამდეგს თუ მოხდებოდა.

ამრიგად, 623 წ. არის თარიღი, რომელზე უფრო გვიანაც ჰერაკლე კეისრის ლაზიკაში ყოფნას და კიროსთან საუბარს ვეღარ გადავწევთ. ცხადია, კიროსი ფაზისის მიტროპოლიტია 623—4 წლებში. სერგი კონსტანტინეპოლელის პასუხში კიროსის წერილზე, რომელიც 625 წლის ახლოს უნდა იყოს დაწერილი, კიდევ ერთი საინტერესო მომენტის ამოკითხვა შეიძლება: ირკვევა, რომ ადრე კიროსი და სერგი ერთმანეთს პირადადაც შეხვედრიან და შესაძლოა არა ერთხელ („პირველივე უშუალოდ შეხვედრისას გამოირკვა სულიერი სიფხიზლე შენი სიწმინდისმოყვარეობისა და ეხლა წერილმა კიდევ უფრო დაგ-

საქართველოდან ის გადაიყვანა პატრიარქად ალექსანდრიაში (ეგვიპტეში). ჩვენთვის დიდად შესანიშნავი არ არის — კირი ქართველი იყო თუ არა; აგრეთვე კირი და კირიონი ერთი და იგივე პირია, თუ სხვადასხვა. კირის მოქმედების მოხსენების მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ გვსურს გამოვხატოთ იმდროინდელ სასულიერო წოდების ჭკუა-გონების მღვდლობობა“.

⁶³ Деяния Вселенских соборов, VI, Казань, 1882, стр. 193.

⁶⁴ ჩვენთვის არ არის ნათელი, რატომ ათარიღებენ 626 წლით ამ წერილს. იხ. G. Owspeian, Die Entstehungsgeschichte des Monothelismus, Leipzig, 1897, გვ. 16; V. Grumel, Recherches sur l'histoire du monothélisme, Echos d'Orient, Paris, 1828, 27, გვ. 258.

⁶⁵ Я. А. Манандян, Маршруты персидских походов Ираклия, Византийский Временник, II, 1949, გვ. 134, 146.

⁶⁶ Деяния, VI, გვ. 180—184; Mansi, XI, 529.



ვარწმუნა“)⁶⁷. ამრიგად ჩანს, კიროს ფაზისელი VII საუკუნის ოცნებების დამდგენიდან მაინც უკვე რეალური პიროვნებაა.

დასკვნა: კიროს ქართლის კათალიკოსს უნდა დაეტოვებინა ქართლი 616 წელს. კიროს ფაზისელი ჩანს, სულ გვიან, 623 წლიდან მაინც. ამ ორ პიროვნებას ერთმანეთს აშორებს დაახლოებით 8 (ან შესაძლოა უფრო ნაკლები) წელიწადი. ცხადია, თარიღებში ცარიელი ადგილი მათი იდენტიფიკაციისათვის გადაულახავი დაბრკოლება არ არის. 616—622 წლები სპარსელთა განუყოფელი წარმატებების ხანაა და ლაზიკა სრულიად ჩამოცილებულია საომარ თეატრს. 622—3 წლებიდან ჰერაკლე კეისარი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გაიხდის სპარსეთზე სალაშქრო ბაზად და კიროს ფაზისელი გამოჩნდება საერთაშორისო ასპარეზზე.

V

კიროს ფაზისელის სამწყსო

ადრეული ქრისტიანობის ხანაში შავი ზღვისპირა ქალაქების უმაღლესი სამღვდელოების ნაციონალიზმა დღემდე ბუნდოვან საკითხად რჩება. არც ის არის ნათელი, რომელ მოსახლეობას ემსახურებოდნენ ისინი⁶⁸. VII საუკუნის დამდეგს ფაზისი ლაზიკის სამიტროპოლიტოს ცენტრია და ოთხი ქალაქის ეპისკოპოსი ექვემდებარება⁶⁹. ესენი უკვე ქვეყნის შიგნით მდებარე ქალაქებია და, რასაკვირველია, სამწყსოს ძირითად კონტიგენტსაც ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს. ამას ნათლად მოწმობს ის წოდებები, რომლითაც VI მსოფლიო კრების ოქმებში კიროს ფაზისელი აღინიშნება. მას ფაზისის მიტროპოლიტის (ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსის) გარდა არა ერთგან ეწოდება „ლაზთა ქვეყნის მიტროპოლიტი“⁷⁰. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამავე ოქმებში მას პირდაპირ „ლაზების ეპისკოპოსი“ ეწოდება⁷¹. აქედან, ცხადია, კიროსის სამწყსოს ძირითად ბირთვს შეადგენს არა ლაზიკის ბერძნული კოლონიები, არამედ

⁶⁷ Деяния, VI, гл. 178; Mansi, XI, col. 525.
⁶⁸ გეორგიკა, I, 1961, გვ. 1—10.
⁶⁹ გეორგიკა, IV, ნაკვ. II, 186—193.
⁷⁰ Деяния, VI, гл. 180; Mansi, XI, 525.
⁷¹ Деяния, VI, гл. 188; Mansi, XI, 545.

სწორედ ადგილობრივი ლაზური მოსახლეობა, ამიტომ არ მიგვაჩნია სწორად ვ. ბოლოტოვის ვარაუდი, თითქოს კიროს ფაზისელი წარმოშობით ეგვიპტელი იყოს⁷².

აქ გასათვალისწინებელია ის ფრიად მნიშვნელოვანი მომენტიც, რომელიც სპეციალურ შესწავლას თხოულობს: ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, დასავლურ ქართულ ენობრივ ერთიანობაში VI—VII საუკუნეებიდან იწყება ქართული (აღმოსავლეთ ქართული) ელემენტის შეჭრა⁷³. ცხადია, ეს დაკვირვებები მხარს უჭერს ცდას, VII საუკუნიდან ძლიერი კავშირი ვივარაუდოთ (პოლიტიკური თუ საეკლესიო) ქართლსა და ეგრისს შორის. ისიც ცხადია, რომ ეგრისის მიტროპოლიტის საყდარზე ქართველი კაცის ასვლამ კი არ უნდა გავგავკვიროს, არამედ უპირატესობაც უნდა მიეცეთ ბერძენთან ან სხვა რომელიმე არაქართული მოდემის წარმომადგენელთან.

VI

კიროს ფაზისელის დამოკიდებულება ქართლთან

სულ ახლო იყო კიროს ფაზისელისა და კიროს ქართლის კათალიკოსის იდენტიფიცირებასთან ბოლოტოვი, რომელმაც კიროსის საგარეო რელიგიურ-პოლიტიკურ პროგრამაში კირონის საქმის გავრძელება დაინახა. იგი წერდა: „კიროს ფაზისელი ისტორიაში ერთი ყველაზე საინტერესო და შესაძლოა მითიურ ფიგურათაგანაც კია. მის

⁷² „Судя по имени „Кир“, он мог быть человеком египетского происхождения. При этом предположении перемещение Кира на кафедру александрийскую представляется тем более мотивированным“. Болотов В. В. К истории императора Ираклия (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 5. კიროსი რომ ბერძენიც არ უნდა ყოფილიყო, ჩანს მის მიერ 641 წლის 8 ნოემბერს არაბთა ჯარების სარდალ ამრთან ალექსანდრიის კაპიტულაციის შესახებ დადებული ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ბერძენთა გასახლებას ალექსანდრიიდან 642 წლის 17 სექტემბერამდე. თვითონ კიროსს კი ეს მუხლი არ ეხებოდა და პატრიარქად რჩებოდა. С. Н. Веккер. The Cambridge Medieval History, II, 1913, გვ. 350.

⁷³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, ტფილისი, 1913, გვ. 56—57; Н. Марр, Грамматика Чанского (лазского) языка, СПб, 1910, გვ. XV; არნ. ჩიქოპავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 4—9; გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 55.



შეხვედრაში იმპერატორთან (ჰერაკლე კეისართან
 №. ა.) ყველაფერი შემთხვევითი არ არის. რატორთან შეხვედრამდე ცოტა ადრე ადგილი ჰქონდა კიროსის მოძრაობას, რომელიც სომხეთის კათალიკოსის უფლებიდან სამწყსოს ერთი ნაწილის გამოყოფით დამთავრდა. კიროსისათვის ნათელი იყო, რომ გარკვეულ პირობებში სომხებთან ბევრი რამის მიღწევა შეიძლება, მათ შორის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთებაზე დაყოლიებაც კი⁷⁴. როგორც ვხედავთ, ბოლოტოვმა ნათლად დაინახა უწყვეტი ხაზი ამ ორი მოღვაწის საქმიანობაში, მაგრამ უფრო შორს აღარ წასულა. როგორც ჩანს, ამიერკავკასიის, განსაკუთრებით სომხეთის, რელიგიურ-პოლიტიკური ვითარების საკითხებში ჰერაკლე კეისრის მრჩეველი კიროსი იყო. ეზრა კათალიკოსიდან მოყოლებული VI მსოფლიო კრებამდე სომხეთში მონოთელიტ კათალიკოსებს ვხედავთ; ზოლო მონოთელიტობის ერთი შემოქმედი და ყველაზე თავგამოდებული გამტარებელი სწორედ კიროს ეგრისის მიტროპოლიტია.

კიროსი ჩარეული ჩანს ქართლის საკითხებშიც. უფრო სწორად, ქართლის ბედი აწუხებს და დიდ მონაწილეობას ღებულობს ჰერაკლეს ლაშქრობებში. თუ ორივე ლაშქრობის არა, ჰერაკლე კეისრის მეორე ლაშქრობის (სწორედ ქართლში ლაშქრობის). ბაზაა ფაზისი და აქ იგი მჭიდრო ურთიერთობაშია კიროსთან. ეგრისში კიროსის გარდა სხვა მმართველი (საერო) არ ჩანს და ეტყობა მოკავშირე ჯარების (მეგრელთა, აფხაზთა) გამოყვანაში სწორედ იგი მონაწილეობს.

ჰერაკლე კეისრის ლაშქრობებს ამიერკავკასიაში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში ბიზანტია-სპარსეთს შორის ცილობის გადასაწყვეტად. ამ ლაშქრობათა შეფასებას და მარშრუტებს დიდ ადგილს უთმობენ სპეციალისტები თავიანთ გამოკვლევებში. ამათგან ყურადღებას იპყრობს ე. გერლანდისა და ი. მანანდიანის სპეციალური წერილები⁷⁵. თავის ნაშრომში ი. მანანდიანი ცდილობს დაადგინოს, რომ ფაზისი არ იყო ჰერაკლე კეისრის არც ერთი ლაშქრობის ბაზა. ჩვენ აქ გვერდს ავუვლით პირველ ლაშქრობას, თუმცა კი ი. მანანდიანის არგუმენტაცია აქაც საკმაოდ არ გვეჩვენება (დამაჯერებლად არ არის მოხსნილი იმ წყაროების ჩვენებები, რომლებიც ჰერაკლეს ლაშქრის მარშრუტს ლაზიკაზე უჩვენებენ; გათვალისწინებული არ არის ჰერაკლეს კონტაქტი ფაზისის მიტროპოლიტთან; მიმოწერა კიროს ფაზისელის, სერგი კონსტანტინეპოლელის და რომის პაპის ჰონორიუსისა; არ არის ახსნილი, თუ

⁷⁴ В. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, IV, Петроград, 1918, стр. 453.

⁷⁵ E. Gerland, Die persische Feldzüge des Kaisers Heracleios, Bizantinische Zeitschrift, III, 1894. Я. А. Манандян, Маршруты персидских походов Иракия, ВВ, II, 1949.

როგორ გაჩნდნენ ჰერაკლეს ლაშქარში მოკავშირეები აბაზგებისა და მეგრელების სახით).

ჰერაკლე კეისრის მეორე ლაშქრობის მარშრუტის ი. მანანდიანი ასე მსჯელობს: თეოფანე ბიზანტიელის ცნობით, ჰერაკლე კეისარმა ახალი არმია შეადგინა და 626 წელს ლაზიკაში ჩავიდა. ამ ცნობას მხარს უჭერს მოსე კალანკატუელის ცნობა ჰერაკლეს ჩასვლის შესახებ ზღვით სამეგრელოში⁷⁶, რომელიც შეცდომით პირველი ლაშქრობისთვის მიუწერია. ბიზანტიის იმპერატორის ლაზეთზე გავლის შესახებ ლაპარაკობს ნიკიფორე კონსტანტინეპოლელიც⁷⁷.

ბერძნული და სომხური წყაროების ასეთ საესებით არაორაზროვან ჩვენებებს ი. მანანდიანი უპირისპირებს ქართულ ცნობებს:

1. „თხრობაჲ მარგებელი...“: „ხოლო ერაკლე მეფემან ისწრაფა... წარემართა სიმრავლითა ურიცხვთა ნაგებისაჲთა. და ჰყვა მის თანა ცოლი თჳსი, და მიიწია რაჲ ტრაპეზუნტედ სანახებთა მათ სამეგრელოჲსათა, უშვა ძმ, რომელსა უწოდა ერაკლე და მიერ წარავლინნა მოციქულნი ძღუნითა მრავლითა მეფისა მიმართ თურქთაჲსა. ხოლო მეფემან თურქთამან დიდად შეიწყნარნა მოციქულნი ერაკლესნი და მოსცა მას აღთქმაჲ ერთობისაჲ, ვინა-ცა ერაკლე წარვიდა თურქეთს“⁷⁸.

2. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი: „ერაკლემ, მავრიკეს ნათესავმა, მოკლა ფოკასი და გამეფდა საბერძნეთს. მოიყვანა დასავლეთიდან თურქთა ფრიად მრავალი ჯარი და წარვიდა უფლის ჯვრის საძიებლად. გზა სომხეთზე დაიდვა, მოვიდა ბზუნის და იქიდან გადავიდა ტფილისს“⁷⁹.

პირველ ცნობაში თავიდანვე სკამათო იყო გამოთქმა „ტრაპეზუნტედ სანახებთა მათ სამეგრელოჲსათა“. მოსე ჯანაშვილი თვლიდა, რომ ეს ადგილი რუსულად ასე უნდა გადაითარგმნოს: „... в пограничный город Мингрелии“⁸⁰. ბ. მარი სხვაგვარად თარგმნის: „Ираклий достиг Трапезунда, в пределах Мингрелии“⁸¹.

⁷⁶ *წიქსეა ჩაყანქათილასიქი*, *ჟანაშვილის შვიდნოე იქსარნი*, 1913, გვ. 148.

⁷⁷ *ნიკიფორა პატრიარხა კონსტანტინოპოლსკოგო* *კრატკაია ისტორია სო ვრემენი პოსლე ცარსტვოვანია მავრიკია*, *ВВ, III, 1950*, გვ. 355.

⁷⁸ *გეორგიკა*, *IV*, ნაკვ. *II*, 1952, გვ. 422. *Я. Манандян, маршруты...* გვ. 147.

⁷⁹ *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*, გვ. 187. *Я. Манандян, Маршруты...*, გვ. 147—147.

⁸⁰ *М. Джанашвили, Осада Константинополя скифами, кои суть русские и поход императора Ираклия в Персию. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, XXVII, 1900*, გვ. 49.

⁸¹ *Н. Марр, Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами в 614 г.* 1909, გვ. 25.



ბ. მარის ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით ი. მანანდიანი ასკვნის, რომ „Под Егерией — Лазикой, откуда Ираклий прибыл в Тифлис, следует подразумевать не нынешнюю Мингрелию в Западной Грузии, а „землю лавов“ в Траpezундской области⁸². ამის შემდეგ ი. მანანდიანი ვადაძვეტ ხმას აძლევს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ცნობას და მასში გარკვეული კორექტივის შეტანის შემდეგ ასკვნის: „При этом новом толковании свидетельства Джуаншера путь Ираклия в Тифлис можно было бы предложить не из бассейна р. Фасиса-Риона через Сурамский перевал, а из Траpezундской области — через Ерзингян — в Вазану, лежавшую на берегу Евфрата южнее Котура, и Котура, и оттуда через области Карин, Вананд и Ширак в Тифлис“⁸³.

ვფიქრობთ, ი. მანანდიანის ვარაუდი არ არის მართებული. პირველ ქართულ ცნობას გამოყენებამდე სჭირდება სერიოზული კრიტიკა, რაც ჯერ არავის უცდია. საქმე ის არის, რომ მეორე ლაშქრობისას ტრაპიზონს არ ახსენებს არც ერთი სხვა წყარო და ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი და მოსე კალანკატუელი ზოგადად ლაზიკაზე (სამეგრელოზე — მოსე კალანკატუელი) მიუთითებენ. ჰერაკლეს ტრაპიზონში ჩასვლის შესახებ ლაპარაკობს ევტიქე, მაგრამ მას პირველი ლაშქრობა აქვს მხედველობაში და თანაც აღარ ახსენებს ლაზიკას. ასე რომ, ქართული ძეგლის წყარო, მართალია, არის ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის თხზულება, მაგრამ ტრაპიზონი საიდან აქვს დასახლებული უცნობია (შეიძლება აერთიანებს ევტიქესა და ნიკიფორეს ცნობებს). ამასაც რომ თავი დავანებოთ, ქართული ცნობა ტრაპიზონს ჰერაკლონას დაბადების ადგილად აცხადებს და შემდეგ კვლავ მისდევს ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის ტექსტს. ხომ შეიძლება, რომ ჰერაკლონა ტრაპიზონში დაბადებულყო, ხოლო კეისარს გზა უფრო ჩრდილოეთით განეგრძო?

რაც შეეხება მეორე ცნობას, ი. მანანდიანი მცდარად მიაწერს მას ქართულ წყაროს. ის, რაც „ქართლის ცხოვრების“ ძველ თარგმანში იკითხება, სრულიადაც არ მოიპოვება ორიგინალში, ქართულ „ქართლის ცხოვრებაში“. ჰერაკლე კეისრის ლაშქრის სომხეთზე გამავალი გზის ჩვენება მთლიანად სომეხი მთარგმნელის შემოქმედების შედეგია. შევადაროთ „ქართლის ცხოვრებისა“ და მისი სომხური თარგმანის ცნობები ერთმანეთს:

⁸² Я. А. Манандян, Маршруты..., გვ. 148.

⁸³ იქვე.

„...ხოლო შემდგომად ამისა როდენთამე წელიწადთა გამოჩნდა კაცი ერთი საბერძნეთს, თჳსი მავრიკ კეისრისა, სახელით ერაკლე. ამან მოკლა ფოკას კეისარი და იპყრა საბერძნეთი, განძლიერდა იგი და მოიყვანნა დასავლეთით თურქნი, და შეკრიბა სპანი ურიცხუნი, და წარმოემართა სპარსეთად ძებნად ძელისა ცხოველისა და მოვიდა პირველად ქართლს“.

„ერაკლემ, მავრიკეს მოკლა ფოკასი და გამეფდა საბერძნეთს. მოიყვანა დასავლეთიდან ფრიად მრავალი ჯარი და წავიდა უფლის ჯვრის საძიებლად. გზა სომხეთზე დაიდვა, მოვიდა ბზუნის და იქიდან გადავიდა ტფილისს“⁸⁴.

ამრიგად, ჩვენ არ გვგონია, რომ ი. მანანდიანმა შესძლო გაებათილებინა ვარაუდი იმ სპეციალისტთა, რომელთაც ფაზისი მიაჩნიათ ჰერაკლე კეისრის თბილისში ლაშქრობის ბაზად. ჰერაკლე კეისრის ფაზისში ყოფნა და თათბირი კიროს ფაზისის მიტროპოლიტთან თანადროული დოკუმენტების მიხედვით რომ ექვს გარეშეა, ზემოთ ვაჩვენეთ. კიროსი ჩარეული ჩანს ჰერაკლე კეისრის მოლაპარაკებაში ხაზარებთან თბილისზე სალაშქროდ (ზემოთ განხილული ქართული ცნობებიდან კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჰერაკლე ხაზარებს დაუკავშირდა ტრაპიზონიდან). უფრო მეტიც, კიროსი მონაწილე უნდა იყოს ხაზართა ხაკანისათვის ჰერაკლეს ქალიშვილის ევდოკიას შეთავაზებაში ცოლად პოლიტიკური კავშირის განსამტკიცებლად. ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი წერს: „შემდეგ ირაკლის ემინოდა რა თურქთა ბატონს სწორედ იგივე ავართანაც არ ექნა (ე. ი. არ შეკავშირებოდა) და რათა იმის მხრით გულდაჯერებული ყოფილიყო, მასთან კიდევ უფრო მტკიცე კავშირი შეჰკრა. უჩვენა მას თავისი ქალიშვილის, ევდოკიას, სურათი და უთხრა: „ჩვენ ღმერთმა შეგვაერთა, შენ კი ჩემ შვილად დავსახა. აი, ეს ჩემი ასულია და რომაელთა აგვუსტა. თუ მე შემეწევი და მტრების წინააღმდეგ მომეხმარები, ამას ცოლად მოგათხოვებო“. ხოლო იგი (თურქთა ბატონი) სურათის

⁸⁴ ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 187. შესაძლოა მთარგმნელი იცნობს მოსე კალანკატუელის ცნობას, სადაც ლაპარაკია ეგრისიდან ჰერაკლეს სომხეთში გადმოსვლის შესახებ და მას იყენებს. ი. მანანდიანისგან განსხვავებით მოსე კალანკატუელის ცნობა ჩვენ (მის ავტორთან ერთად) პირველ ლაშქრობაზე მიმათიებელი გვგონია.



სილამაზითა და შემეკობილობით გატაცებული, პირველსახისადმეტრფობით განიმსჭვალა და კიდევ უფრო მეტად მოინდომა ბრძოლა⁸⁵ კიროსი რომ ამ დიპლომატიურ საქმეში ჩარეული უნდა იყო, ჩანს უფრო გვიან ეგვიპტეში არაბთა შეჭრის დროს მომხდარი ამბებიდან. კიროსმა, რომელიც ახლა უკვე ალექსანდრიის პატრიარქი იყო და აფრიკაში კეისრის ნაცვლობასაც ითავსებდა, ზუსტად ასეთივე რჩევით მიმართა ჰერაკლე კეისარს⁸⁶. უეჭველია, კიროსს ახსოვდა, რომ კავკასიაში ჰერაკლე ამ გეგმას მტრულად არ შეხვდა. მაგრამ ალექსანდრიის პატრიარქი იმაში მოტყუვდა, რომ შეცვლილი საერთაშორისო ვითარება კარგად ვერ ასწონა. ამიერკავკასიაში ლაშქრობების დაწყების წინ ჰერაკლე სპარსელთაგან სასტიკად იყო დამარცხებული და მტერი კონსტანტინეპოლს მოსდგომოდა. კეისრის განზრახვა საომარი ასპარეზი მტრის ზურგში გადაეტანა, თავზე ხელაღებული სარდლის გადაწყვეტილებას ჰგავდა და მისი წარმატებით განხორციელება მხოლოდ ძლიერი მოკავშირის და დიდი არმიის საშუალებით შეიძლებოდა. ასეთ ვითარებაში ჰერაკლე მზად იყო დაეთრგუნა სიამაყე და „უხუჯულოს“ დამოყვრებოდა. სულ სხვა იყო არაბთა დაპყრობების დასაწყის პერიოდში ბიზანტიის კეისრის განწყობილება. სპარსელებთან ძლიევამოსილი ომის გადახდის შემდეგ ჰერაკლე საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულ მოწინააღმდეგეს ვეღარ ხედავდა და არაბთა წარმატება დროებითად მიაჩნდა. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის კეისარმა კიროს ალექსანდრიელის (ყოფილი ფაზისელის) წინადადება ღალატად მიიღო და უწინ საყვარელი და საიმედო თანამოსაგრე სასტიკად დასაჯა. ასე იყო თუ ისე, ჩანს, ჰერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობის სამზადისი კიროს ეგრისის არქიეპისკოპოსის საბრძანებელში და მისი შემწეობით მიმდინარეობდა. ვისგან, თუ არა კიროსისგან, იცოდა ჰერაკლე კეისარმა, ვინ იყო მისი მომხრე ქართლში. ქართლის კამპანიის წარმატებით დასრულების შემდეგ, ჰერაკლე კეისარმა ორი პიროვნების ღვაწლი დააფასა ფრიად: კიროს ფაზისელს ალექსანდრიის პატრიარქობა და აფრიკის გამგებლობა უბოძა, რითაც ერთბაშად გაიყვანა იგი მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე უფრო დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, და ადარნასე

⁸⁵ ალ. გამყრელიძე, ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის ცნობები ირაკლი კეისრის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 223—224. იხ. აგრეთვე, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, 1952, გვ. 207—208.

⁸⁶ A. Butler, The Arab Conquest of Egypt and the Last Thirty Years of the Roman Dominion, Oxford, 1902, p. 264; F. Nau, Politique matrimoniale de Cyrus (Le Mocaucas), Le Muséon, 1932, XLV, გვ. 1—8.

კახეთის ერისთავი გადმოიყვანა „ყოველი ქართლის“ ერისმთავრად⁸⁷ განა შეიძლება, ამის შემდეგ აზრად არ გაგიჩნდეს ამ ორგანიზაციის — კიროსისა და ადარნასეს — ერთმანეთთან დაკავშირების სურვილი? არ გაიხსენო, რომ ქართლის პრობიზანტიური ორიენტაციის მეთაურები იყვნენ კირონ მცხეთელი კათალიკოსი და ადარნასე ქართლის ერისმთავარი? ადარნასემ დაიბრუნა ერისმთავრობა, ხოლო კირონი (კიროსი) უფრო შორს წავიდა და ბიზანტიის იმპერიის ყველაზე უფრო სერიოზულ უბანს, ბიზანტიის „ბელელს“, აფრიკას ჩაუდგა სათავეში.

ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ჯვრის ტიპის ნაგებობები გვაქვს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე, ყოველ შემთხვევაში, ქართლში, კახეთში და ეგრისში ხომ უუქველად. ისიც ვთქვით, რომ გ. ჩუბინიშვილის მიხედვით, ყველა ეს ძეგლი დაახლოებით 30 წლის მანძილზეა აშენებული და თარიღდება 600—630 წლებით. უეჭველია, ასეთი მთლიანობა სამშენებლო პროგრამაში, ამ მხარეების რაღაც ერთიანობას გულისხმობს, ან კიდევ, ერთი მოღვაწის ხელი მოჩანს. თუ კიროს ფაზისელი და კირონ მცხეთელი ერთი და იგივე მოღვაწეა, მაშინ ჯვრის ტიპის ტაძრების მშენებლობა ზუსტად მისი მოღვაწეობის ფარგლებზე მოდის. კიროსი ქართლის კათალიკოსი ხდება 598/9 წლებში. ეგრისის მიტროპოლიტობიდან ალექსანდრიის პატრიარქის ტახტზე გადადის 630/631 წლებში. ან საოცარია დამთხვევა გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებასა და ჩვენ მიერ წამოჭრილი იდენტიფიკაციას შორის, ან კიდევ, უბრალოდ, კირონ ქართლის კათალიკოსი და კიროს ეგრისის არქიეპისკოპოსი ერთი მოღვაწეა. ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ კიროსი მონოთელიტი მოღვაწეა, ჯვარი „ყოველი ქართლის მცველად“ არის აგებული და სიმბოლოა „ქართული სარწმუნოებისა“ და დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს რაღაც ერთნაირ რელიგიურ პოლიტიკურ ხაზთან.

87 „მაშინ კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე. და მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 225) „დიდად პატიოსანი კაცი აღრნესე მთავარი იმ ქვეყნისა, რომელსაც სამმაგი პატივი ჰქონდა რომაელთა მეფობისაგან“ (წ. ყაფანქათიძე, გვ. 204).

კირონ ქართლის კათალიკოსის წარმოშობა და განათლება

1. ნიკოპოლისში

კირონის გაიგივება კიროს ალექსანდრიელთან გაძნელებდა, თუ არ დავამტკიცებთ მისი ფართო განათლება და ბერძნული ენის ცოდნა მშობლიური ენის მსგავსად. წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ალექსანდრიის საპატრიარქოს მართვა და თეოლოგიაში შემოქმედებითი საქმიანობა. ჯერ არც ის გვიჩვენებია წყაროების მიხედვით, რომ კირონი ნამდვილად ქართველი იყო ნაციონალობით.

X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ცნობით, კირონი იყო „ქვეყნით და ტომით ქართველი, ჯავახეთის გავარიდან. სოფლიდან, რომელსაც სკუტრი ეწოდება“⁸⁸. მის ქართველობას ხაზს უსვამს მოსე სომეხთა კათალიკოსიც კირონისადმი მიწერილ ეპისტოლეში: „მაგ ქვეყნის (ქართლის — ზ. ა.) წინამძღვრად დაგაყენეთ, რადგან, თუმცა ტომით და მკვიდრობით ხართ მაგ ქვეყნიდან...“⁸⁹. სადღესოდ არ ხერხდება სოფელი სკუტრის მდებარეობის დადგენა ან სხვა წყაროებში მისი დადასტურება. რაც შეეხება უხტანესს, მისთვის ასეთი ადგილი უცხო სრულიადაც არ უნდა იყოს, თორემ ამას აუცილებლად აღნიშნავდა, ან ისეთსავე ისტორიულ ასპექტში ისაუბრებდა როგორც ცურტავის შესახებ ლაპარაკობს.

უხტანესის ცნობით უკვე თავის სამშობლოში მიუღია კირონს ქართული და სომეხური სწავლა-განათლება (*თანერ ფყყოიქიან ძიან უკყო ლ ჯყოე*). ჩანს, კირონი ჯერ კიდევ ყრმა იყო, როცა ჯავახეთი დატოვა და სომეხეთის ბერძნულ ნაწილში მოხვდა. ამას ადასტურებს მოსე კათალიკოსის წერილიდან ერთი ადგილი: „თუმცაღა იყავ ტომით და მკვიდრობით მაგ ქვეყნიდან, მაგრამ აღრევე განშორებოდი და გაუცხოვებოდი რომაელთაგან მართულ ქვეყანაში“⁹⁰.

⁸⁸ *Մա էր աշխարհաւ և ազգաւ ի վրաց՝ ի գաւառէ Զաւսխաց՝ ի գէղջէ՝ որ կոչի Սկուտրի: Ու խ ա ո ս ն է ս, II, გვ. 3—4. ლ. მელიქსეთ-ბეგი ვარაუდობს, რომ უხტანესი კირონს სკუტრელს იღუდა ისკარიოტელთან მისამსგავსებლად უწოდებს. იხ. Մ Լ Է Լ Ի ք ս Ի ք - Բ Ե Կ, վրաց ապրիլոսներ..., I, გვ. 17.*

⁸⁹ *ეპისტოლეუა წიგნი, დამატება, გვ. 128.*

⁹⁰ *იქვე, გვ. 128.*

მართალი უნდა იყოს ნ. აკინიანი, როცა ვარაუდობს, რომ 570—578 წწ. წარმოებული ომების დროს უნდა დაეტოვებინათ კართლი. მისი აზრით, შესაძლოა, იგი ბერძნებმა ტყვედ წაიყვანეს⁹¹. სწორედ ასევე იცის მოსე სომეხთა კათალიკოსმაც კირონის თავგადასავალი და მისი ინფორმატორი, უეჭველია, თვითონ კირონია⁹². უხტანესი დაწვრილებით ცნობებსაც გვაწვდის კირონის შემდგომი ბედის შესახებ: „რომეღლთა ქვეყანაში რომ მივიდა, ცხოვრობდა იქ თხუთმეტ წელს გავარში, რომელსაც კოლონია ეწოდება და იმყოფებოდა ნიკოპოლისად წოდებული დაბა-ქალაქში, მდინარე გაილის ნაპირას. გაიწაფა და ისწავლა მათი (ბერძნების—**ზ.** ა.) მწიგნობრობა და სხვადაბოროტებლოვანი მეცნიერება, რომლითაც ჩვენ გამოგვეყო“⁹³.

უხტანესს არსად არა აქვს ნათქვამი, შეუდგა თუ არა კირონი ნიკოპოლისში საეკლესიო სამსახურს. როგორც ჩანს, ამის შესახებ

⁹¹ ნ. აკინიანი, *სიცილიის კაპოქლია ქრისტიანი*, გვ. 167.

⁹² „ნუ მიიქცევი შენი გულით ეგვიპტისაკენ, არამედ გაიხსენე, როგორ გამოხვედი ახალი ეგვიპტიდან და შენი მომატყუებელი ფარაონის მწარე სახლიდან, რომელთა ბოროტი ზედამდგომლობიდან და მწარე მონობიდან (ეპისტოლეთა წიგნი, დამატება, გვ. 127). „ხოლო მადლმა სულისა, რომელმაც მოგიწოდა მაცხელიერ წოდებაზე, თითქოს დაპყრობით მოგზიდა და გამოგიყვანა რკინის ქურიდან და მადნობელთაგან ბერძნთა მძლავრობისა“ (იქვე, გვ. 128).

⁹³ ნ. ს. სპასკოვი, *ქრისტიანული წიგნები ნიკოპოლისის კათალიკოსის ნიკონის მიერ*, გვ. 4. ზ. ორმანიანი არ არის მართალი, როცა ამბობს, კირონი ნიკოპოლისში ბერძნულში

გასაწრთენელად იყო წასული (საქადაგოები, სვ. 588—589). არ ეციოთ. ჰ. ორმანიანის ვაგველინთა თუ რის გამო, მაგრამ კირონი კათალიკოსის ბიოგრაფიის გათვალისწინებით კ. კეკელიძე ქართლში საეკლესიო სწავლა-განათლების შესახებ ასეთ დასკვას აკეთებს: „ექვს გარეშეა, მაშინდელი ქართული სკოლები იყო ელემენტარული, პირველდაწყებითი, სადაც უპირველესად საღმრთო წერილს ასწავლიდნენ და ეკლესიის მსახურთ ამზადებდნენ. რაც შეეხება საშუალოს, და მთელ უმეტეს უმაღლეს სასულიერო სკოლას, ასეთი ჩვენში V—VII საუკუნეებში არ უნდა ყოფილიყო. ეს, სხვათა შორის, სომეხი ისტორიკოსის უხტანესის სიტყვებიდანაც ჩანს, რომლის ცნობით, ქართლის კათალიკოსი კირონი (VI—VII სს.) სწავლის დასამთავრებლად იძულებული გამხდარა წასულიყო მცირე აზიის ქალაქ ნიკოპოლისში, სადაც 15 წელიწადი დაყო და საფუძვლიანი საღმრთისმეტყველო განათლება შეიძინა“ (მედიცინის ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 81). როგორც უნდა დავინახეთ, არავითარი ცნობა კირონის სწავლის დასამთავრებლად სადმე წასვლის შესახებ უხტანესს (ან რომელიმე სხვა ისტორიკოსს) არა აქვს. არც ისეთი ცნობა არსებობს, რომ ამბობდეს კირონი. სოფელ სკუტრში მიიღო დაწყებითი სწავლა, როგორც ამას კ. კეკელიძე წერს. ამას გადა, განა ცურტავში მოსეს საეპისკოპოსოდ მომზადება საერთო წესის თანახმად, ქართული და სომეხური მწიგნობრობის შესწავლა მის მიერ, ქართლში „საშუალო სკოლის“ არსებობაზე მაინც არ უნდა მიუთითებდეს?



რალაც წერილობითი ან ზეპირი გადმოცემაც არსებულა, რისი კვალიც სტეფანოზ ორბელიანმა შემოინახა: „წასულა კოლონიას დიაკვნის უცხოვრია ერთ ორბუნებოვან ხუცესთან და შეუფერებია წვალენას“.

ამრიგად, ყველა წყაროს ერთხმა ჩვენებით სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში (მცირე სომხეთში) კირონმა ფართო განათლება მიიღო. უეჭველია, რომ ქართულთან და სომხურთან ერთად ბერძნული ენა მისთვის ახლა მშობლიურ ენასავით მახლობელი გახდებოდა. ნ. აკინიანის აზრით, კირონი იყო თავისი დროისათვის გასაოცრად განათლებული ადამიანი⁹⁵; ხოლო ჩამჩიანი და ზარაბანალიანი თვლიან, რომ ქართლის, სომხურისა და ბერძნულის გარდა სპარსულიც იცოდა⁹⁶.

ის გარემოება, რომ ტყვედ ან მძევლად წაყვანილ კირონს უცხო ქვეყანაში სწავლის საშუალება ჰქონდა და საეკლესიო ხარისხსაც ეწვია, ეპის ქვეშ გვაყენებინებს ნ. აკინიანის ვარაუდს კირონის დაბალი სოციალური წრიდან (გლეხური) გამოსვლის შესახებ⁹⁷. ჯერ ერთი, ჩვენ გვგონია, რომ კირონი წაყვანილი იყო სწორედ მძევლად და არა ტყვედ. ძნელი წარმოსადგენია ტყვეს ასეთი პირობები შექმნოდა სწავლა-განათლებისა და საქმიანობისათვის. მეორეც, კირონმა, ქართლში დაბრუნდა თუ არა, დაიკავა საკათალიკოსო საყდარი. რა სოციალური წრის წარმომადგენელს შეეძლო ქართლში კათალიკოსი გამხდარიყო VI საუკუნის ბოლოს? საყურადღებოა „ქართლის ცხოვრების“ ცნობა: VI საუკუნის შუა ხანებში „ფარსმან მეფემან დასუა საბა. აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი“⁹⁸. კიდევ უფრო მრავლისმეტყველია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობა სწორედ იმავე ფარსმანის ხელმწიფობისას „აქათგან ორთა სახლთა აღიდეს კათალიკოსობაჲ, მცხეთელთა მკვდრთა“⁹⁹. აშკარაა, რომ არც „მოქცევაჲ“ და არც „ქართლის ცხოვრება“ კერძო შემთხვევას არ გულისხმობენ. ქართლის წარჩინებულთაგან ეკლესიის ხელში ჩაგდება სრულიად კანონიერი და ლოგიკური მომენტია ქვეყნის საერთო განვითარებისა და ასეთი სიმბტომები ადრეც იყო (გლონქორ-ერისთავი და მთავარეპისკოპოსი). რა სახლები (გვარები) უნდა ჰქონდეს მხედველობაში „მოქცევაჲ“-ს ავტორს? „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით VI საუკუნე-

⁹⁴ ვინაყხაჲ ლე ქ საპლასადიქსანნი ქ ლიონიქა ს ქნასხაჲ აო სქიქანსკ სქიციო ძქ ქ ნეჩსაჲ კაღანნი: შო. იქრქსანი, შათორქანი ნაჩანციქი შისასანი, შიქიქი, 1911, გვ. 104.


⁹⁵ ნ. ს. სქინსანი, სქიქიქი..., გვ. 172.

⁹⁶ შორქანაქსანი შ., ჯაქსაქანი ნიქი იყიქიქანი იქათორქანი, შს. ნსაქიქი, 1897, გვ. 397. შორქსანი შ., შათორქანი ჯაქიქი, გვ. 301.

⁹⁷ ნ. ს. სქინსანი, სქიქიქი..., გვ. 166.

⁹⁸ ქართლის ცხოვრება, გვ. 207.

⁹⁹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 94.



ნის მეორე ნახევარში მხოლოდ ორი სახლია (გვარი) საზოგადოებრივი ცხოვრებაში წინა პლანზე: ვახტანგ გორგასლის ჩამომავლები, შვილიშვილები და მისი შვილები და შვილნი მირდატისნი. სპარსეთის მიერ ქართლის დაპყრობის შემდეგ „შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთეულეთს კახეთისასა; და ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“¹⁰⁰. სავესებით შესაძლებელია, რომ ერისმთავრების მსგავსად, კათალიკოსებიც ამ გვარებიდან გამოდიოდნენ¹⁰¹. კირონი წარმოშობით ჯავახეთიდანაა და შესაძლოა, მძველად წაიყვანეს ბერძნებმა 570-იანი წლებიდან წარმოებული ომების დროს. 591 წლის ზავამდე ქართლში ბერძენთა და სპარსელთა პოზიციები მერყევია. მაგრამ ბიზანტიელთა უპირატესობა მაინც იგრძნობა. ასეთ ვითარებაში ბიზანტიელებს მდგომარეობის განსამტკიცებლად თავისი კაცის დასმა ჭირდებოდათ. „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, ითხოვეს რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა... მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მისცა მეფედ დისწული მირდატისა, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“¹⁰². აი, სწორედ ამ დროს იქნებოდა საჭირო მძველი და ამასთან, გუარამ კურაპალატის ოჯახიდან. სავესებით შესაძლებელია, სწორედ კირონს დაკისრებოდა ამ მძიმე და საპატიო როლის შესრულება. ვვარაუდობთ: კირონი ქართლის წარჩინებულთა იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელსაც ჯუნაშერი და სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონებს უწოდებენ¹⁰³.

ამრიგად, როგორც წარმოშობით, ისე მიღებული თეოლოგიური განათლებითა და ენების ცოდნით, კირონი სავესებით შესაფერისი კანდიდატურაა კიროს ალექსანდრიელთან (ფაზისელთან) გასაიგივებლად.

¹⁰⁰ ქართლის ცხოვრება, გვ. 217.

¹⁰¹ ქართლში კათალიკოსობის მემკვიდრეობითი ხასიათისათვის არა ერთ სპეციალისტს მიუქცევია უარაღება. განსაკუთრებით საინტერესო დავიერება აქვს კ. კეკელიძეს, რომელიც პარალელს ატარებს სომხეთში IV—V სს-ში შექმნილ ვითარებასთან. აქაც ორ სახლს (გრიგოლისა და ალბიანესი) ეპყრა საკათალიკოსო ტახტი. იხ. ეტიუდები, IV, გვ. 341—342; Н. А. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 352—353.

¹⁰² ქართლის ცხოვრება, გვ. 217—218.

¹⁰³ მკითხველი ნუ გავიგვებს ისე, თითქოს კირონს ბაგრატიონად ვთვლიდეთ. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ კირონი, შესაძლოა, ეკუთვნოდა ქართლის ერისმთავრების კლარჯულ-ჯავახურ საგვარეულოს. იყენენ თუ არა ქართლის ერისმთავრები ბაგრატიონები, ცალკე საკითხია.

მოსე ელივარდელის წერილში კირონისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი მომენტი. როგორც ჩანს, კერძონესუფეტი დვინში პრეტენზია ჰქონია ქართლის კათალიკოსის ტახტზე. კერძონესუფეტი დვინში გადმოსახლება, გამონოფიზიტება და სომხეთის კათალიკოსისათვის ერთგული სამსახურის გაწევა ასეთი აღზევების გზადაც მიაჩნდა! ქართლის ეკლესია მაშინ მონოფიზიტური იყო და კათალიკოსის ტახტის დასაკავებლად გზა მხოლოდ ასეთი ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, მოსე კათალიკოსს სცოდნია კირონის სურვილი ქართლის კათალიკოსის ტახტზე ასვლისა. იგი წერს: „ჩვენც, დანდობილებმა შენს ცხოვრებაზე და სიყვარულზე, აღვასრულეთ შენი ნება და მაგ ქვეყნის წინამძღვარად დაგაყენეთ“¹⁰⁹.

არაფერია გასაკვირი, რომ კირონს, ამ მეტისმეტად თავის თავში დაჯერებულ და ძლიერ პიროვნებას, ფართო პოლიტიკური აზროვნების და განათლების მქონე მოღვაწეს, ადრევე დაესახა მიზნად აღზევება. მან კარგად იცოდა თავისი ფასი და აკი, ეს უაღრესად მოქნილი დიპლომატი და საჭიროების დროს თავმდაბალი კაცი, წარბმუთხრელად სწერდა შემდეგში აბრაამ სომეხთა კათალიკოსს: „ჩემით უფალმა ჩვენმა ღმერთმა ჩვენი ეკლესია კიდევ უფრო განაბრწყინვა, ჩვენი სარწმუნოება უფრო განამტკიცა, მეფეთა-მეფის დიდებათაგან მეც განმადიდა და წარმატებულ მყო უფრო მეტად, ვიდრე ჩემი მამები და მით უფრო, ვიდრე ყოველი ჩემი ამხანაგი“¹¹⁰. გასაგებია, რომ ასეთი მოღვაწეობისათვის აირარატის გავარის ქორეპისკოპოსობა შესაფერი სამოღვაწეო ასპარეზი არ იქნებოდა. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ ასეთ პიროვნებას ალექსანდრიის პატრიარქის ტახტზე დავინახავთ.

VIII

მონოთელიტიზმი და კირონ ქართლის კათალიკოსი

კიროს ფაზისელი სერგი კონსტანტინეპოლელთან და თეოდორე ფარანელთან ერთად მონოთელიტთა ერთ-ერთ ერესიარხად ითვლება¹¹¹. VI მსოფლიო კრებაზე წაკითხული ეპისტოლეებიდან (სერგი

თვალშისაცემ წინააღმდეგობას. თავის კომენტარებში ხომ წერს იგი, რომ ყრმობისას კირონი ქალკედონიანი იყო.

¹⁰⁹ ეპისტოლეთა წიგნი, დამატება, გვ. 128.

¹¹⁰ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 90.

¹¹¹ მონოთელიტიზმისა და მისი ერესიარხების შესახებ იხ. შემდეგი ძირითადი ლიტერატურა: В. В. Болотов, Лекции по истории христианской церкви, IV;

კონსტანტინეპოლელს, ჰონორიუსს, კიროს ფაზისელ-ალექსანდრიელსა და სოფრონ პალესტინელს შორის) ჩანს, რომ იდეა ქრისტეს ერთი ენერგიისა და ნების შესახებ ჰერაკლე კეისარს ეკუთვნის, ხოლო მისი ცხოვრებაში გატარება და დოგმატურ ფორმულად ქცევა კიროს ალექსანდრიელის (ყოფილი ფაზისელის) საქმეა. კიროსი იყო ერთადერთი პოპულარული, რომელმაც ამ ფორმულას არ უღალატა უკიდურესად დაძაბულ მომენტშიც კი, როცა ჰერაკლე კეისარი და სერგი კონსტანტინეპოლელი უკან იხევდნენ და ბუნდოვანი გამოთქმებით სურდათ შეენელებინათ სოფრონ პალესტინელის მომხრეთა შემოტევა. მონოთელიტების საქმიანობა მთელი ათი წლის მანძილზე (631—641 წწ.) კიროს ალექსანდრიელის მეთაურობით, იმის მანიშნებელია, რომ შემთხვევით არ გადაწყდა ერთი ენერგიისა და ნების საკითხი ფაზისში. დღის წესრიგში იდგა სომეხთა საკითხი და, უეჭველია, ჰერაკლეს დოგმატიკით ასე დაინტერესებაში კიროს ფაზისელის ხელი ერია. სწორედ ამიტომ იყო, რომ სომეხეთში სარწმუნოებრივი საქმეების წარმატებით გადაჭრის შემდეგ ჰერაკლე კეისარმა უნიონალური პოლიტიკის ხორცშესახსმელად კიროსი მონოფიზიტთა ცენტრში, ალექსანდრიაში, გადაისროლა.

რასი მდგომარეობდა მონოთელიტობის ან მონენერგეიზმის არსი? მონოფიზიტები აღიარებდნენ, რომ ქრისტეში ღვთაებრივი ბუნება სუბსტანციაა, ორი ბუნების შესახებ მხოლოდ ხორცშესხმამდე შეიძლება ვილაპარაკოთ. განკაცების შემდეგ ღვთაებრივი შთანთქავს კაცებრივ ბუნებას იმდენად, რომ ამ უკანასკნელს მხოლოდ პრედიკატის ნიშნები რჩება. ქრისტეს ადამიანური ქმედება მხოლოდ მისი ღვთაებრივი ნების გამოვლენაა.

დიოფიზიტები ცდილობენ ქრისტეში ორი ბუნება — ღვთაებრივი და კაცებრივი — თანაბრად და ორივე სუბსტანციურად წარმოიდგინონ. თვითიუღ ბუნებას თავისი ნება და ენერგია შეესაბამება. ქრისტე ეწამა როგორც ადამიანი და ამაღლდა როგორც ღვთაება.

მონოთელიტები შეეცადნენ ამათ მორიგებას. ბუნების საკითხებში ისინი კვლავ დიოფიზიტებად დარჩნენ, მაგრამ ქრისტეს ნებისა და ენერგიის შესახებ წარმოდგენა მონოფიზიტებისგან აიღეს. მივიღეთ ფო-

А. П. Лебедев, Вселенские соборы VI, VII и VIII веков, СПб, 1904; А. Гарпак, История догматов, Общая история европейской культуры, VI, отд. II; Робертсон Дж. С., История христианской церкви, т. I, СПб, 1890; Hefele, Konziliengeschichte, III, 1877; G. Owssepian, Die Entstehungsgeschichte des Monothelismus, Leipzig, 1897. V. Grumel, Recherches sur l'histoire du monothélisme, Echos d'Orient, 27 (1928), 28 (1929), 29 (1930); M. Cozens A Handbook of Heresies, London, 1945; Hayward F., Les conciles oecuménique, Paris, 1961.

რმულა: ქრისტეში თანაბრად მოცემულია ორი ბუნება — ღვთაებრივი და ადამიანური, ხოლო ნება და მოქმედება მისი ერთია — ღვთაებრივი
ადამიანური
ვი.

მონოთელიტების დოგმატური ფორმულის მიზანია უნია დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის, ბიზანტიის იმპერიისათვის აღმოსავლეთის პროვინციების შემომტკიცება იდეოლოგიურად.

სად და როგორ შეიძლებოდა დაბადებულიყო უნიონალური პოლიტიკის გატარების ასეთი იდეა? ადრეც ხომ იყო უნიის ცდები მაგრამ დოგმატური ფორმულის შემუშავება ვერ შეძლეს; რატომ მოხდა, რომ მონოთელიტური ეკთეზისები მონოფიზიტებმა საკუთარ გამარჯვებად ჩათვალეს?


მონოთელიტებს ოთხი ლიდერი ჰყავდათ: სერგი კონსტანტინეპოლელი — წარმოშობით სირიელი, აღზრდით მონოფიზიტი იაკობიტე; თეოდორე ფარანელი — ფარანის მონოფიზიტი ეპისკოპოსი; ჰერაკლე კეისარი — სიჭაბუკე გაატარა სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში, სადაც მამა მისი სარდლობდა ბერძენთა ლაშქარს. ამიტომ წყაროები მას სომხური წარმოშობისად თვლიან. სწორედ ეს გარემოება მიაჩნია ბოლოტოვს ჰერაკლე კეისრის უნიონალური განწყობილებისა და მონოფიზიტური მიდრეკილების ამხსნელად. დარჩა ერთი კიროს ფაზისელი, რომლის ნაციონალიზმა და ფაზისელობამდე მრწამსი დღემდე გაურკვეველია. ამიტომ არის, რომ ზოგი მკვლევარი ნესტორიანს უწოდებს, ზოგი მონოფიზიტს და ზოგი ქალკედონიანს. ერთი რამ აშკარაა: ჰერაკლე კეისართან თათბირის დროს იგი ქალკედონიანი დიოფიზიტია. ისიც აშკარაა, რომ იგი მეტად სწრაფად დაეთანხმა ერთი ენერგიის იდეას (შესაძლოა მისივე კარნახით ნათქვამს), რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ მისთვის მონოფიზიტური განწყობილება უცხო არ უნდა ყოფილიყო. მონოთელიტთა ყველა ლიდერს ახალგაზრდობა მონოფიზიტურ (სირიულ-სომხურ) წრეში გაუტარებია. მხოლოდ კიროსია, რომ ფაზისის ეპისკოპოსად ვიცნობთ, ხოლო ლაზიკაში მონოფიზიტობის კვალის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს. კ ი რ ო ს ფ ა ზ ი ს ე ლ ი ს მ ო ნ ო თ ე ლ ი ტ ო ბ ა ს ი ს ე ვ ე რ ა ვ ხ ს ნ ი თ, კ ვ ლ ა ვ კ ი რ ო ნ ქ ა რ თ ლ ი ს კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს თ უ ა რ მ ი ვ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ი თ.

მონოთელიტობის ისტორია მოკლედ ასეთია. 622 წელს ჰერაკლე კეისარი შეხვდა სომხეთში კვიპროსელი მონოფიზიტების (სევერიანები) ლიდერს პავლეს და კამათი ჰქონდა მასთან დოგმატიკის საკითხებზე. პაექრობის დროს თავი იჩინა ქრისტეს „ერთი მაცხოვრებელი მოქმედების“ (*μία ζωοποιὸς ἐνέργεια*) საკითხმა. ჩანს, ჰერაკლე კეისარი მაშინვე მიხვდა, რომ წააწყდა ისეთ იდეას, რომელიც შეიძლებოდა ამოსავალი გამხდარიყო მონოფიზიტების შესაერთებლად. მაგრამ ასეთი იდეის დოგმატურ ფორმულად ქცევა შეიძლებოდა მხოლოდ დიოფიზიტი უმაღლესი სამღვდელთა მხარდაჭერითა და ცდით. რამდენიმე ხნის შემდეგ



(ლიტერატურაში ჩვეულებრივ 626 წელს ასახელებენ) ჰერაკლე კეისარი ფაზისში შეხვდა ლაზიკის მიტროპოლიტს კიროსს და აღნიშნული იდეა მასაც გააცნო. კიროსი ფაზისელი ფრთხილი და გამოცდილი დიპლომატი აღმოჩნდა. მან კეისარს დაპირი პასუხი არ მისცა და უფლება დაიტოვა დაკავშირებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს სერგის, რომელთანაც ადრევე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. დამყარებული (კიროსისა და სერგის ურთიერთობა ცხადად გვიჩვენებს, რომ კიროსი არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც მონოფიზიტი და არც ნესტორიანი). სერგი კონსტანტინეპოლელი მზად აღმოჩნდა ასეთი საკითხისათვის. მან მხარი დაუჭირა ერთი ენერგიის იდეას და კიროსს ფაზისელს ოფიციალურ საყრდენად მინა (მენა) კონსტანტინეპოლის ეპისტოლეც გაუგზავნა, სადაც მოტანილი იყო მოწმობები წმინდა მამების თხზულებებიდან ქრისტეს ერთი მოქმედებისა და ერთი ნების შესახებ. მას შემდეგ, რაც იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული მოღვაწეების პოზიცია შეიტყო და მათგან ოფიციალური მხარდაპერაც მიიღო, კიროს ფაზისელი გახდა მონოთეოლოზმისა და მონენერგეიზმის ყველაზე უფრო თავგამოდებული გამტარებელი და დამცველი. მონოფიზიტებთან უნია მისი სასიცოცხლო პროგრამა გახდა. ჰერაკლე კეისარმა ქართლი დაიბრუნა. 630 წელს მიიღწია უნიას სომეხთა კათალიკოს ეზრასთან. ჩანს ამ საქმეებში იმდენად დიდი იყო კიროს ფაზისელის დამსახურება, რომ ჰერაკლე კეისარმა იგი ალექსანდრიის პატრიარქად და ეგვიპტის განმგებლად გადაიყვანა. პირველ ხანებში კიროსმა დიდი ენერგიით მოჰკიდა ხელი უნიის საქმეს. იგი არ ერიდებოდა ყველაზე უფრო მკაცრ საშუალებებსაც მონოფიზიტების დასაყოლებლად და გაითქვა სახელი, როგორც ფიცხმა, უღმობელმა ადამიანმა. 633 წელს კიროს ალექსანდრიელმა გამოაქვეყნა 9 თავისაგან (*κεφάλαια*) შემდგარი მოძღვრება წმინდა სამებისა და განხორციელების შესახებ. მეცხრე თავში ჩამოყალიბებული იყო ფორმულა ქრისტეს „ღმერთკაცური მოქმედების“ შესახებ. ამავე წელს ეგვიპტელმა თეოდოსიანებმა მიიღეს კიროს ალექსანდრიელის მოძღვრება, ეზიარნენ მას და შეუერთდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას. ეგვიპტელმა მონოფიზიტებმა მონოენერგეისტ მოღვაწეთათვის სრულიად მოულოდნელად უნია თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. ასევე უყურებდნენ ამ საკითხს მემარცხენე ქალკედონიანები. მონოენერგეიზმის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა იოანე მოსხის მეგობარი და მოწაფე სოფრონ პალესტინელი. 634 წელს სოფრონი იერუსალემის პატრიარქი გახდა და კიდევ უფრო აქტიურად იწყო მოქმედება კიროს ალექსანდრიელის წინააღმდეგ. რომის პაპმა ჰონორიუსმა და სერგი კონსტანტინეპოლელმა ამ ბრძოლაში მხარი კიროსს დაუჭირეს. სოფრონ პალესტინელის მომხრეთა რიგები გაიზარდა. ჰერაკლე კეისარი და სერგი კონსტანტინეპოლელი შეფიქრიანდნენ და 638 წელს გამოსცეს ცნობილი „სარწმუნოების გარდამოცემა“ (*Ἐκθέσις τῆς πίστεως*). აიკრძალა კამათი ქრისტეს ერთი ან ორი მოქმედების შესახებ. წინა პლანზე წამოიწია ერთი ნების (*ἓν θέλημα*) საკითხმა. 642 წელს უკვე აღარ იყო ცოცხალი მონოთელიტური მოძღვრების შემოქმედთა და მათ მოწინააღმდეგეთა პირველი თაობა: ჰერაკლე კეისარი, რომის პაპი ჰონორიუსი, სერგი კონსტანტინეპოლელი, კიროს ფაზისელი და სოფრონ პალესტინელი. ბრძოლა გაჩაღდა ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის (პიროს კონსტანტინეპოლელი და მაქსიმე აღმსარებელი). 680—681 წლებში VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონოთელიტობა წვალებად გამოცხადდა და მისი ერესიარხები დაიწყველნენ. ყველა მონოთელიტური განწყობილების თხზულება დაწვეს.

კირონ მცხეთელს სომეხი საეკლესიო მოღვაწენი ნესტორიანობას სწამებენ, მაგრამ ნესტორიანობაში ისინი, ჩვეულებრივ, ზოგადად



ლიოფიზიტობას გულისხმობენ. ძირითადი ბრალდება კირონის მიმართ ნესტორიანების შეწყნარების გარდა არის ქალკედონის ეპისკოპოსის ლეონის ტომარის მიღება. მაგრამ ამათი ცნობა ჯერ კიდევ არაა დადასტურებული. თანმიმდევრულ ქალკედონიანობას. მონოთელიტები ერთსადაც აღიარებდნენ და მეორესაც, მაგრამ მაინც ერეტიკოსების რიცხვში მოხვდნენ.

ვნახოთ, როგორ წარმოუდგენიათ კირონის მრწამსი მონოფიზიტ მოღვაწეებს. მოსე ცურტავის ეპისკოპოსი პირველსავე წერილში ვრთანეს ქერდოლისადმი, ცდილობს გაერკვეს ქართველთა მრწამსის საკითხში, მაგრამ, ჩანს, მის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს:

„ეხლა-ღა მიგხვდის, რომ ქართველთ მხოლოდ მწვანით შემოსილი ფოთლები ჰქონიათ და აქეთ კი უნაყოფო რტონი მსგავსად ხშირ-ფოთლოვანი ლედვისა, რომელზედაც უფალმა ფურცელს გარდა ვერ იბოვა ნაყოფი. ასევე ესენიც კაცთა მოსაწონისად ცდილობდნენ მთელი მსახურება სრულად და სავსედ წარმოედგინათ. ხოლო როცა შევიტყუეთ ქალკედონის კრების ურიული განსაზღვრების განდიდება და გინება ღმრთის ძის მიმართ, აღარც მწვანე ფოთლები აღმოაჩნდათ მაშინ“¹¹².


ღამაფიქრებელია, რომ მოსემ ვერაფერი შეატყუო ქართველთა აღსარებას, სანამ ქალკედონის კრების განდიდება არ შეიტყო. მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართველებს „მწვანით შემოსილი ფოთლები“ ჰქონიათ და მათი ორბუნებიანობა ასე იოლად არ მოჩანდა. „კაცთა მოსაწონისად მსახურებაც სრულად და სავსედ ჰქონდათ წარმოდგენილიო“ — უმატებს მოსე. ეტყობა არც საწესო რიტუალის აღსრულებაში შეიძლებოდა ქართველთა ორბუნებიანობის დანახვა. შეიძლებოდა მოსეს ასეთი რელიგიური სიბეცე გაგვეკვირვებოდა და ამით დავკმაყოფილებულიყავით, მაგრამ ჰეშმარიტება ისევ კირონის მრწამსში უნდა ვეძიოთ: იგი, როგორც ჩანს, იმდენად თავისებური იყო, რომ ქრისტეს ბუნებისა და ნების მიმართ მისი პოზიცია ერესების ნიუანსებში დიდად გაწვრთნილი პირისთვის თუ იქნებოდა ნათელი.

საინტერესოა, რომ სომეხთათვის მთლად ნათელი არ ყოფილა, უკვე გაჩაღებულ კამათში რა მრწამსს აღიარებდნენ ქართველები. სმბატ მარზპანი სწერს კირონს:

„გვსურდა ეპისკოპოსები ქერდოლებითურთ გამოგვეგზავნა, რომ შეეტყუათ მწვალებელთა მოძღვრება და უკეთურება, რათა თქვენთვის შეეგნებინებინათ“¹¹³.

¹¹² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 2.

¹¹³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 75—76.



როგორც ვხედავთ, მათ ჯერ კიდევ არ იციან ზუსტად, რა სხვის „მოძღვრება და მწვალებელთა უკეთურება“ შეიჭრა ქართლში. მაშასადამე, სომეხ მოღვაწეთა თვალში იგი განსხვავდება სხვა მანაქანე ცნობილ წვალებათაგან და გამოძიება სჭირდება.

ერთადერთი, რაც ნათელი გახდა სომხეთის ეკლესიის მეთაურთათვის ისაა, რომ კირონი აღიარებს ქალკედონის კრებას და ლეონის ტომარს (საგულისხმოა, რომ ამის შეტყობამდე კირონის მრწამსს მონოფიზიტურად თვლიდნენ). უხტანესის დროს ეპვი არ ყოფილა, რომ კირონი ქალკედონიანი გახდა:

„ასე მეუღლე იყო კირონი ქალკედონის ურწმუნო კრებისა, ჰქონდა რა დაფარული თავის თავში მათი სარწმუნოება, აღრევე შეფერილი ორბუნებიანთა ფერით“¹¹⁴.


საინტერესოა, თუ როგორ უყურებს თვითონ კირონი თავის სარწმუნოებას. იგი არსად არ ცდილობს დაუმტკიცოს მონოფიზიტებს ქალკედონიანობის უპირატესობა და საერთოდ სარწმუნოების საკითხებზე ვრცელ მსჯელობას ერიდება. კირონი უარყოფს მონოფიზიტების ძირითად ბრალდებას, რომ მან შემოიტანა სარწმუნოებაში „ახალნერგობა და ახალმორწმუნეობა“ და, ისე როგორც ყველა ქრისტიანული სექტის წარმომადგენელს, თავისი სარწმუნოების აღსარება მოციქულთაგან გადმოცემულად მიიჩნია. იგი საყვედურით სწერს აბრაამს:

„თქვენ ისე გვწერთ ჩვენ, როგორც ახალნერგსა და ახალმორწმუნეს და ისე არ გვწერთ, როგორც შეჰფერის პატრიარქსა და მარად მართმადიდებელს: რადგან დღეს, ღმრთის მოწყალებით, მთელ ქვეყანაზე უფრო მოწინავე ვართ და მართმადიდებელიო“¹¹⁵.

რას ნიშნავს „ახალნერგი და ახალმორწმუნე“? ხომ არ არის ეს რაიმე ახალი წვალება „ორბუნებიანთა ფერით შეფერილი“, როგორც სომხები აღნიშნავენ? ან რას გულისხმობს კირონი, როდესაც ამბობს: „მთელ ქვეყანაზე უფრო მოწინავე ვართ და მართმადიდებელიო“? საესებით შესაძლებელია კირონს მხედველობაში ჰქონდა რაიმე ახალი დოგმატური ფორმულა, რაც ყველა მანამდე არსებული ფორმულიდან განსხვავებული იქნებოდა და კირონს ათქმევინებდა: „ყველაზე მართმადიდებელი ვარო“. იქნებ ამასვე გულისხმობდა კირონი, როცა აბრაამ კათალიკოსს მეორე წერილზე პასუხს აძლევდა: „ჩემსობას

¹¹⁴ ს. აყნაყუ ქაჩიყ ქსაი სიციონის ანწალოთიქსანს ქიდიქინ ჭაღკედი-ნის იწხიქიქ ქ ბაბილქ ქინქს ჩინქსან ჩალონიქსამქ ცნალოთი სიგა, ქაღი-ქსანს ნქსქსაი ქ ციქს ნქსაქწაწაქსაქს: ი. ს. ა. ნ. ს. ა. II, გვ. 5.

¹¹⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 100—101.



ჩვენმა უფალმა ღმერთმა ჩვენი ეკლესია უფრო გააბრწყინვა და ჩვენი სარწმუნოება უფრო განამტკიცა¹¹⁶.

საყურადღებოა, რომ სომხეთის ეკლესიის მეთაურები პოზიციას რელიგიის დარგში „ახალსახიობას“ უძახიან¹¹⁷. ამ დროს ნესტორიანობას და ქალკედონიანობას უკვე ორი საუკუნის ისტორია აქვს და გასაგებია მათი „ახალსახიობად“ ჩათვლა აღარ შეიძლება. უხტანესი ცდილობს დაახასიათოს კირონის მრწამსი:

„ჩვენი მართმადიდებლობის სავსე და უნაკლო სარწმუნოება, რომელიც წრფელი გარდამოცემით გადმოგვცეს ჩვენ წმინდა მამებმა, მან (კირონმა — ზ. ა.) სხვაგვარად უქადაგა მათ, სხვანაირად ასწავლა უცხო აზრით გინება, რომელიც მიემართება ღმრთის ძეს. გამოუყოფელი ერთიანობით განხორციელებულ ღმერთ-სიტყვაში განპყორა, შემოიტანა წყევლა, იქამდის, სანამ საერთოდ ყველა არ შეიღებნენ ორბუნებიანობის ფერით: ეპისკოპოსები, მღვდლები, მთავრები, მხედართმთავრები და მხედრობა“¹¹⁸.

უხტანესი ხაზს უსვამს, რომ კირონმა სომხური ძველი გარდამოცემა სხვაგვარად იქადაგა, სხვანაირად ასწავლა და ქრისტეს ერთიანობა იქამდე განყო, რომ ორბუნებიანობის ფერით შეიღებნენო. ვფიქრობთ, აქედან ამჟამაა, რომ კირონს რაღაც ახლის ქადაგება, რაც მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის იქნებოდა, უცდია — მონოფიზიტობა დიოფიზიტობის ფერით შეუღებავს. მოსე ცურტაველს კირონის დოგმატური პოზიცია იქნებ ვერც კი გამოეცნო ბოლომდე, მას რომ ნესტორიანებთან და ქალკედონიანებთან ზიარება არ დაეწყო. სწორედ ეს მიზანი ამოქმედებდა კირონს, ცდილობდა მონოფიზიტების, ქალკედონიანებისა და ნესტორიანების გაერთიანებას ქართლში. ჩვენ არ ვიციტ, შემუშავებული ჰქონდა თუ არა კირონს რაიმე მტკიცე დოგმატური ფორმულა ამ დროისთვის დასახული მიზნის განსახორცი-

116 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 90.

117 როგორც ჩანს, ყველა ახალ წვალებას ძველ ქართულ მწერლობაში „ახალსახიობა“ („ახალსახიობა“) ეწოდებოდა. ამას ცხდაპყოფს არსენი საფარელის ტრაქტატებიდან ერთი ადგილი: „ვითარ ყოველთა კრებათა იპოვის ვინმე თითოა წინააღმდეგობა საქმიოთა საეშაყოფათა და აზმნის ახალსახიობითა აღუარალი წვალებისა“ (ქრონიკები, I, გვ. 214). ამით არსენის იმის თქმა უნდა, რომ ყოველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ახალი წვალების საკითხი ჰქონდა გასარჩევი.

118 ჭანდჩ ნა ექს ხ დანხერქ ნააათ იოგაქააიოქსან ძხეი, ვი იოქიუ ელანოქსამქ აღანეხექს ძხე სოქე ჩაქქს ძხე, ნა კაქაეხეკა ქარეაყსონაე ნიეა, ხ აქაეე ქან ისოქე თარ ქაქრეიქი, დნაქიოქსან, ირ ქიქქსნ სათაიბი, ხ ძარქსნაეხაქ ჩან სათოლბ ანქაძანხექ ქაქაროქსამქ, ნა ქაძანხეიქ ხ ნექეა ქხექე დნაქიოქსან, ძხეეეე ამსნეხან აინასარაქ ნექეხეგან ხ ვიქს ნიქა სექარნაქიოქსან, ხაქსაქაიოქ, ხ ქანანაქ, ხექსან, ვიქსან: მ. ს. თ. ნ. ჯ., II, გვ. 38.



იღებლად. ის კი ცხადია, რომ ყველა გზას ასეთი ფორმულის შექმნის აუცილებლობისაკენ მიჰყავდა.

„ეპისტოლეთა წიგნი“ დაცულია კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ტერესო ცნობა, რომელმაც შეიძლება ჩაგვაფიქროს. ვრთანეს ქერდოლისა და მოსე ცურტაველის წერილებიდან ჩანს, რომ ვრთანესისათვის ქართლის აზნაურთა ერთ ნაწილს გამოუგზავნია ეპისტოლე. ამ ეპისტოლეს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ვრთანესის წერილიდან მისი შინაარსის შესახებ ზოგ რამეს ვგებულობთ: „ზოგიერთებმა აზნაურთაგან რომ მომწერეს, ისეთია, როგორც რაღაც სნეულებაში ბოღვით ჩავარდნილებისა, რომელთაც არ იციან, რას ლაპარაკობენ. ამბობენ: ჩვენ ეს სარწმუნეობაც გვაქვს და ეგეცო; სჯულს აქაც ვეზიარებით და მანდაცო“¹¹⁹. მაშასადამე, ქრისტიანები, რომლებიც ქალკედონის კრებას აღიარებენ, უთვლიან მონოფიზიტებს: ჩვენ თქვენ აღსარებასაც ვცნობთ და ჩვენსაცო. სავსებით გასაგებია ვაოცება ვრთანესისა, როცა ქალკედონიტები დიოფიზიტობას აღიარებენ და მონოფიზიტობაზეც ხელს არ იღებენ. ვანა ცხადი არ არის, რომ კირონ ქართლის კათალიკოსის საეკლესიო პოლიტიკა ამ ორი ქრისტიანული მიმდინარეობის გაერთიანებას ითვალისწინებდა და ამისთვის საყრდენს ეძებდა?

კირონის მრწამსის ამოსახსნელი ვასალები, ბუნებრივია, მის მესამე პასუხში ვგეძებნა, სადაც სარწმუნოების აღსარებაა გადმოცემული, თუმცა ფრთხილი კირონი მხოლოდ ოთხი საეკლესიო კრების სიმბოლოს გადმოსცემს და აცხადებს: ესაა ჩვენი მრწამსიო. მაგრამ აქ ერთი ვარემოება იპყრობს ჩვენს ყურადღებას. თავის მესამე წერილში, როდესაც ქალკედონის კრების განსაზღვრებას ამხილებს, აბრაამი სპეციალურად ჩერდება ქრისტეს ნების საკითხზე. ჩვენ ვიცით, რომ ქრისტეს ერთი ნებისა თუ ორი ნების საკითხი VII საუკუნის პირველ ნახევარში წამოიჭრა ძლიერად და მთელი მსოფლიო საქრისტიანო აზრი მოიცვა. მანამდე ეს საკითხი არ იდგა მწვავედ. ეხლა, როცა აბრაამმა ორი ნების კრიტიკა დაიწყო კირონისადმი წერილში, ჩანს, რაღაც მოტივები ჰქონდა ამისთვის.

„ლეონის აღფხვრილი ტომარისაგან ქრისტე ღმრთის შესახებ ასე ითხრობა: ვგამცნობს ორთავე ბუნების სახეს მოყვასის შეუღლებით. ერთით საღმრთოს რომ აკეთებს, რაც ღმერთს შემვენის, ხოლო მეორით — კაცობრივს, რაც კაცისთვის შესაფერია და სხვა მრავალს ასეთს. ეხლა, ეს რომელი მოციქულისგან გაიგეს, ან რომელმა ჰემ-მარტიმა მოძღვარმა აუწყათ?“¹²⁰.

¹¹⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 45.

¹²⁰ იქვე, გვ. 96.



სომხეთი, უკვე მონოფიზიტური კამათის დასაწყისში ამ უკანასკნელი-სადმი სიმპათიებს ამჟღავნებს და აკაკიოს მელიტენელი უკიდურესული კირილევანელად გვევლინება. რასაკვირველია, ნესტორიანებიც მათსავე მხარეში იყვნენ. მათ იქნებოდნენ აქ ფეხმოკიდებულნი. ამიტომ, ძნელი სათქმელია, რა წრეში მოექცეოდა კირონი ახალგაზრდობისას. ის კია, რომ მონოფიზიტთაგან ამ მხარეში უფრო სევეროს ანტიოქელის მიმდევარი ჩანან, რომლის მოძღვრებაც, ყველა მონოფიზიტურ ერესთან შედარებით, უფრო ახლოა ქალკედონიანობასთან. ვასაგებია, რომ ამ წრეებში უნდა ყოფილიყო უნიონისტური განწყობილებები. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბოლოტოვი ბიზანტიის კეისართა უნიონალური სწრაფვის ახსნას (ზენონის ჰენოტიკონი, პერაკლეს მონოთელიტობა) ამ მხარეებიდან მათ წარმოშობაში ხედავს. ამ მხრივ, მართლაც განსაკუთრებით საყურადღებოა პერაკლე კეისრის აღზრდა და მისი პოზიცია სარწმუნოების საკითხში: „В указанном происхождении Ираклия может быть и лежит ключ к разгадке его уникальной миссии“¹²². პერაკლე კეისარი გაიზარდა სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში, სადაც მის მამას მმართველის პოსტი ეკავა. სწორედ აქ, თავშესაყარში ქრისტიანული სექტებისა, შეიძლებოდა დაბადებულიყო ის უნიონალური განწყობილება, რომელმაც VII საუკუნის 30-იან წლებში მონოთელიზმისა და მონენერგეიზმის სახით იჩინა თავი. აქ გაატარა ყრმობის თხუთმეტი წელი კირონმაც, ის წლები, რომელთაც არ შეიძლებოდა მის შემდგომ აზროვნებაზე კვალი არ დაემჩნიათ. კირონი გადადის სომხეთის სპარსულ ნაწილში და დვინში (სომხური საეკლესიო ცხოვრების ცენტრში) სამღვდლო ხარისხს აღწევს, უახლოვდება თვით მოსე კათალიკოსს. რა მოხდა კირონის ცხოვრებაში? რამ აიძულა დაეტოვებინა ბიზანტიური ნაწილი? არაფერი ვიცით. ერთი რამ კი ცხადია: მის სარწმუნოების აღსარებაში რაღაც ცვლილება უნდა მომხდარიყო.

საინტერესოა ეხლა ის არის, თუ რა იდეოლოგიური განწყობილება დახვდა კირონს დვინის წრეებში. კარგა ხანია, სპეციალისტები ვერ შეთანხმებულან VI—VII სს. სომხური მრწამსის საკითხში. საქმეს ის ართულებს, რომ თითოეული სპეციალისტი, რომელიც ამ საკითხის შესწავლას ჰკიდებდა ხელს, თვითონ იყო რომელიმე ქრისტიანული მიმდინარეობის წარმომადგენელი და ცდილობდა თავისი პოზიციიდან შეეხედა საქმის ვითარებისთვის, რაც ობიექტური სურათის წარმოდგენას აძნელებს. ჰარნაკის შეხედულებით, სომხურმა ეკლესიამ „შეინარჩუნა კირილეს და კირილემდელი ხანის გაურკვეველი დებულებ-

ბი¹²³, ამ მხრივ ახლოს დგას სევერიანობასთან. დაახლოებით ასეთსავე პოზიციას იკავებს კ. ტერ-მკრტიჩიანი *Կնիք հասարոյ*-ს წინასწარმოებულ და უარყოფს კირილევანული განწყობილების ყოველგვარ განვითარებას უკიდურესი მონოფიზიტობისაკენ. მისი აზრით, სომხებს მონოფიზიტები არც კი უნდა ეწოდოთ, რადგან წმინდა სახის ალექსანდრიული სკოლის მიმდევრები არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში მონოფიზიტად უნდა ჩაითვალოს თვით კირილე ალექსანდრიელიც¹²⁴. პირველად ამ პოზიციის გაკრიტიკება სცადა ე. ტერ-მინასიანმა. მას ამ საკითხში ხელი შეუწყო „ეპისტოლეთა წიგნის“ გამოქვეყნებამ. ტერ-მინასიანი ცდილობს აჩვენოს, რომ სომხურმა ეკლესიამ კი მიიღო სრული სახით კირილე ალექსანდრიელის მოძღვრება, მაგრამ მასთან ერთად გაიარა განვითარების ყველა ის საფეხური, რაც მონოფიზიტობამ და ქრისტეს სხეულის ხრწნადობის საკითხში ივლიანე ჰალიკარნასელის მიმდევარი გახდა¹²⁵. მართლაც შეუძლებელია შეედავო ე. ტერ-მინასიანს. „ეპისტოლეთა წიგნის“ არა ერთი ადგილიდან ჩანს, რომ სომხური ეკლესია VI—VII სს. მიჯნაზე მწვალებლების რიგში ასახელებს სევეროსს და ქრისტეს სხეულის უხრწნადობას აღიარებს. მაგრამ რეზონს მოკლებული არაა კ. ტერ-მკრტიჩიანის შენიშვნაც, რომლის მიხედვით „სომხური ეკლესია გაემიჯნა სევერიანულ მოძღვრებას არა ჰალიკარნასელის ან ფილოქსენის მიმდევრობის გამო, არამედ იმიტომ, რომ საწინააღმდეგო იყო კირილურ-ეფესუსური მრწამსის საფუძვლის შემქმნელი ხსნის იდეისა“¹²⁶. არც ის გარემოებაა მხედველობიდან გასაშვები, რომ სომხები ამავე ხანაში წყევლიან მონოფიზიტების ყველა ერესიარხს და მათ შორის თვით ევტიქესაც. ისიც საგულისხმოა, რომ VII საუკუნის დასარულსა და VIII საუკუნის დასაწყისში, როცა სომხები სირიელ იაკობიტებს უახლოვდებიან, მწვალებელთა სიაში ივლიანე ჰალიკარნასელიც შეაქვთ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ყველა სპეციალისტს აქვს გარკვეული საფუძველი თავისი პოზიცია დაიცვას (იმათაც კი, რომელთაც სომხები იაკობიტურ-სევერიანული მოძღვრების მიმდევრებად მიაჩნიათ — ვ. ბოლოტოვი, ი. ტროიციკი). სომხური სარწმუნოების აღსარება VI—VII სს. მიჯნაზე ქრისტეს სხეულის შეფასების საკითხში აშკარად ივლიანიტურია, მაგრამ საერთოდ მისი რომელიმე ერთი სექტის მიმდევრად გამოცხადება ძნელდება. ერთი რამ კი ცხადია, დვინში კირონს მოუხდებოდა ქალკედონის კრების დაგმობა და ქრისტეს ხორცის უხრწნადობის აღიარება.

¹²³ Гарнак А., История догматов, Общая история европейской культуры, т. VI, гл. 353.

¹²⁴ Կնիք հասարոյ, გვ. LXXXIII.

¹²⁵ ს. Տէր-Մինասիանց, Հայոց եկեղեցու..., გვ. 88.

¹²⁶ Կնիք հասարոյ, გვ. LXXXV.



რება. მრწამსის დანარჩენ საკითხში მას შესაძლებლობა ჰქონდა სვედრიანულ-იაკობიტური ორჭოფული პოზიცია დაეკავებინა. კირონის მრწამსის მოქნილობაზე და მისი აშკარად რომელიმე სექტისადმი უმორჩილებლობაზე ისიც ლაპარაკობს, რომ მოსე კათალიკოსს ეცხვება არ შეპარვია მის მიერ სომხური აღსარების ცნობაში. ასე ხუთ წელზე მეტ ხანს „ინახავდა“ კირონი თავს სომხურ ეკლესიაში. ქალკედონიანობა მეტად ახლოს არის იაკობიტობასთან. კირონს დაჭირდებოდა განსხვავებაზე გაჩუმებულიყო ან ყური წაეყრებინა, მრწამსი ბუნდოვნად გამოეთქვა და მისი განწყობილების გამოცნობა მეტად ძნელი იქნებოდა. გასაგებია, რომ მისი შეხედულებები დოგმატიკის საკითხებში საკმაოდ თავისუფალი და ტევადი იქნებოდა. კირონისათვის ადვილი ყოფილა სხვადასხვა ეკლესიის მოთხოვნებს შეგუებოდა. აი, ასეთი მოღვაწე მოდის ქართლში და სწრაფად აღიარებს თუ უბრუნდება ქალკედონის კრებას და ლეონის ტომარს. უკვე აქ უნდა დაბადებულიყო ცდა რაღაც საერთოს გამონახვისა ამ ორ აღსარებას შორის. ასეთ ვითარებაში, სავსებით შესაძლებელია, კირონმა გამოიმუშავა ახალი რელიგიური პლატფორმა, რომელზე დაყრდნობითაც შეძლებდა სხვადასხვა აღსარების მქონე ეკლესიების გაერთიანებას. ზემოთ ჩვენ მიერ მოტანილი ნაწყვეტი აბრაამის წერილიდან, სადაც წამოჭრილია ქრისტეში ენერგიების საკითხი, და მის შესახებ კირონის საექვო დუმილი, შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ ეს პლატფორმა მონოთელიზმისა და მონენერგეიზმის ნიშნებს შეიცავდა. იქნებ ამიტომაც უკიყინებდნენ სომხური ეკლესიის მესვეურები არა მარტო ნესტორიანებთან და ქალკედონიანებთან ზიარებას, არამედ „ახალსახიობას“, „ახალნერგობას“ და „ახალმორწმუნეობას“. რასაკვირველია, ასეთი დოგმატური ფორმულა ჯერ არ იქნებოდა ჩამოყალიბებული, მაგრამ შესაძლოა ჩვენ მის გენეზისთან გვაქვს საქმე.

1. ურთიერთობა ნესტორიანებთან

კირონის მოქმედება ქართლში სრულიადაც არ გავს ჩვეულებრივი ტოლერანტული განწყობილების მქონე მოღვაწის საქმიანობას. იგი სხვადასხვა აღსარების მხოლოდ შემწყნარებლობის გზას კი არ აღვას, არამედ მათ დაახლოებას და გაერთიანებას ცდილობს, რასაც ცხადად ვვიჩვენებს მისი ურთიერთობა როგორც ნესტორიანებთან, ისე მონოთელიზმებთან.

რომის პაპის გრიგოლ დიდის მიერ კირონ ქართლის კათალიკოსისთვის გამოგზავნილი ეპისტოლედან ჩანს, რომ ქართლში მრავლად ყოფილან ნესტორიანები და კირონს ისინი შეუწყნარებია. ქართლში

მომრავლებული ნესტორიანების მიმართ სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამდეს, კირონი რჩევას ჰკითხავს თავისი დროის განთქმულ საეკლესიო მოღვაწეს გრიგოლ დიდს (ასევე მოიქცა კიროს ფაქტობრივად კაქეთისა და ქრისტეს ნებისა და მოქმედების შესახებ სერგი კონსტანტინეპოლელს დაეკითხა). ზუსტად რომ ვთქვათ, კირონს გადაწყვეტილი აქვს მათი შეწყნარება, მაგრამ დასტური უნდა; თანაც არ იცის, ნესტორიანთაგან ქალკედონის სარწმუნეობის აღსარების მიღება იქნება საკმარისი, თუ ნათლის-ღებაც გახდება საჭირო. პაპი პასუხობს: „ვინც ნესტორის შეცთომილებისგან მოიქცევიან, თქვენი წმიდა კრებულის წინაშე აღიარონ მისი ქვეშაობილი შობა და შეაჩვენონ ნესტორი, მისი მიმდევარნი და სხვა დანარჩენი მწვალებლები. ეგრეთვე შემოგბირდნენ, რომ პატივს სცემენ და შეიწყნარებენ იმ ყველა კრებათა, რომელსაც მსოფლიო ეკლესია აღიარებს. შემდგომ თვინიერ რამ სიძნელოსა, მიიღეთ ესრეთი პირნი თქვენს საზოგადოებაში და დატოვეთ იმ წესსა ანუ ხარისხში, რომელშიც არიან. განაბნიეთ მათი შეცთომილებანი და ასწავლეთ ყველაფერი, რაც კი საჭიროა; სიტკბოებით მოეპყარით. ნურავითარ სიძნელეს აღმოუჩინეთ მათი ხარისხის შესახებ, რათა იგინი თავიანთი მტრის ხელიდან დაიხსნათ“¹²⁷.

კირონმა თავისებურად გაიგო გრიგოლ პირველის რჩევა და ნესტორიანთა სამწყსოს ნესტორიანივე ეპისკოპოსი უჩინა. ამითი მან გვერდი აუარა თავის მოძღვარს მოსე ელივარდელს და მისი საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება იწყო. მოსესა და კირონს შორის ურთიერთობა მაშინ შეირყა, როცა მოსემ მცხეთის კათალიკოსის საქმიანობა შეიტყო. იგი წერს კირონს: „ერთი ხუციკი კაცი ნესტორიანი მოვიდა შენთან და შენგან მიიღო ეპისკოპოსად ხელდასხმა. ფრიად განვცვიფრდი, რადგან ასეთი არათუ პატივისცემის ღირსი იყო, არამედ განპატიუებისა და მორწმუნეთა შეკრებულებაში შეუწყნარებლობისა“¹²⁸. თავის კომენტარებში უხტანესი ამ საკითხის შესახებ უფრო ვრცლად წერს და დეტალების უკეთ ცოდნას ამჟღავნებს, ვიდრე ჩვენ „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ვიცით: „ხელი დაასხა ეპისკოპოსად ერთ ხუციკ ნესტორიანს, რომელსაც სახელად კისი ეწოდებოდა, რაც სისასტიკეს ნიშნავს, რადგანაც მკაცრი იყო და სისასტიკით მიმართა უფლის მხარეს და სიფიცხითა და მძვინვარებით განარისხა უფალი. იგი მასთან მივიდა რომაელთა ქვეყნიდან, კოლონიის გავარიდან, იმ სამყოფელი სოფლიდან, ნიკოპოლისის მახლობლად, რომელსაც ზუტარიმა ეწოდება ორივე გაილ მდინარის ნაპირზე მდებარეობს... ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ თანაგავარეღნი და გინდაც თანასოფლელნი, არამედ თანამ-

127 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 24.

128 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 124.



წვალეებელნიცა და ბოროტი სწავლის ბოროტ მოძღვართაგან ერთად მოსწავლენიც იყვნენ. ხელი დაასხა მას უცხოთა ზედამხედველად მწვალებელთა ეპისკოპოსად და შეერთხმავდნენ... ასე მოზიარე იყო კირონი ქალკედონის ურწმუნო კრებისა, ჰქონდა რა დაფარული თავისთავად მათი სარწმუნოება, აღრევე შეფერილი ორბუნებიანთა ფერით, თუმცადა ხუყიკისაგან კვლავ განაახლა. ხოლო, როგორც ვთქვით, ხელი დაასხა იმ ხუყიკ ეპისკოპოსს მოსე სომეხთა კათალიკოსისაგან ფარულად¹²⁹.

არ ვიცით, რა ცნობით სარგებლობდა უხტანესი. ის კი ცხადია, რომ კირონისა და კის ეპისკოპოსის დაახლოების სათავეები მას სომხეთის ბიზანტიურ ნაწილში ეგულება. უხტანესს, სრულიად სამართლიანად, არსად არ ავიწყდება ის წრე, სადაც აღიზარდა და განათლება მიიღო კირონმა. ჩვენთვის ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ მისი მარჯვენა ხელი ამ საქმეში ის უნდა გამხდარიყო, ვისაც მსგავსივე აღზრდა ჰქონდა მიღებული. მაშასადამე, ან უხტანესს სანდო ცნობები აქვს ხელთ, ან კიდევ სამაგალითოა მისი დაკვირვების უნარი.

არსაიდან ჩანს, თუ რომელი საეპისკოპოსო ჩააბარა კირონმა კისს. ის კი საფიქრებელია, რომ ამ სამწყსოში ნესტორიანებს ისეთი უპირატესობისთვის მიუღწევიათ, რომ მათთვის თავისი მწყემსის განწესება საჭირო გამხდარა. სომხეთის ეკლესიის მესვეურებს მთელი კამათის მანძილზე არ ავიწყდებათ კირონისაგან ნესტორიანი ეპისკოპოსის ხარისხზე აყვანა და ყოველ წერილში უკეიფებენ: „წინათ თქვენს პატროსნებას მოსწერა ნეტარმა მამამთავარმა მოსემ არაეპისკოპოსი ხუყიკის სიცრუის შესახებ, რომ არ იყოსო ჩვენს ორ ქვეყანას შორის ახალსახიობა სარწმუნოებისა“¹³⁰. „წინათ ჩვენმა ნეტარმა მამამთავარმა მოსემ მისწერა მაგ ქვეყანას, რომ განემორთეთ ხუყიკ არაეპისკო-

¹²⁹ მხონაოერქ ნაქსიკიყაი მქ ხოძიქ ნსთორასკან. ირიან ანონს ჰყა ღი-ჯიქ, ირ ღ ქსთორასკან: ჴანდჳს ღ ღრ ჰსქ ჰსქთ, ღ ქსთორასკამქ ქარესჳა ჰ თხონასიოქიმ ღიქა, ღ ჰ ვამაროქსკან ვასამამქ რარქავიქე ვსქრ: შა ნქსალ აო ნა კაქსარქსკან ჴიოიმიგ' ჰ ვასარქსკან ჴიოქინსკაქ' რნსკიქრსკამქ ჰ ვსეღქს' ირ ღიქი ჴიოთარქსკამქ, მსრბ ჰ ნქსიკიოქსკა, ღ ნს ნქსიქრსკან ქსქრ ჴაქქ ვსთიქ... ჴარბმან იქ მქსკან ვასარასქიქ მქმანსკან ქსალ ღამქ ვსეღსქიქ, აქს აოღანსკიქე ღ იასონსკიქე ჴარ იასონსკან ჰ ჴარ ქარქავსთოთე. ღ მხონაოერქ ვსა თოთარასთოქ' აქსქსკან აოღანსკიქ ნაქსიკიყაი. ღ მქარასკანსკან რნე იქმ მქმანსკან... ნს აქსკანქ იძასქიქ ქსალ ჴქრინქი ანწასთორასკან მთიქიქინ ჴარქსკიქინქ' ისნს-ქოქ ჰ ბადიქ ქსქსქს ქსქსკან წასონსკიქრსკამქ ვწასათო სიგა, ქარქრსკან ნსქსკალ ჰ ვიქს ნქსარქსკანსკან, რსკალთ ღ [ჰ] ხოძიქსკან იარბსკალ ნორიქიმან სქს: შრქ მხონაოერქ ვსოძიქსკან ვიქს ნაქსიკიყაი' ირქსა ასავსარქ' ვანსქსკარქ ისნსკოქ ჰ შოქსკან ჰ ჴარქიქ ჴარქიქსკან: ისქსთასსკან, II, ვვ. 5.

¹³⁰ ეპისტოლეთა წიგნი, ვვ. 40.

ბოსის სიცრუესო. უფრო მეტად გვმართებს უსჯულო ქალკედონის კრების გინებათაგან გაქცევა, რადგან ურიობის თანასწორების მოტანილი ციტატებიდან აშკარად ჩანს, რომ სომეხი მოღვაწეები კირონს ნესტორიანობას არ სწამებენ. ისინი ხედავენ, რომ კირონი ნესტორიანი არ გამხდარა, მაგრამ გრძნობენ, რომ მას ნესტორიანებთან რაღაც კავშირის შექცერის ინტერესი ამოძრავებს, ცდილობს ნესტორიანობა დაუახლოვოს ქალკედონიანობას. ამ გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს აბრაამ სომეხთა კათალიკოსიც თავის ენციკლიკაში: „იმავე ცრუსახელამ (კირონმა—ზ. ა.), ორმაზდ მეფის ძის ხოსროს დროს, შეიწყნარა ნესტორიანული მოძღვრების ვილაც ეპისკოპოსი და იმავე მაგინებელ მოძღვრებას თვითონ მიეცა, წინ ჰქონდა რა ქალკედონის სენი“¹³².

როგორც ჩანს, მოსე სომეხთა კათალიკოსს ცნობა მხოლოდ ერთი ნესტორიანი ეპისკოპოსის შესახებ მისვლია. ამიტომ მიუთითებს კირონს: „ნუღარ მისცემ სამკვიდრებელ ადგილს იმ ხუჟიკს მორწმუნეთა შორის. ამცნე დიდი მუქარით, რომ არავინ გაბედოს მისი მიღება თავის ჭერქვეშ და სრულიად არ მოიკითხონ იგი, არ მისცენ დასამკვიდრებელი ადგილი შენ სამფლობელოში და აგრეთვე არასოდეს არ მოიკითხონ შენმა მორწმუნეებმა“¹³³. კირონი ასეთ პასუხს აძლევს მოსეს: კანონიერად მივიჩნიე, რომ არ დამებრკოლებინა მოსელისას ყველა ისინი, რომლებიც მოდიან სინანულით და მონანიებით. ხოლო, როცა შევიტყვეთ მისი ბოროტება, კვლავ განვიშორეთ ჩვენგან და ავუკრძალეთ ხალხს მისი მოკითხვა... ხოლო ხუჟიკის შესახებ რომ დაგიმტკიცებიათ ბრძანება წერილით და სიტყვით, როგორც ზემოთ მოგწერეთ, ადრევე განვიშორეთ იგი ჩვენგან და ვუბრძანეთ ჩვენებს, რომ არ შეიწყნარონ იგი“¹³⁴.

ამრიგად, მოსე კათალიკოსსა და კირონს შორის მიმოწერაში სადავოა მხოლოდ ერთი ნესტორიანი ეპისკოპოსის საკითხი, მაგრამ ჩანს, რომ მის უკან სხვა ნესტორიანებიც დგანან. ამიტომ უხდება კირონს თქვას: „კანონიერად მივიჩნიე, არ დამებრკოლებინა ყველა ისინი, რომლებიც მოდიან სინანულით“—ო. ამასთანავე კირონი ხაზს უსვამს, რომ ნესტორიანები მოსეს წერილის მიღებამდე განკვეთა. შესაძლოა, ეს უკანასკნელი მომენტი კირონის დიპლომატიური ნაბიჯი იყოს: იგი ემორჩილება თავის მოძღვარს, მაგრამ არა იმიტომ,

131 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 38—39.

132 იქვე, გვ. 121.

133 ეპისტოლეთა წიგნი, დამატება, გვ. 125.

134 იქვე, გვ. 130—131.



რომ ის მასზე უპირატესია და ჯერ არს მისი ბრძანების შესრულება. არამედ იმიტომ, რომ მოსე მართალია. იქნებ სწორედ ამიტომ უნდა ხაზს „აღრევე განვიშორეთო“. ყოველ შემთხვევაში მეტად დამაბნელებელია კირონის პასუხი აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი: „სანამ კურთხეული მოსე ცოცხალი იყო, მომწერა, რომ არ შეიძლება ზიარება სუჟიკებთანო და ვიცოდი, რომ მართალია. მისი ბრძანებისამებრ განვიშორეთ ისინი ჩვენგან“¹³⁵.

კირონის პასუხებიდან ვხედავთ, რომ იგი ნესტორიანების საკითხში სწორედ ისე მოქცეულა, როგორც გრიგოლ დიდმა მიუთითა: დაკმაყოფილებულა მხოლოდ აღსარების მიღებით და ხელმეორედ მონათვლა აღარ მიუჩნევია საჭიროდ. როგორც ზემოთ დავინახეთ, წათი საეპისკოპოსო ხარისხამდე აღზევებაც არ დაუბრკოლებია და პირიქით, ხელიც შეუწყვია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კირონი სომეხებთან პაექრობაში არსად არ ამხელს რომის პაპის წერილს, თუმცა იგი უკვე მიღებული აქვს. მას არ სურს ურთიერთობა გაამწვავოს სომეხ მონოფიზიტებთან და აშკარად აღიაროს თავისი ქალკედონიანობა (ასეთი ნაბიჯი კირონმა მხოლოდ უკანასკნელი წერილით გადადგა). ცხადია, რომ საქმე ეხება ყველგან ნესტორიანებს და არა საერთოდ დიოფიზიტებს. როგორც არ უნდა აიგივებდნენ მონოფიზიტები ამ ორ ქრისტიანულ მიმდინარეობას, თვითონ კირონმა ხომ კარგად იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნესტორიანთა საკითხი კირონს ერთპიროვნულად და მხოლოდ სამღვდელოებაზე დაყრდნობით არ გადაუწყვეტია. მას მოუწევია დიდი კრება („მაშინ ეიზრახეთ ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსებით და წარჩინებულებით ქვეყანასთან ერთად“¹³⁶) და მხოლოდ სამოქალაქო ხელისუფლების თანადგომით გადაუდგამს ნაბიჯი. ცხადია, კირონს ნესტორიანებთან დამოკიდებულების საკითხი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონედ მიუჩნევია და სიფრთხილით მოჰკიდებია. ეტყობა, კირონს უკვე შედგენილი აქვს ფართო რელიგიურ-პოლიტიკური პროგრამა და ქვეყნის ძლიერებისათვის იდეოლოგიური ერთობის მნიშვნელობა კარგად ესმის. ჩანს, პირველ ხანებში კირონის ვარაუდი მთლად არ გამართლდა: ნესტორიანების ერთი ნაწილის შენარჩუნება მან ვერ შესძლო და ირწმუნება, ასეთები განვდევნე ქართლის ეკლესიიდანო. უხტანესი თავის კომენტარებში ბევრგან უკიყინებს კირონს, რომ მას ნესტორიანებთან კავშირი არ გაუწყვეტია და „სუჟიკი ეპისკოპოსი დამალული იყო ვითარცა გველის წიწილი

135 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 88.

136 იქვე, გვ. 69.



საქართველოს
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

კლდის ხერხელებსა და ნაპრალებში¹³⁷“. უხტანესის ბრალდება უსაფუძვლო არ უნდა იყოს. კამათის მეორე ეტაპზე, მოსე ცუხუციძის ქართლიდან გაქცევის შემდეგ, კვლავ წამოიჭრა ნესტორიანი ეპისკოპოსის საკითხი. სომეხ მოღვაწეებს მიაჩნიათ, რომ კირონის მიერ ცურტავის საეპისკოპოსო საყდარზე მოსეს მაგიერ დასმული პირი ნესტორიანია, რასაც არსად არ უარყოფს კირონი: „არაეპისკოპოსი ნესტორიანი რომ დასვეს, ქართული მწიგნობრობაც არ იცის რიგინად, არამც თუ სომხური, ისიც ცხადია“¹³⁸.

ამრიგად, მოსე სომეხთა კათალიკოსის დროს წამოჭრილი კამათი ხუჭიკი ეპისკოპოსის გამო განხეთქილებით არ დასრულდა. მოსე საესეპობით დააკმაყოფილა კირონის პასუხმა. მას კირონის მონოფიზიტობაში ეჭვი არ შეპარვია და მხოლოდ მწვალებლებთან ზიარებას უკიუინებდა. ეს ამბავი კარგად იცის აბრაამ სომეხთა კათალიკოსმაც და წერს კირონს: „ნეტარმა მოსემ, რომელსაც ჩემამდე მოციქულებრივი საყდარი ეკავა, არ მოგწერათ იმნიარად, რომ თქვენ არა ხართ მართლმადიდებელი, არამედ არამართლმადიდებლებს რადე ზიარეთო“¹³⁹. ამასვე იმეორებს თვითონ კირონიც, როცა თავს იცავს აბრაამის ბრალდებისაგან: „ერთ დროს იგი (მოსე — ზ. ა.) გულნაკლული იყო ჩემზე ნესტორიანთა შეწყყნარებისთვის, მაგრამ სხვა არაფერი მოუწერია სარწმუნოების შესახებ, რომ არა ხართ მართლმორწმუნე“¹⁴⁰.

ამრიგად, როგორც მაშინ სომეხი საეკლესიო მოღვაწეებისათვის, ისე დღეს ჩვენთვისაც, ვფიქრობთ, ნათელია, რომ კირონი თვითონ არ გამხდარა ნესტორიანი და არც თავისი სამწყსოს განესტორიანება უცდია, მაგრამ ნესტორიანების დაახლოება კი ჰქონდა ფიქრად. ქართლში უკვე დაწყებულ იყო მნიშვნელოვანი რელიგიური რეფორმა, რასაც ქვეყნის ერთ იდეოლოგიაზე გადაყვანა და ამით შინაპოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება ჰქონდა მიზნად დასახული. ნესტორიანებთან შეთანხმება ამის გამომვლენა იყო.

¹³⁷ *Թագուցեսայ Էր իբրև գկիրայն իմի ի ծակս և ի ձերպս պիմաց: Ու խոստաց 11, 15.*

¹³⁸ ეპისტოლეთა· წიგნი, გვ. 82.

¹³⁹ იქვე, გვ. 100.

¹⁴⁰ იქვე გვ. 101.

2. ურთიერთობა მონოფიზიტებთან

მოსე ცურტავის ეპისკოპოსი


უხტანესის ცნობით, მოსე ცურტაველმა საეპისკოპოსო ტახტზე ასვლის მეორე წელს შეიტყო, რომ კირონმა კავშირი დაამყარა ნესტორიანებთან და კისი ეპისკოპოსად დასვა. მოსე „აღნთო სული წმინდის ცეცხლით, წინააღმდეგა კირონს ერთხელ, ორჯერ და სამჯერ ცალკე და მოწმეთა წინაშე“¹⁴¹. უხტანესის აზრით, კირონი ეჭვობდა, რომ მოსე ცურტაველმა ყოველივე ეს მოსე სომეხთა კათალიკოსს (ელივარდელს) შეატყობინა. მოსე ელივარდელი რომ გარდაიცვალა, კირონმა დრო უპოვა ცურტაველს, მოითათბირა ქართლის წარჩინებულებთან და მისი დასჯა გადაწყვიტა. „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები და უხტანესის მონათხრობი ერთმანეთისაგან განსხვავდება. წერილებში არსად არა გვაქვს პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ მოსეს კირონის შესმენა ბრალად ედებოდეს. არც ის დასტურდება, რომ მოსე ცურტაველმა კირონი „ცალკეც ამხილა და მოწმებთან ერთადაც“. კირონი და მოსე ერთმანეთს შორის განხეთქილების სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. მოსე არწმუნებს ვრთანეს ქერდოლს, რომ იგი „მტერი შეიქმნა კათალიკოსად წოდებულის და იმ ქვეყნის ყველა მთავრისა“, იღვენა კიდევ კირონის მიერ ქალკედონიანობის აღიარების მხილების გამო. კირონი კატეგორულად უარყოფს ამ ვერსიას და წერს: „ცურტავის ეპისკოპოსის შესახებ მისი საქმენი გვაძეწობენ წრფელი სარწმუნოებისათვის არის წასული, თუ სხვა რამ საქმეთა გამო... მე ის არ მიღვენია. არამედ იყო რაღაც, რაც შევიტყე მისი უღირსი საქმეების შესახებ და ვუხმობდი ჩემთან, მინდოდა და მერიგებინა და მესწავლებინა, როგორც ჯერ-არს მოწათვისათვის. ზოლო იგი ჩემს მოწოდებაზე არ მოვიდა, არამედ ეკლესია მიატოვა და ღამე ფარულად წავიდა“¹⁴².

მოსე ცურტაველი ამ მომენტს სულ სხვაგვარად აღუწერს სმბატ ბაგრატიუნის: „ღვენის დროს ცხრა დღე თბილისში მის კარზე ვიდექი და არ მიმიღო. მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ სხვა რამ საქმეთათვის არ იყო, თუ არა სარწმუნოების გამო. ცხრა დღის შემდეგ თვითონ მცხეთას წავიდა, მე კი აქეთ დღისით წამოვედი და არა ღამით, როგორც მათ მოგწერეს“¹⁴³. ძნელია გარკვევა საქმის ნამდვილ ვითარებაში. ის კი ცხადია, რომ, თუ უხტანესის ცნობებს თავს დავანებებთ

¹⁴¹ ქარხეგა, ნიპო ჰაფიკი აჟიკი, ს კანიკიანსკი გიქიკინი ძიანდიან ს სერქიგა, ს სერქიგა ათანანჩინ ს ათაუჯი ქიკაქი: მ. ს. ხოთანიკა, II, გვ. 38—39.

¹⁴² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 70—71.

¹⁴³ იქვე, გვ. 81.



(როგორ გააგდეს სიონიდან კირონის მსახურებმა, როგორ ტეს წარჩინებულებმა მისი მოკვლა და სხვა), „ეპისტოლეთა წიგნი“¹⁴⁴ თვით მოსეს წერილებშიც კი არაფერია ნათქვამი დევნის შესახებ. ის გარემოება, რომ კირონმა მოსე ცხრა დღის განმავლობაში არ მიიღო, რასაკვირველია, დევნაზე არ მიუთითებს. პირიქით, კირონს ხომ შეეილო მიეღო და შერე დაესაჯა, როგორც სურდა. უთანხმოების ძირითადი მიზეზი კი მაინც სარწმუნეობის შესახებ დავა უნდა ყოფილიყო. კირონი თვითონ აღიარებს, რომ მოსემ მის მართლმადიდებლობაში შეიტანა ეჭვი: „მაგ მოსეს, ვიდრე ცურტავის ეპისკოპოსად დავადგენდით, უნდა ეთქვა: მე თქვენგან არ ვიკურთხვი, რადგან მართლმორწმუნე არა ხართო. როცა იკურთხა ჩვენგან, ესლა რაღასაჭიროა გამომძიება? ნუთუ ამის შემდეგ ვიცვალეთ სარწმუნეობა?“¹⁴⁴

როგორც ვხედავთ, კირონი ცდილობს დაარწმუნოს აბრაამ სომეხთა კათალიკოსი, რომ მის მრწამსში ცვლილება არ მომხდარა. აბრაამი თავის მხრივ უმტკიცებს კირონს, რომ მოსემ მისი მონოფიზიტობიდან გადადგომა მხოლოდ ხელდასხმის შემდეგ შეიტყო: „ცურტავის ეპისკოპოსის შესახებ რომ მოგაწერიათ, როცა არ იცოდა ჩვენი მართლმადიდებლობა, არ უნდა კურთხეულიყო ჩვენგანო, ფიცით დაამტკიცა ეგ ადგილი, რომ არ ვიცოდით, მაგრამ ხელდასხმის შემდეგ შევიტყეთო, რაც ჩვენც ძლიერ სარწმუნოდ გვეჩვენა“¹⁴⁵.

მოსე ცურტაველი სმბატ მარზპანს არწმუნებს, რომ თბილისიდან პირდაპირ სომხეთისაკენ გაეშურა და შვიდ დღეში ჰოვანავანქს ჩავიდა¹⁴⁶. უხტანესი განსხვავებულ ცნობას გვაწვდის და რადგან მისი შეთხზვის საჭიროება არ ჩანს, შესაძლოა, მართალიც იყოს. მისი მტკიცებით, მოსე ჯერ ცურტავში (თავის საწყსოში) დაბრუნებულა, ხოლო აქედან უკვე სომხეთის გზას გასდგომია¹⁴⁷.

ჩვენ ბევრგან აღვნიშნეთ, რომ კირონი ცდილობდა მონოფიზიტებთან მორიგებას. იგი მოსეს დარიგებასა და შეგონებასაც კი ლამობდა. მაშ რა მოხდა? რატომ მიმართა ასეთ რადიკალურ ნაბიჯ-ფრთხილმა პოლიტიკოსმა? საქმე ის არის, რომ მოსე ეპისკოპოსი სრულიად გარკვევით მონოფიზიტური ეკლესიის აგენტის როლს ასრულებს მეზობელ ქვეყანაში. სომხეთის ეკლესიის მესვეურები არა ერთგვის აღნიშნავენ, რომ ცურტავის ეკლესია და მოსე ეპისკოპოსი ჩვენ ორ ქვეყანას შორის შუამავალიაო. თუ რას ნიშნავს ეს „შუამავლობა“ კარგად ჩანს თვითონ მოსეს წერილიდან აბრაამ

¹⁴⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 88—89.

¹⁴⁵ იქვე, გვ. 99.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 81.

¹⁴⁷ მ. ს. მ. ს. II, თავი VIII.



სომეხთა კათალიკოსისადმი: „თუ მე მომეცემა მადლი უფლისგან, რომ ვიქადაგო ქართლიდან ალბანთა ქვეყნამდე, უკვლეველი სიდიადე ქრისტეს დიდებისა და ესოდენი ხელნაწი, შეგძინო თქვენ და შევწირო ქრისტეს“¹⁴⁸. როგორ შეეძლო სომხურ ეკლესიას, მხარი არ დაეჭირა ასეთი მოღვაწისათვის, ან როგორ შეეძლო ქართულ ეკლესიას არ შებრძოლებოდა მას. მოვლენების განვითარება კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს, რომ მოსე ეპისკოპოსი რთულ ინტრიგას ეწეოდა და მრწამსის საკითხი მისთვის გადამწყვეტი არ იყო. კირონი აცნობებს სმბატ მარზპანს: „გულს ერთი დიდა [რამ] მაკლია, [რომ] ერწმუნებით სიტყვებს კაცისა, რომელსაც თავისი თავის არ სჯეროდა, არა თუ ჩვენი. რომელიც თავისი ბოროტ საქმის გამო ფარულად ღამე გაიქცა და წავიდა. გაემართა განდგომილებაში ვაპრამთან და ისეთი უკეთურებით აცნობა, რომ ცოტადა აკლდა, კინაღამ ეს ქალაქი ააღებინა და არიელთა ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა“¹⁴⁹.

მოსე ეპისკოპოსი ცდილობს უარყოს ვაპრამთან კავშირი, მაგრამ ერთადერთი რის უარყოფასაც ახერხებს, ესაა მისი პირადად ხილვა. მიმოწერა ვაპრამთან მას ნამდვილად ჰქონია: „მე დღისით წამოვედი აქეთ და არა ღამით, როგორც მათ მოგწერეს და შვიდ დღეში წმინდა იოანეს მონასტერში მივედი, ვაპრამთან არ წავსულვარ. ამითაც გარწმუნებ, უფალო, რომ ვაპრამმა მომწერა გულს დიდად გვაკლია თქვენი წმინდა ეკლესიისგან განშორებითო, მაგრამ სანამ წახვიდოდეთ, გზა ჩვენსკენ უნდა გქონდეთ, რადგან ეკლესიის დიდი ნაწილი აქ არის, რომელიც უნდა თავის თავზე აგელოთო. ეს წერილი უფალი კათალიკოსისათვის მიჩვენებია და შენც, უფალო, გაჩვენებ. მე უკვე პასუხი გავეც და ეხლაც ვამბობ: მაშ იქიდან რად წამოვედი, თუ თქვენთან მოვიდოდი, რადგან თქვენი და მათი სარწმუნოება ერთია“¹⁵⁰.

პართალია, „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით ვაპრამის მრწამსისა და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ნათელი არ არის, მაგრამ ჩვენ თვით ასეთი ბუნდოვანი ვითარებაც შემთხვევითი არ გვგონია: მოსე ქალკედონიტს უწოდებს კირონს; მიდის (თუ წერილს სწერს) ვაპრამთან და განაწყობს კირონის წინააღმდეგ ისე, რომ იგი ქართლს დიდ ზიანს მიაყენებს; არ რჩება (თუ არ მიდის) ვაპრამთან, რადგან მასაც კირონის მსგავსად ქალკედონიტად მიიჩნევს; კირონი შესჩივის მონოფიზიტ მოღვაწეს ქალკედონიტის მიერ „არიელთათვის“ ზიანის მიყენების გამო. როგორ ახერხებს ასეთი დახლართული ქსელის გაბმას მოსე ცურტაველი, ან რატომ რჩება ეს საკითხები დღემდე:

148 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 64.
 149 იქვე, გვ. 78.
 150 იქვე, გვ. 81.



ასეთი ბუნდოვანი? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის მრწამსის დანერგვაც იწყო კირონმა, რაღაც მომენტიტ განსწავლული ორთოდოქსალური ქალკედონიტობისგან და მონოფიზიტობისკენ იხრებოდა? ამ კითხვაზე პასუხი იქნებოდა სწორედ ის, რასაც აქამდე ვეძებთ.

მას შემდეგ, რაც მოსეს კავშირი ვაპრამთან ჩაიშალა და ეს კავშირი სმბატის წინაშე გამომჟღავნდა, მოსემ სასწრაფოდ იცვალა სამოქმედო გეგმა (უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ თავიდანვე ორ ფრონტზე მოქმედებდა). მოსე ცურტაველმა ქართლზე სალაშქროდ სმბატ მარზხანის შეგულიანება იწყო. არ ვიცით, ის წერილი, სადაც მოსე სმბატს ქართლზე გალაშქრებას ურჩევს, დაიკარგა, თუ სწორედ ჩვენთვის საინტერესო ადგილია ამოღებული. თვით სმბატის პასუხიდან კი ჩანს, რომ ამ მხრივ მოსეს ცდა არ დაუკლია. სმბატი უარს ამბობს ქართლთან შებრძოლებაზე, მოსეს ბედს ღმერთს ანდობს და თუ ესეც არ უშველის, მხოლოდ ამის შემდეგ იქადის ხორციელ სასჯელს¹⁵¹.

ამრიგად, მოსე ეპისკოპოსი ახერხებს, რომ ქართლის ეკლესიის გადადგომა მონოფიზიტობიდან სომხეთის (უკეთ, სპარსეთის) პოლიტიკური წრეების ზრუნვის საგანი გახადოს. სმბატ მარზხანი ჰპირდება მოსეს, რომ შეატყობინებს ყოველივეს სპარსეთის მეფეს: „შენ აღრეც გითხარი, რომ მიეწერ-მეთქი მეფეთა-მეფეს, რათა სახიერებით ბრძა-

151 სმბატ ბაგრატიუნის ბიოგრაფიის შესწავლისათვის საყურადღებოა კირონ ქართლის კათალიკოსის სიტყვები. იგი მიმართავს სმბატს: „ხოლო თქვენ მას (მოსე ცურტაველს — ზ. ა.) ერწმუნეთ, მისი სიტყვით დაიშალეთ ჩემთან მოსვლა და თავყანისცემა მცხეთის პატიოსნისა და ცხოველყოფელი ჯვრისთვის, რომლის თხოვნით მიენიჭე შენს მამასა და დედას, მის წინაშე აღიზარდე და სიკეთეს ეწიე. თუმცაღა თქვენ არ მოხვედით თავყანისსაცემად, მაგრამ ჩვენ მუდამ ლოცვებში გიხსენიებთ ამ წმინდა ჯვრის წინაშე. ჩვენმა უფალმა იესუ ქრისტემ წმინდა ღმრთისმშობლისა და პატიოსანი ჯვრის მეოხებით შენი სურვილის მისაღწევად და უმეტესი სიკეთის შესასრულებლად უკვდავ-ჰყოს მეფეთა-მეფე და უფრო მიაღწიოს ნებას. და შენ, უფალო, მათი მადლობით დიდხანს გაცოცხლოს შენი შვილით და მივაწიოს სურვილთ — მოხვიდეთ უახლოეს დღეებში და თავყანისცეთ წმინდა ჯვარს“ (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 79). კირონის სიტყვებიდან რამდენიმე მომენტი სავსებით ნათელია: 1. სმბატი აღზრდილია (იქნებ დაბადებულიც) ქართლში. 2. მას წესად ჰქონია მცხეთის მოლოცვა და ქართლის კათალიკოსი ქამის წირვისას მას იხსენიებდა. 3. ქართლის კათალიკოსი ზრუნავს არა მხოლოდ სმბატის, არამედ მისი ჩამომავლობისთვისაც. გავიხსენოთ ახლა ერთი ადგილი სმბატის წერილიდან მოსესათვის: „შენ ამბობ, მე ატრნერსეს და ვაჰანის ძმების რა ვარ, რომ არ ავიღო მხვეილი და ყოველ ქართლს შევერკინო“ (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 83). ამ ბუნდოვანი წინადადებიდან სხვა თუ არაფერი, ის მაინც კარგად ჩანს, რომ სმბატი ქართლის ერისმთავრებთან რაღაცენაირად დაკავშირებულად გრძნობდა თავს და მათ წინააღმდეგ საომარი მოქმედებისაგან რამდენადაც შეეძლო თავს იკავებდა.



ნოს, რომ წახვიდე შენს ეკლესიაში, დაჯდე და შენი სარწმუნოებით იპყრა შენი ხალხი“¹⁵².

პოვანავანქში ჩასულმა მოსემ მაშინვე გაუგზავნა ეპისტოლეები ვრთანეს ქერდოლსა და თავის სამწყსოს ცურტავში. მალე სომხეთის საკათალიკოსო საყდარზე აირჩიეს აბრაამი, რომელიც დაუყოვნებლივ ჩაება კირონთან პაექრობაში.

ცურტავის სომხურენოვანი სამწყსო

რა პოზიციას იკავებს ქართული ეკლესია ცურტავის მონოფიზიტური სამწყსოსა და მისი მწყემსის მოსესადმი? როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, კირონს მოსე არ განუდევნია. იგი მან მხოლოდ არ მიიღო და თავის კარზე თბილისში ცხრა დღეს ალოდინა. კირონი ირწმუნება, მისი განდევნა კი არ მინდოდა, არამედ სწავლება, როგორც მოსწავლეს მოძღვრისაგან შეპყვრისო. იმის შემდეგაც, როცა უკვე მოსემ სრულიად გაიტეხა სახელი ქართლის მესვეურთა წინაშე (ამხედრა ვრთანეს ქერდოლი და ვაპრაამი), წარჩინებულები მაინც თანახმა არიან დაბრუნდეს იგი თავის საყდარზე გარკვეული პირობის დაცვით: „მოსე, თუ სურს, მოვიდეს, ჩვენს კათალიკოსს დაემორჩილოს, რადგან ჩვენ ეს გვეამება და თავისი ადგილი დაიკავოს“¹⁵³.

რას ნიშნავს დამორჩილება? თუ ეს ქალკედონიანობის აღიარებას გულისხმობს, რატომ არსად არ არის აღნიშნული, ან მაშინ მოსეს უბრალოდ შეცვლა უფრო მარტივი ღონე არ იქნებოდა? როგორც ჩანს, კირონი თავიდანვე რაღაც შეთანხმებას ეძიებდა მონოფიზიტებთან. ჩვენი ვარაუდი რომ მართალი უნდა იყოს, ამკარად გამოჩნდა კირონის შემდგომი საქმიანობიდან ცურტავის საეპისკოპოში. მოსეს ცურტავიდან გაქცევის შემდეგ საკამათო გახდა ცურტავის ახალი ეპისკოპოსისა და წესის აღსრულების საკითხი. მოსე ეპისკოპოსი სმბატ ბაგრატიუნის სწერს, რომ მის მაგიერ ეპისკოპოსად დასვეს ნესტორიანი, რომელმაც არც ქართული მწიგნობრობა იცის და არც სომხური: „არაეპისკოპოსი ნესტორიანი რომ დასვეს, მწიგნობრობა ქართულიც არ იცის, როგორც წესია, არამეტუ სომხური“.

მეორე საცილობელი საკითხია შუშანიკისგან დადგენილი სომხური მსახურების შეცვლა. აბრაამი თავის საყოველთაო ეპისტოლეში აცნობებს თავის სამწყსოს კირონის შესახებ: „ცურტავის ეკლესიის ეპისკოპოსი, რომელიც შუამავლობდა ორ ქვეყანას შორის, მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის სდევნა (კირონმა — ზ. ა.) და წმინ-

¹⁵² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 83.

¹⁵³ იქვე, გვ. 43.

და შუშანიკისაგან დადგენილი სომხური მსახურება, ჩვენს საწინააღმდეგოდ რომ ამხედრდა, შეცვალა“¹⁵⁴.

აქ ჩვენ მივადექით უთანხმოების ყველაზე უფრო რთულ საკითხს ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ კირონმა ცურტავის ეკლესიაში სომხური ენის გარდა მღვდელთმსახურების ქართულად აღსრულებაც შემოიღო და კამათში ეროვნული ელემენტი შემოიჭრა¹⁵⁵. მოსე ეპისკოპოსის პირველივე წერილიდან ცხადად ჩანს, რომ მან ცურტავში ყრმობის ასაკიდანვე აითვისა ქართული მწიგნობრობა და ამასთან თვითონ გამონაკლისი არ არის. ცურტავის საეპისკოპოსოში ასეთი წესი დიდი ხანია დამკვიდრებული ყოფილა: „მომიხდა სიყრმის დღეებში მივხელიყავ ცურტავის საეპისკოპოსოს, რომლის მოწაფე ვიყავ იმ ეკლესიის წესისამებრ, სადაც აღვიზარდე და ვისწავლე სომხური და ქართული მწიგნობრობა“¹⁵⁶.

სხვაგან კირონი უმტიციებს აბრაამ კათალიკოსს, რომ მოსეზე ადრე ცურტავის ეპისკოპოსად მყოფთაგან ზოგნი, ქართველები იქნებოდნენ თუ სომხები, სომხეთში მიდიოდნენ სასწავლებლად: „მაგაზე ადრე, ეპისკოპოსები, რომლებიც ცურტავს იყვნენ შუშანიკიდან მოყოლებული: აფოცი, გარნიკ, საჰაკ, ელიშა, იაკობ, იოან, სტეფანოს, ესაია, სამუელ, იოანე და სხვა ეპისკოპოსები სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან სომხეთში განსწავლულნი მეცნიერნი და მოძღვარნი იყვნენ“¹⁵⁷.

რის თქმა უნდა კირონს? იმის, რომ ცურტავი ქართლის მხარეში შედის. ქართული ენის ცოდნა არავისთვის არ არის გასაკვირი და თავისთავად იგულისხმება, ხოლო ქართველს და სომეხსაც კი, თუ მას საეპისკოპოსო ხარისხის დაკავება სურს, სომხური მწიგნობრობის დაუფლება სჭირდება. ამრიგად, მოსე ეპისკოპოსი თვითონ იყო ცურტავის საეპისკოპოსოს წესისამებრ აღზრდილი და სომხური და ქართული მწიგნობრობაც იცოდა. რაღა საჭირო იყო მისი ამ მხრივ შეცვლა? როგორც ჩანს, ცურტავის ეპისკოპოსებმა ქართული ენა კი იცოდნენ და მისი ცოდნა მათთვის აუცილებელიც იყო, მაგრამ მღვდელთმსახურებას სომხურ თემში მაინც სომხურად აღსრულებდნენ. კირონი უცხადებს აბრაამ კათალიკოსსა და სმბატ მარზპანს: „ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლია. ვინც ეპისკოპოსი გახდა, ქართული მოძღვრებაც იცის და სომხურიც. მსახურება ორივე მწიგნობრობით აღსრულებდა...“¹⁵⁸ „ეპისკოპოსმა, რომელიც დავადგინეთ, ქართული

¹⁵⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 120—121.

¹⁵⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 385—386.

¹⁵⁶ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 1.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 89.

¹⁵⁸ იქვე, 70.

და სომხური მწიგნობრობა თანაბრად იცის და სამსახურს ორივე მწიგნობრობით აღასრულებს“¹⁵⁹.

რა იგულისხმება ამ სიტყვებში? მხოლოდ ქართულ-სომხური ენა და მწიგნობრობა, თუ დოგმატიკური მომენტიც? ყოველ შემთხვევაში, სომხები ლიტურგიკის შეცვლას უკეიფებენ, ეპისკოპოსად ნესტორიანის დასმას. ასე რომ, დოგმატიკური მომენტი მათ მხედველობიდან არ რჩებათ. მოძღვრება (*მომენტი*) შესაძლებელია მრწამსს, დოგმატს გულისხმობდეს. გამოთქმა — „სომხური სარწმუნოება“ — არავის გააკვირვებს, რადგან იგი ყველა მონოფიზიტური სექტისაგან განსხვავებული ჩანს, სებეოსთან და *სახე სასაოი*-შიც ცნობილია. იქნებ ქართლშიც იქმნება ისეთი აღსარება სარწმუნოებასა, რომელიც ყველა დიოფიზიტური სექტისგან განსხვავდება? იქნებ ამიტომ უწოდებენ მას სომხურისაგან განსასხვავებლად „ქართულ მოძღვრებას“? როგორც უნდა იყოს, ქართლის კათალიკოსის პოზიცია მეტად საინტერესოა: ეპისკოპოსად დასვა ისეთი პირი, რომელიც შეძლებს დააკმაყოფილოს არა მხოლოდ ორ ენაზე მოლაპარაკე, არამედ ორი — მონოფიზიტური და ქალკედონიანური (იქნებ ნესტორიანულიც) — აღსარების მქონე მრევლი. რა არის ეს, თუ არა ცდა ამ განსხვავებული აღსარების მქონე ეკლესიების თუ სამრევლოების მორიგებისა? იქნებ მოსე ეპისკოპოსი არ დაეთანხმა ამ თავისებურ უნიას (მან ქართული კარგად იცოდა და მღვდელთმსახურების აღსრულება შეეძლო), იმიტომ იღვენა და არა მონოფიზიტობისათვის? აკი კირონი დაჟინებით იმეორებს მრწამსის გამო არ მიღვენიან!

პეტრე ეპისკოპოსი

მოსე ცურტაველი ქართლში ერთადერთი მონოფიზიტი ეპისკოპოსი არ უნდა ყოფილიყო. სომხეთის ეკლესიის მეთაურთა იმედები მიპყრობილია პეტრე ეპისკოპოსისადმი, რომელიც მათ მონოფიზიტად მიაჩნიათ. ვრთანეს ქერდოლის წერილიდან პეტრესადმი ჩანს, რომ მისი მრწამსის შესახებ სომხებს ეჭვიც არ ეპარებოდათ: „გვესმა შენი პატიოსნების შესახებ, რომ ქომაგი და მოყვარული ხარ ჭეშმარიტი სარწმუნოებისა“¹⁶⁰.

ვრთანესი სთხოვს მას დაეხმაროს კირონის მოქცევაში და ქართველთაგან კვლავ მონოფიზიტობის აღიარებაში: „როგორც მასპინძელი იყავ მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, რომელიც დაამტკიცა ამ ქვეყანაზე უფალმა ღმერთმა წმინდა გრიგოლის მიერ მრავალი სასწაულით, ისე უმეტესად შეიქენ მიზეზი მშვიდობისა, რათა ის ახალსა-

¹⁵⁹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 78.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 38.

ხიობა, რომელიც შემკულია სიცრუით, მოისპოს და დაამყარდეს¹⁶¹. პეტრე ეპისკოპოსი საქართველოში ფრედიანოზის ანი მოღვაწე უნდა ყოფილიყო. თუ უხტანესის მოწმობა სწორია, იგი იყო სწორედ ის ქართველი ეპისკოპოსი, რომელიც მთავრებთან ერთად ჩავიდა დვინში კირონის ქართლში ჩასაყვანად¹⁶². გასაგებია, რომ ამისთანა საპატიო საქმის შესასრულებლად ეპისკოპოსთაგან პირველი უნდა შეერჩიათ. მაშ რომელი საეპისკოპოსოს მწყემსი უნდა ყოფილიყო პეტრე? საყურადღებოა, რომ პეტრე ახლდა თბილისში კათალიკოსს, როცა ამ უკანასკნელმა ვრთანესისაგან ეპისტოლე მიიღო. განრისხებულმა კირონმა, უხტანესის თქმით „არათუ მხოლოდ თვისთა და მთავართ დაუშალა პასუხის გაცემა, არამედ პეტრესაც, რადგან იგი მოშურნე იყო საღმრთო მცნების და დამცველი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და სარწმუნო ჩვენი მხარისა, თუმცაღა თვითონ ტომით და ქვეყნით მათთაგანი იყო“¹⁶³.

რადგან კათალიკოსის კარზე სპეციალური თავყრილობა არ იყო, უნდა ვიფიქროთ, პეტრე იმყოფებოდა კათალიკოსთან იმის გამო, რომ მისი საეპისკოპოსოც იქვე იყო. ამიტომ გვგონია, რომ პეტრე თბილელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ქართლის გამგებელ მთავრებთან ერთად ისიც წყვეტს უმნიშვნელოვანეს რელიგიურ საკითხებს კათალიკოსის კარნახით. ამრიგად, განხეთქილებამდე ქართლის ორი უდიდესი საეპისკოპოსოს—ცურტავისა და თბილისის(?) — მეთაურები მონოფიზიტები უნდა ყოფილიყვნენ. რა პოზიცია დაიკავა პეტრე ეპისკოპოსმა? საყურადღებოა, რომ არც კირონის ხანაში და არც უფრო მოგვიანო საუკუნეებში (უხტანესის დროს) სომხურ საეკლესიო წრეებში არ ყოფილა ცნობა პეტრეს ქალკედონიანობაზე გადასვლის შესახებ. გასაგებია, რომ ასეთ საცილო საკითხს მაშინვე და შემდგომშიც მოუხსენებლად არ დატოვებდნენ. პირიქით, მოსე ეპისკოპოსი და გვიან უხტანესიც პეტრეს გამართლებას ცდილობენ—კირონმა პასუხი არ დააწერიანო. უხტანესს მაინც გაჰკრავს ეპვი, მართალია, კირონს დავაბრალეთ პასუხის დაშლა, მაგრამ „ვგონებ სრულიად არ აღმოჩნდა ჩვენთვის სასარგებლო რამ დაწერილი“ პეტრეს წერილში და იმიტომ არ შეიტანეს „ეპისტოლეთა წიგნშიო“. მაგრამ თუნდაც სომხეთისათვის საზიანო მიეწერა პეტრეს ვრთანესის-

¹⁶¹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 39.

¹⁶² Առաքել գնա ի ձեռն Պետրոսի Եպիսկոպոսի՝ որ էր ի վրաց աշխարհն և այլ նախարարաց եկեալ ընդ նմա մեծաւ պատուով: Ու խ ո տ ա ն է ս, II, ՅՅ. 4.

¹⁶³ Այլ միայն գիւրքն և գիշխանացն խախանակ պատուիրանքն, և ջատագով ուղղափառ հաւատոյ, և հաւասարիւմ մերոյ կոյմանս, բեպէտօւ ինքն ի նոցանէ էր սպգաւ և աշխարհաւ: Ու խ ո տ ա ն է ս, II, ՅՅ. 46.



თვის, უხტანესის ღრმა რწმენით, მაინც პეტრე არ იქნებოდა დამნაშავე, „რადგან უშლიდნენ მათი ურცხვობისა და განდგომის შედეგად დაწერას“. მამასადამე, ცხადია, რომ პეტრე ეპისკოპოსი მხარს უჭერდა კირონს, მაგრამ სომხები მის მხილებას ქალკედონიანობის გამო ვერ ახერხებენ. ეტყობა, კირონის პოლიტიკა ითვალისწინებდა მონოფიზიტების, ნესტორიანების და ქალკედონიტების გაერთიანებას და არა მათ შორის დაპირისპირების გამწვავებას. ეს გაერთიანება ურთიერთ შორის დათმობების გარეშე ვერ მოხერხდებოდა.

ასეთი დაკვირვების შემდეგ საინტერესო ხდება კირონის მიერ აბრაამისადმი მეორე წერილზე მიწერილი პასუხის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ქართლის საკათალიკოსოს ეპისკოპოსების სარწმუნოებზე: „ქართლში სულ 35 ეპისკოპოსია. ეგ მოსე საიდან აღმოჩნდა მხოლოდ [ერთი] მეცნიერი და მართლმადიდებელი და სხვა ყველა მწვალებელი?“¹⁶⁴.

ზემოთ დავინახეთ, რომ კირონის მიერ დასახელებული 35 ეპისკოპოსიდან მოსე ცურტაველი და პეტრე ეპისკოპოსი ნამდვილად მონოფიზიტები იყვნენ. თუხდაც მხოლოდ ამის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ კირონი მოსეს გასამტყუნებლად დასახელებულ ეპისკოპოსებში აუცილებლად ქალკედონიანებს არ გულისხმობს. ამას გარდა, 506 წლის დვინის კრებაზე 24 აშკარა მონოფიზიტი ეპისკოპოსი ესწრებოდა ქართლიდან. მთელი VI საუკუნის მანძილზე ქართლში არ ვიცით არც ერთი ისეთი ტეხილი რელიგიურ განწყობილებაში, რომ ქალკედონიანებს აბსოლუტური რაოდენობითი უპირატესობა მოეპოვებინათ. ამასთან ქართლში ისე ხშირად იცვლება პოლიტიკური სიტუაცია და ისე ხშირად გადადის ხელიდან ხელში უფლება ბიზანტიასა და სპარსეთს შორის, რომ ძნელია ვივარაუდოთ VII საუკუნის დასაწყისისათვის, სწორედ მაშინ, როცა ქართლში სპარსეთი იმარჯვებს, ქალკედონიანებს ასეთი გადაწყვეტი რაოდენობრივი უპირატესობა მოეპოვებინათ. ვფიქრობთ, ქართლის 35 ეპისკოპოსიდან მოსე ცურტაველის გარდა სხვანიც იქნებოდნენ მონოფიზიტები (ნესტორიანებიც), მაგრამ ისინი კირონის რელიგიურ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ (პეტრე და კის ეპისკოპოსების მსგავსად) და კათალიკოსის გარშემო ჯგუფდებოდნენ.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ კირონს სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან ურთიერთობა თავისი ინიციატივით არ გაუწყვეტია. იგი მთელი მიმოწერის მანძილზე ცდილობდა ძველი ურთიერთობის შენარჩუნებას, თუმცა კი თავისი ქვეყნის შინა რელიგიურ ცხოვრებაში ჩარევის უფლებას არ აძლევდა მათ. კირონის დამოკიდებუ-

¹⁶⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 90.

ლება მონოფიზიტური ეკლესიებისადმი გვიჩვენებს, რომ იგი, მართალია, გადაუდგა მონოფიზიტობას, მაგრამ მონოფიზიტებთან გაწყვეტის პოლიტიკას არასოდეს დასდგომია და პირიქით ისინი დაიახლოვოს. მაგრამ ვინც წინ აღუდგება სხვადასხვა აღსარების მქონე სამწყსოების დაახლოების ამ ცდას, კირონის სახით შეეყრება მრისხანე, შეუპოვარ მოწინააღმდეგეს და იძულებული იქნება გაიქცეს ქართლიდან (მოსე ეპისკოპოსი), ან მზა იყოს გასაქცევად (კურტავის საეპისკოპოსოს სომხურენოვანი თემი), ან კიდევ პასუხად მიიღოს ისეთი მკაცრი და ლაკონიური სიტყვები, როგორის წაკითხვაც მოუხდა აბრაამ სომეხთა კათალიკოსს.

საგულისხმოა ისიც, რომ ერთდროულად მონოფიზიტებთან და ნესტორიანებთანაც კავშირის დამყარება ქალკედონიანი მოღვაწისათვის შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მონოთელიზმზე დაყრდნობით. მონოთელიტობის გარშემო ამტყდარი სასტიკი კამათის დროს 645 წელს აფრიკაში ერთმანეთს შეეჯახნენ ქალკედონიანობის თავგამოდებული დამცველი მაქსიმე აღმსარებელი და მონოთელიტობის გამტარებელი პიროს კონსტანტინეპოლელი. მაქსიმეს არგუმენტებზე, რომ ქრისტეს ერთი პირის გაყოფას თუ არ იწვევს მისი ორბუნებიანობა, ვერ გამოიწვევს ვერც ორნებიანობა და ორმოქმედებიანობა, პიროსი მას ნესტორიანობას სწამებს: „ნესტორის მოძღვრებით მოქმედებებს შეესატყვისება პირები; ამიტომ თქვენ ორი მოქმედების ქადაგებით ნესტორიანობაში ვარდებით“. მაქსიმე აღმსარებელი პასუხობს: „პირველყოვლისა ნესტორი ქრისტეს ორი პირის დაშვებისას უშვებდა ერთ ენერგიას“¹⁶⁵. ეს ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი შენიშვნაა. შეიძლება გასაგები გახდეს კირონის კავშირი ნესტორიანობასთან. ქალკედონიანურ სამყაროში გაზრდილი კირონი სამღვდელთმსახურო ხარისხს აღწევს მონოფიზიტურ წრეში, შემდეგ გადმოდის ქართლში, სადაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ნესტორიანებთან. ცდილობს მათ მორიგებას: უკავშირდება ნესტორიანებს, იწყნარებს მონოფიზიტებს, აღიარებს ქალკედონის კრებას. დაიმორჩილა ქართლიო, წერს უხტანესი. ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ ქალკედონის მრწამსის გადმოცემისას მხოლოდ ორბუნებიანობის საკითხზე ჩერდება და სხვა საკითხებზე (ნება, ენერგია) სიტყვას არ აგრძელებს, თუმცა აბრაამი სპეციალურად სვამს სადავოდ ასეთ საკითხს. ასეთ ვითარებაში მისი მრწამსი მიიღებდა შემდეგ სახეს: ქალკედონიანთა მსგავსად აღიარებს ორ ბუნებასა და ერთ პირს, ნესტორიანთა მოსაწონისად — ორ ბუნებასა და ერთ ენერგიას, ხოლო მონოფიზიტებთან ერთად — ერთ ნებასა და ერთ პირს. ეს არის გზა მონოთელიტობის

¹⁶⁵ Лебедев А. П., Вселенские соборы VI, VII и VIII веков, СПб, 1904, стр. 88.



წარმოშობისა და იგი სწორედ ქართლის პირობებსა და კირონის ბიოგრაფიის მქონე ალექსანდრიის გონებაში შეიძლება და დაბადებულ იყოს¹⁶⁶.

თუ კირონი ქალკედონიანი კათალიკოსია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, საქართველოსა და კერძოდ, ქართული ეკლესიის ისტორიაში მას უდიდესი როლი უთამაშვნია. მაშინ, როდესაც ბიზანტიის სახელმწიფოს გავლენიდან ზედიზედ გამოდიან მონოფიზიტური ქვეყნები კობტების, სირიელების, სომხების სახით, აი, ამ მომენტში ერთადერთი ქვეყანაა ქართლი, რომელიც ორიენტაციას ბიზანტიისაკენ იღებს. ამ დროიდან ქართლის იდეოლოგიაში განუყოფლად ბატონობს ქალკედონიანური მრწამსი, რამაც მთელი საქართველოს ისტორიის განვითარების გეზს გარკვეული კვალი დააჩნია. მაშ რას უნდა ვეძიებდეთ ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში და სასულიერო მწერლობაში? ეჭვს გარეშეა, კირონის დამსახურების სათანადო დაფასებას და ასეთი დიდი მოღვაწის შესაფერ შემკობას, მაგრამ ისეთ ვრცელ ნაწარმოებშიც კი, როგორც არის არსენი საფარელის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, სადაც უდიდესი ნაწილი კირონს უნდა დათმობოდა, ქართლის ეკლესიის ეს მეთაური მხოლოდ ვაკვრითაა ხსენებული და განხეთქილების ამბებიც მიჩქმალულია. რა უნდა ვიფიქროთ, თუ არა ის, რომ VI მსოფლიო კრებაზე 680—681 წლებში კიროს ალექსანდრიელის ნაშრომთა დაწვა და მისი ერეტიკოსად გამოცხადება ქართლის ეკლესიისთვისაც კანონის ძალას ატარებდა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ მოაღწია ჩვენამდე (არა მარტო ჩვენამდე, არამედ ადრეულ შუა საუკუნეებშიც არ ჩანს) კირონ მცხეთელის ეპისტოლეებმა სომეხთა ეკლესიის მესვეურთადმი ქართულ ენაზე. შეიძლება ამითვე აიხსნას ის, რომ კირონის მიმოწერის ქართული ვარიანტები X საუკუნეში საკათალიკოსო სამდივნოში აღარ იყო, ვინმე სომეხ მღვდელს ჩავარდნოდა ხელში. სავსებით მართალი იყო კ. კეკელიძე, როდესაც

166 შეიძლება სწორედ კირონის ასეთივე სწრაფვით აიხსნას ის გარემოება, რომ სომეხებთან კამათისას იგი ხუთივე საპატრიარქო საყდრის (რომი, კონსტანტინეპოლი, იერუსალემი, ალექსანდრია, ანტიოქია) ავტორიტეტს იშველიებს. საქმე ის არის, რომ VII საუკუნეში ანტიოქიის სამწყსო უკვე კარგა ხნის გაყოფილი აქვთ ნესტორიანებსა და მონოფიზიტებს. ანტიოქიის კათედრას ამის გამო ქალკედონიანებში ერთი ხანია ავტორიტეტი დაკარგული აქვს. მიუხედავად ამისა, კირონი უთელის აბრაამ სომეხთა კათალიკოსს, ამ ხუთ საპატრიარქოს ვერ მივატოვებო (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 90). დამახასიათებელია, რომ უფრო გვიანი ხანის ქართულ პოლემიკურ ტრაქტატში უკვე ოთხი საპატრიარქოს შესახებაა გარკვევით საუბარი: სომეხები „განდღვს აღსარებიდგან წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და განეყენნეს ოთხთა საპატრიარქოთაგან“ (არსენი საფარელი, განყოფისათჳს..., ქრონიკები, I, გვ. 319).

წერდა: „მონოფელიტობის ისტორია რამდენადმე დაკავშირებულია ჩვენ ქვეყანასთან, კერძოდ, ლაზიკასთან ან დასავლეთ საქართველოსთან, სადაც ერეკლე იმპერატორმა პოვა მხურვალე თანამოაზრე, თანამგრძნობი და ცხოვრებაში გამტარებელი თავისი უნიონალური პოლიტიკისა, — ფაზისის მიტროპოლიტი კვიროსი, შემდეგ ალექსანდრიაში პატრიარქად დანიშნული, და სადაც დალია უკანასკნელი დღეები მონოფელიზმის წინააღმდეგ თავგამოდებულმა მეგრძოლმა მაქსიმე აღმსარებელმა. ამიტომ ქართულ ენაზე უთარგმნიათ, რასაკვირველია, შემდეგ დროში, მნიშვნელოვანი ნაწილი ანტიმონოფელიტური მწერლობისა.“¹⁶⁷

ვიმეორებთ, საეცებით მართალია კ. კეკელიძე, მაგრამ მისი სიტყვები მაშინ უფრო მეტ ძალას შეიძენს, თუ კიროს ფაზისელში დავინახავთ ქართველ და არა ბერძენ ან ეგვიპტელ მოღვაწეს, ხოლო ქართლისა და ეგრისის ეკლესიებს მთლიან ერთეულად წარმოვიდგინებთ მონოფელიტობის გავრცელების ხანაში. მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი იმ მნიშვნელოვანი რაოდენობის ანტიმონოფელიტურ თხზულებათა თარგმნას ქართულ ენაზე, რომელთაც ჩამოთვლის კ. კეკელიძე. მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი ქართლის ეკლესიის მიერ ასე თავგამოდებით შეყვარებას მაქსიმე აღმასრულებლისა, რომელიც მონოფელიტებმა ლაზიკაში გადმოასახლეს და აქვე დაიღუპა.

ჩვენი დასკვნა ასეთია: კ ი რ ო ნ მ ც ხ ე თ ე ლ ი ქ ა რ თ ლ შ ი ე რ ე ტ ი კ ო ს ა დ ჩ ა ი თ ვ ა ლ ა, მ ი ს ი ნ ა წ ე რ ე ბ ი გ ა ნ ა დ გ უ რ დ ა და კ ვ ა ლ ი ის ტ ო რ ი ი დ ა ნ ა მ ო ი შ ა ლ ა ი მ ი ტ ო მ, რ ო მ V I მ ს ო ფ ლ ი ო კ რ ე ბ ა მ კ ი რ ო ს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი (ფ ა ზ ი ს ე ლ ი) გ ა ნ კ ვ ე თ ა.

საინტერესო ის არის, რომ ზოგჯერ ქართული ძეგლებიდან ამოღებულია არა მხოლოდ კირონ ქართლის კათალიკოსის სახელი, არამედ კიროს ფაზისელისაც (ალექსანდრიელის). ამ მხრივ მეტად საყურადღებოა არსენი ვაჩეს ძის დოგმატიკონში მოთავსებული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი“ და მისი სომხური თარგმანი *Պատասխանի սու Հայս* („სიტყვისგება სომეხთა მიმართ“¹⁶⁸). ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვეცადა დაგვესაბუ-

167 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 484.

168 იხ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი A—205, 64; S—1463, 401; H—601, 985, Q—51; ქუთ. № 24. სომხური ტექსტისათვის იხ. მატენა-დარანი № 5859, 63, 5495, 103. ერთი ხელნაწერი გამოქვეყნებულია ჟურნალ *ლიუს* ში 1905—1906 წწ. ჩვენს მიერ ქართული ძეგლი და შესატყვისი სომხური თარგმანი მომზადებულია გამოსაქვეყნებლად. გამოკვლევა ამ ძეგლების შესახებ წაკითხულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების სხდომაზე. იხ. აგრეთვე ილ. აბულაძე, მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“ და მისი ლიტერატურული წყაროები, თსუ შრომები, VII, 1938,



თებინა, რომ „თავნი სომეხთა წვალეებისანი ოცდაათნი“ შექმნილია ბერძნულ ენაზე VIII საუკუნის შუახანებში კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებისა (680—681 წწ.) და ტრულის (692 წ.) კრებების შთაბეჭდილებით, მათი კანონების გავლენით. „თავნი ოცდაათნი“ პირველივე და დოგმატიკისადმი მიძღვნილი, ფაქტიურად, ერთადერთი ნუხლი წერს: „პირველად უკუე იტყვან ყოვლად ბოროტნი სომეხნი, ვითარმედ ძესა ღმრთისასა შემდგომად განწორციელებისაცა ერთი ბუნებაა და ერთი ნებაა და ერთი მოქმედებაა აქუს შეზავებული, რომელ ესე არს სარწმუნოებაა სერგისი, პიროსისი და პავლესი და სხვსა მის კრებულისა მათისაჲ, რომელნი იგი კონსტანტინეპოლეს შეკრებილმან წმიდამან მევქუსემან კრებამან წმიდათა ასსამეოცდაათთა ღმერთშემოსილთა მამათამან შეაჩუენნა“. როგორც ვხედავთ, „თავნი ოცდაათნი“ ასახელებს მონოთელიტობის სამ ერესიარხს: სერგი კონსტანტინეპოლელს, პიროს კონსტანტინეპოლელს და პავლე კვპრელს. ამათგან სერგი და პავლე მონოთელიტობის შემოქმედებად არიან მიჩნეულნი, ხოლო პიროსი მათი მომდევნო თაობის წარმომადგენელია. მონოთელიტური მოძრაობის გაცხოველება, მაქსიმე აღმსარებელთან პაექრობა და ლაზიკაში გადმოსახლება მისი დამსახურებაა. მაგრამ არც ერთმა მოღვაწემ (მით უფრო პავლე კვპრელმა) იმდენი ამაგი არ დასდო მონოთელიტობას, რამდენიც კიროს ალექსანდრიელმა. მან ხომ ერთადერთმა არ დაიხია უკან სოფრონ პალესტინელის შეტევისას, იგია ავტორი ერთადერთი, 9 მუხლისაგან შემდგარი თანმიმდევრული მონოთელიტური ტრაქტატისა. მაგრამ მისი სახელი გამოტოვებულია „თავნი“-ს ვფიქრობთ, იგი გამოტოვებულია ქართულ თარგმანში, რადგან სხვა არავის შეიძლებოდა ჰქონოდა ამის საფუძველი. შესაძლოა, მთარგმნელმა იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე და ავის თქმას სულ გაჩუმება არჩია.

ქართლი ის ქვეყანაა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა მერყეობა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. გამუდმებით იდგა არჩევანის წინაშე მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის. მაშინაც კი, როცა 506 წლის დეინის კრებაზე გაბრიელ ქართლის კათალიკოსის მეთაურობით მხარი დაუჭირეს მონოფიზიტობას, ზოგი საეპისკოპოსო ქალკედონური დარჩენილა. ასეთ პირობებში, როცა ქვეყანას საგარეო ორიენტაციის აღება უჭირდა, მუდმივი მანევრირება უხდებოდა და საეპისკოპოსოებს შორისაც ერთსულოვნება არ იყო, გასაგებია გონიერ ქართველ მოღვაწეებს მუდამ ექნებოდათ აზრად ამ ორი მიმართულების მორიგების სურვილი, ქვეყანაში ერთიანი რელიგიური ხაზის გატარების წადილი. სწორედ ქართლი უნდა გამხდ-

გვ. 97—108; მისივე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ენიშის მოამბე, III, 1938, გვ. 123—124.



რიყო წყარო უნიონალისტი მოღვაწეებისა და, როგორც ჩანს, ასევე მოხდა. შეიძლება არ იყო შემთხვევითი, რომ ზენონმა თეონის ნალური პოლიტიკის გასატარებლად (ზენონის პენოტიკონი) პეტრე იბერს მიმართა. მართალია, პეტრე იბერმა უარი განაცხადა, მაგრამ აშკარაა, მისი განწყობილება ცნობილი ყოფილა ბიზანტიის მმართველი წრეებისათვის¹⁶⁹. იქნებ არც ის არის შემთხვევითი, რომ მონოთელიზმის ძირითადი იდეა *μία θεαυδριαή ένεργεια* დიონისე არეოპაგელისგან არის აღებული¹⁷⁰. უფრო მეტიც, დიონისე არეოპაგელის ეს ფორმულა პირველად სწორედ კიროს ალექსანდრიელმა გამოიყენა თავისი ცნობილი *αεφάλαστον*-ის მეშვიდე თავში (*και τὸν ἀπὸν ἕνα Χριστὸν και οὐκ ἑνὸν θεογονῶντα τῆ θεοπροπῆ και ἀν-φίρπινα μίῃ θεαυδριαή ένεργείῃ, και τὸν ἕν ἄγίωδ Διούσσιον*)¹⁷¹. ამ არგუმენტს არ გვინდა გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ. მით უმეტეს, დიონისესა და პეტრე იბერის იდენტიფიკაციის საკითხებში ჩარევას ვერ ვიკისრებთ, მაგრამ ერთი კია: ერთი მხრივ, პეტრე იბერისა და კიროს ალექსანდრიელის კავშირი უნიონალურ პოლიტიკასთან, მეორე მხრივ, არეოპაგიტულ და მონოთელიტურ განწყობილებებს შორის სიახლოვე, ფრიად საყურადღებო ჩანს და შესაძლოა, სპეციალური ძიების საგანი გახდეს. ვფიქრობთ, ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ როგორც ზენონის, ისე პერაკლე კეისრის დროს მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შესარიგებლად საქართველოდან იქნა კაცი მოხმობილი. ერთმა (კიროსმა) იკისრა, მეორემ (პეტრემ) უარი თქვა. უეჭველია, ქართლი ისტორიულად ისეთი ქვეყანა იყო, რომელსაც შეეძლო ასეთი ტენდენციები ისა და ამგვარი მოღვაწეების წარმოშობა.

IX

პირონ ქართლის კათალიკოსის მოღვაწეობის მასშტაბები და ალ-მუჰაჰჰასის პრობლემა

უკვე ვთქვით, რომ კიროსი ფაზისის მიტროპოლიტობიდან ალექსანდრიის პატრიარქად გადაიყვანა პერაკლე კეისარმა. ამიერიდან კი-

¹⁶⁹ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 147.
¹⁷⁰ Hefele, Konziliengeschichte, 1877, გვ. 127; A. Гарнак, История догматов, გვ. 353; A Patristik Greek Lexicon, edited by Lampe, F. 3. Oxford, 1964, გვ. 615.
¹⁷¹ Mansi, XI, 563.

როს ალექსანდრიელის სახელი მკიდროდ უკავშირდება აღმოსავლეთის ისტორიაში გახმაურებულ პრობლემას — ესაა ალ-მუკავკასი (ალ-მუკავკისის) პრობლემა. ა. ბატლერის თქმით „ეგვიპტის ისტორიაში“ არის ფიგურა ერთსა და იმავე დროს უფრო ცნობილი და უფრო საიდუმლოებით მოცული, ვიდრე ის, რომელიც არაბული ტიტულით ალ-მუკავკასი ან ალ-მუკავკისის სახელით არის ცნობილი. რომ მან ბერძენთა მხრივ წამყვანი როლი ითამაშა არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობაში, რომ ეგვიპტის დამორჩილებაში მთავარი პასუხისმგებელი ისაა, ყველა თანახმაა. მაგრამ აქ თავდება ყოველგვარი შეთანხმება. მისი ვინაობა, მისი სახელი და ეროვნება, სახელო (office), რაც მას ეკავა, მისი საქმიანობა და იმ ტიტულის მნიშვნელობა, რომელსაც იგი ატარებდა, დებატებისა და დისპუტების საკითხია¹⁷². ასევე აფასებს ამ პრობლემას „შუა საუკუნეების კემბრიჯული ისტორიაც“, სადაც ნათქვამია: „მუკავკასის პრობლემა ერთი ურთულეს პრობლემათაგანია, ეგვიპტის დაპყრობის ისტორიაში“¹⁷³. მართლაც, 13 საუკუნის განმავლობაში იდუმალებით იყო მოცული მუკავკასის სახელი. ბიზანტიელი, კოპტი, არაბი, ეთიოპი მემატრიანეები ვერ გარკვეულან მის მრწამსში, ნაციონალობაში, სახელში. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაადგინნ ევროპელი სპეციალისტები სწორ კვალს. მუკავკასი აერთიანებდა ორ ხელს: საეროს და საეკლესიოს. იგი იყო ბიზანტიის კეისრის ნაცვალის ეგვიპტეში, როგორც უწოდებენ სპეციალისტები, ფინანსთა მინისტრი და ალექსანდრიის პატრიარქი. XX საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთის ისტორიისა და ეკლესიის ორი გამოჩენილი მკვლევარი ბოლოტოვი და ბატლერი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ალ-მუკავკასი და VII საუკუნის I ნახევრის მოღვაწე, მონოთელიზმის ერთ-ერთი შემოქმედი და უნიონალური პოლიტიკის გასატარებლად ყველაზე უფრო თავგამოდებული მებრძოლი, კიროს ალექსანდრიის პატრიარქი, ყოფილი ლაზიკის მიტროპოლიტი, ერთი და იგივე პიროვნებაა. ბატლერმა 1901 და 1904 წლებში გამოაქვეყნა ამ ვარაუდის დასასაბუთებლად სპეციალური ნაშრომები¹⁷⁴. ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო ბოლოტოვი, რომლის არქივშიც აღმოჩნდა და 1908 წელს გამოქვეყნდა იმავე დას-

¹⁷² A. Butler, *The Arab Conquest of Egypt*. Appendix C: On the Identity of Al-Muḳawḳas, გვ. 508.

¹⁷³ *The Cambridge Medieval History*, II, *The Rise of the Saracens and the Foundation of the Western Empire*, Cambridge, 1913. (C. H. Becker, *The Expansion of the Saracens — The East*, გვ. 350.

¹⁷⁴ Butler A. J., *On the Identity of „Al Muḳawḳas“ of Egypt*. *Proceedings of the Society of Biblical Archeology*, XIII, 1901, გვ. 275—290. იგივე წერილი შესწორებებით გადაბეჭდილია მის წიგნში *The Arab Conquest of Egypt*.

კენების შემცველი ნაშრომი¹⁷⁵. გასაგებია, არცერთს არ შეეძლო ერთმანეთისაგან ესარგებლა და იდენტიფიკაცია კიდეც უფრო რეზერვული გახდა, თუმცა მათი წინამორბედი მეცნიერებისაგან უკვე იმდენად იყო ნიადაგი შემზადებული¹⁷⁶, რომ სპეციალისტებს არ გაუჭირდათ ამ იდეის შეწყნარება. ისეთი გამოჩენილი ეგვიპტოლოგი, როგორც იყო მასპერო, სრულიად დაეთანხმა ბატლერს, როგორც ეს ირკვევა მის ხელნაწერებში აღმოჩენილი და გვიან გამოქვეყნებული რამდენიმე, შენიშვნებით სავსე გვერდიდან¹⁷⁷. დღეისათვის ბატლერ-ბოლოტოვის პოზიცია ძირითადად გაზიარებულია დასავლეთის სამეცნიერო წრეებში, სადაც არა ერთი ნაშრომი ეძღვნება კიროს ალექსანდრიელის (მუკავკასის) მოღვაწეობას¹⁷⁸.

შეიძლება თუ არა აღნიშნული იდენტიფიკაციის პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს? ვფიქრობთ, არა. საქმე ის არის, რომ დღემდე თვით კიროს ალექსანდრიელის (ფაზისელის) ბიოგრაფიაც არ ვიცით ხეირიანად. შემთხვევითი არ იყო, რომ ბოლოტოვი წერდა: „კიროს ფაზისელი ისტორიაში ერთი ყველაზე საინტერესო ფიგურათაგანია და იქნებ მითიურიც“—ო¹⁷⁹. ამ პიროვნებათა გაიგივებით ჩვენს წინაშე აღიმართა უდიდესი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე. შეიძლება ითქვას, რომ იმ ხანებში ბიზანტიის იმპერიაში ჰერაკლე კეისრის შემდეგ კიროს-მუკავკასს ტოლი არ ყოლია და საერთაშორისო მდგომარეობაზე ასეთი კვალი არავის დაუტოვებია. კითხვის ნიშნებს კი კითხვის ნიშნები მიემატა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემის ცდას კავკასიური (უკეთ ქართულ-სომხური) სამყაროსკენ მივყევართ და კი-

¹⁷⁵ Болотов В. В., К истории императора Ираклия, *Византийский Временник*, 1907, т. XIV, 1(1908). გამოქვეყნებულია ცალკეც.

¹⁷⁶ E. Amelineau, *Fragments coptes pour servir à l'histoire de la conquête de l'Égypte par les arabes*. *Journal Asiatique*, Ser. VIII. Bd. XII, 1888, გვ. 361—410; F. M. Esteves Pereira, *Vida do Abba Samuel do mosteiro do Kalamon*, Lissabon, 1894, გვ. 41—53.

¹⁷⁷ *Histoire des patriarches d'Alexandrie*, par Jean Maspero, Paris, 1923, Appendice I, გვ. 363.

¹⁷⁸ აღ-მუკავკასის პრობლემის შესახებ სრული ლიტერატურისა და წყაროებისათვის იხ. A. Grohmann, *Al-Muḳawḳas, Al-Muḳawḳis — Enzyklopaedie des Islam*, III, Leiden und Leipzig, 1936, გვ. 769—772. დამატებით იხ. G. Graf, *Geschichte der christlichen arabischen Literatur*, I, Citta del Vaticano, 1944, გვ. 280—281, 468—470; E. Littmann, *Muḳauḳis im Gemälde von Kusair 'Amra*, *ZDMG*, 105(1955), გვ. 287—88; C. Detlef, G. Müller, Benjamin I, *Patriarch von Alexandrien*, *Le Muséon*, LXIX, 3—4, Leuven, 1956, 320—321; *Précis de l'histoire d'Égypte par divers historiens et archéologues II: L'Égypte byzantine et musulmane*, par Henri Numier et Gaston Wiet, Caire, 1932, გვ. 68, 110.

¹⁷⁹ Болотов, *Лекции по истории древней церкви*, III, стр. 453.

როს-მუკავასის პრობლემის კვლევაში კირონ ქართლის კათალიკოსის შეყვანით ბევრ გაუგებრობას ვიცილებთ თავიდან.

ცხადია, ის პიროვნება, რომელიც კიროს-მუკავასთან გაიგებდა, ბას იკისრებდა, ფართო საერთაშორისო ხედვით, მოქნილი დიალოგით, საერო და საეკლესიო საკითხებში თანაბრად გარკვევის უნარით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული. იყო ასეთი კირონ მცხეთელი? უეჭველად.

1

საკათალიკოსო საყდრის დაკავებისთანავე კირონმა ფართო საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. მან მაშინვე დაამყარა კავშირი ისეთ დიდ საპატრიარქო ცენტრებთან, როგორც იყო რომი და იერუსალემი. სამწუხაროდ, ამ პატრიარქებთან მიწერილი წერილები არ შემონახულა, მაგრამ რომის პაპის პასუხში ზოგი საინტერესო ფაქტური მომენტის ამოკითხვა მაინც კიდევ შეიძლება: „ამ წიგნის მომტანმა, რომელიც აქ მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს საფლავის სალოცავად მოვიდა, დაგვარწმუნა, რომ ჩვენთვის წიგნი გამოვიგზავნიათ, მაგრამ ამას სხვა ნივთებთან ერთად იერუსალემში დაუკარგავს“¹⁸⁰. ირკვევა, რომ კირონს მოციქული გაუგზავნია როგორც რომში, ისე იერუსალემში. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, რომ კირონს უმოქმედია სწორედ რომის პაპის რჩევის მიხედვით ნესტორიანთა საკითხში. სამწუხაროდ, არ ვიცით, კირონის მოციქულმა რამისია შესარულა იერუსალემში, ჰქონდა თუ არა იქაც გატანებული ეპისტოლე. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, რომ კირონმა იერუსალემის პატრიარქთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი დაამყარა და მიწერ-მოწერაც ჰქონდა. როდესაც ვრთანესისგან მოწერილ წერილს გაეცნო, კირონი აღშფოთდა, პასუხი თვითონ არ გასცა და განაცხადა: „ამას იერუსალემს ქალაქის მამამთავართან წავაღებინებ, რომ პასუხი გასცეს“¹⁸¹.

კირონის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია სულ ხუთმა წერილმა. ამთვან სამი აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი მიწერილი, ერთი მოსე ელივარდელისადმი და ერთიც სმბატ ბაგრატიუნისადმი. ამას გარდა დანამდვილებით ვიცით, რომ კირონს წერილები მიუწერია რომის პაპის გრიგოლ დიდისა და იერუსალემის პატრიარქისადმი. ადრეც აღვნიშნეთ, რომ კირონი ზედმიწევნით განათლებული ადამიანი იყო. ამას იგი თვითონაც აღნიშნავს სმბატ ბაგრატიუნისადმი მიწერილ წერილში: „მეცნიერება, სიბრძნე

180 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 24.

181 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 43.

და სწავლა უფალმა ღმერთმა მრავალ [სხვაზე] უფრო მოგცა ჯერ შენ, უფალს და მერე მე¹⁸². ზემოთ ისიც ვთქვით, რომ კირონმა ღამდენიმე უცხო ენა იცოდა ისევე, როგორც მშობლიური. ყოველ შემთხვევაში, ბერძნული და სომხური მისთვის არა ნაკლებ მასობელი იქნებოდა, ვიდრე ქართული. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეპისტოლეები მას თვითონ შეეძლო დაეწერა ბერძნულად და სომხურად ქართული დედნის გარეშე. მაგრამ უხტანესის მონათხრობიდან ირკვევა, რომ ყოფილა მიმოწერის ქართული ვარიანტიც. მასასადამე, ეპისტოლეები იწერებოდა ორ ენაზე, ადრესატისა და ქართულ ენაზე, და გარკვეულ დრომდე საკათალიკოსო კანცელარიაში ინახებოდა. კირონის ეპისტოლეები დღემდე მოღწეულია მხოლოდ სომხურ ენაზე. ვფიქრობთ, საძიებელია ამ მიმოწერის ქართული და ბერძნული ვარიანტები. თავისი მიმოწერის ცალებს, ბერძნულ ენაზე გადათარგმნის, გააგზავნიდა ალბათ კირონი იერუსალემში, როგორც იმუქრებოდა¹⁸³. კირონის წერილები გამოირჩევა დიპლომატიკის ხელოვნების ცოდნით და იშვიათი ლაკონიურობით. ამ მხრივ მისი წერილები ანტიკური მოღვაწეების ეპისტოლეთა საუკეთესო ნიმუშებს მოგვაგონებს.

ერთი სიტყვით, კირონის მოღვაწეობა არ იყო შემოფარგლული ქართლით და იგი ფართო დიპლომატიური ჰორიზონტის მქონე პირი იყო. რომის პაპი, იერუსალემის პატრიარქი, სომხეთის სახელმწიფოს მესვეურები — აი, კირონის ადრესატთა, უეჭველია, არასრული ნუსხა. მათ შორის არ არის ბიზანტიის კეისარი და კონსტანტინეპოლის პატრიარქი არა იმიტომ, რომ კირონს მათთან ურთიერთობა არ ჰქონდა დამყარებული, როგორც ამას მიქელ თამარაშვილი ვარაუდობს, არამედ იმიტომ, რომ რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ამტყდარი ახალი ომის დროს, როცა ბიზანტიის პოზიციები კავკასიაში შერყეულია, სპარსული ორიენტაციის მქონე სომეხ მოღვაწეებთან ამ კავშირის ჩვენება ვერაფერი მარჯვე დიპლომატია იქნებოდა. ისევ უხტანესი უნდა იყოს მართალი, როცა ფიქრობს, რომ კირონის ანტისპარსულ მოქმედებაში ბიზანტიის ხელი ურევია და იგი „თანახმა ბერძენთა“.

კირონის წერილებიდან ჩანს, რომ ყველაზე უფრო მჭიდრო ურთიერთობა მას იერუსალემის პატრიარქთან ჰქონდა. მთელი კამათის

¹⁸² ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 77.

¹⁸³ ბერძნულ ენაზე შემონახულია კირონის სამი წერილი, დაწერილი როგორც ფაზისელობის, ისე ალექსანდრიელობის ხანაში. სამწუხაროდ, ეს ეპისტოლეები არ არის პოლემიკური ხასიათის და სულ სხვა განწყობილების ვადმოცემად არის დაწერილი. ამიტომ მათი შედარება აგებულების თვალსაზრისით კირონ მცხეთელის ეპისტოლეებთან ავტორების იდენტიფიკაციის დასადგენად არაფერს გვაძლევს.



მანძილზე იგი იერუსალემის ავტორიტეტს ეყრდნობა. თვლის, რომ ქართველებს და სომხებს სარწმუნოება სწორედ იქიდან მიუღიათ, რაც იქადით მხოლოდ იერუსალემის სახელით“, უკიყინებდნენ სომხეთში მოღვაწენი. და ბოლოს, კირონს განზრახვა აქვს თვით ჩავიდეს „სამართო ქალაქში“ წმინდა ადგილების მოსალოცად და, უეჭველია, პატრიარქთან სათათბიროდ.

ამრიგად, კირონის მთელი მიმოწერა ცხადად გვაჩვენებს, რომ ჩვენს წინააღმდეგ დიდად განათლებული, პოლიტიკური ინტუიციით აღჭურვილი, ფართო საერთაშორისო ინტერესების მქონე, გაბედული სახელმწიფო მოღვაწე და მოქნილი რელიგიური თვალსაზრისის მქონე კათალიკოსი.

2

კიროს ალექსანდრიელი (ალ-მუკავასი) ათავსებდა ერთმანეთთან ალექსანდრიის პატრიარქობასა და ეგვიპტის ფინანსთა გამგებლობას, ეგვიპტეში კეისრის ნაცვლობას¹⁸⁴. ასეთი ფუნქციების შესრულება ყველა მოკვდავს არ შეუძლია და ცალკეულთა ხვედრია. კიროს ალექსანდრიელისა და კირონ მცხეთელის იგივეობის დასამტკიცებლად, ცხადია, მოგვიხდება შევამოწმოთ კირონის საერო ასპარეზზე მოღვაწეობის უნარი.

კირონის მთელი ცხოვრება მოწმობს, რომ საქმე გვაქვს მნიშვნელოვან ფიგურასთან საერო ცხოვრებაშიც. მისი ყოველი ნაბიჯი საეკლესიო სფეროში ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებით არის ნაკარნახევი და მასში ჩარეულნი არიან საერო ხელისუფალნიც. ავიდა თუ არა ქართლის კათალიკოსის ტახტზე, კირონმა მაშინვე გამოაჩინა თავისი ძალა: „რა უამს მიაწია კირონმა თავისი მთავრობის სამწყსოს და თავის ქალაქს, რომელსაც მცხეთა ეწოდება, შეკრიბა თავისთაგანისკობოსები, იმ ქვეყნის წარჩინებულები, ერისთავები და დაიპირჩილა მათთან ერთად სრულიად მთელი ქვეყანა თავისი ხელმწიფობის ქვეშ“¹⁸⁵.

¹⁸⁴ ორი უფლების გაერთიანების აღსანიშნავად კიროს ალექსანდრიელი სხვადასხვა ფერის ჩემბებს იცვამდა — წითელსა და შავს. Ю. Кулаковски й, История Византии, III, стр. 133; L. Bréhier, L'empire Byzantin sous les Héraclides, Journal des Savants, 1917, № 9, გვ. 451. G. Rouillard, L'administration civile de l'Égypte byzantine, Paris, 1928, გვ. 230.

¹⁸⁵ ზიქაძე ხნაა სიყრის ქ ქინას ჯიქი ქუსანიცხანსს ს ქ გაღაჲს ჯრხანსე' ირ კიჯი სწიხსეჲა, ძიქიქლ არა სინს ცხესქიქიუთისინს ჩანსეჲა ქოსე აქსარსინს ს ცხესანსა ს ცნასარაჲს, ს ნოსანს ნიქიჲ ჩანსეჲა აჩანასარას ცამნსანს აქსარსინს დიქი ქიქიქ ქუსანიცხანსაჲ: ი ქ ს თ ა ნ ს, II, გვ. 4.



უხტანესის ამ ცნობაში არაფერი არ არის გადაჭარბებული. მთელი მიმოწერიდან აშკარად ჩანს, რომ ქართლში ამ ხანებში ლაზე გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე კირონია. თუ იმავე „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით სომხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში წაყვან როლს გურგანის მარზბანი სმბატ ბაგრატიუნი თამაშობს, იმდენად, რომ აქტიურად ერევა რელიგიის საკითხებშიც, ქართლის მთავრები ადარნასე, ვაჰანი, ბუზმირი და სხვები აშკარად კათალიკოსის ნების გამტარებლები ჩანან. „ეპისტოლეთა წიგნის“ და უხტანესის ისტორიის არა ერთი ადგილიდან ჩანს, როგორ გადაიქცევა ხოლმე კათალიკოსისადმი დაპირისპირებული რომელიმე საეკლესიო მოღვაწე ქართლის „წარჩინებულების, მთავრების, ერისთავების და მთელი ქვეყნის“ მტრად.

კირონმა ქართლის საეკლესიო და საერო მოღვაწეთა შორის რელიგიისა და საგარეო ორიენტაციის საკითხებში გასაოცარ ერთსულოვნებას მიაღწია. ამ გარემოებას მთელი ძველი სომხური ისტორიოგრაფია ამჩნევს და მხატვრულად გადმოსცემს უხტანესი: „ამას არა მხოლოდ კირონი იმუქრებოდა, არამედ ყველა მის ახლოს მდგომი ეპისკოპოსი, მღვდელი, მთავარი, მდაბური, ერისთავი და მზრახველიც ერთი და იმავე აზრით აღენთენ, აღეგზნენ მრისხანებით და საზოგადოდ ყველანი აღშფოღდნენ. შეირყნენ ვითარცა მთვრალნი და მთელი მათი სიბრძნე შთაინთქა“¹⁸⁶.

როდესაც კირონს და მის წარჩინებულ მოკავშირეებს წერილი მოუვიდათ ვრთანეს ქერდოლისგან, განრისხებულმა კათალიკოსმა არამცთუ თვითონ არ დაწერა პასუხი, არამედ მთავრებსაც აუკრძალა წერილის მიწერა. აქედან ცხადია, რომ კირონს თვით ერისმთავარიც კი ემორჩილება. აბრაამ სომეხთა კათალიკოსთან მიმოწერაში კირონი ხშირად უსვამს ხაზს, რომ სურს მასთან პირადად შეხვედრა, მაგრამ „მძიმე დროისა“ და „ქვეყნის საჭიროებათა გამო“ მოუცლელია.

საინტერესოა კირონის ტახტის სამყოფელის საკითხიც. დედაქალაქად თბილისის არჩევის შემდეგ საკათალიკოსო საყდარი მცხეთაში დარჩა. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ და უხტანესის „ისტორიიდან“ კინათლად ჩანს, რომ კირონ კათალიკოსს თავის ძირითად სამყოფელად თბილისი, სიონის ტაძარი გაუხდია. უხტანესის ცნობით კათალიკო-

¹⁸⁶ ხა ვაჟა იჯ ხუარინ მქანს აყაინაჟი ხ ასტჳ, აჟიხ ამხნაჟი მქრბა-
 ლაჟი ხ ხუარინაჟი, ხ რანანაჟი, ხ ქუარინ, ხ ქინასან, ხ ნაქარაჟი,
 ხ ჟიქრეჟასან ქ აჟი ხ ქ ნიქინ მქოთ ქათხაჟი რეჟიქხვან რარქიქრამქ.
 ხ ათნასარაჟი ამხნხვანს ჟათიქხვანს ათასხვანს ირჟიქა არქესაჟი, ხ ამხნაჟი
 ჟანასოიქინს ნიჟა რნქიქა: ი ქ ა თ ა ნ ქ ა, II, გვ. 47.



სის რეზიდენცია სამეფო სასახლის გვერდით ყოფილა¹⁸⁷. კირონი არც მცხეთას ჩანს მოწყვეტილი. საეცებით შესაძლებელია, რომ კირონისგან მუდმივ სამყოფელად თბილისის არჩევა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული: ქართლში უმეფობაა. ერისმთავარი და ერისთავები მისი გავლენის ქვეშ არიან. კირონი განაგებს ქართლის საეკლესიო და საერო ცხოვრებას და საკათალიკოსო საყდარი სეფე-სასახლესთან გადააქვს¹⁸⁸.

კირონის მოღვაწეობაში საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: სომხეთის სპარსულ ნაწილში საქმიანობის დროს იგი იყო დვინის კა-

¹⁸⁷ **Փանկի Էր նա (კირონი—Ֆ. Բ.) Ի գառի սբոյն Միովն, որ էր մեր յայսրան սրբունի:** Ի լէջ, გვ. 19.

¹⁸⁸ აქ გვერდს ავუვლით VI—VII სს. მიჯნაზე მოღვაწე ქართლის ერისმთავრების შესახებ ვრცლად მსჯელობას. ჩვენი პოზიციაა რომ ნათელი იყოს, მოკლედ მაინც აღვნიშნავთ: წინააღმდეგ ზოგი სპეციალისტის მტკიცებისა, „ქართლის ცხოვრებაში“ სტეფანოზ I-ის „ურწმუნოდ“ გამოცხადება მის ანტიქრისტიანობაზე კი არ მიუთითებს, არამედ — ანტიქალკედონიტობაზე. ამიტომ სტეფანოზ I შეიძლება ყოფილიყო (და არის კიდევაც) მცხეთის ჯვრის ქტიტორი. აღარნასე ერისთავი არ არის სტეფანოზის ძმა ან მისი გვარის წარმომადგენელი. იგი გამოსახულია ჯვრის ბარელიეფზე სტეფანოზთან და დემეტრესთან ერთად იმიტომ, რომ მცხეთის ჯვარს აშენებს „ყოველი ქართლი“ ქართლისა და კახეთის საზღვარზე. ქართლის კათალიკოსის საყდარზე კირონის ასევე მთლიანად ცვლის ქვეყნის რელიგიურსა და სახელმწიფო პოლიტიკას, სპარსულ-სომხური ორიენტაციის მქონე მონოფიზიტ სტეფანოზსა და კათალიკოს ბართლომეს უპირისპირდება ბიზანტიურ-ქალკედონური (უკეთ, შემარბევლური) პარტიის წარმომადგენლები — კირონი, აღარნასე და სხვები; უნიონალისტი მოღვაწეები იმარჯვებენ და დაახლოებით 604 წლიდან ქართლის ერისმთავარი ხდება კახეთის ერისთავი აღარნასე. 614 თუ 616 წელს. ე. წ. „სპარსული კრების“ შემდეგ, ხოსრო კვლავ აღადგენს მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში „სომხურ სარწმუნოებას“ (მონოფიზიტურს). ქალკედონიტი მოღვაწეები იძულებული არიან მიატოვონ თავიანთი ქვეყნები. აღარნასე გადადის კახეთში, რომელიც სპარსელთა უშუალო ბატონობას გადაურჩა. ქართლში კვლავ ბრუნდებიან სტეფანოზ I და კათალიკოსი ბართლომე (ბართლომეს შესახებ ამავე აზრს გამოთქვამდა თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 58—59). სტეფანოზი და ბართლომეც ქრისტიანი („სომხური“ რედაქციის) მოღვაწეები არიან, ამიტომ ორმიზლის მონეტების მიბაძვით მოჭრილი ქართული მონეტები, წინააღმდეგ დღეს გავრცელებული შეხედულებისა, შეიძლება მათი ერისმთავრობის მეორე პერიოდზე (616—629) მოდიოდეს და არ ეკუთვნოდეს სტეფანოზ II-ეს (მის დროს ორმიზლის მონეტების მიბაძვა მხოლოდ გარკვეული ძალდატანებით შეიძლება მივიღოთ). 616 წლიდან 629 წლამდე (პერაკლეს ლაშქრობამდე) ქართლის სახელმწიფო რელიგია მონოფიზიტურ-ქრისტიანულია და ცხადია სტეფანოზსაც აღარავინ უწოდებს „ურწმუნოს“. ეს ვითარება უნდა იყოს ასახული „შიოს სასწაულებშიც“, რომლის მიხედვითაც სტეფანოზი თავგამოდებული ქრისტიანი ხდება და ეკლესიებს შეუვალობასაც კი ანიჭებს (სწორედ ამიტომ ორივე ჯგუფის ე. წ. სასანური მონეტები, რომლებიც 590—628 წლებში თავსდებიან, სტეფანოზ I-ის მოჭრილი გვეონია). პერაკლეს კეისრის ქართლში ლაშქრობის დროს სტეფანოზი ბრძოლაში იღუპება და ქართლის ერისმთავარი კვლავ აღარნასე ხდება.



თოლივე ეკლესიის უზუცესი და აირარატის გავარის ქორეპისკოპოსი. თუ ქორეპისკოპოსს ტრადიციულად სოფლის ეპისკოპოსად ვაჩვენებთ, მაშინ კათალიკოსთან პირადად დაახლოებული მნიშვნელოვანი პირისათვის, რომელსაც მეტად მაღალი საეკლესიო თანამდებობა ეკავა, რაღა ბედენა იქნებოდა აირარატის ქორეპისკოპოსობა. სამწუხაროდ, სომხეთში, ისევე როგორც ჩვენში, ქორეპისკოპოსების სტატუსი დღეს შეუსწავლელია. მეტადრე კიდევ გაუთვალისწინებელია არსენი კათალიკოსის მნიშვნელოვანი ცნობა: „და კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი განდრკეს სიმართლისაგან; და კადნიერებაჲ მოიღეს სპარსთაგან წინააღდგომად აზნაურთა. და ხარკსა სოფელთასა თვით გარდაჲდიდეს, რამეთუ ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდვეს ქუეყანაჲ, ვითარცა მორჩილთა სპარსთაჲსა“¹⁸⁹. მეტად საყურადღებოა ცნობა ქორეპისკოპოსთათვის ქვეყნის საერო გამგებლობის მინიჭების შესახებ. ისინი თავიანთი გავარებიდან „ხარკსა სოფელთასა თვით გარდაიჲდიდეს“, ე. ი. ფაქტიურად განაგებენ ქვეყნის ფინანსებს. თუ ასეა, კირონი უკვე სომხეთში ყოფილა მნიშვნელოვანი საერო და სასულიერო ფუნქციების აღმსრულებელი, უკვე აქ მიჩვეულა „აზნაურთა წინააღდგომას“. საყურადღებოა, რომ კიროს ალექსანდრიელი ეგვიპტეში ზუსტად ამავე ფუნქციებს ასრულებს, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით. ამრიგად, ეპისკოპოსობისა და ფინანსთა განმგებლის თანამდებობის შერწყმის იდეა დასაბამს თვით კირონის ქორეპისკოპოსობაში პოულობს (იქნებ სომხეთის ქორეპისკოპოსების შესახებ არსენის ცნობა კახეთის ქორეპისკოპოსების გასახსნელადაც გამოდგეს და პირიქით). „აზნაურთა წინააღდგომის“ ჩვევა კიროსს სომხეთიდან ქართლში გადმოაქვს და აქედან ჯერ ეგრისსა და შემდეგ ეგვიპტეში შეაქვს.

X

კონკრეტული საკითხები ილენტიფიკაციისათვის

1

ყველა აღმოსავლური წყარო ერთხმად აღნიშნავს კიროს-მუკავასის მძიმე ხასიათს, მის სიფიცხეს და სისასტიკეს მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობაში. კობტური და არაბული წყაროები მოგვითხრო-

¹⁸⁹ ქრონიკები, I, გვ. 326.



შენ არა ერთ ეპიზოდს მისი სიფიცხის დასასურათებლად და თვით კერძოდ არას ათასგვარი ეპითეტით ამკობენ. მიუხედავად ასეთი დახასიათებისა კიროსი ფრიად თავშეკავებული დიპლომატი ჩანს. იგი ლობიერია მათ მიმართ, რომლებმაც უნია აღიარეს და მიიღეს მონოთელიტობა. ვინც კიროსს ქართლის კათალიკოსის შესახებ სომხურ მასალას გაეცნობა, ნახავს, როგორ წააგავს ამ ორი მოღვაწის ხასიათები ერთმანეთს¹⁹⁰.

ცურტავის სომხურენოვანი სამწყსო შესჩივის ვრთანეს ქერდოლს: „ჩვენთვის მანდედან (სომხეთიდან — ზ. ა.) დახმარებისა და ზურგის გარეშე შეუძლებელია ყოფნა — ისეთ მძლავრ ამაყს, რომელიც მამამთავრად იწოდება, შეეცრაივართ. თუ არა, [უნდა] დავტოვოთ ეს ქვეყანა და წავიდეთ“¹⁹¹.

მოსე ცურტავის ეპისკოპოსის წერილებიდან ჩანს, რომ კირონი მართლაც ფიცხი და მკაცრი ყოფილა. როდესაც განრისხდებოდა, შიშით ყველა ძრწოდა. კირონის მძვინვარებას მოსეზე ისეთი ეფექტი მოუხდენია, რომ იგი ვრთანესს მეტად მხატვრულად და ჰუმანიტური შეძრწუნებით აუწერს ვითარებას: „იგიც მაგ წმინდა საყდრის მოწაფეა ჩვენთან ერთად. თუმცადა ესლა ამაო დიდებისაგან, როგორც მდინარე წყალიდობისაგან, აღმდგარია, ვითარცა მხეცი რამ უწყალო, კლანჭებითა და ბრწყალებით, განრისხებულა“¹⁹².

როდესაც ვრთანესს ქერდოლმა მამხილებელი წერილი გაუგზავნა კირონს, დიდხანს ვერავინ გაბედა მისთვის გადაეცა. წერილის წაკითხვის შემდეგ კირონი დიდად განრისხებულა და დაუოკებელი სიფიცხე გამოუჩინია. მოსე ეპისკოპოსი ატყობინებს ვრთანესს: „წერილი, რომელიც მისწერეთ კათალიკოსად წოდებულს და იმ ქვეყნის მთავრებს, გავატანე ჩემს ყრმას და ესლა მოვიდა. დადლილობის გამო მანდ ვერ შეძლო წამოსვლა და თქვენთან ამბის მოტანა, თუ როგორ ჯერ ვერავინ შეძლო მიერთმია წერილი კათალიკოსად წოდებულისთვის, მერე,

190 ანგარიშგასაწვეია ის ვარემოება, რომ არც კიროსისა და არც კირონის დასახსიათებლად მისი მომხრეებისგან თითქმის არაფერი არ შემოგვრჩა. მათ შესახებ ყველაფერი დაწერილია პოლიტიკური თუ რელიგიური მოწინააღმდეგეების მიერ, ან კიდევ გვიანდელი ისტორიკოსები ასეთ წყაროებს ეყრდნობიან. ცხადია, ამ ვარემოებას უნდა ანგარიში გაეწიოს, როცა ასე მკვეთრად უარყოფითად განწყობილ ცნობებს ვკითხულობთ. კიროსის დასახსიათებლად იხ. A. Butler, *The Arab Conquest of Egypt*, Chapter XIII: Persecutions of the Copts by Cyrus, გვ. 168—193; C. D. G. Müller, Benjamin I, Le Muséon, 1956, LXIX, გვ. 3—4. წყაროების გავლენით განსაკუთრებით მკაცრად ახასიათებს კიროსს C. H. Becker, *The Expansion of the Saracens*, *Cambr. Med. Hist.*, II, გვ. 349—350.

191 ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 34—35.
 192 იქვე, გვ. 36.

თუმცა ბოლოს მიუტანეს, წიგნის კითხვისას აღიძრა სასტიკი რისხვით გამძვინვარებული გულით, ფერშეცვლილი სნეული ფეხები და, აგინებდა და ათრევდა სომხეთს და წერილის პასუხი არც თვითონ დაწერა, არც სხვას დააწერინაო¹⁹³. მიუხედავად ასეთი ფიცხი ხასიათისა და სიმკაცრისა, დიპლომატიაში კირონი სამაგალითო თავშეკავებას და სიდინჯეს იჩენს. არც ერთი მისი წერილი, განსხვავებით აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეებისაგან, ადღეღებული კაცის ნაწერს არ გავს, არსად გადაუხვევია ზრდილობისა და ტაქტის ნორმებისაგან.

როგორც ვხედავთ, კირონი მცხეთელისა და კიროს ფაზისელის (ალექსანდრიელის) იდენტიფიკაციას მათი ხასიათების მსგავსება აშკარად ხელს უწყობს.

2

მეცნიერთათვის დღემდე უცნობია მარონიტთა სექტის სახელწოდების წარმომავლობა. ცნობილია, რომ მარონიტები მონოთელიტური წვალების უკანასკნელი ნაშიერნი არიან და შემორჩნენ ლიბიასა და სირიაში¹⁹⁴. ფიქრობენ, რომ მათი სახელი შეიძლება უკავშირდებოდეს ანტიოქელ მოღვაწეს მარონს, რომელიც 400 წელს გარდაიცვალა. ცხადია, ამ ვარაუდს თვით მისი ავტორებიც კი ვერ დაუჭერენ მხარს მტკიცედ. მონოთელიტური ერესი VII საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა და IV საუკუნის მოღვაწე მისი ერესიარხი ვერ გახდებოდა. მთლად დამაჯერებელი არ ჩანს მეორე ვარაუდიც, რომლის მიხედვითაც მარონიტების სახელი მომდინარეობს ანტიოქიის პატრიარქის—აუჩანნა მარუნის—სახელიდან, რომელმაც, შესაძლოა, ლიბია მონოთელიზმზე მოაქციაო. საქმე ის არის, რომ აუჩანნა მარუნი 707 წელს გარდაიცვალა და მისი მოღვაწეობის ხანაში (680 წლიდან) უკვე დაგმობილი იყო მონოთელიტობა. VI მსოფლიო კრების აქტები-

¹⁹³ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 43.

¹⁹⁴ The Encyclopedia Britanica, V. 17, London, 1926; F. Cross, The Oxford Dictionary of Christian Church, London, 1958; P. Dib, L'Eglise maronite, vol. I, 1930; P. Pargoire, L'Eglise byzantine de 527 a 847, Paris, 1905, გვ. 167-170; G. Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur, I, გვ. 65-68; J. B. Chabot, Les listes patriarcales de l'Eglise maronite. Etude critique et historique, Mémoires de l'Academie des inscript. et belles-lettres, 43, 1936; Kamal S. Salibi, The Maronite Church in the Middle Ages and its Union with Rome, Oriens Christianus, 42, 1958, გვ. 92-104, ბოლო ხანებში არის მარონიტების მონოთელიტობიდან წარმომავლობის უარყოფის ცდა (იხ. W. Crawford, William of Tyre and the Maronites, Speculum, 30, 1955, გვ. 222-228), მაგრამ მას ჯერჯერობით მომხრე არ ყავს.

დან და მონოთელიზმის ლიდერების (სერგი კონსტანტინეპოლელი, რომის პაპი ჰონორიუსი, კიროს ალექსანდრიელი) მიმოწერიდან და ნამდვილებით ვიცით, რომ ლიბია მონოთელიზმზე კიროს ალექსანდრიელმა მოაქცია. კიროს ალექსანდრიელის მიერ შედგენილი 9 მუხლიანი უნიონალური პაქტი სწორედ ლიბიელებს ეხებოდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სახელი „კირონ“ „კიროსის“ იდენტურია და დაბოლოება „-ონ“ შესაძლოა სირიული დიმიწუტივის აღმნიშვნელი ფორმანტი იყოს¹⁹⁵. მარონ სახელის „-ონ“ დაბოლოება ასეთივე სუფიქსი უნდა იყოს და ამის, ანალოგიები აღმოსავლელი კათალიკოსების სახელებში უამრავია. რაც შეეხება სახელის ძირს „მარ-“, იგი ზუსტი თარგმანია ბერძნული ძირის „კირ-“. ბოლოტოვი აღნიშნავს, რომ სირიელი კათალიკოსების სახელებში გავრცელებულია „მარ-“ ძირიდან ნაწარმოები სახელები და ეს უნდა იყოს ბერძნული „კიროს“ ტიპის სახელების სირიულად გადმოცემის ცდა. ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა: 1. ლიბია მონოთელიტობაზე მოაქცია კიროს ალექსანდრიელმა (ფაზისელმა) და იგია მარონიტების ერესიარხი¹⁹⁶. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სახელსაც აღნიშნული სექტა მისგან მიიღებდა. 2. სახელი „მარონ“ ზუსტი ასლია „კირონ“ სახელის¹⁹⁷. 3. ჩვენ წამოვკვერით კიროს ალექსანდრიელისა და კირონ ქართლის კათალიკოსის იგივეობის იდეა და ვფიქრობთ, მარონიტების ერესიარხის სახელი „მარონ“ მხარს უჭერს ამ ცდას.

3

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დღეს აღმოსავლეთმცოდნეობაში სადავო თითქმის აღარ არის კიროს ალექსანდრიელისა და ალ-მუჟაკვასის იგივეობა. ამ დებულების დამამტკიცებელ ერთ-ერთ ძლიერ არგუმენტად, როგორც ბოლოტოვს, ისე ბატლერს მიაჩნიათ სწორედ წოდება

195 იხ. კომენტარები XI, 1; ზ. ალექსიძე, „კირონ“ სახელის ეტიმოლოგიისათვის, სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, XLI : 1, 1966, გვ. 252—256.

196 კიროს ალექსანდრიელს (და საერთოდ მონოთელიტებს) მარონიტს უწოდებს თეოდორე აბუკურა. იხ. G. Graf, Die arabischen Schriften des Theodor Abu Qurra, Paderborn, 1910, გვ. 103—104, 117—120. არაბულ ხელნაწერებში რომ „მარონიტ“ ეწერა, გამომცემელმა ყველგან „მონოთელიტი“ შეცვალა. გ. გრაფს გერმანულ თარგმანში „მარონიტი“ აღდგენილი აქვს. იხ. ციტ. ნაშრ., გვ. 104, შენ. 2.

197 „კირონ“ და „კიროს“ სახელების სირიულად „მარ“- ძირიდან ნაწარმოები სახელებით გადმოცემის შესახებ იხ. В. В. Болотов, Из истории церкви сироперсидской, С. -Петербург, 1901, გვ. 125—126.

„მუკავკას“. მათზე უფრო ადრე არა ერთი და ორი ვარაუდი წამოყენეს სპეციალისტებმა ამ სახელის გასახსნელად, მაგრამ წარუმატებლად. ბოლოტოვმა და ბალტერმა კიროსის ფაზისთან კავშირი გაითვალისწინეს და „მუკავკასში“ კავკასია დაინახეს ასახული. ოღონდ მათი კონცეფციები მაინც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ბოლოტოვს ვერ წარმოედგინა, რომ კიროსი შეიძლებოდა რომელიმე კავკასიური ტომის წარმომადგენელი ყოფილიყო. ამიტომ ცდილობდა „მუკავკასში“ გაკავკასიელებული დაენახა: კიროსი, სახელის მიხედვით ჩანს, რომ ეგვიპტური წარმოშობის იქნებოდა და კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ დაცივნით ალბათ „გაკავკასიელებულს“ ეძახდნენ¹⁹⁸. მისი აზრით „მუკავკას“ ბერძნული ἡ κενταύροις-ის გადმოცემის ცდაა. ბოლოტოვის ვარაუდს რამდენიმე დაბრკოლება ეღობება: ჯერ ერთი, სახელი „კიროს“ სრულიადაც არ მიუთითებს ადამიანის ეგვიპტურ წარმოშობაზე და მთელს ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულია, მით უმეტეს ბიზანტიის იმპერიაში. მეორეც, შეუძლებელია ისეთი მსხვილი პოლიტიკური მოღვაწისათვის, როგორც კიროსი იყო შეერქმიათ დაცივნით რაიმე სახელი და ისიც ისე, რომ თითქმის მის ერთადერთ სახელად ქცეულიყო. შემთხვევითი კი არ არის, რომ ზოგი სპეციალისტი ცდილობს „მუკავკას“-ში სრულიად საწინააღმდეგო (საპატიო) მნიშვნელობის ბერძნული სიტყვა *μαρτυραχίς* ამოიკითხონ¹⁹⁹. რასაკვირველია, არაბული „მუკავკასის“ კოპტური ფორმა „პკავკიოს“ სრულიადაც არ არის ახლოს ბერძნულ ἡ κενταύροις-თან. ჩანს, გაცილებით უფრო მართალია ბატლერი, როცა „მუკავკას“-სა და „პკავკიოს“-ში ხედავს ἡ Καναχάσις ან Καναχάσις -ს (ნაკლებ სავარაუდოა ბატლერის მიერ წამოყენებული მეორე ფორმა ἡ Κόλχιδας)²⁰⁰. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ბატლერის ვარაუდს, მაგრამ აქვე დავუმატებთ: თუ კი ვინმე კოლხეთიდან ყოფილა ოდესმე ბერძნულ სამყაროში გადასული, ზედსახელად ან პონტოელი, ან ლაზი, ან ფაზისელი და მისთანები შერქმევია. იქნებ სახელი კავკასიელი უფრო უპრიანი იყო ისეთი ქართველი მოღვაწისათვის, რომლის ასპარეზი არც მხოლოდ იბერიით შემოიფარგლებოდა და არც ლაზიკით. ასეთი იყო სწორედ კიროს ქართლის კათალიკოსი და ეგრიისის არქიეპისკოპოსი.

¹⁹⁸ К истории императора Иракла. გვ. 72—73.

¹⁹⁹ იქვე, გვ. 69. ვ. ბოლოტოვი მიუთითებს, რომ *μεραυχίς* VII საუკუნეში არ იყო ცოცხალი სიტყვა და მას ვერავის შეარქმევდნენ.

²⁰⁰ A. Butler, The Arab Conquest of Egypt, გვ. 526.

იბნ აბდ-ალ ხაკამის ცნობით აღ-მუჟაჯვასს ყავდა ცოლი, განთქმული თავისი ვენახით და მისი მოვლა-პატრონობით²⁰¹. იაკუთი მოგვითხრობს ლამაზ ისტორიას მუჟაჯვასის ქალიშვილის არმანუშას შესახებ, რომელიც გაემგზავრა კესარიას ჰერაკლე კეისრის ვაჟთან კონსტანტინესთან საქორწინოდ. გზაში არმანუშამ შეიტყო, რომ კესარიას არაბთა ალყა ერტყა და უკან გამობრუნდა ეგვიპტისაკენ. ციხექალაქ ბილბაისთან მას არაბთა სარდლის ამრის ლაშქარმა მოუსწრო. დიდხანს იცავდა ულამაზესი ქალწული თავის ამაღასთან ერთად იარაღით ხელში ციხეს, მაგრამ ვერას გახდა. არაბებმა შეიპყრეს ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ და ამრს მიჰგვარეს. ქალიშვილის სიმამაცითა და სილამაზით მოხიბულმა სარდალმა არმანუშა მთელი სიმდიდრითა და გადარჩენილი ამაღით უვნებლად დაუბრუნა ალქსანდრიის პატრიარქს²⁰². ამ ორ საინტერესო გადმოცემას კიროს-მუჟაჯვასის ცოლისა და შვილის შესახებ ბატლერი არაბული დამეგბის მიბაძვით შეთხზულ მითად თვლის: „სამწუხაროა — წერს იგი — რომ ეს მითები, რომლებიც ხშირად შთავგონებულია არაბული დამეგბის ფანტაზიით, უნდა განიღვენოს ისტორიის ფარგლებიდან“²⁰³.

ბატლერის ერთადერთი და უძლიერესი არგუმენტი ის არის, რომ კიროსი პატრიარქია და არ შეიძლება ცოლ-შვილი ყავდეს. მართლაც, უკვე იუსტინე კეისრის დროიდან უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალთ ბიზანტიის იმპერიაში აღარ შეჰფერით ცოლოსნობა²⁰⁴, მაგრამ კიროსი ხომ მუდამ ალექსანდრიის პატრიარქი არ ყოფილა. ამასთან ეგვიპტე სრულიადაც არ არის განთქმული ვენახის გაშენების ოსტატობით და საერთოდ მევენახეობა აქ იშვიათი ხილია. სწორედ ამიტომ გახდა კიროსის ცოლის ნამოღვაწარი აბდ-ალ ხაკამისგან სპეციალური აღნიშვნის ღირსი. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ კიროსი ალექსანდრიის პატრიარქობამდე ფაზისის (ეგრისის) მიტროპოლიტი იყო და იმასაც დავუმატებთ, რომ შესაძლოა, ივია ქართლის კათალიკოსი კირონი, მისი ცოლის ასე გაწვრთნილობა მევენახეობის საკითხებში აღარ გავვაოცებს. ბატლერის ურწმუნოება კიროსის ცოლოსნობის შესახებ საერ-

²⁰¹ A. Butler, *The Arab Conquest of Egypt*, გვ. 216.

²⁰² E. Quatremère, *Memoires Géographiques et Historiques sur l'Égypte*, Paris, 1811, I, გვ. 53—54; Stanley Lane-Poole, *A History of Egypt in the Middle Ages*, London, 1901, გვ. 6—7; E. L. Butcher, *The Story of the Church of Egypt*, I, გვ. 359—360.

²⁰³ A. Butler, *The Arab Conquest...*, გვ. 216; სიფრთხილით მოკიდებასა და გამოყენებისა შემოწმებას მოითხოვს სტ. ლენ-პულიც. იხ. ზემოთ მით. ნაშრომი, გვ. 6—7.

²⁰⁴ Суворов, *Учебник церковного права*, Москва, 1913, №3, 357; Е. Смирнов, *История христианской церкви*, П., 1915, გვ. 317.

თოდ უადგილო გამოჩნდება, თუ კი დავიჯერებთ კიროსისა და კირონის იგივეობას. კირონ ქართლის კათალიკოსი დასახელებულია მხოლოდ ერთ-ერთად ქართლისაჲ“-სთვის დართული სიის ცხრა ცოლოსან კათალიკოსს შორის²⁰⁵. ქართველმა მემკვიდრეებმა იცის, რომ ქართლის კათალიკოსები ყოველთვის ცოლოსნები არ იყვნენ და როგორც ჩანს, იმის ცნობებიც აქვს, თუ რომელნი იყვნენ ოჯახს მოკიდებულნი²⁰⁶. მაშასადამე, კირონ მცხეთელი ცოლოსანი კათალიკოსია და თუ იგი მართლაც კიროს ფაზისელია, შესაძლოა, ყოლოდა ლამაზი და მამაცი ქალიშვილი არმანუშა (Armanûsah). რაც შეეხება თვით სახელის ეტიმოლოგიას, უეჭველია, ფალაური არეალისკენ, უფრო კი სომხეთისკენ, მიგვაპყრობინებს ყურადღებას. „არმანი“ (armanî) ან „არმენ“ სომეხთა ერთი ეპონიმი (სომეხებში ინდო-ევროპული ნაკადის ეპონიმი) და ფრიალ გავრცელებული საკუთარი სახელია უძველესი ხანიდან. სახელი *Արմანიკ* ახლაც გავრცელებულია დასავლეთ სომეხებში და ითვლება *Արმენ + ანიკ* შედგენილად, რაც „არმენის ქალიშვილს“ ნიშნავს²⁰⁷. სხვა ეტიმოლოგია ამ სახელს არ ეძებნება და ბერძნული თუ ეგვიპტური სამყარო სრულიად გამორიცხულია. თუ კიროს ალექსანდრიელში კირონ მცხეთელს არ დავინახავთ, იძულებული გავხდებით ბატლერის მსგავსად წყაროების ცნობა კიროს-მუჟაკვასის ცოლ-შვილის შესახებ ლეგენდად ჩავთვალოთ და ამ უადრესად საინტერესო მოღვაწის ბიოგრაფიის დასადგენად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი უკუვაგდოთ. კირონ მცხეთელი ქართლში დაბრუნდა დაახლოებით 35 წლისა. სავარაუდოა, რომ ცოლს იგი სომხეთში შეერთავდა და მისი ქალიშვილის სომხური ეტიმოლოგიის მქონე სახელიც ასე აიხსნებოდა. არც ის გარემოება იქნებოდა უცხო, რომ კირონს თავისი ქალიშვილისათვის ქართლში შეერქმია ფალაურ-სომხურად გაფორმებული სახელი. ასეთი სახელები ხომ ქართლშიც მრავლად იყო გავრცელებული.

5

კიროსი, სპეციალისტების აღნიშვნით, არაბულ წყაროებში მოიხსენება კიდევ ორი სახელით: „გიორგი მინას ძე“ და „გიორგი კარაბის ძე“.

²⁰⁵ ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 97.

²⁰⁶ საყურადღებოა, რომ 431 წლის ეფესოს მსოფლიო კრების შემდეგ საეკლესიო კრებების დადგენილებები ეპისკოპოსების ცელიბატის შესახებ სომხეთისათვის კანონის ძალას არ ატარებდნენ, რადგან მათი წარმომადგენლები ამ კრებებს აღარ ესწრებოდნენ. იხ. Y. Gulbekian, Clerical Celibacy and the Church of Armenia, London, 1966, გვ. 4—5.

²⁰⁷ ზ. Ա Ն ա ո յ ա ն, Աճճճճճճճճճճ, I, გვ. 290.

განვიხილოთ ჯერ პირველი. ყველა მკვლევარს, ვინც კი აღმოაჩინა კავკასის საკითხს შეხებია, საგონებელში აგდებდა არაბულ წყაროებში

მისი მოხსენიება ḡuriğ ibn mena-დ (جریح ابن مینا). ḡuriğ-ს (جریح) ისინი „გიორგიდ“ იგებდნენ და ამ გამოთქმას ასე გაშიფრავდნენ ხოლმე: გიორგი მენას ძე. მაგრამ ახლა თვითონ სახელი გიორგი იწვევდა ეჭვს. თვლიდნენ, რომ არაბი ისტორიკოსები, ან მათი წყარო, ურევენ მუკავკასის კირონის წინ მყოფ ალექსანდრიის პატრიარქ გიორგიში, ან ქალაქ ბაბილონის ციხისთავში, ან კიდევ ერთ-ერთ ბიზანტიელ სარდალში²⁰⁸. მაგრამ ასეთი ახსნა იმდენ წინააღმდეგობას იწვევდა და იმდენად ნაძალადევი ჩანდა, რომ თვითონვე გაუბედავად აყენებდნენ ამ მოსაზრებებს. საქმე ის არის, რომ არაბული ფორმა სახელისა — جریح

جریح²⁰⁹ სრულიადაც არ მიუთითებს მხოლოდ სახელ გიორგიზე. არაბული დაწერილობით (მით უფრო გაუხშივანებლად) აღრინდელი ქრისტიანული ხანის ძეგლებში, სადაც tašdid-ი ჩვეულებრივ არ აღი-

ნიშნება, გიორგი და ეთნიკური სახელი „ქართველი“ — جریحی, كرجی²¹⁰ —სავესებით იდენტური შეიძლება იყოს ერთმანეთის. ამას კარგად ადასტურებს „ლიმონარის“ არაბულ ვერსიაში (X ს.) საკუთარი სახელის „გიორგის“ დაწერილობა جریح²¹¹. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კოპტურ სამყაროში მუკავკასი ცნობილი იყო როგორც ქართველი და ეს გარემოება ასახულია მის სახელებში თანადროული წყაროების მიერ. შემდეგში მისი წარმომავლობა მივიწყებულ იქნა და Al-Muḡawḡas-თან ერთად ḡuriğ-იც მის სახელად იქცა გარკვეული დამახინჯების შემდეგ. თუ ასეა, მაშინ კიროს-მუკავკასის კიდევ ერთი სახელი იქნებოდა „ქართველი მენას ძე“.

რაც შეეხება „მენას ძე“-ს ვფიქრობ, არც აქ არის რაიმე გადაულახავი დაბრკოლება (სპეციალისტებს აეჭვებადათ მუკავკასის ერთდროულად ორი მამის სახელით „მენა“||„მინა“ (مینا) და „ქარკაბ“ (قرقوب، قرقوب) მოხსენიება). საქმე ის არის, რომ მონოთელიტე-

²⁰⁸ A. Butler, *The Arab Conquest...* გვ. 517—522; В. Болотов, *К истории...* გვ. 68.

²⁰⁹ გვხვდება გადამწერლებისგან დამახინჯებული ვარიანტებიც: Al ‘Uairij, Al ‘Ughairij. ეს ფორმები ისევეა დაცილებული „გიორგის“, როგორც „ქართველს“.

²¹⁰ შდრ. ი. აბულაძე, ტერმინი „გურჯი“-ს ეტიმოლოგიისათვის, მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, 1934, გვ. 296.

²¹¹ აღ-ბუსთან (X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით), არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა რუსულადან გვარამიაშვილი, თბილისი, 1965, 297v, 299r, 298v, 298r, 325v.



ბი (სერგი კონსტანტინეპოლელი) ღმერთის ერთი ნებისა და მისი მოქმედების დასაბუთებაში დასაყრდენად იყენებდნენ კონსტანტინეპოლის პატრიარქის წერილებს რომის პაპის ვიგილიუსისადმი. როგორც კი პირველად წამოიჭრა ერთი ენერგიის საკითხი, სერგიმ მინას წერილის ასლი გაუგზავნა კიროს ფაზისელს და ამიერიდან ეს უკანასკნელიც მონოფიზიტებთან (კობტებთან) თუ ქალკედონიტებთან (სოფრონ პალესტინელი) კამათში მინას ავტორიტეტს ეყრდნობოდა²¹². ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ VI მსოფლიო კრებამ მინას აღნიშნული წერილი ნაყალბევად მიიჩნია, რადგან იგი არ აღმოჩნდა მისი წერილების ოფიციალურ რეესტრში²¹³. რა გასაკვირია, რომ კიროსის მოწინააღმდეგეებს მისთვის მინას მიმღევარი ეწოდებინათ და ამგვარი სახელიც შეერქმიათ. შესაძლოა, არაბმა ისტორიკოსებმა ველარც გაარკვიეს თავისი წყაროების განზრახვა მინას იდეურ შთამომავლად გამოეცხადებინათ კიროსი და „იბნ მინა“ უწოდეს.

ზემოთ უკვე ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ შესაძლოა ჯურიჯ (جرجي) ქართველს გულისხმობდეს. გასარკვევია ახლა მისი მამის სახელი Karkab (قرقب، قرقوب). ბატლერის დაკვირვებით „კრკბ“ ძირის სახელი გადამწერთაგან დამახინჯებული „კრკრ“ (قرق) უნდა იყოს, ხოლო აბუ შალიხის ჩვენებით „კრკრ“ მიღებულია Gregorius-იდან²¹⁴. „იბნ კარკარ“ უნდა ნიშნავდეს „გრიგორის ძეს“. ბატლერი მიუთითებს, რომ ეს სახელი დიდად გავრცელებულია სომხეთში და მას დღესაც შეესატყვისება კობტურში ფორმა Karkûr. ამრიგად, ბატლერის აზრით, Karkar ფორმა კვლავ სომხურ სამყაროზე მიგვიითითებს²¹⁵. ჩვენი მხრივ, დავუმატებდით ამავე სახელის ქართულ ფორმას „გრიგოლ“, რომელიც -იღ ბერძნული დაბოლოების უქონლობით ახლოს დგას როგორც სომხურთან, ისე ზემოთ მოხსენებულ კობტურ ფორმასთან მუჟაკვას-კიროსის მამის სახელისა.

ამრიგად, თუ მისაღებია ბატლერის დაკვირვებები გარკვეული კორექტივებით, კიროს ალექსანდრიელი (ფაზისელი) კობტურ-არაბულ სამყაროში ცნობილი უნდა ყოფილიყო რამდენიმე სახელით: ძე გრიგოლისა, ქართველი ძე მინასი და კავკასიელი.

²¹² Mansi, Consiliarum, col. 529.

²¹³ იქვე, col. 528.

²¹⁴ Abû Sâlih, Churches and Monasteries of Egypt, Ed. Evetts and Butler, Oxford, 1895, გვ. 156.

²¹⁵ A. Butler, The Arab Conquest..., გვ. 523.

იოანე ნიკიელის ქრონიკაში კიროსი უმეტესად (25-ჯერ) ჰატრიარქად (bâbâ), ხოლო იშვიათად—(3-ჯერ) პატრიარქად (liqa pâpâsat) იხსენიება. ბოლოტოვის აზრით, ის ადგილები, სადაც კიროსს „პაპა“ ეწოდება, ნასესხებია ადგილობრივი ეგვიპტური წყაროებიდან, რადგან ალექსანდრიის პატრიარქს ἰ παπᾶς აქ უწოდებენ. სადაც პატრიარქად არის წოდებული, იოანე ნიკიელი სარგებლობს ნახევრადოფიციალური ბერძნულ-ალექსანდრიული ჩანაწერებით²¹⁶. ბატლერი აჩვენებს, რომ ზოგ არაბულ წყაროში (ტაბარი) კიროსი კათალიკოსად არის წოდებული²¹⁷. ასეთი სახელით ეგვიპტურ-ბერძნულ სამყაროში პატრიარქი არ აღინიშნება. ბატლერი შენიშნავს, რომ ეკლესიის მწყემსმთავრები ასეთი სახელით ნესტორიანულ და სომხურ ეკლესიებში იწოდებიან და ხშირად გვხვდება სებეოსთან. ბატლერი ამ მოვლენის ახსნას ორგვარად ცდილობს: ერთი, რომ კათალიკოსის სახელის ქვეშ კიროსი კი არა ბენიამინი (ყოფილი მონოფიზიტი კათალიკოსი ალექსანდრიისა) იგულისხმება და მეორე, ტაბარი სპარსული წარმოშობის ისტორიკოსია და შეიძლება ეს სიტყვა სკოდნოდა. ჩვენი მხრივ დავუმატებდით: ტერმინი კათალიკოსი ისევე გავრცელებული საქართველოში, როგორც სომხეთში²¹⁸. ქართლიდან წასულ კათალიკოსს ეს სახელი შეეძლო თან წაეღო და არაბულ წყაროებშიც ასე გაჩენილიყო.

7

ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ კირონის შესახებ ცნობები აღარა გვაქვს. ნ. აკინიანი ვარაუდობს, რომ კირონი ღრმად მოხუცი უნდა გარდაცვლილიყო და VII საუკუნის მეორე ნახევრამდე მიეწია²¹⁹. არ ვიცით, რას ეყრდნობა ნ. აკინიანი, როცა ამას ამბობს, მაგრამ კირონისა და კიროსის გაიგივებით კი სწორედ ასეთ თარიღს ვიღებთ. სომხურ საისტორიო მწერლობაში მხოლოდ ერთი ცნობა შემორჩა კირონის უკანასკნელი დღეების შესახებ. უხტანესი წერს, რომ ამბობენ, მძიმე სნეულება შეეყა-

²¹⁶ В. Болотов. К истории имп. Ираклия, гл. 104—105.

²¹⁷ A. Butler, *The Arab...*, გვ. 513—514.

²¹⁸ კათალიკოსად ეკლესიის მეთაური იწოდება სირიაში, ქართლში და სომხეთში. იხ. H. Gelzer, *The Anfänge der armenischen Kirche*, 1895, გვ. 139; Н. Адонц, *Армения в эпоху...*, გვ. 367.

²¹⁹ ნ. Ա. Կ ի ռ ո ս ի, *Կիրիონ...*, გვ. 260.

რა და სამინელი ტკივილებით აღასრულა სიცოცხლე²²⁰. მეტად საინტერესოდ ემოხვევა კიროსის ბედი კირონის უკანასკნელ დღეებს. კიროსმა აფრიკაში სრული კრაზი განიცადა: ბიზანტიის კარგი აღაზრდილობა, კოპტებთან ცუდი დამოკიდებულება აქვს, ალექსანდრია ჩაბარდა არაბებს. გატყდა სულიერად და ხორციელად მრავლის მხაზველი მოხუცი. მწვავე დიზენტერია შეეყარა და ვეღარ გაუძლო დაუძღურებულმა სხეულმა. ერთ კვირაში, 642 წლის 21 მარტს დაამთავრა დიდი წარმატებებითა და მარცხით აღსავსე ცხოვრება კიროს ალექსანდრიელმა, ყოფილმა მიტროპოლიტმა ეგრიისისა (კათალიკოსმა ქართლისა, წინამძღვარმა დვინის კათოლიკე ეკლესიისა, დიაკვნმა ნიკოპოლისისა?)²²¹. კიროსის დიზენტერიით გარდაცვალებას გვამცნობს იოანე ნიციელი; ხოლო კოპტური ტრადიციით (სევეროსი) კიროსმა თავი მოიწამლა გემმაზე მოთავსებული საწამლავით. გამოცანად დარჩა მისი ნაციონალობა, სარწმუნოება, სამოხელეო რანგი. წყაროები მას მელქიტსაც უწოდებენ და იაკობიტსაც, ბერძნადაც თვლიან, რომელადაც და კოპტადაც; ანიჭებენ მემფისისა და კოპტების მთავრის, ეგვიპტის ფინანსთა კონტროლიორის, ეგვიპტის მმართველის და პატრიარქის, ალექსანდრიის მმართველის და კოპტების მეფის წოდებას.

8

1950 წელს სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა კიდევ ერთი ქართული ძეგლი საზღვარგარეთ. Ugo Monneret de Villard-მა ეგვიპტეში თებეს ნეკროპოლზე, სოფ. Qurnet Mur'ai-ის მახლობლად გათხარა კოპტურ სამყაროში სრულიად უცნობი ტიპის ეკლესიის ნაშთი²²². აღმოსავლური შუა საუკუნეების არქიტექტურის ამ ცნობილმა სპეციალისტმა მის მიერ გათხრილი ძეგლის პარალელები მხოლოდ საქართველოში დაძებნა და ნაშრომსაც სათაურად მისცა „ქართული ტიპის ეკლესია თებეს ნეკროპოლზე“. მონერე დე ვილარის ვარაუდით ეგვიპტეში აღმოჩენილი ქართული ეკლესია უნდა მიეკუთვნოს ქართული არქიტექტურის იმ ტიპს, რომელიც სამეკლე-

²²⁰ შათოქი ხ ჯარ აქოთი სოთოქიძოძე ათხნ ქნარხაქ ცხსანა ჯარ სქინინ აქნ სქიოთაყი: მ. ს. ხ. ო. ა. ნ. ს. ა. II, გვ. 108.

²²¹ კიროსის გარდაცვალებას სხვაგვარადაც ათარიღებენ: 10 აპრილი 643 წ.—იხ. F. Nau, *Politique matrimoniale...*, გვ. 17; 641 ან 643 წ.—G. Graf, *Geschichte der christlichen...*, გვ. 469.

²²² U. Monneret de Villard, *Una chiesa di tipo georgiano nella necropoli Tebana*, *Coptic Studies in Honor of Walter Ewing Crum*. Boston, 1950, გვ. 495—500.




სიანი ბაზილიკის სახელით არის ცნობილი. იგი თარიღდება არა უადრეს IX—X საუკუნეებისა. ეკლესია აგებულია გამოუმწვარი აგურით და ხელოვნების თვალსაზრისით დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. მაგრამ მისი გეგმა კი ინტერესს იწვევს. არქიტექტურული ფორმა, მონერე დე ვილარის აზრით, წარმოიშვა არა კონსტრუქციული საჭიროების გამო, არამედ ნაკარნახევია ლიტურგიკის თავისებურებით. ეგვიპტეში არ არსებობს ორმაგი და სამმაგი სახელობის ეკლესიები; ასეთი ტიპის ეკლესიის წარმოშობა შეუძლებელი იქნებოდა აგვესნა კობტური ლიტურგიკითაც. ამიტომ ავტორი თვლის, რომ ეს უცხო ტიპის ეკლესია შემოტანილია შემთხვევით ეგვიპტეში შემოსული ერთი ან რამდენიმე ქართველი ბერის მიერ. მონერე დე ვილარი გრძნობს ამ უკანასკნელი ვარაუდის სისუსტეს. მან კარგად იცის, რომ IX—X საუკუნეებში კობტურ სამყაროში ქართველი ბერების ძებნა სასურველ შედეგს არ მოგვცემს და იძულებულია დაასკვნას: შესაძლებელია ქართველი ბერები სომხურ ახალშენებს შემოჰყვინნო.

მონერე დე ვილარის წერილს გამოეხმაურა ცნობილი ქართველოლოგი მ. თარხნიშვილი²²³. მან მაშინვე შეამჩნია ვილარის სტატიაში სუსტი ადგილები. თარხნიშვილს ეჭვი შეაქვეს ძეგლის დათარიღებაში და სავსებით კანონიერად გადაჭრით უარყოფს IX—X საუკუნეებში ეგვიპტეში ქართველი ბერების საამშენებლო მოღვაწეობას და მით უფრო, სომხურ ახალშენებში მათ მონაწილეობას. ვილარის თარიღის მოსახსნელად მ. თარხნიშვილს მოაქვს მეორე არგუმენტიც: IX—X საუკუნეებში ამ ტიპის ეკლესიებს უკვე საქართველოშიც აღარ აშენებდნენ და რა აზრი ჰქონდა მის აღდგენას ეგვიპტეშიო. მას საქართველოს ტერიტორიაზე სამეკლესიანი ბაზილიკის გავრცელების ხანად V—VII სს. მიაჩნია. თუ ასეა, მაშ როდის უნდა ყოფილიყო აგებული ეკლესია თებეს ნეკროპოლზე? მ. თარხნიშვილი ეყრდნობა ვილარის დაკვირვებას, რომ აღნიშნული ეკლესია ყველაზე მეტ მსგავსებას იჩენს უფლისციხის ეკლესიასთან, მაგრამ აქედან აკეთებს ვილარის სრულიად საწინააღმდეგო დასკვნას: უფლისციხის ეკლესია მსგავს ბაზილიკათგან (ბოლნის-ქაფანაქჩი, საგურამო, ჭერემი და სხვა) უძველესია, ამიტომ მისი აშენების თარიღი VI საუკუნეზე ადრე უნდა ვეძებოთ. ეკლესია აშენებული უნდა იყოს პეტრე იბერის მიერ V საუკუნეში, რასაც ადასტურებს მისი ცხოვრების ქართული ვერსია²²⁴. მ. თარხნიშვილმა იცის, რომ პეტრეს ბიოგრაფიის აღსადგენად მისი ქართული „ცხოვრება“ არ არის სანდო, ხოლო სირიული ტექსტი კი

²²³ Un vestige de l'art Georgien en Egypte, Bedi Kharthlisa, 32—33, VI—VII, 1959.

²²⁴ იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960, გვ. 5, შენ. 2.



პეტრეს აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ ეგვიპტეში არაფერს ამბობს. ამიტომ შენიშნავს: არ ვიცით ეს ცნობა ძველია თუ ახალია. ზეა დამყარებული, თუ ქართველმა მთარგმნელმა ერთში მ. თარხნიშვილი უდავოდ მართალია: VII საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული მას ვეღარ წარმოუდგენია შუა მონოფიზიტურ სამყაროში ქართული ძეგლის გამოჩენა და ეგვიპტეში ქართველ ბერებსა და ეკლესიის აშენების თარიღსაც VII საუკუნეზე ადრე ხანაში ეძებს.

გ. ჩუბინაშვილი კახეთის სამეკლესიანი ბაზილიკების განხილვისას სპეციალურად აჩერებს ყურადღებას მონერე დე ვილარის წერილზე თებეს ქართული ეკლესიის შესახებ²²⁵. იგი არ მსჯელობს ძეგლის თარიღის შესახებ, უეჭველია იმიტომ, რომ ხელთ არსებულ მასალას არ თვლის საკმარისად. მაგრამ, როდესაც ვილარის არგუმენტაციაზე ლაპარაკობს, შენიშნავს მის უზუსტობას სამეკლესიანი ბაზილიკის უძველესი ნიმუშების დახასიათებისას. ვილარი მხოლოდ უფლისციხეს მიიჩნევს წმინდა სამეკლესიან ბაზილიკად, სადაც თითოეული ეკლესია სხვადასხვა სახელობისაა. ვასაგებია, რომ ვილარი თებეს ეკლესიის განსაკუთრებულ მსგავსებას უფლისციხესთან სწორედ ამიტომ ხედავს და თარიღიც მისთვის IX—X საუკუნეებით განისაზღვრება.

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს? — 1. ვილარის თარიღი (IX—X სს.) არ ჩანს დასაბუთებული. იგი არ აძლევს ზუსტ შეფასებას ბოლნის-ქაფანაქჩისა და საგურამოს ეკლესიებს და ამიტომ მეტ სიახლოვეს ხედავს უფლისციხესთან. 2. სავსებით გასაზიარებელია მ. თარხნიშვილის კატეგორიული მტკიცება, რომ IX—X საუკუნეებში (ფარგლები კიდევ უფრო მეტად შეიძლება გაიზარდოს — VII საუკუნის დამდეგიდან დღემდე) ქართველ დიოფიზიტ ბერებს არავითარი კონტაქტი არ ჰქონდათ სომეხ მონოფიზიტებთან, რომ მათ ვაპყლოდნენ ეგვიპტეში. კობტურ სამყაროში VII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ბერების ძებნა და მათ მიერ ეგვიპტეში შექმნილი საკულტო ნაგებობის, რომელიც სრულიად არ ეგუება კობტურ (resp. მონოფიზიტურ) ლიტურგიას — შეუძლებელი ჩანს. 3. ძნელია გაზიარება მ. თარხნიშვილის ვარაუდისა იმის შესახებ, რომ ეკლესია აშენებული უნდა იყოს V საუკუნეში პეტრე იბერის მიერ. პეტრეს აღმშენებლობითი მოღვაწეობა V საუკუნის შუა ხანებს არ სცილდება. ამიტომ ქართლში V საუკუნის დასაწყისში უკვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული ამ ტიპის ეკლესია. იგი უნდა შექმნილიყო IV—V საუკუნეების მიჯნაზე მაინც. საქართველოში სამეკლესიანი ბაზილიკის

²²⁵ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, текст, Тбилиси, 1959.

უძველეს ნიმუშად ითვლება ბოლნის-ქაფანაქჩი, რომელსაც გ. ჩუბინი
ნაშეილი VI საუკუნის ნახევრით ათარიღებს და თვით ამ ტიპის ნავე-
ბობასაც მაშინ წარმოშობილად მიიჩნევს²²⁶. პეტრეს ცხოვრების
თულ ვერსიაში ეგვიპტეში საამშენებლო საქმიანობის შესახებ
შეთხზულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ცნობა არ მოაპოვება გაცილე-
ბით უფრო სანდო სირიულ ვერსიაში, ამასთან, ქართულ ტექსტში
ლაპარაკია საეპისკოპოსო კათედრალის აღშენებაზე²²⁷. თებეს ეკლესია
არ არის იმდენად მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომ კათედრალის პრე-
ტენზია ჰქონდეს.

მაშ როდის შეიძლება აგებულიყო ქართული ტიპის ეკლესია
ეგვიპტის მონოფიზიტურ სამყაროში? სამეკლესიანი ბაზილიკის წარ-
მოშობის თარიღად VI საუკუნის შუა ხანებია მიჩნეული. ეგვიპტეში
ამ ტიპის ეკლესია VII საუკუნის დამდეგს თუ მიადევნდა. ამასთან
VI საუკუნის მეორე ნახევარში არა გვაქვს არავითარი ცნობა აქ ქართ-
ველთა მოღვაწეობის შესახებ. VII საუკუნის დამდეგიდან ქართლი
კურსს ბიზანტიისაკენ იღებს და ქალკედონიანური ხდება. 610 წლიდან
მოყოლებული 631 წლამდე ალექსანდრიის პატრიარქებს შორის
მონოფიზიტებსა აქვთ უპირატესობა, მხოლოდ 631—642 წწ. ზის
ძლიერი დიოფიზიტი (resp. მონოთელიტი) კიროსი. ამ ხანებში
იქმნება უნია ქალკედონიანებსა და თეოდოსიანელებს შორის (633 წ.)
და სწორედ აღნიშნული 10 წლის მანძილზე მოსალოდნელია უცხო
ქალკედონიანი მოღვაწეების გამოჩენა ეგვიპტეში და მათთვის სპეცია-
ლური ეკლესიის აგება. მანამდე კი თვით ალექსანდრიაშიც მეტად
მცირეა ქალკედონიანთა რიცხვი²²⁸. უეჭველია, კიროს ალექსანდრი-
ელი მონოფიზიტებთან გარკვეული წონასწორობის დასამყარებლად
მიიზიდავდა ქალკედონიანებს და მათ შორის სწორედ ქართველებსაც
ეგვიპტეში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თვითონ ტაძრის გეგმის
კავშირი ლიტურგიკასთან და სამეკლესიანი ბაზილიკის შექმნის იდეა,
რომელსაც გ. ჩუბინიშვილი „სპეციალურად ქართულ გამოგონებას
უწოდებს“. ამ ტიპის ეკლესიების შექმნა, მისი აზრით, გამოიწვია
მღვდელთმსახურების გართულებამ და ერთსადაიმაცე საკურთხეველზე
ჟამის წირვის აკრძალვამ. ქართულმა ხუროთმოძღვრებამ პრაქტიკუ-

²²⁶ Церковь близ сел. Болнис-Капанакчи, Христианский Восток, т. V, 1916, Архитектура Кахетии, стр. 141.

²²⁷ „აღაშენეს ეკლესიაჲ და გარემოჲს მონასტერი, და მოიყვანეს ეპის-
კოპოსი და აკურთხეს ეკლესიაჲ“. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული
ლიტერატურის ქრესტომათია, 1, თბილისი, 1946, გვ. 262.

²²⁸ მაკრიზის ცნობით, მთელს ალექსანდრიის საპატრიარქოში ქალკედონიანთა
რიცხვი 400 000-ს არ აღემატებოდა. იხ. A History of Alexandria, II, London, გვ. 72.

ლად გაიაზრა სამნავიანი ბაზილიკა და სამეკლესიანამდე მივიდა. თებეს ეკლესიის შესწავლისას ლიტურგიკიდან ამოსვლა სტეფანე მონერე დე ვილარმაც, მაგრამ კობტურში ვერაფერი აღმოაჩინა. საკითხის ასახსნელად. სწორედ ამიტომ იყო, რომ მკვლევარმა თებეს სამეკლესიანი ბაზილიკა უცხო ტიპის ნაგებობად მიიჩნია და ეგვიპტეში ქართველი ბერებისაგან შემოტანილად ჩათვალა.

ვინაიდან ქართული ლიტურგიკა არ ამკლავნებს ისეთ თავისებურებას, რომელიც სპეციალური საეკლესიო ნაგებობის შექმნას გამოიწვევდა, ქართლში სამეკლესიანი ბაზილიკის შექმნის ასახსნელად შევეცდებით გამოვთქვათ შემდეგი ჰიპოთეზა: VI საუკუნის შუახანებიდან ჰერაკლეს ლაშქრობამდე აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად ჩანს სხვადასხვა ქრისტიანული სექტის მიმდევარი თემები. განსაკუთრებით კი სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც ბოლნის-ქაფანაქი აშენდა. „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით სავსებით ნათელი ხდება, რომ ქართლში არა მარტო მთლიანად საეპისკოპოსოები იყო განსხვავებული აღსარების (მონოფიზიტური, დიოფიზიტური, ნესტორიანული და სხვა, კიდევ უფრო ვიწრო სექტები რომ არ დავასახელოთ), არამედ ერთი საეპისკოპოსოს შიგნით სხვადასხვა თემებიც ერთიანდებოდნენ. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ნათლად ჩანს, რომ VII საუკუნის დამდეგს ასეთი იყო ცურტავის საეპისკოპოსო, სადაც მღვდელთმსახურება აღსრულდებოდა ქართულ და სომხურ ენებზე და არა მარტო ენებზე, არამედ სომხური და ქართული „მოძღვრებით“, „აღსარებით“. უეჭველია, ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა მათი გამიჯვნა ერთი ეკლესიის შიგნითვე და გამიჯვნა ისე, რომ წირვის დროს ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ. ასეთ შემთხვევაში კედლები, სამნავიანი ბაზილიკის სვეტების ნაცვლად, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. შემდეგში, როდესაც ქართული ეკლესია საბოლოოდ ქალკედონური გახდა, ასეთი ტიპის ეკლესია ალბათ ინერციით განაგრძობს არსებობას კიდევ ერთხანს (ამ ვარაუდს მხარს დაუჭერდა მონერე დე ვილარის ცნობა ეგვიპტის ერთი ეკლესიის შესახებ, რომელსაც სამი საკურთხეველი ჰქონდა: ერთი სომხებისათვის, მეორე კობტებისათვის (მონოფიზიტები) და მესამე მელიქიტებისათვის (ქალკედონიანები).

შედეგები

1. კიროს და კირონ სახელები ერთი ძირიდან არის ნაწარმოები და ერთმანეთის იდენტურია.
2. სომხურ მწერლობაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ კირონი იყო ეგრისის მიტროპოლიტი.

3. გვიანი ხანის ქართულ საისტორიო მწერლობაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ კირონ ქართლის კათალიკოსის დროს ლისა და ეგრისის ეკლესიები ერთიანია.
4. კირონ ქართლის კათალიკოსისა და კიროს ეგრისის მიტროპოლიტის შესახებ ცნობები (სომხური და ბერძნული) ქრონოლოგიურად ერთმანეთს აგრძელებენ.
5. კირონ მცხეთელი დიდად განსწავლულია თეოლოგიასა და ბერძნულ ენაში.
6. კიროს ეგრისის მიტროპოლიტი ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების დროს ჩარეულია სომხეთისა და ქართლის საკითხებში.
7. კიროს ეგრისის მიტროპოლიტი მონოთელიტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია. სპეციალისტების აზრით ყველა მონოთელიტი მოღვაწე სომხურ-სირიულ წრეშია გაზრდილი და ასეთი წარმოშობა ითვლება მათი მონოთელიტური განწყობილების წყაროდ. სომხურ გარემოში გაატარა სიჭაბუკის წლები კირონმა და ამასთან ისე, რომ ოცი წლის განმავლობაში ორჯერ გამოიცვალა მრწამსი.
8. მონოთელიტური მოძრაობა მოწოდებული იყო დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების შესარიგებლად. ამ ხაზს ატარებდა ეგვიპტეში გადასული კიროს ალექსანდრიელი და ასევე იქცეოდა ქართლში კირონ მცხეთელი.
9. კიროს ალექსანდრიელის (ფაზისელის) ხასიათი მეტად გავს კირონ მცხეთელისას.
10. მარონიტები მონოთელიტები არიან. მათი ერესიარხი კიროს ალექსანდრიელია და უნდა ვიფიქროთ, სახელი მარონ ამ სექტამ მისგან მიიღო. მარონ სახელი კი ზუსტი გადაღებაა სირიულად კირონ სახელისა. ბოლოტოვის ჩვენებით სირიაში გავრცელებული ყოფილა „კირ“ ძირიანი საკათალიკოსო სახელების სირიულად „მარ“ ძირით ნაწარმოებ სახელებად გადაკეთება.
11. ქართლსა და ეგრისში 30 წლის მანძილზე, 600—630 წლებში, ჯვრის ტიპის ნაგებობები შენდება. ეს წლები ზუსტად ემთხვევა ქართლში კირონ მცხეთელის და ეგრისში კიროს ფაზისელის მოღვაწეობას.
12. კიროს ალექსანდრიელი არაბულ წყაროებში იწოდება კაკვასიელად.
13. კიროს ალექსანდრიელი არაბულ წყაროებში ზოგჯერ კათალიკოსად იწოდება. პატრიარქის აღსანიშნავად ასეთი სახელი არ იხმარება ბერძნულ-ეგვიპტურ მხარეში და იგი სწორედ ქართულ-სომხურ არეალშია გავრცელებული.

14. კიროს ალექსანდრიელი არაბულ წყაროებში მოიხსენიება სახელით *ḡuriḡ* (*guriḡ*), რაც შესაძლოა ქართველს აღნიშნავდეს.
15. კიროს ალექსანდრიელის მამის სახელი არაბულად *ḡurīk* (გახმოვანებით *ḡarḡar*), რაც სპეციალისტების აზრით შეესატყვისება *Gregorius* სახელის სომხურ (დავუმატებლით ქართულს) ფორმას — „გრიგორ“.
16. კიროს ალექსანდრიელს ჰყავდა ცოლი და ქალიშვილი. სპეციალისტების აზრით არაბული წყაროების ცნობა კიროსის ცოლ-შვილის შესახებ ლეგენდაა, რადგან კიროსი პატრიარქია და არ შეიძლება იყოს ცოლოსანი. „მოქცევაჲ ქართლისაჲსთვის“ დართული კათალიკოსების სიიდან მოჩანს, რომ კირონ მცხეთელი ცოლოსანი იყო.
17. კიროს ალექსანდრიელის ქალიშვილის სახელი „არმანუშ“ აშკარად სომხური ეტიმოლოგიის მქონეა. კირონ მცხეთელი დაახლოებით 35 წლის ასაკში დაბრუნდა სომხეთიდან. მოსალოდნელია, ცოლსაც იქ შეირთავდა.
18. კიროსის ცოლი განთქმული იყო ვენახის მოვლა-პატრონობით. შესაძლოა, ესეც მის კავკასიურ წარმოშობაზე მიუთითებდეს.
19. კიროს ალექსანდრიელი არ იყო ბერძენი თუნდაც იმიტომ, რომ არაბებთან დადებული კაპიტულაციის აქტში შეიტანა მუხლი ბერძნების ქალაქიდან გასახლების შესახებ.
20. სომხურ მწერლობაში არის ცნობა, რომ კიროსს მძიმე სნეულება შეეყარა და ისე გარდაიცვალა. არაბული და კოპტური წყაროებით დაბეჯითებით ვიცით, რომ კიროს ალექსანდრიელი მწვავე დიზენტერიის მსხვერპლი გახდა.
21. ეგვიპტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქართული ტიპის ეკლესია, რომელიც მხოლოდ კიროსის იქ მოღვაწეობის ხანაში შეიძლება აგებულიყო.

დაუუჯეროთ მცირე ხნით ავტორს, რომ კირონ მცხეთელი, კიროს ფაზისელი (ალექსანდრიელი) და ალ-მუჰაკასი ერთი და იგივე პიროვნებაა და წარმოვადგინოთ მისი მოკლე ბიოგრაფია.

კირონ მცხეთელი დაბადებული უნდა იყოს VI საუკუნის 70-იან წლებში. წარმოშობით იგი უნდა ეკუთვნოდეს ქართლის ერისთავთა კლარჯულ-ჯავახურ შტოს. ყრმობისას ბერძნებს იგი წაუყვანათ (სოფელ სკუტრიდან?) მძევლად თუ ტყვედ და მოხვედრილა ქალაქ ნიკოპოლისში. აქ გაატარა კირონმა თხუთმეტი წელი, მიიღო საკმაოდ დრმა ბერძულ-ქრისტიანული განათლება და შესაძლოა დიაკვნის ხარისხიც მიეღო. უკვე დავაჟკაცებული კირონი სომხეთში გადმოვიდა და ქალაქ დვინში დასახლდა. აქ იგი მეტად დაუახლოვდა ძლიერ და ავტორიტეტულ სომეხთა კათალიკოსს მოსე ელივარდელს, რომ-



ლის შემწეობითაც გახდა დვინის კათოლიკეს უხუცესი და აირარაჩის გავარის ქორეპისკოპოსი. კირონმა სომხეთის საეკლესიო წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი ავტორიტეტი და სახელი მოიხვეჭა. გავიდა ხუთი წელი. ქართლში კათალიკოსი გარდაიცვალა. როგორც ჩანს, ქართლის ეკლესიაში ოპოზიციები ძლიერი იყო და ეპისკოპოსებს შორისაც არ აღმოჩნდა ისეთი კანდიდატი, რომელიც შეძლებდა შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევას. ეკლესიამ და საერო ხელისუფლებამ მიმართა თხოვნით მოსე ელივარდელს, დაეთმო მათთვის კირონი. თავის მხრივაც, ჩანს, კირონი ეძიებდა ქართლის კათალიკოსის ტახტს. ყველა ამ მომენტმა შედეგი გამოიღო და კირონ სკუტრელი მცხეთელი — ქართლის კათალიკოსი გახდა. კირონი გასაოცრად ძლიერი და მკაცრი პიროვნება აღმოჩნდა. მან სწრაფად დაუმორჩილა მთელი ქართლი (როგორც საერო, ისე საეკლესიო ხელისუფლება) კათალიკოსის ნებას და თანმიმდევრული საშინაო და საგარეო რელიგიურ-პოლიტიკური პროგრამის გატარება იწყო. ქართლის ერისთავები და ერისმთავარი მისი უფლების ქვეშ მოექცნენ (სპარსული ორიენტაციის მქონე მონოფიზიტი ერისმთავარი სტეფანოზი კირონის ერთგულმა აღარნასემ შეეცვალა). კირონმა კურსი ბიზანტიისკენ აიღო და ქართლი მონოფიზიტობიდან ქალკედონიანობაზე მოაქცია. შესაძლოა, სწორედ ამ დროს, ბიზანტიის მესვეურთა ხელშეწყობით ქართლის საკათალიკოსოს ფაზისის (ეგრიისის) საარქიეპისკოპოსოც შეუერთდა. მართალია, ქართლის სახელმწიფო მრწამსი ქალკედონიანური გახდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სხვა სექტები იღვენებოდა. ქართლში რჩებოდნენ მონოფიზიტი ეპისკოპოსები და საეპისკოპოსოებიც კი (ან კიდევ, თემები ამ საეპისკოპოსოებში), საეპისკოპოსო საყდრებს იკავებდნენ ნესტორიანები. ქართლის კათალიკოსი ტოლერანტული იყო ქრისტიანული სექტების მიმართ და უნიონალური პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. ასეთი პოლიტიკის დასაყრდენი შეიძლებოდა გამხდარიყო ქრისტეს ერთი მოქმედებისა და ერთი ნების შესახებ დოქტრინა, რაც კირონ კათალიკოსს, შეიძლება ბუნდოვნად, მაგრამ უკვე ჰქონდა გააზრებული. ქართლის კათალიკოსი შეუწყალბელი იყო მხოლოდ იმათ მიმართ, ვინც უნიონალურ თუ ტოლერანტულ პოლიტიკას არ ემორჩილებოდა. ძველი ქართლის სახელმწიფოს ფარგლებში აღდგენილმა ქვეყანამ ეროვნული საკითხის მოწესრიგებაც დააყენა დღის წესრიგში: კირონ ქართლის კათალიკოსი იწყებს ქართლის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული არაქართული თემების გაქართულებას, მათთვის სავალდებულო სამღვდელმსახურო ენად ქართულს გამოცხადებით. მზადდება ნიადავი იმისათვის, რომ ქართლად ის „ქვეყანა აღირაცხოს“, სადაც ლიტურგიკა ქართულად სრულდება. მზადდება ნიადავი იმისათვის, რომ პოლიტიკურად „ქართველი“ რელი-



გიორგი და ნაციონალურად „ქართველი“
 იქცეს. ყოველივე ამის საფუძველზე იწყება კონფლიქტი
 კათალიკოსსა და ცურტავის ეპისკოპოსს მოსეს შორის. პოლიტიკურ-
 რად „ქართველი“ მოსე (მისთვის სომხეთი „უცხო ქვეყანა“) ცდი-
 ლობს შეუნარჩუნოს თავის თავსაც და თავის თემსაც რელიგიურ-ნა-
 ციონალური „სომხობა“ და კონფლიქტში ჩაითრევს სომხეთის ეკლე-
 სიისა და სახელმწიფოს მესვეურებს. კამათი იმდენად განსხვავებული
 საგარეო ორიენტაციის გამოხატულებაა, რომ არ შეიძლება განხეთქი-
 ლებით არ დასრულდეს. ასეც ხდება. მალე სპარსეთი ახერხებს ბიზან-
 ტიაზე გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას და თავისი უფლების
 ქვეშ მოქცეული ქვეყნების საქმეებში ჩარევას. 613 თუ 616 წლებში
 შედგება ე. წ. „სპარსული კრება“ და ქალკედონიან მოღვაწეებს წინა-
 დადება ეძლევათ ან მიიღონ სომხური სარწმუნოება, ან კიდევ დატო-
 ვონ თავიანთი სამწყსო და ქვეყანა. კირონ ქართლის კათალიკოსი
 ფაზისში გადადის და ამიერიდან ბერძნულ წყაროებში ცნობილია
 სახელით კიროს (უფრო ზუსტად, „კირ“ ძირიდან ნაწარმოებ სახელ-
 თავან იმ ფორმით, რომელიც უფრო საცნაური და უფრო გავრცელე-
 ბული იყო ბერძნულ სამყაროში). კიროს ფაზისელი აქაც ახერხებს
 თავის ხელში ქვეყნის სადავეების (როგორც საეკლესიო, ისე საერო)
 თავმოყრას. ამიერკავკასიაში სალაშქროდ გამოადებული ჰერაკლე
 კეისარი ბაზად იხდის ფაზისს. კიროსს ახსოვს მცხეთის ჯვრისა და
 ატენის სიონის რელიგიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა და ჯვრის
 ტიპის ნაგებობა შენდება ფაზისის სამიტროპოლიტოშიც. კიროს ფაზი-
 სელი აქტიური მონაწილეა ხაზარებთან მოლაპარაკების. ალბათ მასვე
 გამოყავს აფხაზები ჰერაკლეს მხარეზე. მისივე მონაწილეობით თუ
 ჩნდებიან ჰერაკლეს ლაშქარში იბერიელებიც (აღარანსე ქართლის
 ერისმთავარი ხომ მასთან ერთად იძულებული იყო „სპარსული კრე-
 ბის“ შემდეგ ქართლი დაეტოვებინა და სპარსეთის პოლიტიკურ ბა-
 ტონობას გადარჩენილი კახეთისთვის—მისივე სამფლობელოსთვის—
 თავი შეეფარებინა). ჰერაკლე კეისარი ფრიად დაინტერესებულია
 სომხებთან რელიგიური უნიის შეკვრით და ამისთვის საყრდენს ეძებს.
 კიროს ფაზისელი ამ საყრდენის (ერთი ნება და ერთი ენერჯია) ერთი
 უპირველესი ინიციატორი და შემქმნელია. ამიერკავკასიაში ჰერაკლე
 კეისარი ბრწყინვალე წარმატებას აღწევს: ქართლი კვლავ მის მხარე-
 ზეა, სომხეთი დაემორჩილა უნიას. დიდია ამ საქმეში კიროს ფაზისე-
 ლისა და აღარანსე კახეთის ერისთავის ღვაწლი. ღვაწლს დაფასება
 უნდა. აღარანსე ჰერაკლემ, სამმაგი პატივით დაჯილდოებული, კვლავ
 ქართლის ერისმთავარი გახადა. კეისარი გრძნობს, რომ კიროსი დიდი
 და მტკიცე სახელმწიფო მოღვაწეა. მას ჯერ არ ამოუწურავს თავისი
 შესაძლებლობები, ჯერ კიდევ არ ჰქონია სამოღვაწეოდ საჭირო ასპა-



რეზი. 631 წელს ჰერაკლეს იგი ალექსანდრიის პატრიარქად დაეკურთხა. ტის განმგებლად (კეისრის ნაცვალად) გადაჰყავს. აქაც ამ ერის მისიანი ხელში იყრის თავს საეკლესიო და საერო უფლება. კიროსი უდიდესი ენერგიითა და შეუპოვრობით შეუდგა უაღრესად ქრელი რელიგიური განწყობილებების ეგვიპტეში უნიონალური პოლიტიკის გატარებას. 633 წელს გამოსცა 9 თავისაგან შემდგარი მონოთელიტური ტრაქტატი, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიის გაერთიანების საფუძველი უნდა გამხდარიყო. თეოდოსიანელები ეზიარნენ ქალკედონობას მონოთელიტური რედაქციით. ბიზანტიის იმპერიის ნაციონალური პროვინციების ერთი მრწამსის ქვეშ გაერთიანება თითქოს რეალური ვახდა. მონოთეოზიტები დაემორჩილნენ უნიონალურ პოლიტიკას, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს დამორჩილება მათ გამარჯვებად ჩათვლებოდა. მაშინ ჰერაკლე კეისარსა და კიროს ალექსანდრიელს წინ აღუდგნენ ორთოდოქსი ქალკედონიტები და იმ ხანებში ყველაზე განთქმული მოღვაწე სოფრონ პალესტინელი. ჰერაკლე კეისარმა და სერგი კონსტანტინეპოლელმა უკან დაიხიეს. კიროს ალექსანდრიელი ორმხრივი კრიტიკის ცეცხლში მოხვდა: უნიონალური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ განწყობილი ქალკედონიანებიც მის წინააღმდეგ იყვნენ და მონოთეოზიტებიც. კიროსი შეუპოვრად განაგრძობდა აღებული კურსით სვლას. ყველა სირთულეს დამატა საგარეო საფრთხე. არაბები მოადგნენ ეგვიპტეს. კიროს ალექსანდრიელი ქვეყნის გადასარჩენად ერთადერთ გზას ხედავს: გადაუხადოს არაბებს დიდი ფულადი კონტრიბუცია, შერთოს ამრს ცოლად ჰერაკლე კეისრის ერთ-ერთი ქალიშვილი და არაბთა სარდალი ქრისტიანობაზე მოაქციოს. ჰერაკლემ კიროსის გეგმა დალატად მიიჩნია და მოხუცი პატრიარქი კონსტანტინეპოლში გაიწვია მსჯავრის გამოსატანად (640 წლის ბოლო). კონსტანტინეპოლში კიროს ალექსანდრიელს სახალხოდ წაუყენეს ბრალდებად სახელმწიფოს დალატი. ჰერაკლე კეისარმა თავის ყოფილ თანამებრძოლს „წარმართი“ უწოდა (*Ἐλληνα τὸν Κῆρον ἄπειχάλε*) და სიკვდილით დასჯით დაემუქრა. ბოლოს სიკვდილით დასჯა სხვა თეოზიური სასჯელით შეუცვალეს და კონსტანტინეპოლიდან შორს გაასახლეს. 641 წლის 11 თებერვალს ჰერაკლე კეისარი გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა (კონსტანტინე და ჰერაკლონა) ეგვიპტეში აწეწილი საქმეების მოსაგვარებლად აღადგინეს კირონი ძველ უფლებებში და დიდი ზეიმით დააბრუნეს ალექსანდრიაში (641 წ. 14 სექტემბერი). ქალაქის მოსახლეობა აღტაცებით შეხვდა მოხუც პატრიარქს, მაგრამ ხანმოკლე იყო ასეთი საყოველთაო ენთუზიაზმი. ჯერ კიდევ ჰერაკლე კეისრის დროს განზრახული საზავო ხელშეკრულება დასდო კიროსმა ამრთან ქალაქის გადასარჩენად. ფაქტიურად კიროსმა ხელი მოაწერა ალექსანდრიის კაპიტულაციის



აქტს, რასაც მთლიანად დაუჭირა მხარი მხედრობამ. კაბიტულებს
 შესახებ ცნობამ საბრძოლველად განწყობილ მოსახლეობას
 საშინელი აღშფოთება გამოიწვია, რომ კიროსი ძლივს გადაურჩა
 ხალხის რისხვას. მხოლოდ ბრწყინვალე მკვერამეტყველებამ იხსნა
 პატრიარქი ჩაქოლვისაგან. ამავე ხანებში კონსტანტინეპოლში სახელ-
 მწიფო გადატრიალება მოხდა. კიროსის მფარველი ჰერაკლონა და
 მარტინა ტახტიდან ჩამოაგდეს. კვლავ გაისმა ხმები ალექსანდრიის
 პატრიარქის ლალატის შესახებ: თითქოს მას სურდა ეგვიპტე ბიზან-
 ტისთვის ჩამოეცილებინა არაბთა ძალის საშუალებით და სრული
 დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. აღარ დარჩა მას ერთგული მომხრე-
 ები აღარც კონსტანტინეპოლში და არც ეგვიპტეში. 642 წლის 21
 მარტს კიროს ალექსანდრიელი მწვავე სნეულების (თუ საწამლავის?)
 შედეგად გარდაიცვალა. კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა მისი
 ხვედრი ისტორიის სამსჯავროს წინაშე. მწვალებლად მიიჩნიეს რო-
 გორც დიოფიზიტებმა, ისე მონოფიზიტებმა. ლალატი დასწამა რო-
 გორც ბიზანტიის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ისე თვით ალექ-
 სანდრიის მოსახლეობამ, რომლის სიცოცხლის გადასარჩენადაც დადო
 ხელშეკრულება არაბებთან. უნიონალური პოლიტიკის გატარებისა-
 თვის თავგამოდებითა და ყველა საშუალებით ბრძოლამ დაუპირის-
 პირა კიროს ალექსანდრიელს კობტები. ყველაფერი ეს აისახა წყარო-
 ებში. დანარჩენი, რაც კი მის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, დაწვა
 მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ. ჩვენ თანადროულ ისტორიოგ-
 რაფიას ხელთ მხოლოდ მისი მაგინებელი მასალა აღმოაჩნდა და
 უკრიტიკოდ ერწმუნა. VII საუკუნის პირველი ნახევ-
 რის ერთი ყველაზე უფრო დიდი და რთული პი-
 როვნების მოღვაწეობა ჯერ კიდევ ელის ობი-
 ექტურ მსჯავროს.



პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი

